საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№2 (45)
20 – 26 იანვარი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

Не пан, а пропал, ანუ რაც გინახავს, ველარ ნახავ 4

# ფერადი რევოლუციების კრახი



## ანუ მიშა, წავედით!

5 ვარდისფერი ვუდუ, ანუ ბომჟები მაიდანზე

გიგი უგულავას ფერადი სიზმრები 9

რა კავშირშია ბაზელის ხელშეკრულება საქართველოში საბანკო სესხებთან? 14

ვაშინგტონი 30 როკის გვირაბზე დარტყმას გეგმავდა

6



ნანა დევდარიანი:
## იანუკოვიჩის უპირატესობას პრორუსული ძალების გამარჯვებად კი არა, თვალის ახელად და გამოფხიზლებად მივიჩნევ!



ზურაბ გაგნიძე:
## კობა დავითაშვილი იოლად გასაშიფრი მოთამაშეა

13 ჩნდება კითხვა – დავითაშვილი არჩევნებში მონაწილეობით ვის თამაშს თამაშობს? მისი განაცხადი – „ჩემი ამოცანა სააკაშვილის დამარცხებაა“ – რამდენად ლოგიკურია?

# დემოკრატიის რექვიემი 8

20 – 26 იანვარი, 2010 წელი. №2 (45)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სენატორმა ობამას „ზანგი“ უწოდა

**ახლახან გამოცემულ მარკ გალპერინისა და ჯონ ჰეილემანის წიგნში „Game Change“, რომელიც 2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიას ასახავს, შესაძლოა, პრეზიდენტის პარტიაში ნამდვილი მიწისძვრის მიზეზად იქცეს. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პასაჟი ეძღვნება სენატორ-დემოკრატების ხელმძღვანელსა და პოლიტიკოსს გარი რეიდს, რომელიც ამჟამად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონგრესში ბარაკ ობამას მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის რეფორმის გამარჯვების საქმეში.**


გარი რეიდი

მაშინ რეიდი მომავალ პრეზიდენტზე კერძო საუბარში ამბობდა, რომ „ნაცია მზადაა შავი კანდიდატისათვის, მით უფრო, თუ ის ღია ფერის აფროამერიკელია, როგორც ობამა, რომელსაც არ აქვს ზანგური აქცენტი, სანამ თავად არ მოისურვებს“.

როგორც ცნობილია, რასობრივი კუთვნილების თემაზე ამერიკაში არ ხუმრობენ, თუ ვინმე თავს ამის უფლებას მისცემს, მაშინვე პოლიტიკურ გვამად იქცევა. სენატორის ზემოხსენებულ ფრაზას დაუყოვნებლივ მოჰყვა რეაქცია. თავად რეიდი მაშინვე ტელეფონით დაუკავშირდა ობამას და ბოდიში მოუხადა. ობამამ მიიღო სენატორის ბოდიში და თქვა, რომ „საკითხი დახურულია“. მაგრამ რესპუბლიკელებმა მოითხოვეს, რომ სენატორმა სენატის უმრავლესობის ლიდერის თანამდებობა დატოვოს.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ, აფროამერიკელმა მაიკლ სტილმა მოწინააღმდეგეებს „ორმაგ სტანდარტებში“ დასდო ბრალი, მაგრამ უმრავლესობამ დისკუსიაზე უარი განაცხადა.

წიგნი კიდევ ბევრ საინტერესო მომენტს შეიცავს წინასაპრეზიდენტო მარათონის კიდევ ორ მოასპარეზეზე — ჰილარი კლინტონზე, რომლისთვისაც მისმა ქმარმა ბილ კლინტონმა დახმარების გაწევა სთხოვა ტედ კენედის „იმ ინდივიდის წინააღმდეგ, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ყავის მოტანა თუ შეეძლო“ და სარა პეილინზე, რომელსაც „ფსიქიურად გაუწონასწორებელ“ საკუთარი ხასიათის ცვალებადობის მსხვერპლად მიიჩნევდნენ.

# რუსეთმა ტერორისტები საქართველოში იპოვა

**რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ „ქართულ სამხედრო ბაზებზე უცხოელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ამზადებენ ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომლებმაც ტერორისტული აქტები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უნდა განახორციელონ“.**



უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ არკადი ედელევმა რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა, „ძალზე სერიოზულად გაითვალისწინონ სტრუქტურებისა და გაერთიანებების, მათ შორის რადიკალური იდეების მიმდევარი რელიგიური დაჯგუფებების მზარდი აქტიურობა“. მან, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის სამხრეთით საერთაშორისო ტერორიზმის ესკალაციის საშიშროება ძველებურად რეალობად რჩება.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ქართული დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის მზადების შესახებ ცნობა უშიშროების ფედერალური სამსახურის ოპერატიულმა მუშაკებმა მიიღეს. „სამმართველომ მიიღო და ამ დროისათვის მოწმდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს მხრიდან... ქვეყნის ტერიტორიაზე შესაძლოა შემოიჭრას დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფი. ინფორმაციის თანახმად, დაღესტანში ბოევიკები შესაძლოა გაიგზავნონ საწვავ-ენერგეტიკული კომპლექსის ობიექტებსა და სარკინიგზო ტრანსპორტზე ტერაქტების მოსახდენად“, — აცხადებდნენ დაღესტნის უშიშროების სამსახურში.

ამ მონაცემების გათვალისწინებით, რუსეთ-საქართველოს საზღვარსა და მის დაღესტნურ ნაწილზე დაცვა გაძლიერდა.

# ფერადი რევოლუციების კრახი, ანუ მიშა, წავედით!

**უკრაინაში 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები მოასწავებს ჯორჯ ბუშ უმცროსის ერის საბოლოო დასასრულს. ზუსტად ერთი წელი გავიდა, რაც ამერიკაში მოვიდა ახალი ხელისუფლება, მაგრამ რჩებოდა ევროპის უდიდესი სახელმწიფო – უკრაინა, სადაც 5 წლის წინათ განხორციელდა ყველაზე ცნობილი ფერადი რევოლუცია და ბუშისა და ნეოკონსერვატორების მიერ დასმული რეჟიმი დემოკრატიის ვიტრინად კვლავ ითვლებოდა. ცხადია, მეორე ფერად რეჟიმს, სააკაშვილის მართულ საქართველოს, დემოკრატიულად უკვე აღარავინ მიიჩნევს, ამიტომ ყველას თვალი სწორედ უკრაინისკენ ჰქონდა მიპყრობილი.**

„სახელოვანი რევოლუციონერის“ გივია თარგამაძის კიდევ ერთი პროექტი –სოროსის ფულით თუ როგორ გაემგზავრა ყირგიზეთში კიდევ ერთი „ფერადი“ რევოლუციის მოსახდენად. 90-იანი წლების ბოლოს ყირგიზეთს უწოდებდნენ „აზიის შვეიცარიას“, ვინაიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ის ყველაზე დემოკრატიული იყო. როდესაც ჩვენი ადგილობრივი „ჩე გევარა“ იქ ჩავიდა, ყირგიზეთში კორუფციაში ჩაფლული პროამერიკული რეჟიმი მეფობდა. გივიამ იმდენი მოახერხა, რომ რევოლუცია მართლაც მოხდა, მთებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდა მშიერი მოსახლეობა და დედაქალაქში ერთი მაღაზია და დაწესებულებაც კი არ დატოვა გაუძარცვავი. და ასე, კორუმპირებული პროამერიკული რეჟიმი შეიცვალა ასევე კორუმპირებული, მაგრამ პრორუსულით. არ ვიცი, ამისათვის გივიამ სოროსისაგან მიიღო თუ არა პრემია, მაგრამ შემდეგ ის „ფერადი“ რევოლუციის მოწყობას ბელორუსიში შეეცადა, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდა. დღეს კი გივია თარგამაძე, როგორც სააკაშვილმა ტელეფონით უთხრა ტიმოშენკოს, გაურკვეველი სტატუსით ზის კიევში თავის „ბოევიკებთან“ ერთად (კარგი საქმისათვის რომ არ იქნება, ცხადია).

ერთი კვირით უკან დავბრუნდეთ. ყველას გვაინტერესებდა, რისთვის ჩამოვიდა მაკეინი. თანდათან ყველაფერი ნათელი ხდება. როგორც ჩანს, მან სააკაშვილს გასაგებ ენაზე აუხსნა, რომ, თუ იანუკოვიჩი გაიმარჯვებდა, მიშიკოს რეჟიმს ანდერძი ექნებოდა აგებული. და აი, სააკაშვილმაც დაიწყო თავისი ახალი და, შესაძლოა, უკანასკნელი ავანტიურაც.

უკრაინაში იგზავნება „დამკვირვებელთა“ 2000-კაციანი „კუნთმაგარი“ და „ბრძოლისუნარიანი“ (ეს სააკაშვილის სიტყვებია) ბრიგადა. საინტერესოა, რომ ეუთოს დამკვირვებელი სულ 600 კაცი იყო, ამერიკისა – 78, ევროკავშირისა – 26.

რისთვის არის ამდენი ახალგაზრდა მამაკაცის გაგზავნა საჭირო? ანკეტებში მათ უმეტესობას უწერია: სამსახური – დროებით უმუშევარი, პროფესია – არ აქვთ, მისამართი – არ აქვთ (ბომჟებია?), საარჩევნო დამკვირვებლის გამოცდილება – არ აქვთ! ე. ი. ვინ არიან ისინი? – კითხულობდნენ უკრაინაში და თვითონვე პასუხობდნენ – სპეცდანიშნულების ბრიგადა!

**მაინც რატომ გააგზავნა სააკაშვილმა 2000-კაციანი სპეცდანიშნულების ბრიგადა მოძმე უკრაინაში? უკეთეს შემთხვევაში, როგორც იქაური პრესა წერს, მხოლოდ არჩევნების ჩასაშლელად, ამომრჩევლების დასატერორებლად, უარეს შემთხვევაში კი – ქუჩის ბრძოლებისთვის.**

მახსენდება, როგორ დაიწყო საბჭოთა ინტერვენცია ავღანეთში: იქ გადაჯდა კაგებეს 500-კაციანი (სიც!) რაზმი, რომელმაც აიღო პრეზიდენტის სასახლე, დახოცა პრეზიდენტი ამინი და მისი ოჯახი მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად და ასე ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება მთელი 10 წლით!

**არ ვიცი, ეს სააკაშვილის სცენარია თუ მაკეინის, მაგრამ მათთვის მთავარია, იანუკოვიჩი ვერ გახდეს პრეზიდენტი და ამისთვის ყველაფერი გააკეთონ, თუმცა მეეჭვება, რომ ეს ობამას ან ჰილარი კლინტონს მოეწონოთ!**

**იანუკოვიჩის მომხრეთა ტერიტორიის დედაქალაქში – დონეცკში თბილისიდან რამდენიმე დღის წინ ჩავიდა 152 „კუნთმაგარი“ მამაკაცით დატვირთული ჩარტერული რეისი, ყველანი კაცებია 25-დან 45 წლამდე. თვითმფრინავს ჯერ არ მისცეს დაჯდომის უფლება, მაგრამ მალე კიევიდან, სულ ზევიდან, დარეკეს და თვითმფრინავიც დაჯდა. თვითმფრინავში მსხდომთ, ცხადია, არავითარი სტატუსი არ გააჩნდათ; მათაც განაცხადეს, რომ დონეცკში ძველი ახალი წლის შესახვედრად ჩამოვიდნენ!**

აქ საინტერესო ის ფაქტია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ყველა დამკვირვებელმა რეგისტრაცია „უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტში“ წინასწარ გაიარა, გარდა უზარმაზარი ქართული დელეგაციისა. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ **დამკვირვებლის სტატუსი უკრაინის ცესკომ თვით „სახელოვან“ თარხნიშვილსაც კი არ მისცა.** მაგრამ რატომ შეეშალა ასე სააკაშვილს? ცხადია, ეს გადატრიალების მცდელობა სულ ბოლო წუთს იყო დაგეგმილი, მაკეინის ინსტრუქტაჟის შემდეგ, ყველა დეტალი ველარ გაითვალისწინეს და ექსპრომტებზე წავიდნენ. ეს კი საქართველოს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. **უკრაინაში ჯერ არ სცალიათ, მაგრამ მალე მოიცლიან და ვინ იცის, გვაპატიებენ კი ასეთ დაუჯერებელ თავხედობას?**

უკრაინის სახელმწიფო არსებულ საზღვრებში (ყირიმის გარდა, რომელიც 1954 წელს ხრუშჩოვმა აჩუქა უკრაინას) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის სტალინის მიერ შეკოწიწებული. მან ისიც კი მოახერხა, რომ უკრაინა (ბელორუსთან ერთად) გაეროში შეიყვანა როგორც „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, რითაც საბჭოთა კავშირს სამი ხმა მიეცა.

დავიწყოთ ყირიმით. თათრებით დასახლებული ყირიმის სახანო გაცილებით მეტ ტერიტორიას მოიცავდა ყირიმის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით და ოსმალეთის იმპერიის ვასალი იყო. რუსეთმა მისი ანექსია 1783 წელს მოახდინა. 1854-56 წლებში მისი გულისათვის თურქეთ-რუსეთის ომი მიმდინარეობდა, როდესაც დასავლეთის ქვეყნები ოსმალეთს უჭერდნენ მხარს, მაგრამ რუსეთმა გაიმარჯვა. 30-იან წლებში ბოლშევიკებმა თათრების მთავარი მეჩეთი ააფეთქეს. როდესაც 1941 წელს ნაცისტებმა ყირიმი დაიკავეს, პირველ ყოვლისა, დიდი მეჩეთი აღადგინეს და თათრების გულიც მოიგეს. ეს არ აპატია მათ საბჭოთა ხელისუფლებამ და 1944 წელს ყველა თათარი შუა აზიაში გადაასახლა. დღეს თათრების უმეტესობა დაბრუნდა და სეპარატისტულად არის განწყობილი, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაინც რუსებია და მათ რუსეთთან შეერთება უნდათ. ისინი, ცხადია, იანუკოვიჩს მისცემდნენ ხმას.

უკრაინის სახელმწიფო სახელწოდებით „კიევის რუსეთი“ ვიკინგებმა IX საუკუნეში შექმნეს და მან მონღოლების შემოსევამდე იარსება. შემდეგ იგი პოლონელებმა დაიპყრეს და პოლონეთის დანაწილებამდე მათი იყო. მხოლოდ XIX საუკუნეში გახდა იგი რუსეთის ნაწილი „მცირე რუსეთის“ (მალაროსია) სახელწოდებით.

დასავლეთი უკრაინა, რიბენტროპ-მოლოტოვის საიდუმლო ხელშეკრულებით, პოლონეთს ჩამოეჭრა, რომ-

# ობამა კრიზისს ფინანსურ სექტორს აანაზღაურებინებს

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა აპირებს, ქვეყნის 50-მდე უმსხვილესი ფინანსური კომპანიებისაგან სპეციალური მოსაკრებელი მოკრიბოს. გადახდა მოუწევს ყველა ფინანსურ ორგანიზაციასა და ბანკს, ვისი აქტივებიც 50 მილიარდ დოლარს აღემატება.**



წინადადება აშშ-ის ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 2011 წელს შევა.

ამ მეთოდით ხელისუფლება გადასახადების გადამხდელებს დაუბრუნებს მთელ იმ სახსრებს, რაც 2008-2009 წლებში ფინანსური ინდუსტრიის გადარჩენას მოხმარდა.

სქემის მიხედვით, უახლოეს 10 წელიწადში ახალი მოსაკრებელი ბიუჯეტში 90 მილიარდამდე დოლარს შეიტანს. გარდა ამისა, ობამამ გადაწყვიტა, არ მისცეს საშუალება კომპანიებსა და ბანკებს, ბიზნესი კრიზისამდელ რეჟიმში აწარმოონ.

ხელისუფლება ეცდება, ხელი შეუშალოს მაღალი რისკის შემცველ კრედიტირებას.

სქემის მიხედვით, ბიუჯეტში გადასახადების გაზრდა ბანკის კლიენტთა მხრებზე არ გადაივლის.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



ლის ნაწილიც იყო საუკუნეების განმავლობაში და უკრაინას მიუერთეს. მისი მოსახლეობაც მკვეთრად პროდასავლურად არის განწყობილი და, ალბათ, ტიმოშენკოს დაუჭირეს მხარი. უნგრეთს ჩამოაჭრეს კარპატების მხარე და მისი დედაქალაქის მერის განცხადებით, მოსახლეობის 90% სეპარატისტულად არის განწყობილი და არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს. რუმინეთს ჩამოაჭრეს ჩერნოვცის ოლქი, რომელიც, ალბათ, ასევე ტიმოშენკოს უჭერს მხარს. რაც შეეხება უკრაინის ინდუსტრიულ აღმოსავლეთსა და სამხრეთს, ის მთლიანად პრორუსულია და იანუკოვიჩს უჭერს მხარს. ძალიან საინტერესოა უკრაინის ცენტრალური ნაწილის პოზიცია – ბოლო გამოკითხვით, მოსახლეობის 40%-ს გადაწყვეტილი არ ქონდა, თუ ვის მისცემდა ხმას.

რაც შეეხება ტიმოშენკოს, ბოლო დღეს მისი რეიტინგი მკვეთრად დაეცა და ამის მიზეზი სააკაშვილის სატელეფონო ზარი იყო, სადაც მან ტიმოშენკო „გაახარა“, — გივი (თარგამაძე) მანდ არისო, ხოლო ჩემი „დამკვირვებლები“ ყველა — „ბრძოლისუნარიანიო“! ეს კი ამომრჩეველთა მიერ შეფასდა, როგორც უცხო ქვეყნის მიერ მათ საქმეებში უხეში ჩარევა და ტიმოშენკო ამის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს. კიდევ უფრო განსაცვიფრებელი იყო გივია თარგამაძის „გულუბრყვილო“ განცხადება კურიერში, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ცესკომ დამკვირვებლების სტატუსი არ მისცა, ისინი მაინც ძალით ცდილობდნენ საარჩევნო უბნებში შეჭრას; ზოგიერთი მათგანი ცემეს და დააპატიმრეს კიდეც.

## საარჩევნო კამპანია ძალიან ბინძურად მიმდინარეობდა.

**ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოქმედი პრეზიდენტი და სააკაშვილის ნათელ-მირონი – იუშჩენკო, რომელმაც (უკრაინული პრესის ცნობით) თავისი ავლა-დიდება უკვე კანადაში გადააგზავნა. მისი სიძულვილის მთავარი ობიექტი კი იყო ხუთიწლისწინანდელ რევოლუციაში მისი ყოფილი პარტნიორი, პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო, რომელსაც ის სისტემატურად უწოდებდა პრომოსკოვურ კანდიდატს. ტიმოშენკო ქართული სახელისუფლო ტელეარხების ფავორიტია; ისინი მოსახლეობას თავში უდებენ, რომ ტიმოშენკო იმარჯვებს, თუმცა, ყველა მიმომხილველის აზრით, გამარჯვებული იანუკოვიჩი იქნება. ამ შემთხვევაში კი ქართული ტელეარხები გაყალბებაზე აყვირდებიან.**

წინა საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვი ღიად უჭერდა მხარს იანუკოვიჩს და სადღაც ამანაც წააგებინა მას არჩევნები. ამჟამად მოსკოვი ღიად აღარ ერევა, თუმცა მას (იანუკოვიჩს) მაინც შერჩა პრორუსულად განწყობილის მანტია. რაც შეეხება ტიმოშენკოს, მან ერთი ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა – არჩევნების წინ პრემიერობიდან არ გადადგა (ალბათ, სახელისუფლო რესურსის გამოყენების იმედი ჰქონდა). უკრაინის დანგრეული ეკონომიკისა და გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების ფონზე კი ამომრჩეველთა თვალში, ცხადია, დანაშაული პირდაპირ პრემიერ-მინისტრზე მოდის! აი, ოპოზიციის მანტიით კი ამ ყველაფერს სხვებს გადააბრალებდა. მეორე ტური კი უკრაინის ლამის გახლეჩვას ნიშნავს. მართალია, იანუკოვიჩი ტიმოშენკოს 11%-ით უსწრებს, მაგრამ ამაზე მეტის აღება გაუჭირდება, დანარჩენი კანდიდატების მომხრეთა ხმების ნაწილი კი შეიძლება ტიმოშენკოსთან წავიდეს. გადამწყვეტი, ალბათ, ის იქნება, თუ ვისთან წავა ცენტრალური უკრაინის ხმები, განსაკუთრებით კი მესამე ადგილზე გასული ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მომხრეთა ხმები. კიევში კი იანუკოვიჩის მომხრეები იმას აპირებენ, რაც ხუთი წლის წინათ „ფერადებმა“ გააკეთეს. ისინი ქუჩის აქციებისთვის მზად არიან. აი, აქ კი, ალბათ, ჩაერევიან გივიას „ბოევიკები“: მათ უკვე გააკეთეს ერთი უზარმაზარი სისულელე, როდესაც დონეცკში ჩავიდნენ და ყველა გადაიმტერეს, თუმცა არც შემდეგი სისულელისგან არიან დაზღვეულნი.

ყველაზე მეტად სამოქალაქო დაპირისპირების – ღია სამოქალაქო ომისა და არეულობის — ბრიუსელში ეშინიათ, რაც თითქმის გარდაუვალია. და თუ ეს მოხდა, მთავარ დამნაშავედ სწორედ საქართველოსა და მის პრეზიდენტს დაასახელებენ. აგვისტოს „პატარა ჭუჭყიანი ომი“ (**ნიუ იორკ ტაიმსის** სიტყვები) მას აპატიეს, მაგრამ ევროპის უდიდეს სახელმწიფოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიის უკანასკნელ იმედში დესტაბილიზაციის შეტანას არავინ აპატიებს.

**უკრაინაში „ნარინჯისფერების“ ხელისუფლების წასვლა ბუნებრივად გულისხმობს საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლების დასრულებას. არ ვამბობ, რომ ეს იქნება დასასრულის დასაწყისი, რადგან სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, ცივილიზებული მსოფლიოსთვის 2008 წლის აგვისტოში დამთავრდა. იგი ხელჩამოურთმევლების კატეგორიაში გადავიდა.**

## პრეზიდენტმა მედვედევმა და პრემიერმინისტრმა პუტინმა იუშჩენკოს წამზომი ჩაურთო და ეს წამზომი 17 იანვრის არჩევნებზე გაჩერდა — იუშჩენკო პრეზიდენტის სავარძელს დაემშვიდობა.

როდის გამოეთხოვება სააკაშვილი პრეზიდენტობას, ეს მხოლოდ დროის საქმეა, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ეს დრო არც ისე შორს არის — ყველასთვის და მით უმეტეს პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, დიდი ხანია, ცნობილია, რომ ფერადმა რევოლუციებმა, როგორც ექსპერიმენტმა, არ გაამართლა და, უფრო მეტიც, არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნა უამრავი პრობლემა, არამედ მსოფლიოსაც დიდი თავისტკივილი გაუჩინა.

**ახლა ყველა იმის მოლოდინშია, როდის გაჩერდება სააკაშვილის წამზომი, რომლის წიკწიკსაც ნაციონალები ძრწოლვით უსმენენ და შიშით შესცქერიან მომავალს, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე წაართვეს.**

**რამაზ კლიმიაშვილი**

# ბრიტანეთი კოკაინში იხრჩობა

**ბრიტანული საზოგადოების უმთავრეს პრობლემათა შორის ბავშვთა ნარკომანიის განუხრელი ზრდა ფიქსირდება. მხოლოდ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე თითქმის გაორმაგდა იმ ბრიტანელი არასრულწლოვანების რაოდენობა, რომლებიც კოკაინზე დამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებლად მკურნალობის კურსს გადიან. გაიზარდა იმ მოზრდილთა რაოდენობაც, რომლებიც კოკაინს ბავშვობიდან შეეჩვივნენ და ახლა მისგან თავდასაღწევად მკურნალობას საჭიროებენ.**



2005 წელს კოკაინისგან თავდასაღწევად სამედიცინო დახმარება 18 წლამდე ასაკის 453 ადამიანს დასჭირდა, 2008 წელს — 745-ს; ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისაგან განკურნება 2008 წელს სულ 24 053 არასრულწლოვანს დასჭირდა.

საზოგადოების სწრაფვას ნარკოტიკებისადმი ბრიტანეთში ათას მიზეზს უძებნიან, მხოლოდ ერთეულები თუ ბედავენ, ახალგაზრდობის ნარკოტიზაციაში მთელი რიგი სახელმწიფო პროგრამები დაადანაშაულონ. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა, რომლის მიზანი „ნარკომანთა დეკრიმინალიზაციაა“, ქვეყნის ხელისუფლების ინიციატივით სპეციალურ ცენტრებში ნარკომანებს ნარკოტიკულ პრეპარატებს ურიგებს და კვალიფიციური სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ მათი გამოყენების საშუალებას აძლევს. ამგვარი ცენტრები ლონდონში, დარლინგტონსა და ბრაიტონში გაიხსნა. დაკვირვების ქვეშ მყოფი 150 ნარკომანიდან, რომლებიც ამ ცენტრებში იღებდნენ ნარკოტიკებს, მესამედმა ქუჩაში მათ ძებნას თავი დაანება და მთლიანად სამთავრობოზე გადავიდა; ორი მესამედი კი, ბრიტანეთის მთავრობისათვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო, არც სამთავრობო ნარკოტიკს იკლებდა და არც — ქუჩურს. კვლევაც და იდეაც მაინც წარმატებულად ჩაითვალა და მსგავსი ცენტრების მთელი ქვეყნის მასშტაბით გახსნა გადაწყდა.

რა თქმა უნდა, არავის სჯერა, რომ ქუჩური ნარკოტიკიდან სამთავრობოზე გადაყვანა ქვეყანაში ნარკომანიის შემცირებაზე რაიმე სასიკეთო გავლენას მოახდენს. სამაგიეროდ, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამ პროგრამის მთავარი უპირატესობა სახსრების პრაქტიკულად უკონტროლო განკარგვაა. ერთი ადამიანის ამგვარი „მკურნალობა“ 15 ათასი ფუნტი ჯდება, ასე რომ, რაც მეტი ნარკომანი იქნება, მით მეტი ფული ექნებათ ამ სამთავრობო „მკურნალებს“.

თუ ნარკომანიასთან მებრძოლი ბრიტანელი სახელმწიფო მოხელეების უცნაურ აზრებს გავითვალისწინებთ, ზემოხსენებული პროგრამა სულაც არაა უცნაური. მაგალითად, ცნობილი მეცნიერი და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების საკითხთა შსს-ის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე დევიდ ნატი თავის სტატიაში წერს, რომ ეგრეთ წოდებული ექსტაზი და საცხენოსნო სპორტი ორგანიზმისათვის თანაბრად მავნეა.

# რუსეთი ამერიკულ ბარკლებს შემცვლელს მოუძებნის

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ამერიკა მზად არაა, ფრინველის ხორცთან დაკავშირებით რუსეთის მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ამიტომ რუსეთი მზადაა, ფრინველის ხორცის სხვა მომწოდებლები ეძებოს.**

1 იანვრიდან ძალაში შესული ახალი სანიტარული ნორმები ზღუდავს ქლორის გამოყენებას და ფრინველის ხორცში წყლის შემცველობას.

„სამწუხაროდ, ჩვენი ზოგიერთი სავაჭრო პარტნიორისაგან, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯერჯერობით ვერ ვხედავთ რუსული სტანდარტების დაცვისათვის მზადყოფნას“, — განაცხადა პუტინმა.

რუსეთის მთავრობის მეთაურმა გაიხსენა, რომ ამასწინათ ამერიკელი მომწოდებლებისათვის ქვოტა წელიწადში 1,3 მილიონ ტონას შეადგენდა, ახლა კი — 600 ათას ტონას შეადგენს.

„ეს რუსეთის ბაზარზე იმპორტიორთა ყველაზე დიდი ქვოტაა, მაგრამ ჩვენი სტანდარტების დაცვაა საჭირო!“ — განაცხადა პუტინმა.

რაც შეეხება სხვა მომწოდებლების ძებნას, პუტინმა განაცხადა, რომ საუბარია მხოლოდ სანიტარული მოთხოვნების დაცვაზე და „საჭირო არაა რაიმე ქვეტექსტის ძებნა, მით უფრო — პოლიტიკურის“.

გარდა ამისა, პრემიერმა აღნიშნა, რომ 4-5 წლის შემდეგ რუსეთს შეეძლება, თავად უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა ფრინველის ხორცით, საკუთარი წარმოების ხარჯზე და მსოფლიო ბაზარზეც გავიდეს.

2009 წლის შედეგების მიხედვით, პრემიერის განცხადებით, რუსეთმა შიდა ბაზრის 75% საკუთარი წარმოების პროდუქციით შეავსო.

# კანდელაკმა რამიშვილს ჰომოსექსუალი უწოდა

**რუსეთის ტელევიზიის ვარსკვლავმა თინა კანდელაკმა განაცხადა, რომ ლევან რამიშვილი, რომელმაც მას „იაფფასიანი კახპა“ უწოდა, „ან იმპოტენტია, ან — ჰომოსექსუალი“.**



შეგახსენებთ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი საქართველოს მთავრობის იდეოლოგიის შემმუშავებლად ითვლება. რამდენიმე დღის წინ მან თინა კანდელაკთან ერთად რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერლების თაობაზეც ისაუბრა და თამარ გვერდწითელსა და სოსო პავლიაშვილს „მანქურთები“ უწოდა.

თინა კანდელაკმა ლევან რამიშვილისთვის ზემოხსენებული დიაგნოზის დასმის შემდეგ გამოთქვა მზადყოფნა, მას იმპოტენციის სამკურნალო პრეპარატები გამოუგზავნოს. გარდა ამისა, მან დასძინა, რომ სულაც არ აქვს საქართველოს პრეზიდენტივით მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრება. ტელეწამყვანმა ისიც აღნიშნა, რომ პოზიცია არ შეუცვლია და კვლავაც არ ეთანხმება იმ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ატარებს. კანდელაკის მტკიცებით, მან პირადად უთხრა მიხეილ სააკაშვილს ამის შესახებ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# Не пан, а пропал, ანუ რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

**მას არასდროს დაუღეჭავს ჰალსტუხი, არც ტერიტორიები დაუკარგავს, არც მშვიდობიანი მიტინგები დაურბევია. მეტიც, ომიც არ წაუგია, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე არ გაქცეულა სამარცხვინოდ და არც პოლიტპატიმრები ჰყოლია; არჩევნებიც არ გაუყალბებია და არც მედიას ერჩოდა რამეს. იმ სისულელეების ჩამოთვლა, რომელიც მას არ ჩაუდენია, ძალიან დიდხანს შეიძლება, ასე რომ, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლოთ: მიუხედავად ყოველივე თქმულისა, იგი — ვიქტორ იუშჩენკო — პრეზიდენტი აღარ იქნება, უკრაინამ ასე გადაწყვიტა.**




## შენს წასვლას და ჩვენ დარჩენას...

**უკრაინაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვიქტორ იუშჩენკომ მოხსნა სლოვაკეთის პრეზიდენტის — რუდოლფ შუსტერის 2004 წლის ანტირეკორდი, როდესაც ქვეყნის მოქმედმა ხელმძღვანელმა ხმების 7,4% მოაგროვა. მეორე ტურში ვიქტორ იანუკოვიჩი და იულია ტიმოშენკო გავიდნენ. კარგი შედეგი აჩვენა სერგეი ტიგიპკომ, მომავალში იგი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს. ვიქტორ იუშჩენკომ კი სრული კრახი განიცადა.**

ფორმალურად იგი ჯერ კიდევ პრეზიდენტია, მეტიც, თუ არჩევნების მეორე ტურს არეულობა მოჰყვა, შეიძლება პოსტი მცირე დროით შეინარჩუნოს კიდეც, თუმცა არსებითად ეს არაფერს შეცვლის — უკრაინელებმა მას და მის პოლიტიკას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. „სასწორზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი" (დან. 5,27) — ასე რომ, მშვიდობით, ვიქტორ ანდრეევიჩ!

**შესაძლოა, ვინმეს ესოდენ სამარცხვინოდ დამარცხებული მოწინააღმდეგის ძვლებზე რიტუალური ცეკვების შესრულება სიამოვნებს კიდეც, თუმცა სამართლიანობისთვის ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. იუშჩენკოს არ გადაულახავს ზღვარი, რომლის მიღმა ხელისუფლება ხალხის სისხლის დაღვრას იწყებს იმისთვის, რომ მასზე კონტროლი შეინარჩუნოს. იგი დიქტატურის გზას არ გაუყვა. ამას ნუ დაუკარგავთ, მიუხედავად იმისა, რომ მისმა მმართველობამ უკრაინას მძიმე შედეგები მოუტანა.**

შეიძლება ერთობ პათეტიკურად გაიჟღეროს, მაგრამ შატობრიანს ჰქონდა ერთი ოსტატურად მოქნეული მახვილივით ელვარე ფრაზა, ფრანცისკ I-ისა და მისთვის საბედისწერო პავიას ბრძოლის შესახებ, რომელიც ისტორიულ ფაქტს ეფუძნებოდა: **„იმ დღეს საფრანგეთის მეფემ დაკარგა ყველაფერი, ღირსების გარდა".** იგი შეიცავს საუკეთესო კრიტერიუმს დამარცხებული ხელისუფალის ღვაწლის შესაფასებლად. ვაი იმ ქვეყანას, რომლის მმართველმაც დაკარგა ღირსება, თუნდაც ყველაფერი დანარჩენი შეენარჩუნებინოს.

ვიქტორ იუშჩენკო ბოლო მომენტამდე არ თაკილობდა კონტაქტებს მიხეილ სააკაშვილთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი მსოფლიოს მრავალ დედაქალაქში არასასურველი სტუმარი გახდა. თუმცა კომენტარი, რომელიც მან საარჩევნო უბნიდან გამოსვლისას გააკეთა, სააკაშვილისთვის არცთუ სასიამოვნო უნდა ყოფილიყო: **„დასანანია, რომ საქართველოსა და ჩვენს საყვარელ ქართველ ხალხს უკრაინაში მანიპულაციებისთვის იყენებენ".** საუბარი საქართველოს 2000-ზე მეტ მოქალაქეს ეხებოდა, რომელიც დამკვირვებლის სტატუსით უკრაინულ არჩევნებზე ჩასვლას გეგმავდა. მათმა ნაწილმა დონეცკში ჩააღწია.

აქ ტერმინების დაზუსტება დაგვჭირდება, „ქართველი დამკვირვებლები", რომლებსაც სახელმწიფო პროპაგანდა ბოლო დღეებში ხშირად ახსენებს, შეიძლება ეწოდოს რამდენიმე ათეულ ადამიანს (77 უკრაინაში ევროპული სადამკვირვებლო ორგანიზაციის ENEMO-ს ხაზით მიიწვიეს), რომლებმაც უკრაინის ცესკოში შესაბამისი რეგისტრაცია გაიარეს. მათ მიმართ კი, ვინც 17 იანვარს დონეცკში, ცესკოს საბუთების გარეშე სხვადასხვა საარჩევნო უბანზე შესვლას ცდილობდა, ამ ტერმინის გამოყენება, ალბათ, არამართებულია.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები? იმ ფოტოებისა და სიების თანახმად, რომლებიც ბოლო დღეებში გამოქვეყნდა, მათ უმრავლესობას, სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წევრები და შსს-ს თანამშრომლები წარმოადგენდნენ. ქართველმა ოპოზიციონერებმა სიებში ცნობილი „ზონდერების" გვარ-სახელებსაც მიაკვლიეს. საბოლოო იდენტიფიცირება დამატებითი საბუთების მოძიებას მოითხოვს, თუმცა პირველადი მონაცემებიც ძლიერ შთამბეჭდავია.

**მცირე გადახვევა**: ამას წინათ, ერთი ავსტრიელი მეცნიერი დაინტერესდა, რატომ ახსენებენ ქართველები ასე ხშირად **ზონდერბრიგადებს** (Sonderbrigaden). როდესაც აუხსნეს, დაფიქრდა და თქვა, რომ უფრო მართებული იქნებოდა სხვა ტერმინის — **აინზაცჯგუფების** (Einsatzgruppen) გამოყენება, რომლებიც, თავის მხრივ, **აინზაც** და **ზონდერ** რაზმებად იყოფოდა (Einsatzkommando und Sonderkommando). ამას იმდენად ემოციური და ვრცელი განმარტება დაურთო, რომ ქართველმა მსმენელებმა მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ყოველივე ეს ერთი დიდი გესტაპოა. იმასაც მივხვდით, რატომ აღელდა ღვაწლმოსილი სტუმარი, მას, უბრალოდ, ვერ წარმოედგინა, რომ ვინმესთვის დღეს ეს სახელწოდებები და ის, რაც მათ მიღმა იმალება, აქტუალურობას კვლავაც ინარჩუნებს.

რისთვის ჩავიდნენ უკრაინაში ზემოთ ხსენებული პიროვნებები (ცოტა ზევით ხსენებულებს ვგულისხმობ, უშუალოდ წინარე აბზაცში ხსენებულები რისთვისაც ჩავიდნენ და რატომ ველარ გამოაღწიეს იქიდან, ისედაც კარგად ვიცით)?

## პროფესიონალები და ნაციონალები

არსებობს თუ არა უახლეს ისტორიაში პრეცენდენტი, როდესაც ერთმა ქვეყანამ მეორეში ათასობით დამკვირვებელი მიავლინა? ნამდვილად არსებობს, თანაც მაგალითებისთვის შორს წასვლა არ მოგვიწევს, განვიხილოთ იმავე უკრაინაში ჩატარებული 2004 წლის არჩევნები, რომელიც „ნარინჯისფერი რევოლუციით" დაგვირგვინდა. პირველ ტურს (რომლის შედეგად იუშჩენკო და იანუკოვიჩი მეორე ტურში გავიდნენ) **991** უცხოელი დამკვირვებელი ესწრებოდა; მეორეს კი (რომელიც იანუკოვიჩმა მოიგო) — უკვე **3767**. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა არსებული (ალაგ-ალაგ არარსებული) დარღვევების დაფიქსირებისათვის. ეს დაახლოებით იგივე რაოდენობაა, რაც 2010 წლის 17 იანვრის არჩევნებზე **(3149).** მესამე, იუშჩენკოსთვის ტრიუმფალურ ტურს კი, რომელიც მეორე ტურის შედეგების გაუქმების შემდეგ ჩატარდა, უკვე **10370** დამკვირვებელი დაესწრო; მათ შორის, **1285 — ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიდან (აშშ), 2479** — **უკრაინული კონგრესის კომიტეტიდან (ესეც აშშ), რომელთაც ზურგს 1355 პოლონელი დამკვირვებელი უმაგრებდა.** ეს გასაგებიცაა, უკრაინაში იმ დროს მათი დაგეგმილი „ხავერდოვანი" გადატრიალება მიმდინარეობდა და სიტუაცია უშუალო კონტროლს საჭიროებდა.

**ისინი, როგორც საარჩევნო ტექნოლოგიებში, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობებში, ფრიად გაწაფული პროფესიონალები იყვნენ. თანაც ამერიკელ „სპეცებს" გვერდში უკრაინელი ემიგრანტები ედგნენ, როგორც აუცილებელი რგოლი შეუფერხებელი კომუნიკაციისთვის ადგილობრივებთან; ამ ადამიანების მუშაობამ 2004 წლის არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.**

2010 წლის იანვარში ისტორია, ჩვეულებისამებრ, ფარსის სახით განმეორდა. სააკაშვილის წარგზავნილებს არ ჰქონდათ შესაბამისი იურიდიული სტატუსი იმისთვის, რომ არჩევნებს დაკვირვებოდნენ, არც საკმარისი მოქნილობა აღმოაჩნდათ საიმისოდ, რომ უბნებზე სხვა სტატუსით მოხვედრილიყვნენ. მაგალითად, ადგილობრივი ჟურნალისტების საბუთების გამოყენებით, თუმცა მათი სათანადო გაფორმებაც ვერ მოახერხეს (სცადეს, მაგრამ ამაოდ); ამასთანავე, ენის არასაკმარისად ცოდნისა და კომუნიკაციისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ზოგადი განუვითარებლობის გამო, მკაფიოდ ვერ განუმარტეს ადგილობრივ საზოგადოებას, თუ რისთვის ჩავიდნენ, რამაც ხელი შეუწყო უნდობლობის გაღვივებას. კაცმა რომ თქვას, ერთი, მეტნაკლებად ღირებული, სკანდალიც კი ვერ მოაწყვეს, რადგან, როგორც ჩანს, **„მორცხვად" მოერიდნენ ადგილობრივ მილიციასთან და მაღაროელებთან ურთიერთობების გარკვევას. მათი მოკრძალებული გნიასი კი, შესაძლო გაყალბებაზე, ერთმნიშვნელოვნად გადაიფარა ევროდამკვირვებლების საზეიმო განცხადებებით, რომ არჩევნები ლამის იდეალურად ჩატარდა. მოკლედ, სააკაშვილის ემისრების გავლენა არჩევნებზე (2004-ში ამერიკელთა მუშაობისგან განსხვავებით) ნულის ტოლი აღმოჩნდა.**

რის მიღწევა მოახერხეს?

— პრეზიდენტობის ძირითადი კანდიდატი ვიქტორ იანუკოვიჩი საქართველოს მიმართ მკვეთრად უარყოფითად განეწყო. წარმოიდგინეთ, რა ემოციები სუფევდა მისი პარტიის ხელმძღვანელობაში, თუ 17 იანვარს, საღამოს, როდესაც, წესით, მხოლოდ არჩევნებზე უნდა ემსჯელათ, საქართველოსთან მკაცრი სავიზო რეჟიმის შემოღებისა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის შესაძლო აღიარების საკითხები განიხილეს. იანუკოვიჩი პრეზიდენტი რომც არ გახდეს, მას კვლავინდებურად მილიონობით ამომრჩევლის მხარდაჭერა ექნება და პარლამენტის მნიშვნელოვან ნაწილსაც გააკონტროლებს, სადაც, სავარაუდოდ, აღნიშნულ საკითხებსაც წამოწევს;

— ათეულობით უკრაინელმა პოლიტიკოსმა, ექსპერტმა და საზოგადოების წარმომადგენელმა შეაფასა მომხდარი, როგორც უკრაინის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის მცდელობა, რამაც ფართო მასებში შესაბამისი რეაქცია გამოიწვია. ეს განწყობა ძალიან დიდი ალბათობით ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობებზე აისახება. **ხოლო, თუ ვინმეს ჰგონია, რომ იულია ტიმოშენკო, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მადლობის ნიშნად საქართველოს გულში ჩაიკრავს, მწარედ ცდება. ტიმოშენკო, სავარაუდოდ, მაქსიმალურად შეეცდება, გააქარწყლოს აზრი იმის შესახებ, რომ მის გამარჯვებაში გარე ძალების ხელი ერია და, შესაბამისად, სააკაშვილს სათოფეზე არ გაეკარება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგი, იუშჩენკოსგან განსხვავებით, პრაგმატიკოსია, ხოლო ყოველგვარი დაახლოება საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში, პრაგმატიზმის გამოვლინებად ნამდვილად არ ითვლება.**

ეს ზოგადად, ისეთ ჩვეულ დეტალებზე, როგორიცაა ქვეყნის იმიჯის მორიგი შელახვა და დაკარგული ავტორიტეტი, რომ არ დავწვრილმანდეთ.

## რა გინდოდა წვენებში?!

**ისე, ვიქტორ იანუკოვიჩმა სიმეტრიულ საპასუხო ზომებს რომ მიმართოს? 4,5-მილიონიანი საქართველოდან (სადღაა ამდენი?) 3 ათასის გაგზავნა რომ უნდოდათ, 45-მილიონიანიანი უკრაინიდან 30 ათასი მაღაროელი-დამკვირვებელი რომ გვესტუმროს, სად მიდიან? (დეტალებისთვის იხ. მხატვარ კ. ბრიულოვის ფერწერული ტილო „პომპეის უკანასკნელი დღე"). თუ საქართველოს ხელისუფლება არჩევნების მეორე ტურის დროს ისევე იმოქმედებს, როგორც იანვარში, იანუკოვიჩი რაღაც მსგავსს ნამდვილად იზამს.**

თითქოსდა, ყველაფერი ნათელია: არსებობს სუვერენული, მეტიც, მეგობრულად განწყობილი ქვეყანა — უკრაინა, რომელთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამავე დროს, მიზანმიმართულად იდგმება ნაბიჯები, რომელიც მასთან ურთიერთობას გააფუჭებს. შესაძლო მიზეზები:

**ა) ეს იყო, უბრალოდ, იდიოტიზმის გამოვლინება;**

**ბ) ეს იყო კვადრატში აყვანილი იდიოტიზმის გამოვლინება;**

**გ) ეს იყო აშშ-ის გეგმის ნაწილი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება უმცროსი პარტნიორის სახით მონაწილეობდა, როგორც 2004-ში პოლონელები (და თავად ქართველებიც);**

**დ) ეს იყო სააკაშვილის დამოუკიდებელი მცდელობა, უკრაინული არჩევნების შედეგებზე გავლენა მოეხდინა ან, როგორც მინიმუმი, შეეხსენებინა დასავლეთისთვის (და გარკვეულწილად, საკუთარი თავისთვისაც), რომ იგი რაღაცას წარმოადგენს.**

**მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკამ შეიძლება პირველი ან მეორე ვარიანტის არჩევისკენ გვიბიძგოს, სამართლიანობა მოითხოვს, დანარჩენებიც განვიხილოთ.**

ამერიკელებს შეიძლება ყველაფერი დააბრალო (საკუთარი წარუმატებლობის ჩათვლით), გარდა იმისა, რომ ამდენად უნიჭო და უნაყოფო ოპერაციებს გეგმავენ. 17 იანვარს დონეცკის ოლქის შუაგულში, ფაქტობრივად, იზოლირებული ქართველების ჯგუფი, რომელსაც არჩევნების მიმდინარეობაზე არც საინფორმაციო, არც ფიზიკური გავლენის მოხდენა შეეძლო, მათ სტილსა და ხელწერაში ნამდვილად არ ჯდება. მეტიც, ამ რესურსის მაქსიმალური გამოყენებისათვის თავი დიდად არც იულია ტიმოშენკოს ბლოკს გამოუდვია. ეშმაკი დეტალებშია: ცესკოში შეცდომით შევსებული და დუბლირებული ანკეტები შევიდა (ვერ შეამოწმეს?), ადგილობრივი მედიის კორესპონდენტების მოწმობები (უბნებზე შეღწევის სათადარიგო ვარიანტი) სათანადოდ გაფორმებული არ ყოფილა (საჭირო საბუთების ნუსხა წინასწარ ვერ შეადგინეს?). იყო სხვა ნიუანსებიც; მაგალითად, საქართველო-უკრაინის ავიარეისების დროებითი (თუ დროული?) დაბლოკვა; საბოლოოდ კი შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ტიმოშენკოს შტაბი თითქოს სააკაშვილის ემისრებთან თანამშრომლობდა, ამავე დროს, ოსტატურად იშორებდა მათ.

**თუ ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, საქმე მეოთხე ვარიანტთან, სააკაშვილის დამოუკიდებელ ინიციატივასთან გვაქვს. ამ შემთხვევაში, მან უცხოელ პარტნიორებთან პლიუსის ნაცვლად, ძალიან დიდი მინუსი დაიწერა. ასეთ ვითარებაში ინიციატივა დასჯადია, რადგან შეიძლება სერიოზულ ადამიანებს მათი გეგმების განხორციელებაში ხელი შეუშალოს. სულ მალე, 7 თებერვალს, შევიტყობთ, ვინ გახდება უკრაინის პრეზიდენტი და, ალბათ, იმასაც დავადგენთ, რით დასრულდება მიხეილ სააკაშვილისთვის ეს სახიფათო თამაში.**

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვარდისფერი ვუდუ ანუ «ბომჟები მაიდანზე»



**რამდენიმე დღეა, ქართული ტელევიზიები ორ ძირითად მოვლენას აშუქებენ. ეს არის მიწისძვრა ჰაიტიზე და არჩევნები უკრაინაში და ქართველი დამკვირვებლების „ბედი“ უკრიანის საპრეზიდენტო არჩევნებზე. სანამ დონეცკს სარანჩასავით შესეულ ჩვენს ზონდერ დამკვირვებლებზე მოგახსენებდეთ, მოკლედ შეგახსენებთ ტრაგიკულ მონაკვეთს ჰაიტის უახლესი ისტორიიდან.**

1956 წელს ამნისტიის შედეგად ჰაიტური იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და იმავე წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა ფრანსუა დიუვალიე. იგი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ სამხედროების დახმარებით შეძლო ჰაიტის პრეზიდენტის — ფინიოლეს დამხობა და ახალი არჩევნების დანიშვნა. 1957 წლის 22 ოქტომბერს, პოპულისტური ლოზუნგებითა და ძლიერი მეზობლის, აშშ-ის უტყვი მხარდაჭერით შეიარაღებულმა დიუვალიემ ავტომატის ლულის ქვეშ ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა, იგი პრეზიდენტი გახდა, ანუ ჰაიტიზეც ყველაფერი დაახლოებით ისე მოხდა, როგორც — საქართველოსა და უკრაინაში.

**პირველი, რაც მან გააკეთა, — მკვეთრად შეზღუდა სამოქალაქო უფლებები. 1958 წელს მას სამხედროებმა შეთქმულება მოუწყვეს. ცუდად ორგანიზებული შეთქმულება ჩავარდა; 1959 წელს დიუვალიემ შექმნა სპეციალური პოლიციური ძალები, იგივე ნაციონალური უსაფრთხოების მოხალისეების ბრიგადები, რომლებიც უფრო მეტად ცნობილია „ტონტონ–მაკუტის“ სახელით. ამ ორგანიზაციის წევრებს ანუ ტონტონ-მაკუტებს ხელფასი არ ეძლეოდათ. ისინი საკუთარ თავს მოსახლეობის ტერორიზების ხარჯზე არჩენდნენ. ტონტონ-მაკუტების მთავარი მიზანი ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრისა და სხვაგვარად მოაზროვნეთა მოსპობა იყო. დიუვალიეს ოპონენტებს, როგორც წესი, იტაცებდნენ, ხოცავდნენ. მამა დოკის (დიუვალიეს მეტსახელი) მმართველობის წლებში ჰაიტიზე ლიკვიდირებულ იქნა 30 ათასზე მეტი ადამიანი.**

1961 წელს, კვლავ ავტომატების ლულების ქვეშ ჩატარებული არჩევნების შედეგად, დიუვალიეს ჰაიტის ამომრჩეველთა 100 პროცენტმა მისცა ხმა (ისევე, როგორც სააკაშვილს დაუჭირა მხარი ამომრჩეველთა 96 პროცენტმა). ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულ ფინანსურ (და არა მარტო) დახმარებას უწევდა დიუვალიეს რეჟიმს. 1964 წელს დიუვალიემ საკუთარი თავი ჰაიტის სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადა. მოსახლეობის შეშინების მიზნით, დიუვალიე საკუთარ თავს ჰაიტელ ზანგთა მაგიური რელიგიის — ვუდუს ჯადოქრად ასაღებდა. ის საკუთარ თავს შაბათის ბარონს — მიცვალებულთა ბელადს ეძახდა. **ტონტონ-მაკუტის** წევრები საკუთარ თავს, ასევე, იმქვეყნიურ ძალად წარმოაჩენდნენ — ატარებდნენ შავ ფორმასა და შავ სათვალეებს და ყველა მათგანი ვუდუს კულტის მიმდევარი იყო. როდესაც დიუვალიეს რეჟიმის მიერ დახმარების სახით მიღებული დიდძალი თანხების მითვისებითა და სხვა „თავნება“ გადაწყვეტილებებით გაბეზრებულმა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ჰაიტის პრეზიდენტი გააკრიტიკა, დიუვალიემ კენედის ცვილის ფიგურა საჯაროდ დაჩხვლიტა ნემსებით; ჩაუტარა მას, ასე ვთქვათ, ვუდუს სასიკვდილო რიტუალი და მოგვიანებით, როდესაც კენედი მოკლეს, ეს ფაქტი სწორედ საკუთარი წყევლის ახდომას მიაწერა.

კენედის მკვლელობის შემდეგ აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ, კასტროს რეჟიმის დაბალანსების მიზნით, კვლავ აღუდგინა დიუვალიეს დახმარება და მას მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიებდა. მეტიც, 1970 წელს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ამბოხი დიუვალიემ სწორედ ამერიკელების დახმარებით ჩაახშო. დიუვალიე საკუთარ თავს ჰაიტის დროშას, ერთადერთსა და განუმეორებელს უწოდებდა. მას ჰაიტიზე მონარქიული მმართველობის გამოცხადება და იმპერატორობა სურდა.

1971 წელს დიქტატორი გარდაიცვალა, ქვეყნის სათავეში მისი 19 წლის ვაჟი, „ბეიბი დიუკად“ წოდებული ჟან კლოდ დიუვალიე მოვიდა. იგი ჰაიტის 1986 წლამდე, ანუ მანამ მართავდა, სანამ გენერალმა ნამფიმ არ დაამხო. რაც შეეხება **ტონტონ-მაკუტის**, დიქტატორის მიერ შექმნილ ამ ტერორისტულ ორგანიზაციას ფესვები ჰაიტის კრეოლურ მითოლოგიაში აქვს გადგმული. ტონტონ-მაკუტა ერქვა ურჩხულს, რომელიც ღამე იპარავდა და უგზოუკვლოდ აქრობდა ბავშვებს, ასევე სჩადიოდა ათასგვარ სისაძაგლეს. მითოლოგიური პროტოტიპის მსგავსად, **ტონტონ-მაკუტაც** იპარავდა და უგზოუკვლოდ აქრობდა ყველა იმ ადამიანს, ვინც დიუვალიეს წინააღმდეგ ხმას აღიმაღლებდა ან მისი რომელიმე გადაწყვეტილების გაპროტესტებას გაბედავდა.

დიუვალიესა და **ტონტონ-მაკუტიზე** ვრცელი ექსკურსი იმისთვის არ დამჭირვებია, რომ სააკაშვილსა და მის ზონდერებთან პარალელი გამევლო. ეს მსგავსება პარალელებისა და ასოციაციების გარეშეც ნათელია. საქმე ისაა, რომ **ტონტონ-მაკუტის** მაგვარი არალეგალური „გვარდია“ საქართველოშიც მოქმედებს. ეს ადამიანები გარეულნი არიან ათასგვარ სისაძაგლეში დაწყებული მომიტინგეების ცემა-დარბევიდან, დამთავრებული გაუხსნელი მკვლელობებით, რომლებიც გაუხსნელად მხოლოდ ფორმალურად ითვლება და მათი რაოდენობა 70-ს აჭარბებს. სწორედ ამგვარი ტონტონ-მაკუტებისაგან იყო, ძირითადად, დაკომპლექტებული „მაკუტა-დამკვირვებელთა“ თითქმის 3-ათასიანი ლეგიონი, რომელმაც უკრაინაში ერსა და ბერს თავი მოგვჭრა. ამ მაკუტების წყალობით ბევრი უკრაინელისთვის ქართველები ბომჟებთან ვასოცირდებით და არა ერთხელ გვიწოდეს კიდეც ბომჟები.

ეს მაკუტები, ისევე, როგორც მათი ბელადი, დინების საწინააღმდეგოდ მიცურავენ, დინებისა და ისტორიული, გეოპოლიტიკური განვითარების ბუნებრივი კურსის საწინააღმდეგოდ მიაქანებენ ქვეყანას. ისინი არა მარტო მაკუტებს, რაღაცით ცნობილი რუსი ფერმწერის — რეპინის ბრწყინვალე ნამუშევრის „ბურლაკები ვოლგაზე“ პერსონაჟებსაც ჰგვანან.

**ბურლაკებიც, ასევე, დინების საწინააღმდეგოდ მიათრევდნენ გემებს ვოლგაზე და ამის სანაცვლოდ გროშებს იღებდნენ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბურლაკები არაადამიანური შრომით კეთილ საქმეს აკეთებდნენ; მათ მიმართ, მაკუტებისგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანური თანაგრძნობა გეუფლება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სააკაშვილის რეჟიმის ტონტონ-მაკუტებზე, რომლებიც სერიოზულად ვნებენ საკუთარ ხალხს, საკუთარი ქვეყნის იმიჯს და იმდენად ღრმად შეტოპეს ბელადისა თუ ქურუმის წამოწყებულ ავანტიურაში, რომ იძულებული არიან, ნებისმიერი სამარცხვინო დავალების შესრულებას უყოყმანოდ დასთანხმდნენ.**

შორს ვარ აზრისგან, რომ ბატონი სააკაშვილი, ფრანსუა დიუვალიეს მსგავსად, ვუდუს კულტის მიმდევარია, მაგრამ ფაქტია, რომ მან თავი ყოვლისშემძლე მჩხიბავ ჯადოქრად წარმოიდგინა და ტონტონ-მაკუტების თითქმის სამიათასკაციანი დესანტით გადაწყვიტა იუშჩენკოს რეჟიმის გადარჩენა.

როგორც უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა აჩვენა, უკრაინელმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა — მან კატეგორიული უარი სტკიცა სააკაშვილის კოლეგას, ასევე, ფერადი რევოლუციის ნაყოფს — ვლადიმერ იუშჩენკოს. რაც უნდა გაეჩხიბა და ვუდუს კულტით გათვალისწინებული რიტუალი ჩაეტარებინა სააკაშვილს მისთვის სასურველი კანდიდატის გასამარჯვებლად, ფაქტი ჯიუტია — უკრაინელები ისეთი ადვილი დასამორჩილებლები არ აღმოჩნდნენ, როგორც ქართველები. მათ შეძლეს საკუთარ ქვეყანაში ხელისუფლების ბედი არჩევნების გზით გადაეწყვიტათ, არჩევნების და არა ფერად-ფერადი რევოლუციებისა და დამხობა-გადატრიალების გზით.

ამის ფონზე ის, რაც სააკაშვილის რეჟიმმა გააკეთა, ძალიან ჰგავდა სასოწარკვეთილი ბელადის მცდელობას, ჯადოქრობით მაინც ეშველა იმ პოლიტიკური ძალისათვის, რომლის წასვლაც ლამის ავტომატურ რეჟიმში გულისხმობს სააკაშვილის წასვლასაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... მიშასეულმა მაგიამ საქმეს ვერ უშველა, ეს კი ნიშნავს, რომ ან სააკაშვილი იყო ვუდუს რუტუალებში სუსტი, ან......

**რაც შეეხება ტიმოშენკოს, ვის მხარდასაჭერადაც გაიმართა მთელი ეს ფარსი, საინტერესოა, რატომ დაავიწყდათ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელეარხებს, უკრაინაში წარგზავნილ მაკუტებს, თუ რა ეპითეტებით ამკობდა სულ მცირე ხნის წინ ქართული ოფიციოზი იულია ტიმოშენკოს, რომელმაც „გაბედა“ და რუსეთის პრემიერმინისტრ ვლადიმერ პუტინთან ერთად გვარიანად იხალისა სააკაშვილის ჰალსტუხის თემაზე.**

**ტონტონ-მაკუტა**, როგორც ორგანიზაცია, დიუვალიების რეჟიმთან ერთად აღესრულა. ბურლაკების მონური შრომაც ორთქლისძრავიანი გემების შემოსვლასთან ერთად დასრულდა. ერთნი, ანუ მაკუტები ისტორიას შემორჩნენ, როგორც პირსისხლიანი ჯალათები. „ბურლაკები ვოლგაზე“ კი შემორჩა კაცობრიობას, როგორც ფერწერის შედევრი...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრო და ქართული საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს სააკაშვილის მიერ უკრაინაში გაგზავნილი მაკუტების წყალობით შექმნილი „ბომჟი ქართველების“ იმიჯის დასამსხვრევად და ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ფოტოგამოფენაზე ან ცნობილ მუზეუმში ვიხილავთ სურათს, განებავთ ტილოს სამარცხვინო სათაურით „ბომჟები მაიდანზე“.

**ლაშა გიორგიძე**

# ჩვენი გამოკითხვა

**...უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველადმა შედეგებმა „ნაცმოძრაობის მამამთავარს“ მოსვენება დააკარგვინა და ორიოდე დღის წინათ გუდაურში ჯერ თხილამურებზე „ასრიალა“, მერე კი კარლსონივით მწვანე შარვალში გამოწყობილს მთავრობის სხდომა გაამართვინა... რას ფიქრობს ხალხი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში ქართველი დამკვირვებლების გარშემო ატეხილ სკანდალზე, ამის გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ მოსახლეობას გაესაუბრა და ერთადერთი კითხვა დაუსვა: აქვთ თუ არა ლევან თარხნიშვილსა და გივი თარგამაძეს არჩევნებში (მით უმეტეს უცხო ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში) დამკვირვებლად ყოფნის მორალური უფლება?**

**რამაზ მინდორაშვილი:** — სასაცილოა, როცა საკუთარ ქვეყანაში ნომერ პირველ გამყალბებლებად და დიქტატურის ბურჯებად აღიარებული ადამიანები სხვა ქვეყანაში არჩევნების სამართლიანობისა და დემოკრატიის განვითარებისთვის იბრძვიან. რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როცა კაცი გამოვიდა და პირდაპირ დაემუქრა — სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო; და ამას ეუბნებოდა ვანო თავის ხალხს, რომელიც ქუჩაში გამოვიდა და მშვიდობიან მანიფესტაციას მართავდა... ასეთ ადამიანებს — გივი თარგამაძეს, ლევან თარხნიშვილსა და კიდევ სხვებს, თავზარდამცემი გამომეტყველებით რომ გვამცნობენ ახლა, უკრაინაში არჩევნები არნახული დარღვევებით ჩატარდაო, რა თქმა უნდა, არავითარი უფლება, მით უმეტეს, მორალური არ აქვთ, რომ სხვა ქვეყნის არჩევნებზე და დარღვევებზე ისაუბრონ...

**ავთანდილ კეზერაშვილი:** — სიმართლე გითხრათ, ერთის მხრივ, გამიხარდა, როცა ტელევიზორში მოვისმინე, რომ სადამკვირვებლო მისიით თარგამაძე და თარხნიშვილიც მიემგზავრებოდნენ უკრაინაში; ვიფიქრე, იქნებ, ვინმე გადარეულმა ფანატიკოსმა ერთბაშად მოგვაშოროს ორივე ჭირი-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი უბედურებისაგან თავი ჩვენ თვითონ უნდა დავიხსნათ... ეს ხუმრობით. ისე კი, შემირცხვენია ისეთი დემოკრატია და ისეთი არჩევნები, რომლის დამკვირვებელი თუ ზედამხედველი თარხნიშვილისნაირი უცხვირპირო და უზნეო ადამიანი იქნება.

**ზვიად ცირეკიძე:** — ის ფაქტი, რომ საქართველოდან ორი ათასზე მეტი დამკვირვებელი გაემგზავრა ამ არჩევნებზე, თავისთავად ცხადყოფს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მისთვის სასურველ კანდიდატს, ამ შემთხვევაში, ტიმოშენკოს, ყველანაირად დაეხმარებოდა გაყალბებაში. ამაში ორი აზრი არ არსებობს; მით უმეტეს, ჩვენი დელეგაციის თავკაცები — გივი თარგამაძე და ლევან თარხნიშვილი — ამ საქმის დიდოსტატები არიან... ესენიც რომ არ ყოფილიყვნენ, იმ ორიათასკაციან დელეგაციაში, თავის ჟურნალისტებიანად და მერაბიშვილის აგენტურის დამქაშებიანად, გაყალბების ისეთი უბადლო სპეციალისტები იყვნენ, რომ უკეთეს დამხმარე ძალას ვერც ინატრებდა ქალბატონი ტიმოშენკო. თუმცა უკრაინა საქართველო არ არის, რომ ქვეყნის ბედი საიდანღაც ჩამოთრეულმა ორიათასმა ვიგინდარამ გადაწყვიტოს...

**თამარ ასლანიშვილი:** — ეს დღეებია, ვუყურებ ტელევიზორს და ვერ „გამიგია“, საქართველოში ჩატარდა არჩევნები თუ უკრაინაში. მე მგონი, ჩვენმა ხელისუფლებამ უფრო მტკივნეულად განიცადა იანუკოვიჩის გამარჯვება, ვიდრე მისმა კონკურენტებმა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს — სააკაშვილი გრძნობს, რომ რევოლუციონერი ბელადების პარპაშის დრო ნელ-ნელა მიდის და მან ისიც კარგად იცის, რომ, იუშჩენკოსგან განსხვავებით, მისი ჩამოშორება ხელისუფლებიდან მშვიდად და უმტკივნეულოდ არ მოხდება. როცა ეს დრო მოვა და დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან მალე იქნება, მას ვერც მერაბიშვილისა და თარგამაძის სისხლიანი კლანჭები უშველის და ვერც იმ უსირცხვილო თარხნიშვილის გაყალბებული არჩევნები...

**ტარიელ გოგლიჩიძე:** — მე მგონი, ეს თარგამაძე და თარხნიშვილი მანამდე არ მოისვენებენ, სანამ თავიანთი გამყალბებლობის შესახებ შექმნილ მითს მთელ მსოფლიოში არ მოსდებენ. აქამდე მხოლოდ ჩვენ — ქართველებმა ვიცოდით ამის შესახებ, დღეს კი უკვე ორმოცდაათმილიონიანმა უკრაინელმა ერმაც იცის, რომ არსებობს ორი ქართველი — ლეგენდარული გივი და ასევე, არანაკლებ ლეგენდარული ლევანი, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებ და არჩევნებს გააყალბებინებ. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, ხომ გაგიგონიათ: „ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ეგეც საქმეაო“...

**ამირან ქანთარია:** — არჩევნებზე გივი თარგამაძისა და ლევან თარხნიშვილის დელეგატად გაგზავნით ჩვენმა ხელისუფლებამ და პირადად სააკაშვილმა არა მხოლოდ თავი შეირცხვინა, არამედ სრულიად ქართველობასაც თავი მოსჭრა უკრაინელი ხალხის თვალში. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენთან, ამ გასაცოდავებულ ქვეყანაში, სადაც ნორმალური არჩევნების ჩატარება ისედაც ვერ ხერხდება, რომელიმე მეზობელმა სახელმწიფომ, ვთქვათ, უკრაინამ, გამოგზავნოს ორიათასკაციანი საგანგებო დელეგაცია, რომელიც იმუშავებს არჩევნების გაყალბებაზე. ხომ იქნება ეს ჩვენთვის კატასტროფა?! ასევეა იმათთვისაც და რა გასაკვირია, რომ ჩვენს ჟურნალისტებს ფეხდაფეხ დასდევენ. ეგენი, როგორც ჩანს, კიდევ თავს იკავებენ, თორემ, მე თუ მკითხავთ, ჩვენი დამკვირვებლები (ყველას არ ეხება, რასაკვირველია) საცემი კი არა, დასაჭერები არიან.

**ნინო პაპიაშვილი:** — არჩევნები, რომელშიც დამკვირვებლად (თუ სხვა სტატუსით) იქნებიან ჩართული გივი თარგამაძე და ლევან თარხნიშვილი ორიათასკაციანი ამალით, შეუძლებელია სამართლიანი იყოს; აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არჩევნები, სადაც თარგამაძის, თარხნიშვილისა და მერაბიშვილის დამქაშები გაილახებიან, მე მგონი, მეტ-ნაკლებად ობიექტურად უნდა ჩაითვალოს. ამას სრული სერიოზულობით ვამბობ, იმიტომ, რომ, თუ ვინმემ ამ ადამიანებზე ხელი აღმართა, ესე იგი ის გამყალბებელსა და რაღაც შავი საქმის მკეთებელს დაუპირისპირდა...

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ნანა დევდარიანი: იანუკოვიჩის დიდ უპირატესობას პრორუსული ძალების გამარჯვებად კი არა, ხალხის თვალის ახელად და გამოფხიზლებად მივიჩნევ!

**როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს ხელისუფლებისათვის იმდენად არსებითი აღმოჩნდა, რომ ყოფილ მოძმე რესპუბლიკაში, ამჟამად კი „ფერადი რევოლუციით“ გაპარტნიორებულ ქვეყანაში არჩევნების გაყალბებაში დახელოვნებულთა მთელი „ამალა“ წარგზავნა. საქართველოსგან განსხვავებით, ბევრად „აზრზე მოსულ“ და „ფერადი რევოლუციების“ უკუჩვენებებში გაცნობიერებულ უკრაინელებს ორი ათასზე მეტი ქართველის გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ქართული „დესანტი“ საარჩევნო უბნებზე არ დაუშვეს! გაურკვეველი სტატუსის, დოკუმენტაციისა და ფუნქციის მქონე (თუ არმქონე) ე. წ. ქართველ „დამკვირვებლებს“ შორისაა აწ უკვე ცესკოს ყოფილი თავჯდომარე ლევან თარხნიშვილი. რაც შეეხება ასევე ცესკოს ყოფილ თავჯდომარე ნანა დევდარიანს, იგი მოვლენებს საქართველოდან აკვირდებოდა და საინტერესო შეფასებებსა და ანალიზს აკეთებს.**



**— ქალბატონო ნანა, თქვენი აზრით, რა სახის „ფენომენალურ მოვლენასთან“ გვაქვს საქმე, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ორი ათასზე მეტი „დამკვირვებლით აკვირდება“ უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებს?**

—კონკრეტული სახელის მოძებნა და დარქმევა ამ მოვლენისათვის ნამდვილად გამიჭირდება. ფაქტია, ესაა **„ნოუ ჰაუ“!..** მართალია, კანონი ადგილობრივი დამკვირვებლების სხვა ქვეყანაში გაგზავნას არ კრძალავს, მაგრამ, როდესაც **ეუთო**, რომელშიც ხუთი ათეული ქვეყანაა გაერთიანებული, მთელი უკრაინის მასშტაბით 600 დამკვირვებელს აგზავნის, სულ მცირე, ეჭვს ბადებს — პატარა საქართველომ როგორ ან რატომ გამოიდო თავი უკრაინაში 2000-ზე მეტი დამკვირვებლის გაგზავნით(?!). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველო არა მხოლოდ პატარა, ღარიბი ქვეყანაცაა, მაშინ ეს ეჭვი კიდევ უფრო გამძაფრდება, რადგან ამდენი დამკვირვებელი ჩარტერული რეისებით მიავლინეს უკრაინაში, რაც საკმაოდ სოლიდურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ „თეორიულ“ ეჭვს დაემატა რეალური, ფაქტობრივი გარემოებებიც. ქართველების მუდმივი და მარადიული თვისება, ზედაპირული დამოკიდებულება დოკუმენტაციასთან, აქაც გამოვლინდა. როგორც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, „დამკვირვებლებმა“ დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი ერთმანეთისგან გადაწერეს და „დააქსეროქსეს“, თანაც ისე, რომ მთელი რიგი გრაფები, მაგალითად, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილები, არ შეუვსიათ. სხვათაშორის, ამ ფაქტებთან დაკავშირებით უკრაინის ცესკომ უკვე ჩაატარა სხდომა და ქართველი დამკვირვებლების საეჭვოდ მიჩნეული დოკუმენტაცია უკრაინის გენერალურ პროკურატურას გადასცა შესამოწმებლად.

## უკრაინელმა ხალხმა გააცნობიერა, რომ «ფერადი რევოლუციები» უკრაინაშიც, საქართველოშიც, ყირგიზეთშიც და სხვაგანაც ამერიკის ერთგვარი ექსპერიმენტი იყო!



ქართველი „დამკვირვებლები“ უკრაინაში

**—ანუ, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ ქართველი „დამკვირვებლები“ პასუხისგებაში მისცენ?**

— ამის პროგნოზირება ძნელია. შესაძლოა, დეპორტაციას დასჯერდნენ; შესაძლოა, საქმე დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით აღძრან. არ არის გამორიცხული სხვა სახის ზომების მიღებაც, მაგრამ ამ ყველაფერში არსებითი და მნიშვნელოვანი სხვა, გაცილებით გლობალური და მასშტაბური, რამაა. ვგულისხმობ პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრეზიდენტობის კანდიდატ იულია ტიმოშენკოს სატელეფონო საუბრის ჩანაწერს. ეს ჩანაწერი გავრცელდა როგორც უცხოური, ასევე, ქართული მედიასაშუალებებით. უცხოელებს ეყოთ დელიკატურობა და პირდაპირ არ დაადასტურეს ჩანაწერის უტყუარობა, თუმცა არც უარყოფა უცდიათ. დააკვირდით რას ეუბნებიან ერთმანეთს ტიმოშენკო და სააკაშვილი. ტიმოშენკო მადლობას უხდის სააკაშვილს გაწეული დახმარებისთვის, ანუ იმ გუნდის წარგზავნისათვის. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი აიმედებს, რომ მან უკრაინაში გააგზავნა, ანუ კონკრეტულად ტიმოშენკოს გაუგზავნა, „ამ საქმეში კომპეტენტური და ბრძოლისუნარიანი ხალხი...“

**—კომპეტენტურობაში, ალბათ, არჩევნების გაყალბებაში კომპეტენტურობას გულისხმობდა?**

—შესაძლოა, ამასაც გულისხმობდა, მაგრამ მე სააკაშვილის მიერ წარმოთქმულმა მეორე ტერმინმა, ანუ „ბრძოლისუნარიანობამ“ უფრო დამაფიქრა. ბრძოლისუნარიანობაში რას გულისხმობდა, ამ შემთხვევაში, სააკაშვილი და საერთოდ, რა ბრძოლაზე იყო საუბარი?! რისთვის, როგორ ან რატომ უნდა იბრძოლონ ქართველმა დამკვირვებლებმა უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში?! რა აქვთ ქართველ დამკვირვებლებს ბრძოლით მოსაპოვებელი უკრაინაში — ქერჩი გვაქვს ასაღები თუ ყირიმი დასაბრუნებელი?.. საყოველთაოდ ცნობილი და ეჭვგარეშეა, რომ 18 კანდიდატს შორის სააკაშვილი მხარს იულია ტიმოშენკოს უჭერს. ისიც ფაქტია უკვე, რომ პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი იანუკოვიჩია. თუკი იანუკოვიჩი გახდება უკრაინის პრეზიდენტი, როგორ წარმოგიდგენიათ მისი და სააკაშვილის ურთიერთობა?! რუსეთი უკვე აღარ ელაპარაკება სააკაშვილს, ახლა უკრაინელებიც არ დაელაპარაკებიან, არადა, ნორმალური ურთიერთობები გვქონდა ამ ქვეყნებთან...

**— ბრძანეთ, ეუთოდანაც კი მხოლოდ 600 დამკვირვებელია წარგზავნილი და ამ ფონზე საქართველოდან 2000 -ის წარგზავნის ფაქტიც კი თავისთავად ეჭვს ბადებსო. კანონით განსაზღვრულია დამკვირვებელთა რაოდენობა, თუ იგი კონკრეტული ქვეყნის ნება-სურვილზეა დამოკიდებული?**

—კანონი არ ზღუდავს და სწორედ იმიტომაც არ ზღუდავს, რომ თავისთავად იგულისხმება — არავის, არც ერთ ქვეყანას, მათ შორის, ყველაზე მდიდარსა და დემოკრატიულასაც კი, არ აქვს იმის საშუალება ან არ აძლევს საკუთარ თავს ფუფუნების უფლებას, რომ ათასობით დამკვირვებელი გააგზავნოს უცხო ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებზე დასაკვირვებლად!.. ამ ეჭვს კონკრეტული პერსონები და მათი გაურკვეველი სტატუსები კიდევ უფრო ამძაფრებენ. ამაზე მეტი ნონსესი და პარადოქსი რა გინდათ – უკრაინაში ცესკოს თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით იმყოფება ლევან თარხნიშვილი; მაშინ, როცა საქართველოს ცესკოს უკვე ჰყავს ახალი თავმჯდომარე. თარხნიშვილის აბსურდული და გაურკვეველი სტატუსით გამოდის, რომ ჩვენ ცესკოს ორი თავმჯდომარე გვყავს ერთდროულად – ერთი მოქმედი და მეორე თვითმარქვია, „მოვალეობის შემსრულებელი“.

**— გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში იმყოფებიან საქართველოს კუდის თანამშრომლებიც... არიან სხვა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებიც... ასევე, გაურკვეველია, რატომ ასრულებს რიგითი დამკვირვებლის ფუნქციას უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე გივი თარგამაძე?**

—მოდი პირდაპირ ვთქვათ: გივი თარგამაძე რომ თავდაცვისა და უშიშროების დარგის ექსპერტი არაა, ყველამ კარგად ვიცით. ისიც ვიცით, რომ ერთადერთი, რაშიც ის ექსპერტად გამოდგება, არჩევნების გაყალბებაა!.. შესაძლოა, სხვა ქვეყნებში არ იცოდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით ჩვენი მწარე გამოცდილებით, რომ, თუ სადმე არჩევნებია და საქართველოს ხელისუფლებას იქ ინტერესები გააჩნია, გივი თარგამაძეც აუცილებლად იქაა, ქვეყნის შიგნით იქნება ეს თუ — ქვეყნის გარეთ. ასე რომ, გასაკვირი კი არა, პირიქით ბუნებრივია, გივი თარგამაძე ახლა უკრაინაში რომ იმყოფება. რაც შეეხება კუდისა და სხვა ქართული ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლების „ვიზიტს“ უკრაინაში — ამ ფაქტს უკრაინის მედიასაშუალებები ავრცელებენ და ფაქტობრივი მტკიცებულებებითაც ადასტურებენ. ასევე გამოთქვამენ არც თუ უსაფუძვლო ეჭვს, რომ იულია ტიმოშენკოსთვის ეგზიტპოლებითა და სოციოლოგიური კვლევების რეიტინგებით, ჯერ კიდევ არჩევნების ჩატარებამდე იყო ცნობილი, რომ არჩევნებს ვერ მოიგებდა, ყოველ შემთხვევაში, — პირველ ტურში მაინც. ასე რომ, სააკაშვილის ფავორიტი ტიმოშენკო იმთავითვე ემზადებოდა როგორც არჩევნებში მონაწილეობისთვის, ასევე, არჩევნების ჩაშლისთვისაც. უკრაინული მედიასაშუალებებიც ამასვე ვარაუდობენ, რომ, დამარცხების შემთხვევაში, თუკი ტიმოშენკოს ამოცანად იქცევა არჩევნების ჩაშლა, ამაში მას, როგორ სატელეფონო საუბარში სააკაშვილი შეჰპირდა „ბრძოლისუნარიანი“ ქართველი „დამკვირვებლები“, ანუ სპეცნაზელები და ზონდერბრიგადები დაეხმარებიან.

**— ამას ყველაზე მსუბუქი შეფასება რომ მივცეთ, უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში უხეშად ჩარევა არ ჰქვია? როგორც გივი თარგამაძემ განაცხადა, ქართველი დამკვირვებლები მეორე ტურამდე აპირებენ უკრაინაში დარჩენას და საარჩევნო უბნებში შესვლის უფლების მოპოვებას. ვინ აგებს პასუხს დაუპატიჟებელი ქართველი დამკვირვებლების უსაფრთხოებაზე, მაშინ, როცა არამკითხე ქართველი „მოხალისეების“ ჩარევის გარეშეც უკრაინაში პოლიტიკური ექსცესები და ბატალიებია მოსალოდნელი.**

—რა თქმა უნდა. თუ ამას არ ჰქვია სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა, მაშინ ძნელი სათქმელია, რა ჰქვია ომის გარდა?! რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, უნდა გითხრათ, რომ ამაზე არავინ ფიქრობს. საქართველოს ხელისუფლების საზრუნავს ისევე არ წარმოადგენს უკრაინაში გაგზავნილი დამკვირვებლების უსაფრთხოება, როგორც თავის დროზე არ წარმოადგენდა მიტინგების დარბევისას იმაზე ფიქრი, საქართველოს მოქალაქეები დაშავდებოდნენ თუ — არა. სააკაშვილისთვის მთავარი ყოველთვის მისი პირადი ამოცანა იყო და არის (და არა — ქვეყანა და ხალხი, რომლის პრეზიდენტიცაა). მისთვის ამ მოცემულობაში მთავარია, ტიმოშენკომ გაიმარჯვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მარტო დარჩება „ფერადი რევოლუციების ექსპერიმენტში“. მარტო დარჩენა კი თავისთავად იმაზე მიანიშნებს, რომ „ექსპერიმენტმა“ არ გაამართლა და, როგორც ამ ექსპერიმენტში მონაწილე სუბიექტს, აღარც სააკაშვილს აქვს დიდი პერსპექტივა. ასე რომ, სააკაშვილი მზადაა, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უსაფრთხოება გაწიროს, თუნდაც იმიტომ, რომ მერე სხვებს დაანახოს — აი, რა ჩაიდინა იანუკოვიჩმა; აი, როგორი დიქტატორი და ანტიდემოკრატია ტიმოშენკოს კონკურენტი!.. აბა, დააკვირდით, სად მოიყარეს ყველაზე მეტად ქართველმა „დამკვირვებლებმა“ თავი?.. აღმოსავლეთ უკრაინაში, ანუ იქ, სადაც იანუკოვიჩი დიდი უპირატესობით ლიდერობს... და რაზე მეტყველებს ეს, თუ არა იმაზე, რომ იანუკოვიჩისთვის მოპოვებული ხმების წართმევას ცდილობენ... ეს მხოლოდ უბნების გაუქმებითაა შესაძლებელი, თუ როგორ უნდა ჩაშალონ წაგებული უბნები, ეს ყველაზე კარგად „ნაცმოძრაობის“ აქტივისტმა „დამკვირვებლებმა“ იციან...

**— მე შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ ჟურნალისტის პროფესია ჟურნალისტებს ერთგვარ „ინდულგენციასაც“ გვანიჭებს; მით უფრო**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**მაშინ, თუკი ის დამოუკიდებელ ჟურნალისტს კი არა, მხარეს უფრო წარმოადგენს... და მაინც, დამკვირვებლებისგან განსხვავებით, არანაირ ეჭვს არ ბადებენ ქართველი ჟურნალისტები, რომელთაც უკრაინაში ფიზიკურადაც კი გაუსწორდნენ...**

— ფიზიკური ანგარიშსწორება დასაგმობია, იმის მიუხედავად ჟურნალისტზე განხორციელდა იგი, მუშაზე თუ დროებით უმუშევარზე, არავინ კამათობს. რაც შეეხება ქართველ ჟურნალისტებს, მათი საუბრიდან ჩანს, რომ მათ უმრავლესობას დოკუმენტაცია წესრიგში არ ჰქონდა; არ გაუვლია აკრედიტაცია არც უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში და არც უკრაინის ცესკოში; საქართველოდან გაემგზავრნენ ქართულ ენაზე დაწერილი და ფერად პრინტერზე ამობეჭდილი მოწმობებით, რომლის მიხედვითაც რომელიღაც საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენენ... მიაქციეთ ყურადღება, თავისი პირით ამბობენ, რომ „ჩვენ ჟურნალისტების სახით დავდივართ და ამ სახით ხომ მაინც ვერ აგვიკრძალავენ უბნებში შესვლასო“. ასე რომ, თუ ჟურნალისტივით დადიხარ და სხვაც ამჩნევს, რომ ჟურნალისტი არ ხარ და სხვა საქმით ხარ დაკავებული, ბუნებრივია, ამას ნებისმიერი რეაქცია შეიძლება მოჰყვეს.

**—ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტების ცემის ფაქტს, ცხადია, ამ კონტექსტში ვერ განვიხილავთ. ისინი „ჟურნალისტებივით“ არ დადიოდნენ, ჟურნალისტები იყვნენ, თანაც აკრედიტირებულები...**

—ცემა რომ მიუღებელია, ამაზე ნუღარ ვისაუბრებთ. რაც შეეხება „იმედის“ თანამშრომლებს, ვისზეც თქვენ საუბრობთ, ის პროდიუსერია და არა — ჟურნალისტი. ჟურნალისტი და ოპერატორი — გასაგებია, მაგრამ პირადად მე ერთ ფაქტსაც ვერ ვიხსენებ, როცა პროდიუსერები დადიოდნენ რეპორტაჟის გასაკეთებლად. რამდენადაც ცნობილია, პროდიუსერები ადგილზე რჩებიან, ადგილზევე გეგმავენ და აკონტროლებენ საინფორმაციო გამოშვებებს...

**—ქალბატონო ნანა, რასაკვირველია ზუსტ „ხარჯთაღრიცხვას“ არ გთხოვთ, მაგრამ როგორც ცესკოს ყოფილ თავმჯდომარეს გარკვეული წარმოდგენა გექნებათ და, თქვენი აზრით, საორიენტაციოდ და სავარაუდოდ, რა დაუჯდება საქართველოს ბიუჯეტს უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნები?**

—კონკრეტულად ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ, ეს რომ სოლიდური და სერიოზული თანხა იქნება, ფაქტია. თავად განსაზღვრეთ: 3000-მდე კაცის ჩარტერული რეისით მგზავრობა, სასტუმროს ხარჯები, კვება, მივლინება...

**—ჰონორარი?**

—ჰონორარიც, რა თქმა უნდა, და წარმატების, ანუ გამარჯვების შემთხვევაში — პრემიაც. სხვათაშორის, უკრაინაში უკვე იკითხეს, რა თანხებით მიავლინა საქართველოს ხელისუფლებამ ასეულობით დამკვირვებელი და, როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხი არ მიუღიათ...

**— სამაგიეროდ, უკრაინული „გამოცდილებით“ შეიძლება, ჩვენ წინასწარ მივიღოთ პასუხი იმაზე, თუ როგორ ჩატარდება გაზაფხულზე ადგილობრივი არჩევნები ამჯერად უკვე საქართველოში?**

—ამის პროგნოზირებას დიდი პოლიტიკური განსწავლულობა არ სჭირდება. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში ამგვარად ჩარევით სააკაშვილმა საკუთარი ძალების დემონსტრირება მოუწყო საკუთარ ხალხს, რითაც პირდაპირ გვითხრა — ხედავთ, რა ამბავი დავატრიალე უკრაინაში?! აბა, წარმოიდგინეთ, რაღას ვიზამ საქართველოში! კუდსაც გამოვიყენებ, სოდსაც, სპეცრაზმსაც და არჩევნების შედეგებს ხომ გავაყალბებ და გავაყალბებ!!!

**— თქვენი აზრით, როგორ შეძლეს პრორუსულმა ძალებმა უკრაინაში ასეთი მხარდაჭერის მოპოვება? ჯერ საბოლოო შედეგი უცნობია, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ პრორუსული იანუკოვიჩი დიდი უპირატესობით უსწრებს „რევოლუციონერ“ ტიმოშენკოს, რაზე მიანიშნებს?**

—მე ამას პრორუსული ძალების გამარჯვებად კი არა, თვალის ახელად და გამოფხიზლებად უფრო მივიჩნევ! დიახ, თვალის ახელის და გამოფხიზლების შედეგია ის, რომ უკრაინელმა ხალხმა გააცნობიერა, რომ „ფერადი რევოლუციები“ უკრაინაშიც, საქართველოშიც, ყირგიზეთშიც და სხვაგანაც ამერიკის ერთგვარი ექსპერიმენტი იყო! თითოეული ეს რევოლუცია იყო ქვეყნის გარედან ინსპირირებული, დაგეგმილი და განხორციელებული. ხოლო არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო და ერი არ შეეგუება იმას, რომ თუნდაც ზესახელმწიფოსთვის ექსპერიმენტი და მართვის ობიექტი გახდეს სრულ დამონებამდე. რევოლუციის შემდგომი ეიფორია და ილუზია გაქრა. თვალსაჩინო გახდა ამერიკის რეალური მიზნებიც, ისიც, თუ როგორ კარგავს ამერიკა მსოფლიო „ჰეგემონის“ ადგილს. უკრაინელებმა, ჩვენგან განსხვავებით, გაიაზრეს თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ისინი მიხვდნენ, რომ არც ამერიკაა „მეგობარი“ და არც რუსეთი — „მტერი“ და დაბალანსებულ პოლიტიკას ირჩევენ...

**—ამ პოლიტიკას ბევრი მხარდამჭერი და მომხრე ჰყავს საქართველოშიც, მაგრამ დღემდე არ გამოჩნდა ისეთი პოლიტიკური ძალა ან ლიდერი, რომელსაც ეყოფა ამგვარი პოლიტიკის გატარების ძალაც და გამბედაობაც. როგორ ფიქრობთ, ქართველ ოპოზიციონერებს ასე ძალიან რატომ ეშინიათ ამერიკის განაწყენების?**

—იმიტომ, რომ მათ უმრავლესობას კარგად ახსოვს 2003 წელს ამერიკის ფინანსებითა და ორგანიზებით როგორ იოლად მოვიდნენ ხელისუფლებაში. დღემდე ყველა სათითაოდ დარბის ამერიკაში. ისინი ამერიკის მხარდაჭერასა და მოწყალებას ელიან და იმიტომაც იმზირებიან ამერიკისკენ იმედის თვალით – იქნებ, მოიღონ მოწყალება, სააკაშვილი შეცვალონ და ახლა ამათ გადასცენ ძალაუფლება...

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

# ვარდისფერი დესანტის ნარინჯისფერი კრახი

**მოძმე უკრაინაში, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური დასრულდა პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბლიუ ბუშის ადმინისტრაციის ფერადი რევოლუციით ნაშობი კიდევ ერთი რეჟიმის სასიკვდილო აგონიით, რომლის გარდაცვალება ოფიციალურად მეორე ტურში დაფიქსირდება. „სამწუხაროდ“, ნარინჯისფერთა მომავალი ისეთივე რეალობაა, როგორც აწ უკვე წარსულში მომხდარი ფაქტები სხვა ფერის „დემოკრატიული“ რეჟიმების გარდაცვალებებისა.**
**ჯერ იყო და ყირგიზეთში, სახედარზე ამხედრებული გივი თარგამაძის ჩე გევარასეულმა შემართებამ ის შედეგი გამოიღო, რომ არსებული პროამერიკული კორუმპირებული დიქტატურა, ასეთივე, ოღონდ პრორუსული, რეჟიმით შეიცვალა.**
**მერე იყო და რევოლუციების პროფესიონალმა ექსპორტიორმა ვეღარც ვირზე ამხედრებულმა შეაღწია მინსკში და „ბატკა“ ლუკაშენკომ, ყოველგვარი დემოკრატიული რევერანსების გარეშე, თანმხლებ „დამკვირვებლებთან“ ერთად აეროპორტიდანვე უკან მიაბრძანა გივი თარგამაძე ისე, რომ ჩაფიქრებული რევოლუციის ფერის დადგენაც ვერ მოვასწარით.**




ასეთივე კრახით დასრულდა მოლდოვური მცდელობაც და აჰა, უკრაინა, სადაც ნაცები მიხვდნენ, რომ კიევის შემდეგ ლოგიკურად თბილისის ჯერი დგებოდა და, როგორც ძველმა ბოლშევიკებმა იცოდნენ, ნაცებმაც — „это есть наш последный и решительный бой“ — თადარიგი დაიჭირეს.

კარგა ხნით ადრე მიავლინეს ქართველი ჩე გევარა უკრაინაში. იმდენად კარგა ხნით, რომ აქ გივი თარგამაძის არსებობაც კი დაგვავიწყდა, რომელიც მაშინღა გაგვახსენდა, როდესაც იულია ტიმოშენკოსა და მიშა სააკაშვილის სკანდალური სატელეფონო საუბრის ჩანაწერი „დაიდო“, სადაც მიშა ეუბნებოდა იულიას — „Гиви уже там. Свяжись с ним“!

მაგრამ მთავარი სკანდალი თურმე წინ იყო, როდესაც ჩარტერული რეისებით 2 ათასზე მეტი მუტრუკი ჯეელი ჩაფრინდა უკრაინაში „უწყინარი“ მიზნით — უკრაინელ „ნაშებს“ ძველით ახალი წელი უნდა მივულოცოთო. ერთი კი იფიქრეს ჩვენმა უკრაინელმა ძმებმა — აბა, ჩარტერებით ვინ დაფრინავს პაემანზეო, მაგრამ რა ექნათ? ჩვენგან განსხვავებით, უკრაინაში კანონებს ცოტა უფრო მეტ პატივს სცემენ და საეჭვო, არასასურველ სტუმრებს ქვეყანაში შესვლის ნება მაინც დართეს, **ხოლო, როდესაც ქართველი რომეოები უკრაინელი ჯულიეტების ძებნის ნაცვლად კალიებივით მოედნენ აღმოსავლეთ უკრაინის, ანუ პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის, იანუკოვიჩის მთავარ დასაყრდენ ქალაქებს და, რომეოები კი არა დამკვირვებლები ვართო, განაცხადეს, მეტი რაღა უნდა ექნათ უკრაინელებს? ცესკოში რეგისტრაციაზე უარი სტკიცეს, ჯაბა ჯიშკარიანის ინფორმაციით, ძირითადად, შსს-ს თანამშრომლებით დაკომპლექტებულ საჰაერო დესანტს!**

ამ ხალხს, სავარაუდოდ, ტიმოშენკო-თარგამაძის ტანდემის ძალისხმევით ჟურნალისტის მოწმობები სასწრაფოდ „გაუიმასქნეს“, მაგრამ აღარც ეს „ჭამეს“ უკრაინაში და ქართველ „დამკვირვებელთა“ არმია საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე პროვოკაციების, შეხლა-შემოხლის ინსპირირებას შეეცადა, რაც ნაკლებად გამოუვიდათ, რადგან არ ეძინა იქაურ მილიციას და ბევრი ჩვენი **ზონდერთანამემამულე** მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს.

სამაგიეროდ, აგრესიამ ქართველ ჟურნალისტებზე გადმოინაცვლა. ერთი-ორი მათგანი გაილახა კიდეც, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, დასაგმობი ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ მათმა კოლეგებმა კარგად ვიცით, როგორი „ობიექტურობით“ გამოირჩევიან აქ „რუსთავი 1,2,3“ თანამშრომლები, რომლებსაც რამდენიმე რიტორიკულ შეკითხვას დავუსვამ:

**— კიევში რომ გააფთრებით უტევდნენ და იანუკოვიჩს ლამის პირში სთხრიდნენ მიკროფონს, მსგავს შემართებას რატომ შინ არ იჩენენ თუნდაც გირგვლიანის, რობაქიძის მკვლელობების გამო, რატომ არ უწვდიან მიკროფონებს მიშას თუ ვანოს? ან სად გააქრეს „რუსთავი 2“-ის დონეცკიდან „გადმოგორებული“ მასალა, სადაც იანუკოვიჩის შტაბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს წამოაძახა — ჰალსტუხის ჭამას არ ვაპირებო, რაც ორშაბათის 12-საათიან კურიერში საკუთარი თვალით ვნახე და შემდგომ გამოშვებებში ამოჭრეს?**

**ან, როდესაც უკრაინაში ბრიფინგზე ქართულად სვამთ შეკითხვას, რაც უკვე პროვოკაციაა და პასუხის შემდეგ — აქ თარჯიმანი არ გვყავს, რუსულად მკითხეო — პროტესტის ნიშნად ტოვებთ დარბაზს, ეს ჩვენი ქართველობის უპატივცემულობააო. პროტესტი მაშინ რატომ არ გეუფლებათ, როდესაც ჩვენთან ჩამოთრეულ ყველა მათხოვარ ნაბუშარს ინგლისურად ეკურკურებიან?**

**ან, რომელ ჟურნალისტურ ეთიკაზე საუბრობს გიგი წერეთელი და მოგვიანებით მწვანე შარვლიანი (ღმერთო, სად შოულობს ასეთ „შმოტკებს“?) მიშა ბაკურიანიდან? იმ ჟურნალისტებზე ხომ არა, რომელთა ცემა-ტყეპა, კამერების წართმევა ჩვეულებრივი ამბავია ჩვენთან? თუნდაც „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ორგზის ძარცვა-დარბევა რად ღირს!**

**ან, რა მორალური უფლება აქვს ხელისუფლებას, რომელსაც ერთი ხეირიანი არჩევნებიც კი არ ჩაუტარებია, სხვა ქვეყნის არჩევნებს დააკვირდეს? ხომ არის ეს ყველაფერი ანდაზების — „არა მკითხე მოამბეო“, „ძაღლი სახლში არ ვარგოდაო“, „ყველამ თავის მამიდას მოუაროსო“ — რეალობა?**

ეჰ, რომელი ერთი ვთქვა და გავიხსენო! რაკი ჩვენი საქმე ასეა — „შეაყარე კედელს ცერცვი“, ესენი ხვალაც თავისას იზამენ, ანუ „ხვალ“ მეორე ტურია და ახლა იმის „დასაკვირვებლად“ ემზადებიან. არადა, — სულ ტყუილად, რადგან ობიექტურ, ისტორიულ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინა, რუსეთი, ბელორუსი სლავური ქვეყნებია. უფრო მეტიც, ერთი, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი შვილები არიან; და ადრე თუ გვიან, ამ ხალხების ამა თუ იმ ფორმით ერთად ცხოვრება ისტორიული კანონზომიერებაა.

ამიტომ ნაცები, როგორც ჩვენში იტყვიან — ღვინჯიპაზეც რომ გასკდნენ, 7 თებერვალს რეალობა არ შეიცვლება. ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ უკრაინის ნარინჯისფერი ბომჟების შემდეგ, საქართველოს ვარდისფერი ნაცების ჯერი მოვა და თუ ამის თავიდან აცილება უნდოდათ, აშშ-ის არჩევნების დროს ტუტუცი სუბელიანი უკანალზე მაკეინის წარწერიანი ტრაფარეტ-აკრული რომ დაქროდა, ერჩივნათ, დამკვირვებელთა მძლავრი დესანტი ამერიკაში გადაესხათ. რა იცი, იქნებ, ნარინჯისფერ ბომჟებთან წანწალს გადარჩენოდნენ კიევის „მაიდანზე“?!

**დავით მხეიძე**

# ნაცისტების სახალხოდ ქება დაისჯება

**რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, „ნიურნბერგის განაჩენის დამახინჯების“ მსურველები ჯერჯერობით ციხეში არ გამოამწყვდიოს და კანონპროექტი გადადო, რომლის მიხედვითაც დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების უარმყოფელებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ელოდათ.**



ისტორიული ფაქტების დამახინჯებისათვის სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობით დასჯის იდეისათვის ხაზი ჯერ არავის გადაუსვია, უბრალოდ, მინისტრებმა ჩათვალეს, რომ ფორმულირებები დაზუსტებას საჭიროებს.

ასე რომ, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ქმედებების დანაშაულებრივად გამოცხადება და ნაცისტების სახალხოდ ქება მომავალში მაინც გახდება დასჯადი.

კანონპროექტის მთავარი ინიციატორი თავის დროზე საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი შოიგუ გახლდათ. როგორც ის აღნიშნავდა, „ზოგიერთ სასწავლო წიგნში უკვე წერენ, რომ მეორე მსოფლიო ომში ამერიკულმა ჯარმა გაიმარჯვა“. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, უკვე დიდი ხანია, მოქმედებს ფაშიზმისა და ნაციზმის პროპაგანდასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის სხვადასხვა სახის სასჯელი. ზოგან მსგავსი ქმედება 20 წლამდე პატიმრობითაც კი ისჯება.

20 — 26 იანვარი, 2010 წელი. №2 (45)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დემოკრატიის რექვიემი

**დემოკრატიული ძალები შეშფოთებით ადევნებენ თვალს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და გამოსავლის ძიებასთან ერთად განგაშს ტეხენ. ახლა უკვე ყველა მიხვდა, რომ ხელოვნურად და იძულებით თავსმოხვეული მმართველობის ფორმას, თუკი ქვეყნის სპეციფიკა და ეთნოფსიქოლოგია არ გაითვალისწინე, შეიძლება შეუქცევადი პროცესები მოჰყვეს, რაც არა მხოლოდ მმართველობის ამ სისტემის მიმართ გაუცხოებასა და მასთან დაპირისპირებას იწვევს, არამედ (რაც მეტად სახიფათოა) მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისკენ უბიძგებს ერებს.**

ოცი წლის წინათ განვითარებულმა მოვლენებმა, მსოფლიო ერთპოლუსიანობას დაუდო სათავე და ახლა „გავსებული კასრის“ მცირედ შენჯღრევასაც კი არა მხოლოდ „სითხის გადმოღვრა“, არამედ „სითხის ამღვრევაც“ მოჰყვება ხოლმე. ამერიკის შეერთებული შტატების ოცნებას — ებატონა მთელ მსოფლიოში — მისთვის დამღუპველი შედეგები მოჰყვა. ქვეყნები, სადაც აშშ დემოკრატიის ექსპორტს ეწეოდა, ძუძუს გოჭებივით ჩააფრინდნენ მას და მცირედი შეფერხების დროს ჯიუტად ურტყამენ „დინგებს“.

ამერიკაში ოცწლიანი მსოფლიო ჰეგემონობის შედეგებს ახლაღა მიხვდნენ და გამოსავალს ეძებენ, თუმცა ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, როგორ თავდაუზოგავად ისწრაფოდნენ პლანეტის ერთმმართველობისკენ და რა სიჯიუტით ცდილობდნენ თავიანთი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ყველგან.

ახლა დრო შეიცვალა. შედეგებს კრიტიკული თვალით შეხედეს და მიხვდნენ, რომ ამდენ „ლაბორატორიულ მუტანტს“ ველარ გამოკვებავდნენ.

თუმცა ურიგო არ იქნებოდა, თავიდანვე გაეთვალისწინებიათ იმ ქვეყნების სპეციფიკა, რომელთა გაამერიკელებასაც ხან „თაფლაკვერით“, ხან „მათრახით“, ხანაც — ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ. ცეცხლი და მახვილი ბრჭყალებში გამიზნულად არ ჩავსვი, რადგან სწორედ ამან განაპირობა სიძულვილი არა მხოლოდ ამერიკისა და ამერიკული ცხოვრების წესის, არამედ, საერთოდ, დემოკრატიისა და დემოკრატიული ფასეულობების მიმართ.

ჩვენ მთელი ოცი წლის მანძილზე დაუღალავად გვიმტკიცებდნენ, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე კარგი ფორმაა, თუმცა იქ, სადაც მათი ფავორიტი ე. წ. დემოკრატიული ხელისუფლება ბატონობდა და ბატონობს, ვითარება დემოკრატიულისგან ისევე შორს იყო და არის, როგორც თვით ამერიკა — ამ ვითომ დემოკრატიული სახელმწიფოების, სინამდვილეში კი კოლონიებისგან.

ამას ჩვენ გვიჩიჩინებენ, თორემ თვითონ ძალიან კარგად იციან, რომ, როგორც პატრიკ ბიუკენენი „The American Conservative“-ში წერს, **„მთელ მსოფლიოში — ლათინური ამერიკიდან აფრიკამდე და ახლო აღმოსავლეთამდე — დემოკრატიას ხელისუფლებაში ის პარტიები და პოლიტიკოსები მოჰყავს, რომლებსაც სხვადასხვა რელიგიური, რასობრივი და ისტორიული მიზეზების გამო სძულთ „დასავლეთის მდიდარი თეთრკანიანი სამყარო“.**

ამას რომ ამბობს, ბიუკენენი იქვე კითხვებსაც სვამს:

**„მაშ, რატომ უნდა ვიქადაგოთ და განვავითაროთ დემოკრატია ამ რეგიონებში? რატომ უნდა განვავითაროთ ეს სისტემა სამყაროში, სადაც ანტიამერიკანიზმი მატულობს, თუკი ის ჩვენს მტრებს აძლიერებს და ჩვენს მეგობრებს საფრთხეს უქმნის?**

**რა არის დემოკრატია — ჩვენი ხსნა თუ დასავლეთის თვითმკვლელობის იდეოლოგია?“**

რთული შეკითხვებია და პასუხის გაცემაც არ არის ადვილი.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბიუკენენი საკმაოდ კარგად იცნობს თემას, რომელზეც მსჯელობს და სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ვითარებასაც მიმოიხილავს, სულაც არ მოგეჩვენებათ მისი შეკითხვები რიტორიკულად.

ბიუკენენი თავისი არგუმენტაციის განსამტკიცებლად სხვა ავტორებსაც იმოწმებს და თითოეულ მათგანში დემოკრატიის ძალად თავსმოხვევის უარყოფითი შედეგები იმდენად ამომწურავად არის განხილული, შესაძლოა ეჭვიც გაგიჩნდეს, ისეთი რა წამალი დალია ყველამ ერთად, რომ ერთიანად გამოერკვნენ დემოკრატიის ძილბურანიდანო.

**„ამერიკა თავისუფალ სამყაროს კარგავს“** — Financial Times-ში გიდეონ რაჰმანის სტატიის ამ სათაურმა მკითხველების ყურადღება მიიპყრო. სტატიის მოკლე შინაარსი ასეთია: სამხრეთ-ამერიკის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის უმსხვილესი დემოკრატიული ქვეყნები — ბრაზილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, თურქეთი და ინდოეთი ამერიკის ორბიტას ტოვებენ.

## „ვარაუდი, თითქოს დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთისკენ ილტვიან, დაუსაბუთებელი აღმოჩნდა“.

ჟურნალ World Affairs-ში ჯეფრი უიტკროფტს აერონ დევიდ მილერის (წიგნის The Much Too Promised Land ავტორი) სიტყვები მოჰყავს, რომელიც ამბობს, რომ **„მთელ ახლო აღმოსავლეთში ამერიკა არ უყვართ, პატივს არ სცემენ და მისი არ ეშინიათ“.**

უიტკროფტის თქმით, **„შემაშინებელი ის არის, რომ ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი და კომენტატორი... ამ რეალობას ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს. ასეთი უცოდინარობა ძალიან ექსცენტრიულ და უცნაურ წარმოდგენებში აისახება, რომლებიც ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებობდა. ამ წარმოდგენების თანახმად, ამერიკას არა მხოლოდ შეუძლია, არამედ ვალდებულიცაა, გაავრცელოს დემოკრატია — ასეთი ქმედებები მის ნაციონალურ ინტერესებს შეეფერება...“**

შემდეგ უიტკროფტი ასეთ შეკითხვას სვამს — **„თუკი აშშ არ უყვართ და მას პატივს არ სცემენ არც ერთ არაბულ ქვეყანაში, რატომ არის ამერიკა ვალდებული ისინი დემოკრატიულ სახელმწიფოებად აქციოს?“**

შესანიშნავი კითხვაა. ზოგიერთი ჩვენგანი ათწლეულების განმავლობაში ეკითხება ამას ნეოკონსერვატორებს, რომლებისთვისაც „დემოკრატია ყველაფერზე მაღლა დგას“...

უიტკროფტს არაბული ხალხების ისტორიის ავტორის, უიჯინ როგანის სიტყვები მოჰყავს, რომელიც წერს: **„ნებისმიერ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში არაბულ სამყაროში დღეს ისლამისტები გაიმარჯვებენ. დღევანდელ არაბულ სამყაროზე მწარე სიმართლე ის არის, რომ ნებისმიერ თავისუფალ არჩევნებში, სავარაუდოდ, ის პარტიები მოიპოვებენ გამარჯვებას, რომლებიც აშშ-ს მიმართ მტრულად არიან განწყობილნი“.** და მაშინ რა აზრი აქვს იმას, რომ დემოკრატიის ნაციონალური ფონდი (National Endowment for Democraty) გადასახადის გადამხდელთა ფულს იყენებს და ამგვარი არჩევნების აგიტაციას ეწევა?

საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიის ექსპორტის საფარქვეშ მაქსიმალურად გამოწურონ ამ ქვეყნების რესურსები. რასაკვირველია, შესაძლებლობების ფარგლებში, ანუ იმდენი, რის საშუალებასაც მისცემთ დრო და ხალხის მოთმინება. მთელი ამ „ამოტუმბვის“ პროცესში ასეთ ქვეყნებში ნებადართულია „თმენითი დემოკრატია“ (რაღაც ახალი ტერმინი გამოვიგონე და საავტორო უფლებას ვიტოვებ!), ანუ იმდენი და იმგვარი დემოკრატია, რამდენსაც და როგორსაც ხალხი მოითმენს, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებას დემოკრატი მფარველები, მართლაც, ბევრს უთმენენ, რადგან იციან, რომ აქედან სარგებელს ნახავენ. მათ კარგად იციან, რომ ასეთ ქვეყნებში დემოკრატია არც არის და ვერც იქნება.

ანდა რა საჭიროა? ერთხელაც აევსება ხალხს მოთმინების ფიალა და დაიწყება „კუდით ქვის სროლის“ პროცესი არა მარტო ვითომ დემოკრატიულად დასმული ხელისუფლების, არამედ მათი დამსმელებისაც!

ბიუკენენი „ინფანტილიზმით დაავადებულებს“ უწოდებს დემოკრატიის ექსპორტიორებს, თუმცა ისინი სულაც არ არიან ინფანტილურები და ასეთებად მათი წარმოჩენით ვითარების შეფერადებასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე მწარე რეალობის აღქმასთან, თორემ, თვით ჯონ უინტროპი, რომლის „ქალაქი ბორცვზე“ რონალდ რეიგანს შთააგონებდა, აცხადებდა, რომ **„ცივილიზებულ ქვეყნებში“ დემოკრატია... სახელმწიფო მმართველობის ყველაზე არამიმზიდველ და ცუდ ფორმად ითვლება“.**

**„გახსოვდეთ, დემოკრატია დიდხანს არასდროს გრძელდება.** — ამბობს ადამსი, — **ის სწრაფად ფიტავს, ღლის და ანადგურებს საკუთარ თავს. არ უარსებია არც ერთ დემოკრატიას, რომელსაც არ ჩაედინა თვითმკვლელობა“.**

ამასვე იმეორებდა ჯეფერსონი: **„დემოკრატია არაფერია, თუ არა ხალხის მასების ხელისუფლება; როდესაც ადამიანების 51%-ს შეუძლია, უფლებები წაართვას დანარჩენ 49%-ს“. ჯეფერსონს ეთანხმებოდა მედისონი: „დემოკრატია მართვის ყველაზე ამაზრზენი ფორმაა“.**

**„უკიდურესად მნიშვნელოვანია აქ წამოჭრილი საკითხები“,** — დასძენს ბიუკენენი ამ მაგალითების დამოწმების შემდეგ. არადა, ჩვენ, როგორც უკვე ვთქვი, დიდი ხანია, ჩაგვჩიჩინებენ, დემოკრატიული ქვეყანა უნდა გახდეთო. საქართველოს ხელისუფლებებიც თავგამოდებით ამტკიცებენ, დემოკრატიული ფასეულობების დაცვა ჩვენი მმართველობის უპირველესი საზრუნავიაო, თუმცა ყველამ კარგად იცოდა და, ვინც არ იცის ახლა გაიგოს, რომ ჯეფერსონიც კი დემოკრატიას **„მართვის ყველაზე ამაზრზენ ფორმას“** უწოდებდა.

თვით პატრიკ ბიუკენენი კი თავის წერილს ასე ასათაურებს — **„დემოკრატია — მორიგი ზნედაცემული ღვთაება“.**

ამ „ამაზრზენი ფორმის“ სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია, ამ „ზნედაცემული ღვთაების“ ერთ-ერთი ტაძარიც ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელმაც ოცი წლის წინათ მსოფლიო ჰეგემონობა შეიფერა და ახლა იმასლა ცდილობს, როგორმე „ჩაიხსნას“ მის მიერვე ძალითა თუ მოტყუებით ჩაბმული „ვაგონსახელმწიფოები“.

ეს ახლა, როცა ახდა ერთი წლის წინათ ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთი პატრიარქის — ჰენრი კისინჯერის წინასწარმეტყველება: **„2009 წელი ახალი მსოფლიო წესრიგის დასაბამის აღმნიშვნელი იქნება“.**

კისინჯერი აშშ საზოგადოებას ლაკონურად უხსნიდა, რომ:

**„ამერიკის უნიკალურმა სამხედრო და პოლიტიკურმა ძალაუფლებამ თავისი შესაბამისი ფსიქოლოგიური ხარვეზი წარმოქმნა. საბჭოთა კავშირის უეცარმა დაშლამ აშშ-ს ცდუნება გაუჩინა, ერთი შეხედვით უნიპოლარულ მსოფლიოში უნივერსალური პოლიტიკური მიზნები გაეცხადებინა. მაგრამ ეს მიზნები განპირობებული იყო უფრო სლოგანებით და არა სტრატეგიული აღსრულებადობით“.**

**„ამერიკა ყველაზე ძლიერ ქვეყნად დარჩება, მაგრამ ვერ შეინარჩუნებს თვითგამოცხადებული მოძღვრის პოზიციას. გააცნობიერებს რა ჰეგემონიის ზღვარს, მან უნდა დაგეგმოს ქმედითი კონსულტაციები, რაც გასცდება ამერიკულ კონცეფციას. დიდ რვიანს დასჭირდება ახალი როლი, რათა მოიცვას ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და, შესაძლოა, სამხრეთ აფრიკა“.**

**„საჭიროა ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის დიალოგის გამართვა... ამერიკას მოუწევს იმის სწავლა, რომ მსოფლიო წესრიგი დამოკიდებულია სტრუქტურაზე, რომელსაც თანამონაწილეები მხარს უჭერენ, რადგანაც თავადვე უდევთ წილი მის შექმნაში...“**

კისინჯერის ამ თეზისებში, ალბათ, ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს შეფასება **„თვითგამოცხადებული მოძღვარი“.** აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს თვითონაც არანაკლები წვლილი მიუძღვის „თვითგამოცხადებაში“ და ახლა, ალბათ, საკუთარ შეცდომებსაც ირიბად მაინც აღნიშნავს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი კი კისინჯერის ამ პუბლიკაციის სათაურია — **„ამპარტავნების დასასრული“.**

ყოველთვის მართალ და საკუთარ ყოვლისშემძლეობაში თავდაჯერებულ ამერიკას ახლა სერიოზული დაფიქრება უწევს. ისიც ცხადია, რომ პროცესების თვითდინებაზე მიშვება მისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება და ამიტომაც ცდილობს, მაქსიმალურად, უდანაკარგოდ გამოძვრეს შექმნილი რთული ვითარებიდან. რა თქმა უნდა, უპირველესად, რეპუტაციას ვგულისხმობ. აშშ-ს ამპარტავნების დასასრულით საფრთხე ექმნებათ იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, რომლებსაც ვაშინგტონმა სხვადასხვა ხერხებით უბოძა ძალაუფლება.

ასეთ დროს, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ ამ ქვეყნებში ისეთი დემოკრატიის განვითარებაზე, როგორიც თუნდაც თვითონ აქვთ. ამ ქვეყნებისთვის ისიც საკმარისია, რომ ხალხი ერთმანეთს არ ჭამს ანდა პრეზიდენტი რომელიმე ქვეყნის ელჩის „ჩაქაფულს“ არ მიირთმევს. დანარჩენი — სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სიცოცხლისა თუ სხვა ძირითადი უფლებები, რაც საყოველთაოდ არის დეკლარირებული — უმნიშვნელოა.

ამ მოსაზრებას ადასტურებს Freedom House-ს ყოველწლიური ანგარიშიც სახელწოდებით **„თავისუფლება მსოფლიოში, 210 წელი“.**

**„ამ ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, ჩვენ „თავისუფლების რეცესიის“ პერიოდში შევაბიჯეთ“,** — წერს „The wall street journal“-ი თავის სარედაქციო წერილში. უკვე ზედიზედ მეოთხე წელია, რაც იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებასთან დაკავშირებული სიტუაცია გაუარესდა, მეტია, ვიდრე ქვეყნებისა, სადაც პირიქით მოხდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ოთხი წლის ნეგატიური ტენდენციები, სხვა ფაქტორებთან ერთად, დაკავშირებულია ამერიკის დემოკრატიისადმი ინტერესის დაკარგვასთან. სარედაქციო წერილში ისიც ხაზგასმულია, რომ 2006 წლის შუალედური არჩევნების ირგვლივ ხმაურიანი მოვლენებითა და ახლოაღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით საკუთარი რეიტინგის მკვეთრი ვარდნით იმედგაცრუებულმა ბუშმა საკუთარი საგარეოპოლიტიკური პროგრამის ძირითად პრინციპზე აქცენტის გაკეთება შეწყვიტა. აშშ დღევანდელმა ადმინისტრაციამ კი აქცენტები მთლიანად შეცვალა. დღევანდელი ხელისუფლება რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობაში უპირატესობას მთლიანად სტრატეგიული საკითხების განხილვას ანიჭებს და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების თემის სრულ იგნორირებას ახდენს, რასაც სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა პეკინში ყოფნისას **მთავარი თემისგან გადართვა** უწოდა. იგივე ხდება ირანთან მიმართებაშიც.

თუკი ჯონ კენედისა და რონალდ რეიგანის დროს უკეთესი მსოფლიოსკენ მივისწრაფოდით, გვჯეროდა რა, რომ თავისუფლებისკენ ლტოლვა ყველა ადამიანს ახასიათებდა, დღეს ისე ვიქცევით, თითქოს საბოლოოდ გადავწყვიტეთ, მსოფლიო ისეთად მივიღოთ, როგორიც არის. ოდესღაც ჩვენს ქვეყნებს ლიბერალიზმისა და დემოკრატიისკენ ვუბიძგებდით. ახლა გადავწყვიტეთ, რომ ეს ძალისხმევა ძალიან ძვირი გვიჯდებოდა, — აღნიშნავს „The wall street journal“-ი.

მართლაც რომ თვალშისაცემია ეს, ჰილარი კლინტონს თუ დავესესხებით, „მთავარი თემისგან გადართვა“. ამერიკა მოჩვენებითადაც აღარ მოითხოვს, მისი ფავორიტი ხელისუფლებისგან დაიცვას დემოკრატიის პრინციპები. როგორც ჩანს, მათ, მართლაც, ისეთად მიიღეს მსოფლიო, როგორიც არის. ქართული პოლიტიკური სპექტრი კი კვლავაც „მთავარი თემიდან გადართულ“ ვაშინგტონში ეძებს თავის მომავალს, რომელიც „მირესტარტებულ“ საქართველოს კარგს არაფერს უქადის.

და თუ პირველ სიტყვას, ანუ ამ წერილის დასაწყისს დავუბრუნდებით, ოცი წლისწინანდელ მოვლენებს გავიხსენებთ და მის თანმდევ პროცესებს გავაანალიზებთ, უთუოდ დავეთანხმებით ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართლის კათედრის ხელმძღვანელს — ფრანსესკ დე კარერასს:

## „1989 წლის ოპტიმიზმი მეტი არაფერი იყო, თუ არა — მირაჟი. ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით იმაში, რომ მომდევნო ეპოქას არც მშვიდობა, არც ეკონომიკური კეთილდღეობა და არც პოლიტიკური დემოკრატია არ მოუტანია“.

კითხულობ ამ სიტყვებს და თვალწინ წარმოგიდგება, უპირველესად, საქართველოს ბოლო ოცი წლის ისტორია. თითქოს ეს სიმართლე ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზეა ნათქვამი. არადა, მთელი მსოფლიოს პოლიტიკური პროცესებია მიმოხილული კარერასის წერილში, რომელსაც „ეპოქის დასასრული“ ჰქვია.

**პატრიკ ბიუკენენი — „დემოკრატია — მორიგი ზნედაცემული ღვთაება“;**

**ჰენრი კისინჯერი — „ამპარტავნების დასასრული“;**

**„The wall street journal“ — „დემოკრატიის კლება“;**

**ფრანსესკ დე კარერასი — „ეპოქის დასასრული“**

მხოლოდ სათაურების წაკითხვაც კი ბუნებრივად გაგიჩენს ახლის დაწყების მოლოდინს. რაღაცის დასასრული ლოგიკურად რაღაცის დასაწყისს ნიშნავს.

ამ ახლის დაწყებამდე კი ამპარტავნების ეპოქის დასრულება და ზნედაცემული ღვთაების — დემოკრატიის კლება უნდა აღინიშნოს.

სიჩუმე მსოფლიოში — რექვიემს მოვუსმინოთ, დემოკრატიის რექვიემს!

**ბონდო მჭედლიშვილი**

# გიგი უგულავას ფერადი სიზმრები

**ამასწინათ „ნიუსვიკში“ გამოქვეყნებული გიგი უგულავას ინტერვიუ უფრო მეტია, ვიდრე ერთი დიდმოხელის „ფიქრები ხმამაღლა“.
რანგის მიხედვით, არცთუ ისე დიდის, თორემ, გულახდილად რომ ვთქვა, დედაქალაქის მერი ნაციონალური მოძრაობის ყოვლისმკადრებელი კადრებიდან ვიზუალურადაც გამოირჩევა და პიარტექნოლოგიებსაც „ყოვლად მაღალზე“ და „ყოვლად მაგარზე“ არანაკლებ ფლობს.
ამჯერად კი დაუკრეფავში გადავიდა და რისხვაც დაიმსახურა.
ნიუსვიკელი ელიზავეტა მაეტნაიას შარმით მოხიბლულმა მას ისეთი რაღაცები უთხრა, ყოველთვის მშვიდსა და უსაზღვრო მოთმინების უნარით ღვთისგან დაჯილდოებულ პრეზიდენტ სააკაშვილსაც კი წონასწორობა დააკარგვინა.
ამას ვინ წარმოიდგენდა? აი, ასეთი რამეებიც ხდება!**


ზურგსუკან კოჭის გამგორებელი


„Давайте выпьем за Великого политика...“

ვნახოთ, რა უთხრა გიგიმ ელიზავეტას:

**„თუ რუსეთს დიალოგი სურს, ხელისუფლებას უნდა ესაუბროს. და პირველი საკითხი, რომლის გადაწყვეტის გარეშეც დიალოგი შეუძლებელია, დეოკუპაციაა ჩვენი ტერიტორიების იმ 20 პროცენტისა, რომელიც რუსულმა ჯარმა 2008 წლის აგვისტოში დაიკავა. ნურავინ იფიქრებს, რომ, თუ აღდგება პირდაპირი კავშირი მოსკოვსა და თბილისს შორის, გაიხსნება საზღვარი ლარსში, ქართული ღვინო და მანდარინი კი რუსულ ბაზარს დაუბრუნდება — ეს ყველაფერი მთავარ საკითხს დღის წესრიგიდან მოხსნის. და თუ ეს ყველაფერი „თაფლაკვერია“ აგვისტოს „მათრახის“ შემდეგ, ამით ჩვენ ვერ მოგვისყიდით“.**

ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწის სიტყვებია. წლებით დამძიმებული და დაბრძენებული პოლიტიკოსის რამდენიმე წინადადებაში ჩამოსხმული სიბრძნე და ნაქანდაკარი, რომელსაც მთელი ქვეყნიერების ტროტილიც კი ვერაფერს დააკლებს. ამით ვერავინ მოგვისყიდითო!

ვისი ყიდვაც არ შეიძლება ფულით, იმას იყიდი... დიდი ფულით. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, გიგი უგულავს ყიდვა **ამით** შეუძლებელია, მაგრამ **რაღაცით** მაინც ყოფილა შესაძლებელი მისი უმერესობის ყიდვა.

მაინც **რით** და **რამდენად**?

ეს ჩვენ გვაინტერესებს, თორემ „ნიუსვიკმა“ ეს შეკითხვა კიდეც დასვა და პასუხიც მიიღო — გიგის საკადრისად კომპეტენტური:

**„თუ რუსეთი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან თავის ჯარებს გაიყვანს, სანაცვლოდ საქართველო ნატოში შესვლაზე უარს იტყვის. მაგრამ არ მგონია, რომ ასეთი ნაბიჯი გადაიდგმება. ის ურთიერთობა, რომლებიც ამჟამად რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს, არ არის ის ფორმატი, რომლის დროსაც შესაძლებელია ფუნდამენტურ საკითხებზე ლაპარაკი. პუტინსა და სააკაშვილს შორის პერსონალური უსიყვარულობა მეორე პლანზე უნდა გადავიდეს. დროა, საუბარი დაიწყოს, მაგრამ იგი რუსეთმა უნდა დაიწყოს“.**

ოოო, საქმეს შემობრუნების პირი უჩანს!

მოსკოვის მედიაფორუმზე, რომლის მონაწილეებსაც რფ პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიმართა და შეკითხვებსაც უპასუხა, ყურადღების ცენტრში მოექცა ჟურნალისტ თენგიზ პაჭკორიას შეკითხვა, რჩევასაც რომ გულისხმობდა. სწორედ მან გაუსვა ხაზი „მათრახის“ პოლიტიკის „თაფლაკვერის“ პოლიტიკით შეცვლის აუცილებლობას. მაშინ ხელისუფლებამ პიერ კარდენის ჩოხის კალთები შემოიბრდღვნა და სამივე სახელისუფლო ტელეარხით ისტერიკა დაიმართა, მარტო „რუსთავი 2“-ზე ხუთი სიუჟეტი მიუძღვნეს ამ ფორუმს და ყველა — ნეგატიური.

პრეზიდენტმა მედვედევმა კი განაცხადა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მოუგვარებელი პრობლემები არ არსებობს, თუმცა...

რაღა თუმცა, პირდაპირ თქვა — პრეზიდენტ სააკაშვილთან და საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთან საქმეს არ დავიჭერთო.

არ ვიცი, ამ **„რამდენიმეში“** იგულისხმება თუ არა გიგი უგულავა, მაგრამ ისიც დიდი შეღავათია, სააკაშვილთან მიმართებაში სიტყვა **„პრეზიდენტი“** რომ ახსენა და არა უწინდელივით — **„მოქალაქე“.**

პრეზიდენტ მედვედევის ეს მესიჯი საქართველოს ხელისუფლებაში კარგად გაიგეს და ამიტომაც ატყდა ვაიუშველებელი, მაგრამ ყველაზე ყოჩაღი გიგი უგულავა აღმოჩნდა. მას არ უნდა იმ ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს შორის ყოფნა, ვისთანაც ლაპარაკი ესირცხვილებათ (და არამარტო რუსეთში). არ უნდა ხელჩამოურთმევლებს შორის იგულისხმებოდეს და მოიხსენიებოდეს.

ამიტომაც ნახეთ, როგორ წაეპოტინა იმ გორგალის ძაფს, რომელიც ექსპრემიერმა ნოღაიდელმა კრემლიდან პრემიერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ წამოიღო?

არც ნოღაიდელია მეფე მინოსის ქალიშვილი, მშვენიერი არიადნე და არც გიგი უგულავა — გმირი ჭაბუკი თესეოსი, რომელიც არიადნეს ერთი ნახვით შეუყვარდა, გორგალიც მიიღო, ურჩხულის მოკვლის შემდეგ ძაფს გამოჰყვა და ადვილად გამოაგნო გზა ლაბირინთიდან.

იცის უგულავამ, რომ ნოღაიდელი დაღლილი კი არის, მაგრამ არა — გაშტერებამდე, და გორგალს არ მისცემს; ამიტომ მიშას ზურგს უკან კოჭს უგორებს რუსეთის ხელისუფალთ, ერთი გორგალი მეც მიბოძეთ და ამ ურჩხულს მოგაშორებთო.

პრემიერ პუტინისა და ექსპრემიერ ნოღაიდელის მოსკოვურ შეხვედრაზე მერ უგულავას ყველასთან ერთად ბევრი უცინია. **„ეს ხომ ძალიან არასერიოზულია!“** — უგულავა ნოღაიდელს დასცინის და „ბრწყინვალე შაჰის ცოლების“ დეფილეზე კეკლუცობს.

**„პუტინი დიდი პოლიტიკოსია** (უგულავამ რუსულად სწორედ ასე თქვა — **„Великий политик“** — ბ.მ.), **მსოფლიოს გავლენიან ადამიანთა სამეულში შედის...“**

გესმით? მართალია, უგულავას ორი გავლენიანი არ დაუსახელებია, მაგრამ წაიკითხა, როგორც უკვე ვთქვი, **ყოველთვის მშვიდმა და უსაზღვრო მოთმინების უნარით ღვთისგან დაჯილდოებულმა საქართველოს პრეზიდენტმა** ეს სიტყვები და დაიწყო კაკლის მტვრევა. ალბათ, მიხვდა, რომ **უგულავასთვის სააკაშვილი არც პირველია და არც — მეორე. უფრო მეტიც, გავლენის თვალსაზრისით, მისი შეხვედრების მიხედვით თუ ვიტყვით, ნულია!**

შანტაჟის სუნი დადგა. ამას მიშაც კი მიხვდა. როგორია საგულდაგულოდ გაპიარებული და თითქმის საარჩევნო ფინიშთან მისული უგულავასთვის ხელისკვრა?

არ გამოვა. რა ქნას? აგრძელებს კაკლის მტვრევას...

გამოხტნენ ნაციონალური მოძრაობის ძუძუს ჩაფრენილი ექსპერტები, — რას ამბობთ, უგულავა რა შუაშია, ამის შესახებ ჯერ კიდევ როდის შესთავაზა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრეზიდენტ პუტინს, — სულ არ შევალთ ნატოში, ოღონდ ტერიტორიები დაგვიბრუნეთო.

პრეზიდენტმა სააკაშვილმაც იცოდა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ცხრაკლიტულს მხოლოდ ერთი გასაღები აღებდა და ისიც **„კრემლშია, პუტინთან არის...“** მაგრამ არ ენდნენ ცნობილ გადამგდებს. თუმცა მანამდე მოსკოვმა შესთავაზა, პრობლემები არ შეგექმნებათ, ოღონდ თქვენთან სხვა ქვეყნის ბაზებს ნუ განათავსებთო. ამან, „ჩვენმა“, კიო, უპასუხა. მაგრამ როგორ მოიქცა? გაგიკვირდებათ და, — ცხვირმოუხოცავი ღლაპივით!

ახლა კი იმავეს ამბობს გიგი უგულავა — ტერიტორიების სანაცვლოდ, მზად ვართ, ნატოზე უარი ვთქვათო.

ესენი კიდევ ბევრ რამეზე იტყვიან უარს, ოღონდ კი საკუთარი ფუმფულა თუ ნადიეტარი უკანალები გადაირჩინონ!

ძუძუნაწოვი ექსპერტებიც კვერს უკრავენ და მახათებიც მოუმარჯვებიათ... კვერებისთვის!

სააკაშვილმა, — შენ, ბიჭო, სულ გამოგალენჩა (სავარაუდოდ, სხვა სიტყვას იტყოდა!) დიეტებმა, ვინ გეკითხება, რით მომისყიდიან, დახლში ვინ დაგაყენა, შე მართლა მეროო (აქაც სხვა სიტყვას იტყოდა, ხომ იცით, წონასწორობადაკარგული სიდინჯით განთქმული კაციც კი ხანდახან ბილწსიტყვაობს!).

უგულავამ, ყოველდღე რომ ტელევიზორშია მანანა მანჯგალაძის ნაცვლად და მასზე ხშირადაც, თვითონ კი არ თქვა, მსგავსი რამ არ მიპასუხია, ჟურნალისტმა თვითნებურად დაწერაო, მერიას გაავრცელებინა განმარტება.

ეს განმარტება უბრალო არ გეგონოთ, მომავალში რომ სახელმწიფო ენად გამოგვიცხადებენ იმ ენაზე, ანუ ინგლისურად უპასუხეს რუსულ „ნიუსვიკში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს. ჩვენც მოვთარგმნოთ ერთ-ერთ იმ ენაზე, ჯერ კიდევ რომ კადრულობენ ლაპარაკს სახელისუფლებო დერეფნებში:

**„ინტერვიუ თბილისის მერთან, გიგი უგულავასთან, რომელიც „ნიუსვიკის“ რუსულ გამოცემაში 15 იანვარს დაიბეჭდა, შეიცავს უამრავ უზუსტობას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მერის განცხადება ნატოსკენ სწრაფვაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს ტერიტორიების რუსი საოკუპაციო ძალებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ. გიგი უგულავას არასოდეს უგულისხმია, რომ საქართველოს მისწრაფება ნატოს მიმართ სათუოა და ამით ვაჭრობა შეიძლება.**

**ნატოში გაწევრიანება არის ქართველი ხალხის ძლიერი სურვილი, რომელიც დადასტურდა 2007 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგებით. მერს არ აქვს არც უფლება და არც განზრახვა, იგნორირება გაუკეთოს ქართველი ხალხის ნებას. უფრო მეტიც, მერი თავად დიდი მომხრეა ნატოს წევრობისა და მიაჩნია, რომ ეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია“.**

თურმე „ყველაზე მნიშვნელოვანი უზუსტობა“ ყოფილა მერის განცხადება ნატოსკენ სწრაფვაზე უარის თქმის შესახებ.

როგორც ჩანს, მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილს არ უმტვრევია კაკალი. იქ, გაღმაც, შეშფოთდნენ, ნატოში თუ აღარ გინდათ და გორგალს კრემლში ეძებთ, ჩვენ ნუღარ გვიგორებთ კოჭს, თორემ ავაგდებთ კოჭს და... მაინც რა ნიჭიერები არიან, საქართველოში რამდენიმე წაქეიფებისას სკაბრეზული გამოთქმებიც აუთვისებიათ.

ამიტომაც, თარგმანში რომ არ დაკარგულიყვნენ, პირდაპირ ინგლისურად დაწერეს (კი არა და, — დაწერა უგულავამ) და დააზუსტეს, რისი უფლება არ აქვს და რისი მომხრეა მერი!

**მაგრამ რა ვუყოთ თვით უავგუსტესი სააკაშვილის ნათქვამს, რომ მან სწორედ 2007 წლის 5 იანვრის პლებისციტის, ანუ „ქართველი ხალხის ძლიერი სურვილის დადასტურების“ შემდეგ შესთავაზა პრეზიდენტ პუტინს, საერთოდ არ გვინდა ნატო, ოღონდ სოხუმში გამარონინეო?**

როგორ ფიქრობთ, დაუჯერებდა პუტინი იმ ადამიანს, რომელიც იმპროვიზებული ტყუილების უკიდეგანო სივრცეში ლივლივებს?

არც დაუჯერა.

რამდენჯერ შეიძლება მოიტყუოს სახელმწიფოს მეთაურმა — ერთხელ, ორჯერ... (დააჭყიტა თვალები ქეთევან ღლონტმა — რვაჯერ?!).

არც ერთხელ!

დიდ პოლიტიკაში სიტყვის ფასი მთქმელის მოცულობით (თქვენ სიმაღლე და წონა, გნებავთ, ბრუტო და ნეტო იგულისხმეთ) არ იზომება.

და გადავიდა პრეზიდენტი სააკაშვილი პოლიტუწონობის მდგომარეობაში.

მის ექსპერტებს კი ჰგონიათ, უგულავას იცავენ, როდესაც სააკაშვილის ამ გაფრენილ სიტყვებს (ნეტა, მართლა მარტო სიტყვებს აფრენდეს!) იმოწმებენ, — ეგ მიშამაც თქვა, გიგიმ მხოლოდ გაიმეორაო.

რა გამოდის: **რისი არც უფლება და არც განზრახვა არ აქვს გიგის, იმის უფლება მიშას ჰქონია და განუზრახავს კიდეც „ქართველ ხალხის ძლიერი სურვილისა და ნების“ იგნორირება.**

მაგრამ არ გამოუვიდა, უარით გამოისტუმრეს და ამასაც გვიმალავდა, სანამ აგვისტოს რისხვა არ დაგვატყდა. ანდა, სხვა რა გამოსვლია? გიგიმ კი იგუმანა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან და მისი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთან ასოცირება ხეირს არ დააყრის.

ამიტომაც ცდილობს, დისტანცირებას, — კარგად იცის, რომ **კონტრაბასის ფუტლიარი აღარაფერში არგია, და რომ „Путин великий политик...“**

სააკაშვილი კი...

აღარ გვინდა წარსულზე ლაპარაკი. ამომავალ ვარსკვლავს გაუღიმეთ, რომელსაც, გიგა ბოკერიასგან განსხვავებით, თვალები არ ეხუჭება, მაგრამ ფერად-ფერადი სიზმრები მაინც ესიზმრება — ვარსკვლავბიჭუნა გიგი უგულავას; მზერას ნუ მოაშორებთ და, როცა ქართული პოლიტიკის ცის კაბადონს მოსწყდება, ნურაფერს ჩაიფიქრებთ.

მაინც არ აგისრულდებათ!

**ბონდო მძინარაშვილი**


ის დრო ჯობდა — დიდებული, ქებული?..

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გოჩა კუპრავა მიშას ერთგულებას ექვსწლიანი მდუმარებით უმტკიცებს


კადრი ფილმიდან „მიმინო“


გოჩა კუპრავა

**საქართველოს VII მოწვევის პარლამენტის კიდევ ერთი „ნაციონალი“ დეპუტატი, რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ იცნობს, გოჩა მურმანის ძე კუპრავაა. შესაძლოა, მას არც სურს, საზოგადოების ცნობად სახეს წარმოადგენდეს, რადგან ასე გაცილებით ადვილია პრეზიდენტის ბრძანებების უსიტყვოდ შესრულება და პულტზე თითის მორჩილად დაჭერა. პასუხისმგებლობაც თითქოს უფრო ნაკლებია, რამდენადაც არ იციან — ვინ ხარ და რას წარმოადგენ. შესაბამისად, არავინ დაგდებს ბრალს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ ქვეყანაში ჩადენილი უკანონობისა და დანაშაულებრივი ქმედებების თანაზიარობაში; საქვეყნოდ არავინ გესვრის ტალახს.**

არც ისაა გამორიცხული, რომ მას მასმედიასთან ურთიერთობისა და საკუთარი აზრის დაფიქსირების სურვილი ჰქონდეს, მაგრამ მიშას მიერ მიცემული დირექტივები არ აძლევდეს ამის საშუალებას. ასეა თუ ისე, რაკი ბატონმა გოჩამ აქამდე ვერ მოახერხა საქართველოს მოსახლეობისთვის წარედგინა საკუთარი თავი, შევეცდებით, ჩვენ გავაცნოთ იგი საზოგადოებას. მასზე ხომ გარკვეულწილად საქართველოს მომავალია დამოკიდებული.

გოჩა კუპრავა 1970 წელს სოფელ ძველ აბაშაში დაიბადა; ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი; დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამშენებლო ნაკეთობათა და კონსტრუქციების მშენებლობის სპეციალობით. კვალიფიკაციით ინჟინერ-მშენებელ-ტექნოლოგია; შრომითი საქმიანობა, „ნაციონალი“ დეპუტატების უმრავლესობის მსგავსად, უბრალო მუშით დაიწყო. 1987-1988 წლებში აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში შემკეთებლად მუშად მუშაობდა. 1988-დან 1995 წლამდე რით იყო დაკავებული მომავალი პარლამენტარი, მისი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებიდან არ ჩანს, რომელიც პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზეა წარმოდგენილი. შვიდწლიანი შესვენების შემდეგ უბრალო მუშა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მუზეუმის დირექტორად გვევლინება და წელიწადნახევრის შემდეგ, 1996 წელს, კარიერაში კიდევ უფრო დიდ წარმატებას აღწევს და აბაშის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობაში გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ ინიშნება. 2001 წლიდან მას უკვე პოლიტიკური ამბიციები უჩნდება. ის პოლიტიკური გაერთიანების „გაერთიანებული დემოკრატები“ წევრი ხდება და აღნიშნული პარტიის რეგიონალურ სამსახურს ხელმძღვანელობს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პოლიტიკური ამინდის ცვლილების შესაბამისად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ხდება და საორგანიზაციო მდივნის თანამდებობას იკავებს. 2006 წლიდან დღემდე კი ნაცების აღმასრულებელი მდივანია.

2004 წელს მიხეილ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი გოჩა კუპრავა VI მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მან მიშას იმედები გაამართლა (მას არ გასჩენია ოპოზიციაში გადასვლის სურვილი, არასოდეს გაუკრიტიკებია ხელისუფლება და ზედმეტ ამბიციებსაც არ შეუწუხებია), ჯილდოდ VII მოწვევის პარლამენტის დეპუტატის მანდატი მიილო, რითაც 4 წლით გაიხანგრძლივა პარლამენტარის კომფორტული და მშვიდი ცხოვრება.

ბატონი გოჩა საფინანსო-საბიუჯეტო და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების წევრია; გამოირჩევა სანიმუშო ყოფაქცევით, არასაპატიო მიზეზით არ აცდენს საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებს; ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას ესწრება, როგორიცაა, მაგალითად, 2010 წლის საქართველოს ბიუჯეტი, თავდაცვის უწყებაში შესატანი ცვლილებები და ა.შ. სამწუხაროდ, მას არც ერთხელ არ გასჩენია სურვილი, საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა ამა თუ იმ კანონპროექტთან დაკავშირებით. არც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და არც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ოქმებში მისი გვარი მომხსენებელთა სიაში დაფიქსირებული არ არის, თუმცა ოქმებს ბოლოში მითითებულია, რომ კომიტეტმა ერთხმად გადაწყვიტა ამა თუ იმ ცვლილების მიღება.

როგორც ირკვევა, ხელისუფლება გოჩა კუპრავას ცოდნასა და ინტელექტს დიდად აფასებს. ის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში (სუამი) მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის სათადარიგო შემადგენლობაშია. ასეთი პატივი კი, ძირითადად, გოკა გაბაშვილისა და პეტრე ცისკარიშვილის „რანგისა და გამოცდილების“ მქონე დეპუტატების ხვედრია VII მოწვევის პარლამენტში. თუმცა საინტერესოა, როგორ უნდა მოახერხოს გოჩა კუპრავამ **სუამში** სიტყვით გამოსვლა და საქართველოს ინტერესების დაცვა, როცა ასორმოცდაათკაციან პარლამენტში ხელისუფლების ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების, ამა თუ იმ საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობისა და ლოგიკურობის დასაბუთება არ შეუძლია. ექვსი წლის მანძილზე ვერაფრით დაამახსოვრა საზოგადოებას თავი. მოსახლეობა შსს-ს მაღალჩინოსნებს უკეთ ცნობს, ვიდრე თავის დეპუტატს.

ბატონი გოჩა „დიდი მიშიკოს“ კვალად ევროპის პარლამენტებთან ურთიერთობას ამჯობინებს. ის იტალიისა და ლიტვის პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფშია ჩაწერილი.

ეს ის ძირითადი ინფორმაციაა, რაც გოჩა კუპრავას შესახებ პარლამენტის საიტიდან შევიტყვეთ. სამწუხაროდ, ევროკავშირის დაფინანსებით შექმნილი ვებპორტალი მეტის საშუალებას არ იძლევა და, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, მკითხველს ვერ მივაწვდით ისეთ ინფორმაციას, მაგალითად, თუ რას საქმიანობდა ბატონი გოჩა 1988-1995 წლებში ან როგორ დაინიშნა პროფესიით ინჟინერ-მშენებელი სახლ-მუზეუმის დირექტორად და ა.შ.

რაკი აღნიშნულ საიტზე საინტერესო ბევრი ვერაფერი ვნახეთ, ცნობილ ადამიანებს ვკითხეთ — იციან თუ არა ვინ არის გოჩა კუპრავა?

**კახა ცაბაძე, კომპოზიტორი:**

— არ ვიცი ვინ არის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას. მთავარია, საქმე აკეთოს. თანაც ვაკის მაჟორიტარი ხომ არ არის, რომ ვიცნობდე?! ალბათ, თავისმა ამომრჩეველმა იცის, ვინცაა და რას წარმოადგენს.

**— ბატონო კახა, ის მაჟორიტარი არ გახლავთ, პარტიული სიით არჩეული დეპუტატია, შესაბამისად, მარტო ერთი რაიონის ან რეგიონის მოსახლეობა არ უნდა ცნობდეს.**

— აუცილებელი ხომ არ არის ყოველდღე ტელევიზიით გამოდიოდეს. პირიქით, ზედმეტი აჟიტირების წინააღმდეგი ვარ. ვისაც სახეზე ვიცნობთ და ვისი გვარიც ვიცით, წარმოდგენა არ გვაქვს, რა გაუკეთებია. მთავარია, საქმე აკეთოს. რამდენი ადამიანი ქვეყნისთვის სასარგებლოდ ჩუმად იღვწის.

**ზურაბ ტყემალაძე, პარტია „მრეწველების“ წევრი:**

— გოჩა კუპრავა არ ვიცი, ვინ არის.

**— „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით არჩეული პარლამენტარია. ბატონო ზურაბ, რამდენად მისაღებია თქვენთვის, როდესაც დეპუტატებს არ იცნობს საზოგადოება?**

— ის ჩემ მიერ არჩეული არ არის და რომ არ ვიცნობდე, გასაკვირი არცაა. საერთოდ, პარლამენტის წევრები ცნობილი პიროვნებები უნდა იყვნენ.

**— როცა დეპუტატების უდიდეს ნაწილს არ იცნობს საზოგადოება, ეს თავად ამ პოლიტიკოსების პრობლემაა, მათი პარტიისა თუ ამომრჩევლის?**

— ეს ამომრჩევლის პრობლემაა, რადგან ამომრჩეველი ერთი კაცის გულისთვის მთელ მის გუნდს უჭერს მხარს, მიუხედავად იმისა, იცნობს თუ არა მათ. ამომრჩეველი უნდა აანალიზებდეს მთელ სიებს, მთელ გუნდს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდეს გადაწყვეტილებას.

**— ცალკეული ადამიანები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსმა ქვეყნის სასარგებლო საქმე შეიძლება ჩრდილშიც, ანუ ჩუმად აკეთოს.**

— ჩუმად ქველმოქმედება უნდა გაწიო. რაც შეეხება საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საკეთილდღეო საქმის კეთებას, ის შეუმჩნეველი არავის დარჩება. ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“.

**ნათია ქადაგიშვილი**

# კოლხეთი მეორედ დაჭაობდება

**სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციისა და მშენებლობებისათვის თანხების მკვეთრად შემცირების გამო კატასტროფულ მდგომარეობაშია კოლხეთის ზონაში ჰიდროგრაფიული ქსელი. ამ დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების განცხადებით, ნალექებით, შამბნარებით, ხეებითა და ბუჩქნარებით გაივსო მაგისტრალური დედა-არხები, კოლექტორები, წყალშემკრები კვალთა შუა არხები, დახურული სადრენაჟო სისტემები; განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და სატუმბი სადგურები, რის გამოც ტიტანური შრომის შედეგად დაშრობილ კოლხეთის დაჭაობებულ ფართობზე ისევ ინტენსიურად მიმდინარეობს მეორადი დაჭაობების პროცესი და, შეიძლება, მალე პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს.**



კოლხეთის რეგიონში მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესები ხელს შეუწყობს მალარიის გადამტანი კოღოს კვლავ გაჩენასა და გავრცელებას. დაშრობილ მიწებზე მდინარეებზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაპირდამცავი ნაგებობების მხრივ სავალალო მდგომარეობაა. როგორც სპეციალისტები და ექსპერტები აცხადებენ, წყალდიდობის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაპირდამცავი ამორტიზირებული ნაგებობები ვერ უძლებს რეგიონისათვის ჩვეულ წყალდიდობებს; მეტიც, წყალდიდობა ანადგურებს საუკეთესო მიწის ნაკვეთებს, თხილნარებს, მრავალწლიან ნარგავებსა და ერთწლიან კულტურებს; გზებს, ხიდებს, ელექტროგადამცემ ხაზებს, შენობა-ნაგებობებს, პირუტყვისა და ფრინველის სადგომებს.

ბოლო წლებში მომხდარმა წყალდიდობებმა უდიდესი ზარალი მიაყენა სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობას. სამწუხაროდ, ბევრ სოფელში არ არსებობს წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაგებობები, ადამიანები ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაპირდამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მხრივ მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მდინარე ენგურის ხეობაში, სოფლებში, როგორიცაა: ორსანტია, განმუხური, ტყაია, შამგონა, კოკი, ანაკლია; მდინარე ჯუმზე, სოფლებში, როგორიცაა: დარჩელი, დიდინეძი, ცაიში, ურთა, კოლხიდა და ახალსოფელი; მდინარე ჭანისწყალზე, ნარაზენსა და ქვედა ჯიხაშკარში; მდინარე ჩხოუშიაზე, სოფელ ზედაეწერსა და ოქტომბერში. მოსახლეობა ხედავს, რომ წყალდიდობისაგან ზარალი, ძირითადად, ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით მდინარე ენგურის ხეობაში დიდი რაოდენობით წყლის ხარჯების ინტენსიურად ჩამოდინების დროს ადგებათ. ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტები გვირჩევენ, რომ, როდესაც იწყება ისეთი გიგანტური ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორიც ენგურჰესია, აუცილებელია, ჯერ ენგურის ხეობა მომზადდეს წყალდიდობის მისაღებად და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს წყალსაცავის დაცლა და დაიწყოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო, არ მუშაობს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებსაც, ძირითადად, ინერტული მასალა ამოჰქონდა მდინარე ენგურისა და სხვა მდინარეების კალაპოტებიდან. ამჟამად დაბა ჯვრიდან ანაკლიამდე მდინარე ენგურის ხეობაში დაგროვილია ჭარბი ინერტული მასალა, რომელსაც დაკავებული აქვს წყლის სავალი ნაწილი, რის გამოც მდინარის ფსკერი ზოგიერთ სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და წყალდიდობისას წყალი დასახლებულ პუნქტებში ხვდება. სპეციალისტებსა და ექსპერტებს კოლხეთის დაბლობში პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოსაგვარებლად მიზანშეწონილად მიაჩნიათ, პირველ რიგში, მდინარეებზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაპირდამცავი ნაგებობების საიმედოდ მოწესრიგება, რადგან ამის გარეშე სხვა სახის სამუშაოების შესრულებას აზრი არ აქვს.

დროა, ყველამ ერთად, ვისაც გული შესტკივა კოლხეთზე, შემოვკრათ განგაშის ზარი. პრობლემა გლობალურია. ის არ მოიცდის, უყურადღებობას არ გვაპატიებს. ამიტომ თუ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად არ მივხედეთ კოლხეთს, იგი მეორედ დაჭაობდება.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ეს ის სატყუარაა, რომელსაც პენსიონერთა დიდი ნაწილი აუცილებლად გადაყლაპავს»

**მას შემდეგ, რაც სახალხო ბანკის აქციათა პაკეტის თითქმის ნახევარს ახალი მფლობელი გამოუჩნდა, ბანკმა კლიენტებთან მომსახურების ფორმაც შეიცვალა. ცვლილება, ძირითადად, საპენსიო ფონდისა და სხვა სახის სოციალური დახმარებების მიღებისას კრედიტით სარგებლობას ეხება. ამ უკანასკნელის გამოყენებისას მომხმარებელს საკმაოდ მაღალი პროცენტის გადახდა უწევს, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია. არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, სოციალურად დაუცველი ფენები ბანკიდან ხშირად კრედიტით სარგებლობდნენ. მათ წინასწარ შეუძლიათ კუთვნილი დახმარების გამოყენება, რის სანაცვლოდ გარკვეული ოდენობით პროცენტის გადახდა უწევთ. ლადო გურგენიძის მოსვლის შემდეგ ეს საპროცენტო განაკვეთი გაორმაგდა, ამიტომ პენსიონერსა და სხვა სოციალურად დაუცველ პირს კრედიტით სარგებლობა უჭირს.**



არსებულ პრობლემას საპარლამენტო უმცირესობაც გამოეხმაურა. ისინი თვლიან, რომ **სახალხო ბანკს** პენსიების გაცემის ექსკლუზიური უფლება უნდა ჩამოერთვას, რადგან ბანკმა პენსიონერებს საპენსიო სესხი სამმაგიდან გაუხუთმაგა. მათი თქმით, ბანკის მხრიდან ამგვარი გზებით ფულის კეთება ამორალური საქციელია. „**სახალხო ბანკს** პენსიების გაცემის ექსკლუზიური უფლება არ უნდა ჰქონდეს. რადგან პენსიონერს არჩევანის უფლება არ აქვს, ის იძულებულია, ამ შეღავათებით ისარგებლოს. უმჯობესია, პენსიები რამდენიმე ბანკმა გასცეს, მათ შორის კონკურენცია პენსიონერებს ასეთი შეთავაზებისაგან დაიცავს“, — აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

ბანკის ახალ ინიციატივას პენსიონერთა უკმაყოფილება მოჰყვა. მათი თქმით, ეს მორიგი მახეა, რომელშიც ისინი უსახსრობის გამო ებმებიან. ხელისუფლებას სთხოვენ, რეაგირება მოახდინონ ამ ფაქტზე და კრედიტი კვლავ სამმაგ ოდენობამდე დაიყვანონ.

**პენსიონერი მადონა კამლაძე:** — საკმაოდ მძიმე პირობებში გვიწევს ცხოვრება. ოჯახში ხუთი სული ვართ. მე და ჩემი მეუღლე პენსიას ვიღებთ და ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყაროც ესაა. ყოველდღიური პრობლემები უხვადაა. თვიური 85 ლარით მასთან გამკლავება ძნელია. ხშირად ვსარგებლობდით კრედიტით. წინასწარ ვიღებდი სამი თვის პენსიას და ბანკში პროცენტს დაახლოებით რვა ლარის ოდენობით ვტოვებდი. ახლა გავიგე, რომ კრედიტის საფასური გაიზარდა და, თუ ამით ვისარგებლებ, გაცილებით მეტი პროცენტის გადახდა მომიწევს. **ამბობენ, რომ პენსიებს 10 ლარით ზრდიან. თუ ასეთ კანონებს დაგვიდგენენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ მოგვცემენ, მაშინ რა აზრი აქვს მის მომატებას?** კრედიტით იმიტომ ვსარგებლობ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვარ და სხვა გზა აღარ მრჩება. როდესაც პროცენტებით ნახევარ პენსიას ბანკში დამატოვებინებენ, რა აზრი აქვს მის გამოტანას?! თუ სიკეთეს გვიკეთებენ, ბოლომდე შეგვარგონ.

## «თუ სიკეთეს გვიკეთებენ, ძმრად ნუ ამოგვადენენ»

**პენსიონერი გულიკო მალლაკელიძე:** — ურთულეს პირობებში ვცხოვრობ. თვიდან თვემდე პენსიით ძლივს გამაქვს თავი. დამსახურებული მუშაკი გახლდით. უკვე პენსიონერი ვარ და ჩემი კი არა, ახალგაზრდების დასაქმება ჭირს. პენსია სხვებივით მეც 85 ლარი მაქვს. ამბობენ, 10 ლარით გავზარდეთო და ესეც კარგია, მაგრამ მარტო ეგ ხომ არაა?! მთელი ჩემი ახალგაზრდობა მუშაობას შევალიე. 30-წლიანი სტაჟი მაქვს და ჩემი პენსია სხვებისაგან განსხვავებული ხომ უნდა იყოს. ამაზე რატომ არავინ ფიქრობს. როგორ შეიძლება ყველა ერთი საზომით შეაფასონ?! რაც შეეხება კრედიტს, ძალიან მიხაროდა, რომ უკიდურეს სიტუაციაში წინასწარ შემეძლო კუთვნილი პენსიით მესარგებლა. ახლა გავიგე, რომ კრედიტის აღებისას პროცენტი იმდენად გაიზარდა, რომ თითქმის მეოთხედს ბანკში ტოვებ. ეს ძალიან ცუდია. თუ სიკეთეს გვიკეთებენ, მას ძმრად ნუ ამოგვადენენ. **ამ უკიდურესად დამძიმებულ ყოფაში არავის უხარია, წინასწარ დახარჯოს კუთვნილი დახმარება, მაგრამ იძულებული ვხდებით, ეს გავაკეთოთ. გვიჭირს და გვიმძიმს ყოველი დღის გათენება. სირცხვილია, უმწეოთა ხარჯზე რომ სურთ ხელის მოთბობა და ჯიბის გასქელება.**

პენსიონერები ბანკის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯს აპროტესტებენ. ისინი საუბარში უკმაყოფილებას ვერ ფარავენ. გაზრდილ საპროცენტო გადასახადზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას მოითხოვენ. რამდენად კანონიერია **სახალხო ბანკის** მიერ დამტკიცებული პროცენტი, სავარაუდოდ, პენსიონერთა რა რაოდენობა ისარგებლებს ამ კრედიტით და და რეალურად რა პრობლემის წინაშე დგანან დღეს პენსიონერები, განმარტებისათვის მივმართეთ **ექსპერტ ნოდარ კაპანაძეს**.

„80-85 ლარი, რასაც პენსიონერთა დიდი ნაწილი ღებულობს, თავისთავად ბევრი არაფერია. — აცხადებს კაპანაძე, — დავუშვათ, პენსია თვეში 100 ლარია (რომელიც არაფერს არ ნიშნავს), მაშინ, დიდი დაქვითვის მიუხედავად, ბევრი გაჭირვებული მომდევნო თვის 100 ლარს მაინც გამოიყენებს. **საერთოდ, ადამიანის დამგროვებლობითი ბუნება 100 ლარის ფარგლებში არ მუშაობს. ანუ, ეს ყველაფერი, გარანტირებულად ნიშნავს იმას, რომ პენსიონერთა დიდი ნაწილი პენსიებს ხუთმაგი დაქვითვით აიღებს. ამ პროგრამით რეალურად, პენსიები რაც გასაცემი იყო, იმაზე თხუთმეტი თუ არა, ათი პროცენტით ნაკლები მაინც გაიცემა.** თუ არ გინდა კრედიტი, ნუ გამოიყენებ, მაგრამ ეს ის სატყუარაა, რომელსაც პენსიონერთა დიდი ნაწილი აუცილებლად გადაყლაპავს. რეალობაში 85-100 ლარი არაფერია. **მომდევნო თვეში „ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიაო“, — ასე ათი პენსიონერიდან შვიდი მაინც იფიქრებს და, სავარაუდოდ, კრედიტით პენსიონერების 40-50% ისარგებლებს.**

ხელისუფლების მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა საკმაოდ ჭკვიანურია, მაგრამ, გააჩნია, რა კუთხიდანაა ჭკვიანური. საერთო ჯამში, ხელისუფლებას უჭირს იმ სოციალური ვალდებულებების დაფინანსება, რაც უკვე აღებული აქვს. ამიტომ ამით გარკვეულ ეკონომიას აკეთებს. ადრე კრედიტზე პროცენტი გაცილებით დაბალი იყო და ახლა იმიტომ მოიმატა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა წინანდელთან შედარებით გაუარესდა და რისკიც გაძვირდა. **ეს არის ერთ-ერთი პატარა დეტალი მიმდინარე პრობლემებისა. სამწუხაროდ, პარალერულად ბევრი სხვა პრობლემებია და მასზე არავინ ლაპარაკობს.** ქვეყანაში პენსია დაბალია, არ არსებობს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემური გააზრება და მისი შესრულება, რაც, პირველ რიგში, მოსახლეობამ უნდა მოითხოვოს. სახელმწიფოს რაც უფრო ნაკლები ვალდებულებები ექნება, მით უკეთესია მისთვის. ყველაზე დიდი პრობლემა სისტემური ხედვის არარსებობაა. უნდა მოხდეს გააზრება ამ სისტემისა. რა არის პენსია, რატომ და როგორ უნდა მიიღოს ადამიანმა ის, რა მექანიზმით უნდა მოხდეს პენსიების აკუმულირება და დიფერენციაცია? პირველ რიგში, სისტემური ხედვის ჩამოყალიბებაა საჭირო და დაქვითვები უკვე ტექნიკური მხარეა.“

**სახალხო ბანკში** აცხადებენ, რომ ბანკი კომერციული ორგანიზაციაა და მისი ძირითადი საქმიანობა საკრედიტო მიმართულებაა. ისინი სესხს არავის აძალებენ და მომხმარებელი სასურველი სესხის მოცულობასა და დაფარვის ვადას თავად განსაზღვრავს. ბანკმა საპენსიო სესხის მოცულობის გაზრდის გადაწყვეტილება პენსიონერების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის გამო მიიღო. დეკემბრის თვეში 117 ათასზე მეტმა პენსიონერმა ისარგებლა განახლებული სესხით. ეს ბანკისთვის ისტორიული რეკორდია. ამდენად, ცხადია, რომ ბანკი აღნიშნულ საკითხს მხოლოდ კომერციული კუთხით აფასებს. მფლობელი მხოლოდ საკუთარი ბიზნესის წარმატებაზე ფიქრობს, თუმცა რის ხარჯზე და რის სანაცვლოდ გახდა რეკორდული პენსიონერთა მიერ კრედიტით სარგებლობა, ამაზე არავინ საუბრობს.

**ირმა ჩიტაია**




## პენსიონერები უსახსრობის გამო მახეში გაებნენ

# მეცნიერები 120 წლამდე სიცოცხლეს გვპირდებიან

**მეცნიერები ირწმუნებიან, რომ 120 წლამდე სიცოცხლის ბედნიერება მხოლოდ ქალებს ელით. ახლადაღმოჩენილი გენი ასამმაგებს 100-წლამდე მიღწევის შესაძლებლობას და შესაძლოა, ამცირებს ალცგეიმერის დაავადების ალბათობას.**



სტატისტიკის მიხედვით, დღეისათვის ყოველი მეექვსე ბრიტანელი ქალი პენსიონერია. მომდევნო ათწლეულის დასასრულისთვის პენსიონერი ყოველი მესამე იქნება, მაგრამ მათ უმრავლესობას მოხუცს ვერავინ უწოდებს. უმრავლესობას შეადგენენ სუპერბებოები, რომლებიც 80 წლის ასაკში მოტოციკლეტის მართვისა და პარაშუტით ფრენის შესწავლას მოინდომებენ. მართალია, ამ დროისათვის კომერციული კინემატოგრაფია, ტელევიზია, ბიზნესი და პოლიტიკოსებიც კი ისე იქცევიან, თითქოს 50 წლის შემდეგ ქალებმა მხოლოდ წინდები უნდა უქსოვონ შვილიშვილებს, მაგრამ ამ ტენდენციას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია.

მეცნიერები ქალებს ურჩევენ, 50-60 წლის ასაკისათვის გაითვალისწინონ, რომ კიდევ ამდენი სიცოცხლე წინ აქვთ, გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას, დანაზოგებსა და, რაც მთავარია, ნერვულ სისტემას, რადგან მათ სიცოცხლის ბოლო პერიოდში თითქმის გარდაუვალი დაქვრივება ელით — მამაკაცების სიცოცხლე ამდენად ვერ გახანგრძლივდება.

# „სამსუნგი“ გამჭვირვალე ნოუთბუქს უშვებს

SAMSUNG

**სამხრეთ კორეულმა კომპანია „სამსუნგმა“ მსოფლიოში პირველად გამჭვირვალეეკრანიანი ნოუთბუქი წარმოადგინა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, გამჭვირვალეობა სულაც არ ქმნის გამოსახულების გარჩევის ან ვიდეოს მკაფიო ფერებში ყურების პრობლემას.**

პორტატული კომპიუტერის გამჭვირვალეეკრანიანი პროტოტიპი სამსუნგს OLED-ტექნოლოგიების უპირატესობის დემონსტრირებისათვის დასჭირდა. კომპანია ამ ტექნოლოგიის ფართოდ გამოყენებას გეგმავს. შეგახსენებთ, OLED-დისფლეი სინათლის ორგანული დიოდებისგან იქმნება. ჩვეულებრივ, თხევადკრისტალურ ეკრანებთან შედარებით, ის გაცილებით მცირე რაოდენობით მოიხმარს ელექტრო ენერგიას და გამოსახულების ხარისხის მხრივ ბევრად ჯობნის მათ. ახლახან გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი ნოუთბუქების ეკრანები სინათლის 40%-ს ატარებს თავის არამუშა ნაწილებზე. ამავე დროს ეკრანის ის ნაწილები, რომლებიც გამოსახულებებითაა დაკავებული, ჩვეულებრივი ეკრანის მსგავსად გამოიყურება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ქართული განათლების რეფორმის მიზანია, მომავალ თაობას არ ჰქონდეს ეროვნული თვითშეგნება და სამშობლოს განცდა

**საქართველოში ჩატარებული განათლებისა და მეცნიერების რეფორმის შესახებ ბევრი დაიწერა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის რეფორმის ყოველი ეტაპის მიმდინარეობა კარგად უნდა იყოს ცნობილი. რეფორმები კორუფციის, რეპეტიტორთა ინსტიტუტის მოსპობისა და ბოლონიის პროცესთან მიერთების ლოზუნგებით მიმდინარეობდა. მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებას არც კორუფციის ბრალდებით დასჯილი უნახავს ვინმე, არც რეპეტიტორთა ინსტიტუტი შესუსტებულა (პირიქით გაძლიერდა) და არც ბოლონიის პროცესის ძირითადი დებულებები შესრულებულა. დაისაჯა ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მიერ დიდი შრომის ფასად შექმნილი, მრავალჭირნახული და ყოველივე ეროვნულის სათავე და წამომწყები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუდენტებს დანაშაულებრივად წაერთვათ უფლება, მოესმინათ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების — თენგიზ სანაძისა და ვანო კილურაძის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ლერი ქურდაძის, პროფესორების — ჯემალ მებონიას, ოლეგ ნამიჩეიშვილისა და სხვათა ლექციები; დაიხურა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და კაბინეტები; უნივერსიტეტიდან გატანილია სამეცნიერო-კვლევითი სექტორი.**



გიორგი ოთხმეზური

**ფიზიკის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის დახურვისას წიგნებს მეოთხე სართულიდან ისროდნენ და ეს ჩვენს უნივერსიტეტში ხდებოდა; უნივერსიტეტში, რომლის ზღურბლსაც წინა თაობების სტუდენტები მხოლოდ ქუდის მოხდის შემდეგ გადააბიჯებდნენ ხოლმე; უნივერსიტეტში, რომლის აღზრდილი მეცნიერები დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოღვაწეობენ და მაღალ პოზიციებს იკავებენ; უნივერსიტეტში, რომლის სტუდენტებზე დღესაც არ წყდება მოთხოვნა განვითარებული ქვეყნების პრესტიჟული უნივერსიტეტებიდან და ფირმებიდან. უნივერსიტეტში ჩატარებული რეფორმა იყო დარტყმა ქართული მეცნიერებისა და განათლების კერაზე, დარტყმა ქართველი ადამიანის სათუთ და საამაყო გრძნობებზე.**

**დღეისათვის რეფორმატორული ცვლილებები, ძირითადად, ჩამთავრებულია (თუ არ ჩავთვლით სასკოლო თუ საუნივერსიტეტო შენობების შეღებვა-შეფერადებას). დღეს ამ გაუაზრებელი, დამანგრეველი რეფორმების თვალსაჩინო შედეგების ანალიზის დრო დადგა, თუმცა განათლების სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე (სადაც ცვლილებები უფრო გვიან იჩენს ხოლმე თავს), რეფორმატორების ნამოქმედარის საბოლოო შედეგების ხილვა, ჯერ კიდევ წინ გვაქვს. რა მდგომარეობაა თსუ-ს რეფორმირებულ ისტორიის ფაკულტეტზე დღეს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური გვესაუბრება.**

**— როგორია რეფორმატორების მიდგომა საქართველოს ისტორიის სწავლებისადმი?**

— რეფორმატორებმა ძირეულად შეცვალეს საქართველოს ისტორიის სწავლებისადმი მიდგომა. ამ მიდგომით საქართვველოს ისტორია განიხილება არა როგორც ცალკე საგანი და ცალკე შესწავლის სფერო, არამედ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ისწავლება, უფრო მეტიც — **მეშვიდე კლასში მოხდა ორი საგნის — ისტორიისა და გეოგრაფიის ერთ სახელმძღვანელოში გაერთიანება;** რა თქმა უნდა, ეს მექანიკური მოვლენაა და მას არავითარი მეცნიერული საფუძველი არ აქვს. ბევრ სკოლაში ერთი და იგივე სახელმძღვანელოდან ისტორიას ისტორიის მასწავლებელი ასწავლიდა და გეოგრაფიას კი — გეოგრაფიის მასწავლებელი. ასე რომ, სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

მთავარი სწავლების ამგვარ პრინციპში ის არის, რომ **საქართველოს ისტორიის ამ კონტექსტში სწავლებისას ხდება მისი სრული ჩაკარგვა მსოფლიოს ისტორიაში,** თუნდაც სახელმძღვანელოს მოცულობიდან გამომდინარე.

**— რით ხსნით რეფორმატორების ასეთ მიდგომას საქართველოს ისტორიისადმი და რას ისახავენ ისინი მიზნად?**

— რეფორმატორების მიზანი არის ის, რომ **ქართველ მოზარდს, ანუ მომავალ თაობას, არ ჰქონდეს ეროვნული თვითშეგნებისა და სამშობლოს განცდა.**

ეს მოვლენა სულაც არ არის შემთხვევითი. ყოველივე ეს შეგნებულად არის გაკეთებული.

— რეფარმატორების მიდგომით სახელმძღვანელოებში საქართველოს ისტორიის მოცულობა უნდა იყოს მცირე, არ უნდა იყოს გამოკვეთილი მსოფლიო ისტორიიდან და აქცენტი უნდა კეთდებოდეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე და ზოგად განვითარებაზე და არა — ეროვნულ პრობლემებზე. 2006 წელს გამოცემული მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოს ავტორები არიან ზურაბ კიკნაზე, ვაჟა ნეიძე, ლელი პატარიძე, მზია სურგულაზე, მერაბ ლაოშვილი, თამარ უზუნაშვილი.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ისტორია უნდა ისწავლებოდეს ცალკე, მსოფლიოს ისტორია კი — ცალკე და მსოფლიო ისტორიის სწავლების მოცულობის გაზრდა არ უნდა ხდებოდეს საქართველოს ისტორიის ხარჯზე. აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია ისტორიისა და გეოგრაფიის ერთი სახელმძღვანელოთი სწავლება. სხვათაშორის, ამ ფაქტს ჯერ კიდევ ლომაიას დროს პრეზიდენტმაც სისულელე უწოდა.

საქართველოს ისტორიის სწავლებაში რეფორმატორების მიერ გატარებული **ცვლილებების პრაქტიკული მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ისტორიის ნიშანი ცალკე არ შევიდეს სასკოლო ატესტატში და, შესაბამისად, მისი ცალკე ჩაბარება ვერ მოხდეს გამოცდებზე** (მსოფლიო ისტორიისაგან დამოუკიდებლად). ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს ისტორიის სწავლის მოტივაცია სკოლაში მაქსიმალურად შემცირებულია და მისი შესწავლა მხოლოდ მეცხრე კლასში გ. ანჩაბაძის სახელმძღვანელოთი მიმდინარეობს.

**— რა ხდება ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტში?**

— საბჭოთა პერიოდში ქართულ უნივერსიტეტში, ისევე, როგორც ყველა განვითარებული ქვეყნის პრესტიჟულ უნივერსიტეტში, არსებობდა ისტორიის დამოუკიდებელი ფაკულტეტი. **რეფორმატორებმა** ბევრ სხვა კათედრასთან ერთად **გააუქმეს საქართველოს ისტორიის კათედრა,** ხოლო ფაკულტეტი სხვა 5 ფაკულტეტთან ერთად ფილოლოგიის ფაკულტეტთან გააერთიანეს. სხვათაშორის,

## რექტორი ხუხუა, მოსვლისას გაკეთებულ განცხადებებში ეწინააღმდეგებოდა ფაკულტეტების გამსხვილებას, თუმცა შემდეგ არაფერი გაკეთებულა ამის საწინააღმდეგოდ.

საქართველოს ისტორიის კათედრასთან 1997-2004 წლებში ფუნქციონირებდა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ლაბორატორიაში გეგმაზომიერად მიმდინარეობდა ქართული წყაროების შესწავლა და კვლევები „ქართლის ცხოვრების" ტექსტზე. ჩვენი კვლევითი სამეცნიერო ნამუშევარი „ქართლის ცხოვრების" ტექსტთან დაკავშირებით გადავეცით მეცნიერებათა აკადემიას „ქართლის ცხოვრების" ტექსტის დამდგენი კომისიისათვის. საერთოდ, ტექსტის დადგენაზე მუშაობდა ჩვენი ლაბორატორია და მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი განყოფილება.

გარდა ამისა, ლაბორატორია მუშაობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსების ბიოგრაფიებსა და მემკვიდრეობაზე. გამოიცა კიდევაც ქეთევან ნებიერიძის მონოგრაფია ცნობილ ქართველ ისტორიკოს თედო ჟორდანიაზე.

**— კათედრების დახურვა მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელდა, ხოლო საქართველოს ისტორიის სწავლება უნივერსიტეტში მხოლოდ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მიმდინარეობს. კათედრის არსებობის პერიოდში თუ ხვდებოდა სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კვლევებში და რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს?**

— კათედრასთან ფუნქციონირებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები და სტუდენტები თავიანთ ნამუშევრებზე მუშაობასთან ერთად ეცნობოდნენ სხვა სტუდენტების ნაშრომებს; შესაბამისად, იფართოებდნენ სამეცნიერო თვალსაწიერს. ეს წრე დღესაც არსებობს, მაგრამ ის ახლა მსოფლიო ისტორიის წრედ გადაიქცა.

**— რეფორმის კიდევ რომელი შედეგებით „გაგვახარებთ"?**

— რეფორმის შედეგებია რუსეთის ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის კაბინეტების, საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული „ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის", „პარტიების ისტორიების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის" დახურვა.

**— როგორც თქვენი ნაამბობიდან ჩანს, რეფორმა თსუ-ში ტარდებოდა კათედრების, ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სამეცნიერო ცენტრების დახურვის ნიშნით. არის თუ არა ისტორიის ფაკულტეტზე დღეს პირობები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის? სრულდება თუ არა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი დებულება – სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიანობის შესახებ?**

— კვლევითი მუშაობა დღეს უნივერსიტეტში მხოლოდ პირად ინიციატივაზეა დამოკიდებული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის არავითარი პირობები აღარ არსებობს. როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო პროცესს დიდი დარტყმა მიაყენა იმ ფაქტმა, რომ

## ბევრი პროფესიონალი და ღირსეული სპეციალისტი აღმოჩნდა უნივერსიტეტს გარეთ, რის შედეგებსაც ჩვენ მომავალში მოვიმკით.

რეფორმის დამსახურებაა ისიც, რომ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, ყოველწლიურად კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მაგისტრატურის ჯგუფის გახსნა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს საქართველოს ისტორიისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. წელს მაგისტრატურის ჯგუფი, ბოლოსდაბოლოს, 7 კაცის რაოდენობით გაიხსნა.

**— ამდენი დახურვისა და გაუქმების ფონზე, თითქოს რაღაც ძვრებზე არის ლაპარაკი.**

— ჩემი აზრით, განათლების სამინისტრომ გააანალიზა დაშვებული შეცდომები და ცდილობს მათ გამოსწორებას — შეიქმნა სახელმძღვანელოების ახლებურად შედგენისათვის ჯგუფი; ყოველ შემთხვევაში, ამაზე არის ლაპარაკი.

**— უნივერსიტეტის გადარჩენის რა გზებს ხედავთ?**

— უპირველეს ყოვლისა, განათლების კანონი უნდა აკმაყოფილებდეს ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს.

## სახელმწიფო ყოველწლიურად უნდა ზრდიდეს უნივერსიტეტის დაფინანსებას და, რაც მთავარია, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტის სრულ ავტონომიას. უნივერსიტეტში უნდა აღდგეს სამეცნიერო სექტორი.

რაც შეეხება უნივერსიტეტში ჩარიცხვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სკოლის ატესტატს. შემდეგ კი ახალგაზრდამ უნდა ჩააბაროს საგანი არჩეულ სპეციალობაში. ჩემი აზრით,

## ყველა ფაკულტეტზე უნდა ბარდებოდეს ქართული ენა და საქართველოს ისტორია.

**P.S. როგორც ხედავთ, ქართულ უნივერსიტეტში რეფორმა და დახურვა-გაუქმება სინონიმები გახდა. რაც შეეხება სამშობლოს ისტორიას, ჩვენს დიდ წინაპარს მოვიშველიებ: „დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა". ამისაკენ მიისწრაფით თქვენ, საქართველოს განათლების რეფორმის „ძვირფასო მამებო"! თქვენ, უცხოეთში „სწავლასა" და გამგზავრებას მოწყურებულო მინისტრებო!**

დალი ქვირია

# ებრაელ ქალებს მოტყუების ნება დართეს

**ავტორიტეტულმა რაბინმა გერცელ გილელე იცხაკმა ებრაელ გოგონებს ნება დართო, პირველ პაემანზე ასაკთან დაკავშირებით იცრუონ.**



ოჯახის შექმნის მიზნით, რამდენიმე წლის დაკლება სავსებით დასაშვებია, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე პაემნის შემდეგ გოგონა თავის რჩეულს სიმართლეს ეტყვის. რაბინის აზრით, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ წყვილი ერთმანეთისთვის ძვირფასი გახდება და ასაკი ვეღარ შეასრულებს გადამწყვეტ როლს მათ ურთიერთობაში. ამგვარი საქციელის უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ გოგონებს, რომლებიც თვლიან, რომ წარმატებული ოჯახის შექმნაში ასაკი უშლით ხელს. ზუსტად იგივე უფლება ეძლევათ მამაკაცებსაც.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# კობა დავითაშვილი იოლად გასაშიფრი მოთამაშეა

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურა დღითიდღე მატულობს. პოლიტოლოგები და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ არჩევნების შესაძლო გაყალბებას მძლავრი საპროტესტო გამოსვლები და სერიოზული ძვრები მოჰყვება; მეტიც, შეიძლება სამოქალაქო ომის საშიშროებაც კი შეიქმნას.**
**ოპოზიციის გარკვეული ნაწილი თან საარჩევნო კანონმდებლობას იწუნებს და თან ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება. გაორება ქართველ პოლიტიკოსთა მუდმივი თანამდევია. ოპოზიციის მცდელობას, პრაიმერით საერთო კანდიდატურა გამოვლენილიყო, შედეგი არ მოჰყოლია.**
**თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობაზე სურვილი „ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმაც გამოთქვა. თბილისის თავკაცობის მსურველი კობა დავითაშვილის ფსიქოპორტრეტს წარმოგვიდგენს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, როგორია ბატონ კობა დავითაშვილის სულიერი სიჯანსაღე, ინდივიდუალობა და პიროვნული პოტენციალის რეალიზების უნარი?**

— კობა დავითაშვილი სააკაშვილის ნეკნიდან გამოსულ პოლიტიკოსთა პლეადას მიეკუთვნება. მან არა ერთხელ შეიცვალა მრწამსიც და პოზიციაც. მას პოლიტიკურ სარბიელზე არ აღმოაჩნდა პოზიციური სიმტკიცე, მაღალი სულიერი ღირებულებები და ურყევი რწმენა. გახსოვთ კობა დავითაშვილის ბრძოლა და მიტინგები სალარო აპარატებთან დაკავშირებით? დღეს ბატონი კობა ამ იდეის ავტორისა და ამ კანონის მიმღები ზურაბ ნოღაიდელის გვერდით დგას. ამიტომ არაა ღრმა და მოწიფული პიროვნება. ძლიერი, შინაგანი პრინციპები მისთვის უცხოა, რის გამოც ავტორიტეტს კარგავს. აშკარად ერევა ერთმანეთში საქვეყნო საქმე და მერკანტელური სურვილები. კობა დავითაშვილი, როგორც პიროვნულ სიმწიფეს მოკლებული ინდივიდი, სამყაროს აღიქვამს სუბიექტურად და ეგოცენტრულად, ამიტომ მის **მე**-ში ხშირად **ჩვენ** არ ვიგულისხმებით. კობა დავითაშვილს არც ინტელექტუალური და არც გონებრივი, არც სულიერი და ზნეობრივი უნარები ჰყოფნის საიმისოდ, გამორჩეული პოლიტიკური ლიდერი რომ იყოს.

დავიწყოთ გონებრივი და ინტელექტუალური უნარებით, საიდანაც სათავეს იღებს ინდივიდის ინტუიცია (ალღო) და პოლიტიკური პროცესების ანალიზი, გამჭრიახი სვლები და დასკვნები. იგი „ვარდების რევოლუციას" მხარში ედგა. ამ პერიოდში 5 შვილის მამამ საკუთარი სახლიც კი გაყიდა, თუმცა კარგად იცოდა (მოგვიანებით განაცხადა კიდეც), რომ „მაშინ იყო დაფინანსება, იყო საერთაშორისო მხარდაჭერა". მაშ, რაში სჭირდებოდა დავითაშვილს სახლის გაყიდვა?! ამ ნაბიჯით რის მიღწევა სურდა? იდეის კაცი ნაკლებ არის, ალბათ, უფრო უპირობო ნდობის მოპოვება უნდოდა. ასეა თუ ისე, ცხადია, მას ალღო ღალატობს, მის ნატურაში არ ზის გამჭრიახი პოლიტიკოსი. თავის ინტერვიუშიც აცხადებს, რომ „ვარდების რევოლუციის" ჟამს მიშა ერთპიროვნული ლიდერი არ იყო, შემდეგ ამ კაცმა მთელი ძალაუფლება აიღო ხელში, კონსტიტუციას დედა უტირა და დიქტატორად ჩამოყალიბდა". ამას ამბობს გამოცდილი პოლიტიკოსი, სააკაშვილთან ნათლობის მადლით დაკავშირებული და პროფესიით იურისტი. მართალია, გაემიჯნა, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, სუბიექტური მიზეზით.

კობა დავითაშვილის ფსიქოტიპს არ გააჩნია პირადულობისა და თვითკმარობის მოთხოვნილება. ის თავის პოლიტიკურ კარიერაში ხშირადაა „მიწებებული" ძლიერ გუნდებთან. ამ ფაქტს თვითონ ასე ხსნის: „მე ყოველთვის დიდი გაერთიანების მომხრე ვარ", თან იქადნის „არავის ორბიტაზე ტრიალს არ ვაპირებ". ფიცი გვწამს და ფაქტები გვაოცებს. ჯერ იყო და მშვენივრად იტრიალა „ვარდების რევოლუციის" ჟამს სააკაშვილის ორბიტაზე, შემდეგ — გაერთიანებული ოპოზიციის „დაუპროგრამებელ" ორბიტაზე. დიდი ალბათობაა, კვლავ აღმოჩნდეს გამარჯვების პრეტენზიის მქონეთა ორბიტაზეც; ფსიქოანალიზს მისივე სიტყვებით შემოგთავაზებთ: „რა გზითაც მოხვალ პოლიტიკაში, იმ გზას გააგრძელებ" — ეს ნიშნავს, რომ ადამიანის სულიერება ღვთიური კოდია და მისი გარდაქმნა არ იქნება.

ალასანიას გამოჩენისთანავე პიროვნული ავტონომიით დაშინებულმა დავითაშვილმა ალასანიასთან ხანგრძლივი კონსულტაციები გამართა. მიუხედავად ბატონი კობას მცდელობისა, იგი ალასანიასთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გულდაწყვეტილი, დიდი გაერთიანებების მომხრე „ხალხის პარტიის" ლიდერი ალასანიას გუნდიდან უარყოფის მიზეზის განმარტებას საჯაროდ მოითხოვდა, „ვერ გაუგია, თუ რატომ უნდა იყოს საქართველო დავითაშვილის გარეშე". ჩვენ კი ის ვერ გაგვიგია, რატომ მიიჩნევდა ათიოდე თვის უკან ბატონი კობა, რომ ალასანიას „ალიანსი" საქართველო იყო?! ისევ იმ მიზეზით ხომ არა, რითაც უნაპირო თავდადებითა და მირონით თავის დროზე ვარდოსნების მგზნებარე მხარდამჭერი იყო?!

**— ვინ არის, ბატონო ზურაბ, კობა დავითაშვილი — სუბიექტი, რომელსაც არ გააჩნია რეალისტური აღქმის უნარი თუ განდიდების მანიით შეპყრობილი ავანტიურისტი?**

— ერთიც და მეორეც. კობა დავითაშვილი მზადაა, ყველაფერზე წავიდეს საკუთარი თავის წარმოსაჩენად. აი, კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი: ბატონი კობა ამბობს — „ნიჰილიზმი გაიზარდა, მაგრამ სააკაშვილის რეიტინგს არ მოუმატებია", იმას კი არ ამბობს, რომ, სამწუხაროდ, პრეზიდენტის რეიტინგს ოპოზიციის რეიტინგიც თან მიჰყვა, ნულს ქვემოთ. ალასანიას უარს კი ასე განმარტავს: „ეტყობა, ეს ძალები უფრო მეტად ამერიკაზე არიან ორიენტირებულნი და არ მოსწონთ, რომ ამერიკის საელჩოსთან მოვაწყე აქცია"; „მე ამერიკას მეგობარ ქვეყნად მივიჩნევ"; ინტერესს იწვევს ეს განმარტებები მისი ფსიქოტიპის შესაცნობად. **ეტყობა** კი არა, მან **კარგად იცის,** საითკენაა ორიენტირებული ალასანიას გუნდი, როგორც თავის დროზე იცოდა, ვინ მოდიოდა სააკაშვილის სახით ან ვინ აფინანსებდა „ვარდების რევოლუციას"; და კიდევ, „მეგობარ" პიროვნებასა თუ ქვეყანას საჯაროდ არ უწყობენ აქციებს. ბატონი კობას ვაიდიპლომატია სავსებით მოკლებულია დამაჯერებლობას და, ერთი შეხედვით, სიბრიყვესთანაა წილნაყარი. დავითაშვილი პოლიტიკურ არენაზე ცუდი, მოუქნელი მოთამაშეა, იოლად გასაშიფრი, რადგან ვერ ახერხებს ქვეცნობიერში გადამალულ ზრახვათა დამალვას, აკლია არტისტიზმი, პიარტექნოლოგიების ცოდნა აზრის გაბუნდოვანებისთვის და შეფუთვისთვის; აკლია თვითკონტროლის უნარი და ნათქვამზე პიროვნული პასუხისმგებლობა. მისი ინტერვიუები ცინიკურ, მოპირისპირე მხარის გულის გასახეთქ შინაარსს უფრო შეიცავს, ვიდრე არგუმენტირებულ, ფაქტებზე დაყრდნობილ ანალიზს. ის არაა იდეის კაცი და მოწოდებით დისიდენტი, — ამბიციურობით დასნეულებული პოლიტიკოსია. შარშან, გაზაფხულზე, მან რწმენა დაკარგა, რომ ქუჩების პიკეტირებით, ხანგრძლივი მიტინგებით, რკინიგზის გადაკეტვითა და მთელი რიგი რადიკალური ფორმებით რამეს მიაღწევდა. თავისი მიზნის მისაღწევად მან ტაქტი და სტრატეგია შეცვალა. ოპოზიციურ განწყობას, რბილად რომ ვთქვათ, ლაგამი ამოსდო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. რითაც „ეგო" წინ წამოსწია და ქალაქის პირველკაცობა მრწამსსა და პოზიციაზე მაღლა დააყენა.

**დაიწყა, ოპოზიციური ტრიბუნებიდან წლობით ნაყვირალი, რომ, სანამ სააკაშვილი იქნება პრეზიდენტი, ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარდებაო. აშკარაა, მას აღარ სურს ბრძოლაში გაწელოს წლები.**

ბრძოლაში გაწელილმა წლებმა ცხადყო, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც მან სიცოცხლისათვის მძიმე ტრავმა მიიღო, მისი რეიტინგი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დღეს, როდესაც თავი მერობის კანდიდატად წარმოგვიდგინა. მისი ფსიქონაკლია, რომ ვერ ფლობს პოლიტიკურ გარემოს და არ შეუძლია თავისი შესაძლებლობების სწორი აღქმა.

**დღეს ქვეყანაში არჩევნების ბედს წყვეტს საერთაშორისო მხარდაჭერა და ფული. მსურველებიც ქვეყნის სათავეში ძალაუფლებისთვის და ფულისთვის მოდიან. ამის გამო იდეალი იკარგება, ქვეყანა იშლება და ხალხში უნდობლობა ისადგურებს. სულიერი სიჯანსაღის მქონე პოლიტიკოსი არსებულ გარემოს ნამდვილად გაითვალისწინებდა, კობა დავითაშვილის პიროვნება კი შებოჭილია საკუთარი სურვილებითა და ვნებებით.**

**— კობა დავითაშვილი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: „ხშირად საუბრობენ ქართულ პოლიტიკაში ბნელ მასებსა და დაბალ დონეზე. არ ვიცი, ბნელი ძალა ვარ თუ დაბალი დონე." იქნებ, თქვენ გასცეთ ამას პასუხი.**

— ფსიქოლოგიურად ადამიანს თავისი წვდომის სამი ნიშანი აქვს: 1. ის, რაც მას აქვს; 2. ის, რაც მას ჰგონია, რომ აქვს და 3. ის, რაც სხვებს ჰგონიათ, რომ აქვს.

კობა დავითაშვილი „ბნელებს" არ მიეკუთვნება, თორემ ნამდვილად იქნებოდა სახელმწიფო მმართველობის ვერტიკალის კლანურ სისტემაში. თან მისი ფსიქიკისთვის უცხოა შენიღბული ზრახვების დათრგუნვისა და დაფარვის ხელოვნება. მისი დონის მაჩვენებელია ის, რომ მიიჩნევდა, მშვიდობიანი აქციებით მიხეილ სააკაშვილი გადადგებოდა.

**როდესაც მერობის კანდიდატად ალასანიაა დასახელებული, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარედ — სოზარ სუბარი, როდესაც დავითაშვილი მოწმეა არაერთი არჩევნების გაყალბებისა, ძალადობისა და მოსყიდვისა, კვლავაც მზადაა, მერობაზე კენჭი იყაროს, ეს საზოგადოების თვალში ეჭვს იწვევს და ჩნდება კითხვა — დავითაშვილი არჩევნებში მონაწილეობით ვის თამაშს თამაშობს? მისი განაცხადი — „ჩემი ამოცანა სააკაშვილის დამარცხებაა" — რამდენად ლოგიკურია?**

ანდა, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უარი თქვა პარლამენტის მანდატზე საჯაროდ, ხოლო შემდეგ თვითმმართველობის მანდატისათვის და ქალაქის თავკაცობისთვის იბრძვის? არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ მომავალი არჩევნებიც არ გაყალბდება. ამომრჩევლებმა, კარგა ხანია, დაკარგეს ნდობა და ფსიქოლოგიური გათვლით ოპოზიცია უკვე პოზიციაზე ნაკლებ არ სძაგთ. რადგან ვისზეც იმედს ამყარებენ, მათგან უფრო მეტს მოითხოვენ. სიბნელისა და დონის მაჩვენებელია ისიც, რომ პოლიტიკურ სპექტრს თამაშის წესებს სააკაშვილი თვითონ კარნახობს, ბატონი კობა კი, მერის არჩევითობის სატყუარათი დაბრმავებული, გულში ნეტარებით ჩადებული სურვილის რეალიზაციის ალბათობით, განდიდებაზე დახარბებული, „სკამის" მაძიებლობით დაღლილი, გარბის პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და ფიქრით — „ბრძოლის ყველა ფორმა უნდა იყოს გამოყენებული: არჩევნებიც, აქციებიც და აბსოლიტურად ყველაფერი, თუ ხელში ორი იარაღი გაქვს, ერთი ჯიბეში კი არ უნდა ჩაიდო, ორივე უნდა გამოიყენო". ეს კობას სიბრძნეა, ხოლო გამოცდილი ხალხური სიბრძნე გვასწავლის — „ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო".

დავითაშვილი იმასაც აცხადებს: „ორი გზაა — არჩევნები და რევოლუცია. რევოლუცია ყველას უნდა. ყველას უნდა კობა დავითაშვილმა რაღაც ქნას, თან კითხულობს, მე ხომ არაფერი მომივაო"; თუ მოწოდებით ლიდერი ხარ, თუ პოლიტიკაში სამართლიანობის დამკვიდრებას ემსახურები, რატომ გაურბიხართ პიროვნულ პასუხისმგებლობას, როდესაც იმედს ყველა შენზე ამყარებს? ზემოთქმულით ამხელს თავის ფსევდო ოპოზიციონერობას, აუფასურებს ლიდერის იარლიყს და სინათლეზე გამოაქვს ქვეცნობიერი შიში „პირველკაცობისა", ამავე დროს მერის არჩევნებში თავის შანსს მაღალ შეფასებას აძლევს: „ვინაიდან ახალი არ ვარ ქართულ პოლიტიკაში და ვერ ვხედავ იმაზე უკეთეს პროგრამას, ვიდრე მე ვთავაზობ საზოგადოებას; ასევე ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის სანდოობა ძალიან მცირეა, ჩემს შანსებს მერის არჩევნებში სერიოზულად ვაფასებ". უპირველესად, გასათვალისწინებელია ის, რომ თქვენ პოლიტიკაში ახალი არ ხართ, ამიტომ ხალხს კარგად ახსოვს თქვენი მგზნებარე მხარდაჭერა დღევანდელი მთავრობისადმი, მათდამი განაწყენებაც და რევანშზე დამყნობილი ოპოზიციონერობაც. ისე იმასაც შეგახსენებთ, რომ ხალხის ფსიქოლოგიით, „ახალი ცოცხი კარგად გვის". თქვენი პროგრამების სიძლიერეც საეჭვოა, რადგან გათვლებსა და შეფასებებში მოკლებული ხართ გამჭრიახობას, ობიექტურობასა და პრაგმატულობას, თანაც ხელისუფლებისადმი მოსახლეობის სანდოობის სიმცირე ოპოზიციის რეიტინგს ვერაფერს მატებს. ასე რომ, ქართველი პოლიტიკოსის თქვენი მოყვანილი „შანსები" თქვენსავე საწინააღმდეგო ელემენტებს შეიცავს.

დღეს მომავალი მერობის კანდიდატები მრავალთა ინტერესის სფეროში მოექცნენ. კანდიდატთა სიმწიფის გაგებაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ კლინიკური გამოკვლევებით. ეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აპრობირებული მეთოდია და ერის მომავალი კეთილდღეობისთვის ზრუნვაა. შევისწავლოთ ისინი, გამოვიჩინოთ სიფრთხილე. გავფილტროთ მათი სულიერი ღირებულებები და ხმა მივცეთ ღირსეულს. ამაში ფსიქოლოგია ნამდვილად დაგეხმარებათ.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# იაპონიამ ავღანეთში ანტიტერორისტული მისიის მხარდაჭერა შეწყვიტა

**იაპონიის თავდაცვის მინისტრმა ტოსიმი კიტაძავამ მრავალნაციონალური ესკადის ზურგიდან გამაგრებისათვის 2001 წლიდან არავიის ზღვაში განლაგებული თავდაცვის საზღვაო ძალების გემების გაყვანის ბრძანება გასცა. ისინი ავღანეთში „თალიბანის“ რაზმებისა და „ალ-ქაიდას“ დანაყოფების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ.**



მოქმედების ვადა გაუვიდა კანონს, რომელიც ქვეყნის სამხედრო საზღვაო ძალებს მსგავსი ქმედებების უფლებას ანიჭებდა. ის, ძირითადად, მოკავშირეთა გემებისა და ვერტმფრენების უფასო საწვავითა და სასმელი წყლით მომარაგებას ითვალისწინებდა.

ანტიტერორისტულ მისიაში მონაწილეობის მანძილზე, თავდაცვის სამინისტროს წინასწარი შეფასებით, იაპონიამ მსოფლიოს რვა ქვეყნის (პირველ რიგში აშშ-სა და პაკისტანის) გემები 510 ათას კილოლიტრამდე ანუ 24,4 მილიარდი იენის ღირებულების (268 მილიონი დოლარი) დიზელის საწვავითა და დაახლოებით 11 ათასი ტონა წყლით უზრუნველყო. საერთაშორისო ძალთა ვერტმფრენებმა 1200 კილოლიტრი საწვავი მიიღო.

ახლა გემები იაპონიის სანაპიროებისაკენ მიემართებიან და დაახლოებით სამი კვირის შემდეგ თავიანთ ბაზებზე განლაგდებიან.

სექტემბერში ფორმირებულმა იაპონიის ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ინდოეთის ოკეანეში თავდაცვის ძალების მისია არ გაეგრძელებინა.

ახლა ტოკიო ცალსახად არასამხედრო მიმართულებაზე გადადის და, ძირითადად, სოფლის მეურნეობის აღდგენაზე, „თალიბანის“ ყოფილ ბოევიკთა გადამზადების კურსების ორგანიზებასა და მათ მშვიდობიან ცხოვრებასთან ადაპტირებაზე იზრუნებს. ამ მიზნებს იაპონია კიდევ 5 მილიარდ დოლარს დაახარჯავს.

ჯერ კიდევ 1998 წლიდან იაპონია ყოველ ხუთ წელიწადში ავღანეთის აღდგენისათვის დაახლოებით 5 მილიარდ დოლარს გამოყოფს, მეზობელი პაკისტანისათვის კი — დაახლოებით 2 მილიარდ დოლარს.

# «Fiat»-ი და «Chrysler»-ი წარმოების შემცირებას გეგმავს

**დღეისათვის მსოფლიო საავტომობილო დარგში შეთავაზება მოთხოვნილებას უსწრებს და წლის განმავლობაში მათ შორის ვაკუუმი მხოლოდ იზრდებოდა. კონცერნების „ფიატისა“ და „კრაისლერის“ აღმასრულებელი დირექტორი სერჟიო მარკიონე თვლის, რომ 2010 წელს მსოფლიოში შესაძლოა 94 მილიონი მსუბუქი ავტომანქანა გამოუშვან, მაგრამ უკვე ამ დროისათვის ეს მაჩვენებელი 30 მილიონი ერთეულით აჭარბებს მსოფლიო ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებას.**

მარკიონე დარწმუნებულია, რომ საავტომობილო წარმოება აუცილებლად უნდა შემცირდეს ამ მდგომარეობის ადეკვატურად და — არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ევროკავშირის ქვეყნებშიც. ბაზრის პერსპექტივებისადმი ასეთი უნდობლობა დიდწილად აიხსნება თვით წამყვანი მწარმოებლების პროდუქციის 1982 წლიდან დღემდე რეკორდულად დაბალი გაყიდვებით აშშ-ის ბაზრებზე (-21% ანუ 10,4 მილიონი ავტო, 2009 წლის მონაცემებით).

რაც შეეხება ევროპას, უმსხვილეს ბაზრებზე, მაგალითად, გერმანიაში, 2009 წელს ავტოგაყიდვებმა ბოლო 10 წლის რეკორდი დაამყარა (+23% ანუ 3,807 ათასი ერთეული), მაგრამ ეს დიდწილად უტილიზაციური პროგრამით იყო სტიმულირებული. ექსპერტები უკვე დეკემბერში ალაპარაკდნენ ახალი ვარდნის დასაწყისზე — წლის ბოლოს გაყიდვები 10-თვიანი განუხრელი ზრდის შემდეგ 5%-ით დაეცა.

რუსეთში ავტომობილების საერთო წარმოებამ შარშან 723224 ერთეული შეადგინა, რაც წინა წელს წარმოებულზე 59,7%-ით ნაკლებია. სამამულო მარკის ავტომობილთა წარმოებამ 63,9%-ით იკლო. თავად კრაისლერმა შარშან მხოლოდ 931,4 ათასი მანქანა გაყიდა (1962 წლიდან ამ დრომდე ეს მაჩვენებელი პირველად ჩამოსცდა მილიონს). როგორც ანალიტიკოსები ირწმუნებიან, მსოფლიო ბაზრებზე ამ მხრივ შექმნილი სიტუაცია ჯერჯერობით არ ჰგავს ჭარბი წარმოების კრიზისს, რადგან გაყიდვები აზიაში საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზეა.

# რა კავშირშია ბაზელის ხელშეკრულება საქართველოში საბანკო სესხებთან და ვის აძლევს ხელს ქაოსი მსოფლიო ეკონომიკაში

### რას წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი

გაზეთ „London Telegraph“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით: **„დიდმა ოცეულმა მსოფლიო ვალუტის შემოღებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა,“ ამბროსი ევანს-პიტჩერი წერდა: „დიდი ოცეულის ლიდერთა კომუნიკეს მეათე პუნქტის ერთი მუხლი მსოფლიო ფინანსების სფეროში ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენს: მიღწეულია შეთანხმება, მხარი დაეჭიროს სესხების სპეციალური უფლებების შემოღებას, რაც მსოფლიო ეკონომიკაში 250 მილიარდი დოლარის ჩადებისა და, ამგვარად, გლობალური ლიკვიდობის დონის ამაღლების საშუალებას მოგვცემს. არსებითად, დიდი ოცეულის ლიდერებმა გაააქტიურეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობები, რითაც, ფაქტობრივად, მიმოქცევაში შემოვა გლობალური ვალუტა, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვერ გააკონტროლებენ, შეთქმულების თეორიის მომხრეები აღფრთოვანდებიან.“**

ევანს-პიტჩერის სტატიის ქვესათაური იუწყება: „გლობალური ცენტრობანკის დახმარებით, რომელიც მთელი კაცობრიობის მასშტაბით ატარებს ფინანსურ პოლიტიკას, მსოფლიო ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა გლობალური ვალუტის შემოღებას.“ აქ აუცილებლად იბადება კითხვა, ვინ იკისრებს „გლობალური ცენტრობანკის“ როლის შესრულებას, რომელიც უფლებამოსილი იქმნება, გამოუშვას მსოფლიო ვალუტა და მსოფლიო მასშტაბით მონეტარული პოლიტიკა გაატაროს?

**2008 წლის სექტემბერში ვაშინგტონში ნაციონალური ცენტრობანკების წარმომადგენელთა შეხვედრაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სტრუქტურა წარმოჩინდებოდა ამ ამპლუაში. Bank of England-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა განაცხადა: „პასუხი აქვეა — ეს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკია...“**

საგულისხმოა, რომ ბანკის გარშემო არ ცხრებოდა სკანდალები მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ის ნაცისტებისთვის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს. 1930 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაარსებულმა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა მსოფლიოში „ყველაზე ექსკლუზიური, იდუმალი და გავლენიანი ზენაციონალური კლუბის სახელი დაიმკვიდრა.“ **თავის წიგნში — „ბიზნესი მტერთან ერთად,“** ჩარლზ ჰაიგჰემი წერს, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკს 1930-იან წლებში აშკარა პროფაშისტული პოზიცია ეკავა. მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიამ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ნაცისტების რეჟიმის მიერ ევროპაში დატაცებული ოქროს გაყიდვით მიღებული მოგების გათეთრებაში დაადანაშაულა, აშშ-ის ხელისუფლებამ 1944 წელს, ბრეტონ-ვუდის კონფერენციაზე, მისი ლიკვიდაციის მოთხოვნის შემცველი რეზოლუციის გატანა სცადა, მაგრამ ცენტრობანკების წარმომადგენლებმა საქმე მიჩქმალეს.



წიგნში „ტრაგედია და იმედი: უახლესი დროის მსოფლიო ისტორია“ (1966) ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც, სხვათაშორის, ბილ კლინტონის მასწავლებელი გახლდათ, კეროლ კვიგლი წერდა იმ საკვანძო როლზე, რომელსაც მსოფლიო ფინანსებში საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი კულისებში ასრულებდა. კვიგლი იმ ძლევამოსილი ხროვის გამოზრდილი ინსაიდერია, რომელსაც თავად უწოდებდა „საერთაშორისო ბანკირებს,“ ხოლო მისი გულახდილობა სანდოა

## როგორ აკონტროლებენ საერთაშორისო ბანკირები ეროვნულ ვალუტას

იმის გამო, რომ თავად იზიარებდა ამ ხროვის მიზნებს. კვიგლი წერს: „ჩემთვის ცნობილია ამ ქსელის ოპერაციები, რადგან 20 წლის მანძილზე მისი შესწავლის საშუალება მქონდა, ხოლო 1960-იანი წლების დასაწყისში ნება დამრთეს, 2 წლის განმავლობაში შემესწავლა მისი საიდუმლო ჩანაწერები და საბუთები. მართალია, ეს ქსელი ცდილობს, თავი არ გამოააშკარაოს, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, მისი როლი ისტორიაში საკმარისად მნიშვნელოვანია, რომ ეს ცნობილი გახდეს.“

კეროლ კვიგლი აგრძელებს: **„ფინანსური კაპიტალის ძალებს კიდევ ერთი შორსმიმავალი მიზანი ჰქონდათ — შეექმნათ საფინანსო კონტროლის მსოფლიო სისტემა, რომელიც იბატონებდა როგორც ყველა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემებზე, ისე — მსოფლიო ეკონომიკაზე. ეს სისტემა უნდა გაეკონტროლებინა შეხმატკბილებულად მომუშავე მსოფლიო ცენტრობანკებს იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომელიც კერძო შეხვედრებსა და ხშირად გამართულ კონფერენციებზე იქნა მიღწეული. სისტემის მწვერვალად შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მდებარე საერთაშორისო ანგარიშსწორების კერძო ბანკი უნდა ქცეულიყო, რომელსაც ფლობენ და მართავენ მსოფლიო ქვეყნების ცენტრობანკები, რომლებიც თავად წარმოადგენენ კერძოO კორპორაციებს.“**

მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ყოფილი სასტუმროს შენობაში მალულად ფუნქციონირებდა. იქ მიიღებოდა გადაწყვეტილებები ეროვნული ვალუტების გაუფასურების ან შენარჩუნების, ოქროზე მიმდინარე ფასის, ოფშორული საბანკო ბიზნესის დარეგულირების შესახებ, თუმცა 1977 წელს ბანკმა ანონიმურობას თავი ანება და მისი საქმიანობისთვის უფრო ხელსაყრელ ადგილას — 18-სართულიან ცათამბჯენში დაიდო ბინა. მალე მას ბაზელის კოშკი უწოდეს. **დღეს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ანგარიშვალდებული არ არის ხელისუფლების წინაშე, არ იხდის გადასახადებს და ჰყავს საკუთარი პოლიცია. მაიერ როტშილდის გეგმის შესატყვისად, ის კანონზე მაღლა დგას. დღეს 55 ქვეყანა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის წევრია, თუმცა კლუბი, რომლის შეხვედრები რეგულარულად იმართება ბაზელში, გაცილებით ვიწრო წრით შემოიფარგლება და საკუთარი იერარქია აქვს.** 1983 წელს ედვარდ ჯეი ეპშტეინი თავის სტატიაში — „ფულის სამყაროს მართვა“ ირწმუნებოდა, რომ **რეალური ბიზნესი იწარმოება ერთგვარ შიდა კლუბში, რომლის წევრებიც მეტ-ნაკლებად ერთ ფინანსურ ნავში მსხდომი ქვეყნებია (გერმანია, აშშ, შვეიცარია, იტალია, იაპონია და ინგლისი).**

1974 წელს „დიდი ათეულის“ (ამჟამად „დიდი ოცეულის“) ცენტრობანკების მმართველთა მიერ დაარსდა ბაზელის კომიტეტი ბანკების ზედამხედველობის საქმეში. აღნიშნული კომიტეტის განკარგულებაშია 12-კაციანი სამდივნო, ხოლო თავად კომიტეტი გლობალურ დონეზე ადგენს საბანკო საქმიანობის წესებს, მათ შორის, საკმარისი კაპიტალის ნორმატივებსა და რეზერვების შეფასების მეთოდიკებს. 2003 წელს სტატიაში „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი გლობალური ვალუტის შემოღებისკენ მოუწოდებს,“ ჯოან ვენონი წერდა: „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი არის ადგილი, სადაც მსოფლიოს ქვეყნების ცენტრობანკთა წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან იმისათვის, რომ გააანალიზონ მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა და გადაწყვეტილება მიიღონ შემდგომი მოქმედების შესახებ, რათა უფრო მეტი ფული ჩაიჯიბონ — რადგან მათზეა დამოკიდებული, რამდენი ფული იქნება მიმოქცევაში და რა პროცენტები დაენიშნებათ მთავრობებსა და ბანკებს, რომლებიც ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




# მსოფლიო ვალუტის შემოღება ფინანსურ კატასტროფას გამოიწვევს

◀ მათგან სესხებს იღებენ... **თუ გესმის, რომ მსოფლიო სავალუტო სისტემის ძაფები საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ხელშია, აცნობიერებ იმასაც, რომ მას ხელეწიფება ფინანსური ბუმის ან ფინანსური კატასტროფის გამოწვევა ნებისმიერ ქვეყანაში, თუ რომელიმე ქვეყანა არ დაყაბულდა კრედიტორების ამა თუ იმ მოთხოვნას, მის დასასჯელად სავსებით საკმარისია ამ ქვეყნის ვალუტის გაყიდვა.“**

### ბაზელის სადაო ხელშეკრულებანი

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის უნარი, თავისი შეხედულებისამებრ განამტკიცოს ან დაანგრიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკა, სრულად წარმოჩინდა 1988 წელს, როცა დაიდო ბაზელის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, საკმარისი კაპიტალის ნორმატივი 6 პროცენტიდან 8 პროცენტამდე გაიზარდა. იმ დროისათვის მსოფლიოში უდიდესი კრედიტორი იაპონია იყო, მაგრამ იაპონიის ბანკები კაპიტალიზაციით ტოლს ვერ უდებდა მის საერთაშორისო მოძმეებს. საკმარისი კაპიტალის ნორმატივის გაზრდამ აიძულა იაპონიის ბანკები, შეემცირებინა დაკრედიტების მოცულობა, რამაც იაპონიის ეკონომიკური რეცესია გამოიწვია. საკუთრებაზე ფასები დაეცა, ხოლო მრავალრიცხოვან სესხებს, არასაკმარისი უზრუნველყოფის გამო, დეფოლტი მოჰყვა. შედეგად, ბანკები ტოტალურად გაკოტრდა და, თუმცა კრიტიკის ასარიდებლად ამ სიტყვას არ ახსენებდნენ, საქმე მათი ნაციონალიზაციით დასრულდა.

**ბაზელის ხელშეკრულებით გამოწვეული თანმხლები ზარალის მაგალითად იქცა თვითმკვლელობის ეპიდემია ინდოელ ფერმერებში, რომლებმაც კრედიტი ვერ მიიღეს. ბანკის შემოღებული საერთაშორისო წესების თანახმად, კერძო მსესხებლებზე გაცემული კრედიტები რისკის მიხედვით უნდა შეფასებულიყო, ხოლო რისკის ხარისხი კერძო სარეიტინგო სააგენტოებს უნდა განესაზღვრა. შედეგად, ასეთ მსესხებლებზე გასაცემ კრედიტებს რისკის 100-პროცენტიანი დონით აფასებდნენ და ცდილობდნენ, მათთვის სესხი არ მიეცათ, რადგან კრედიტების უზრუნველყოფას მეტი საბანკო კაპიტალი დასჭირდებოდა.**

ასეთივე ფაქტს ადგილი ჰქონდა სამხრეთ კორეაშიც: იქაური მეწარმეები კრედიტებს ვერ იღებდნენ კორეულ ბანკებში, თანაც იმ დროს, როცა ეკონომიკური დაღმავლობის მდგომარეობა ინვესტირების გაფართოებასა და კრედიტების პირობების გაიოლებას ითხოვს. „მას შემდეგ, რაც სექტემბერში ფინანსური კრიზისი გაღრმავდა, The Bank of Korea-მ ბანკებს 35 ტრილიონი ვონი გამოუყო, — ირწმუნებოდა ერთი სეულელი ეკონომისტი, — თუმცა ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია, რადგან ბანკებს ურჩევნიათ, ლიკვიდობა სეიფში გამოკეტონ. ისინი, უბრალოდ, არ გასცემენ კრედიტებს და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ მათთვის აუცილებელია საკმარისი კაპიტალის კოეფიციენტის შენარჩუნება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივების შესატყვისად.“

**2002 წელს Asia Times-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „მსოფლიო ეკონომიკა: საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ნაციონალური ბანკების წინააღმდეგ“ ეკონომისტი ჰენრი ლიუ ირწმუნებოდა, რომ ბაზელის ხელშეკრულებამ „აიძულა ნაციონალური საბანკო სისტემები, მის დაკრულზე ეცეკვათ და, მათი საკუთარი ნაციონალური ეკონომიკის განვითარების მოთხოვნების მიუხედავად, მორგებოდნენ გლობალურ ფინანსურ ბაზრებს.“**

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ბანკები, რომელთა საქმიანობის რეგულირებასაც საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ახორციელებს, ერთ გუნდს წარმოადგენენ: საერთაშორისო ბანკები განუსჯელად გასცემს კრედიტებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე, რათა უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ვალებით კრიზისი გამოიწვიოს, შემდეგ საქმეში ერთვება საერთაშორისო სავალუტო ფონდი გონივრული სავალუტო პოლიტიკის სახელითა და მონეტარული ვირუსის მატარებლის სახით, მერე კი, საერთაშორისო ბანკები, რომლებიც სვავი ინვესტორებივით მოქმედებენ ფინანსური სისტემის გადასარჩენად, მათივე აზრით, არაადექვატურად კაპიტალიზებულსა და გადახდისუუნარო ნაციონალურ ბანკებს შეისყიდიან.“

გ. ლიუს აზრით, **სინამდვილეში განვითარებად ქვეყნებს, მათი ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, არ სჭირდებათ უცხოური ინვესტიციები, რომელთა გამოც შემდეგ ვალების ხაფანგში ხვდებიან.** „როგორც ფულის სახელმწიფო თეორია აჩვენებს (რომლის მიხედვითაც სუვერენულ ხალხს უფლება აქვს, მიმოქცევაში საკუთარი ვალუტა შემოიღოს), ნებისმიერ მთავრობას შეუძლია საკუთარი ვალუტის მეშვეობით დააფინანსოს შიდა განვითარების ყველა მოთხოვნა და უზრუნველყოს სრული დასაქმება ინფლაციის გარეშე.“

როცა მთავრობები უცხოურ ვალუტაში სესხების მიღებაზე თანხმდებიან, ისინი ხაფანგში ებმებიან, მათი ქვეყნები კი კრედიტორებად გადაიქცევიან, რომლებიც ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ დადგენილ წესებს; იმ ნაციონალურ ბანკებს, რომელთა კაპიტალიზაციაც „არაადექვატურად“ ჩაითვლება, მკაცრ მოთხოვნებს წაუყენებენ: კაპიტალიზაციის მოთხოვნის გაზრდას, ვალების ჩამოწერასა და ლიკვიდაციას, აქტივების გაყიდვის საფუძველზე რესტრუქტურიზაციას, თანამშრომელთა დათხოვნას, შემცირებებსა და კაპიტალდაბანდებათა გაყინვას.

### დომინოს ეფექტი

იმ დროს, როცა განვითარებადი ქვეყნების ბანკებს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ დადგენილი, საკმარისი კაპიტალის ნორმატივების შეუსატყვისობისთვის სანქციები დაუწესეს, დიდმა საერთაშორისო ბანკებმა, რომელთა საქმიანობაც კოლოსალურ რისკებს უკავშირდებოდა, თავი აარიდეს ამ ნორმატივების შესრულებას. თუმცა, თამაშის წესებით, სულაც არ იყო გათვალისწინებული, რომ აშშ-ის ბანკები საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ქსელში არ გახლართულიყო. ამიტომ, როცა მათ მოახერხეს ბაზელის პირველი შეთანხმებისთვის გვერდის ავლა, შეიქმნა ბაზელის II ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს ბანკებს, მათი საბაზრო ფასიანი ქაღალდების ღირებულება შესაბამისობაში მოიყვანონ მათ „საბაზრო ფასთან.“ ეს მოთხოვნა გულისხმობს აქტივების გადაფასებას მათი მიმდინარე საბაზრო ფასების შესატყვისად, ოღონდ მას შემდეგ, რაც ბანკების ბალანსზე წარმოიქმნება აქტივები, რომელთა ბაზარზე გატანაც ძნელია. ამგვარად, კრედიტორები, რომელთა კაპიტალიზაციაც მათი საქმიანობის გასაგრძელებლად საკმარისად ითვლებოდა, უცებ შეიტყობდნენ, რომ თურმე გაღარიბდნენ, ყოველ შემთხვევაში, გაღარიბდებოდნენ, თავიანთი აქტივების გაყიდვა რომ მოეწადინებინათ — ახალი წესები ამგვარ მიდგომას გულისხმობს.

აქტივების გადაფასების თავსმოხვეული წესები უმალ აისახა ამერიკის ბანკებზე — მათ დაკრედიტების გაყინვა მოუხდათ, რამაც არა მარტო აშშ-ის, არამედ მთელი მსოფლიოს ნაციონალურ ეკონომიკებზე დამანგრეველი ზეგავლენა იქონია. 2009 წლის აპრილში აშშ-ის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ აქტივების გადაფასების ნაწილში მოთხოვნები შეარბილა, თუმცა ბევრმა კრიტიკოსმა ეს მოდიფიკაციები არასაკმარისად მიიჩნია. ჰოდა, შეთქმულების თეორიის მიმდევრებმაც სწორედ ახლა შეიძლება იკითხონ: რატომ რჩებოდა უმოქმედოდ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი მაშინ, როცა მსოფლიო ეკონომიკა ინგრეოდა? იქნებ, მისი მიზანი ეკონომიკაში ისეთი მასშტაბის ქაოსის შექმნაა, რომ აიძულოს მსოფლიო, სიხარულით მიიღოს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ შემოღებული გლობალური ვალუტა?

**ელენ ბრაუნი**

# რას მოიტანს გლობალური ვალუტის ემისია



# „NASA“-ს კოსმოდრომზე კოკაინი აღმოაჩინეს




**კანავერალის კონცხზე, ამერიკულ კოსმოდრომზე, კოკაინის პაკეტი აღმოაჩინეს. აშშ-ის აეროკოსმოსურმა უწყება „NASA“-მ ამ უპრეცენდენტო შემთხვევის გამო გამოძიება დაიწყო.**

ნარკოტიკული ნივთიერება იმ სამონტაჟო-გამოსაცდელ კორპუსში იპოვეს, სადაც „Discovery“-ს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე გასაგზავნად ამზადებენ.

იმ დღეს ნარკოტიკებზე ტესტი კოსმოდრომის 200-მა თანამშრომელმა გაიარა, მაგრამ ორგანიზმში კოკაინის კვალი არავის აღმოაჩნდა. ასევე, არაა აღმოჩენილი აპარატურის რაიმე სახის დაზიანება. ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თანამშრომელი ადგილზე არასდროს არავის შეუნიშნავს.

2007 წელს „NASA“ მთვრალი კოსმონავტების გამო გაეხვია სკანდალში. თუმცა ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, უწყებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ასტრონავტებს გაფრენამდე ან ფრენის პერიოდში ალკოჰოლური ნივთიერება არასდროს გამოუყენებიათ.

# ჩინეთის ეკონომიკა გადახურდა

**ექსპერტები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ჩინეთის ეკონომიკა გადახურდა. ქვეყნის ფინანსურ ბაზრებზე „ბუშტების“ გაჩენის საფრთხე და ინფლაციური წნეხი იმდენად მატულობს, რომ ეს ყველაფერი, „World Economic Forum“-ის ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკის გლობალურ ზრდასაც საფრთხის წინაშე აყენებს.**



ცოტა ხნის წინათ მსოფლიოში აღმავლობის საუკეთესო ტემპების მაჩვენებელი ჩინური ეკონომიკის ზრდის იმპულსების შესუსტება „WEF“-ის ანგარიშის მიხედვით, „შესაძლოა ნეგატიურად აისახოს კაპიტალისა და ნედლეულის მსოფლიო ბაზრებზე“. „Zurich Financial Services“-ის მთავარი ეკონომისტის დენიელ ჰოფმანის განცხადებით, „ჩინური ეკონომიკის ხისტი დაშვება თავისთავად დიდ რისკს წარმოადგენა“.

„ჩინეთის ეკონომიკა გადახურდა, — აღნიშნავს ჰოფმანი, — მსხვილ ქალაქებში, ისეთში, როგორიც პეკინი და შანხაია, 2009 წელს საცხოვრებელი ბინების ღირებულება 60%-ზე მეტით გაიზარდა“. „WEF“-ის მოხსენების მიხედვით, ფინანსურმა კრიზისმა მსოფლიო ეკომონიკა ბიუჯეტების დეფიციტთა მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად დაასუსტა. „პრობლემებისათვის მზად უნდა ვიყოთ, — ნათქვამია ზემოხსენებული ორგანიზაციის მმართველი დირექტორის რობერტ გრინჰილის წერილში, — ფინანსური კრიზისი და მისი შემდგომი რეცესია ქმნიან მდგომარეობას, რომლის დროსაც გადაუჭრელი პრობლემები, შესაძლოა, ახალ კრიზისად იქცეს“.




# სუკრე 1,25 დოლარი ეღირება

**ჩვენი ამერიკის ხალხთა ბოლივარიული ალიანსის ქვეყნების ურთიერთანგარიშსწორების პირობითი ფულადი ერთეული სუკრე 1,25 დოლარი ეღირება.**

სუკრემ ამერიკული დოლარი უნდა შეცვალოს და ბრუნვაში უკვე 2010 წლიდან იქნება. ზემოხსენებულმა ქვეყნებმა საერთო ფულადი ერთეულის შემოღების გადაწყვეტილება 2008 წლის 26 ნოემბერს კარაკასში მიიღეს. მან ხელი უნდა შეუწყოს ფინანსური კრიზისის დაძლევას და რეგიონალური გარიგებებიდან დოლარის განდევნას.

ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა რამდენიმე დღის წინათ გასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც სუკრეს გამოყენება უკვე იანვრიდანაა შესაძლებელი. პირველი ანგარიშსწორება ახალი ვალუტით კუბისთვის ვენესუელიდან ბრინჯის მიწოდებისას გასული კვირის ბოლოს განხორციელდა.

ბოლივიას ვენესუელისგან საასფალტე ცემენტის შესაძენადაც სუკრე დასჭირდება. ვენესუელას ტრანზაქციების რეალურ დროში განხორციელებისათვის ტექნოლოგიური პლატფორმა უკვე მზად აქვს.

შეგახსენებთ, ბოლივიური ალიანსი კუბისა და ვენესუელის ლიდერების, ფიდელ კასტროსა და უგო ჩავესის ინიციატივით 2004 წელს შეიქმნა და მის შემადგენლობაში ვენესუელა, კუბა, ბოლივია, ეკვადორი, ნიკარაგუა, დომინიკანა, სენტ-ვისენტი და გრენადინა, ანტიგუა და ბარბუდა შედის.

# ვინ გაიმარჯვებს

**იარაღით ვაჭრობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც თანამედროვე მსოფლიო სისტემაში სახელმწიფოს როლსა და მნიშვნელობას განსაზღვრავს. ერთი მხრივ, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ექსპორტზე დამოკიდებულია ქვეყნის გეოპოლიტიკური და საგარეო ეკონომიკური ინტერესები, მეორე მხრივ კი იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო ბაზარი ჰეგემონიისა და „ახალი მსოფლიო წესრიგისთვის“ ბრძოლის არენას წარმოადგენს.**
**90-იან წლებში რუსეთის სამხედრო-საწარმოო კომპლექსის ღრმა კრიზისი, რომელსაც თან სდევდა იარაღის ტრადიციული ბაზრების დაკარგვა, 21-ე საუკუნის დასაწყისში იქნა დაძლეული.**
**2001 წლიდან რუსეთი ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ბაზარზე, თუმცა ეს არ ნიშნავს მისი პოზიციების ურყეობას შეიარაღების ბაზარსა და საერთაშორისო პოლიტიკაში.**



## ამერიკა მსოფლიო ბატონობისთვის იბრძვის

ჯერ ერთი, რომ იარაღითა და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობაში ლიდერის პოზიცია რუსეთმა ინდოეთისა და ჩინეთის მიერ მისგან შეიარაღების მასობრივი შესყიდვების ხარჯზე დაიმკვიდრა. 2000 წლის დასაწყისში ამ შესყიდვებზე მოდიოდა საზღვარგარეთ რუსული იარაღის საერთო გაყიდვების 70-80 პროცენტი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მოცულობამ ბოლო 9 წლის განმავლობაში 16 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო 2010 წლისათვის ინდოეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის მოცულობა, რომელიც 200-მდე პროექტს ითვლის, 18 მლრდ დოლარზე მეტადაა შეფასებული. ახლა დელისთან და პეკინთან ვაჭრობის მოცულობა საერთო მაჩვენებლის 16-18 პროცენტს შეადგენს და მომავალშიც შემცირდება, რაც გარკვეული მიზეზებით განპირობებული კანონზომიერი პროცესია:

**1) ამ ქვეყნებმა, ძირითადად, დაასრულეს თავიანთი არმიების გადაიარაღების პროცესი, ხოლო ჩინეთმა საკუთარი სამხედრო-საწარმოო კომპლექსის შექმნა მოახერხა;**

**2) ამ ქვეყნებთან ვაჭრობაში რუსეთი იარაღისა და ტექნოლოგიის ერთობლივ შემუშავებაზე გადადის, კერძოდ, აღსანიშნავია ინდოეთთან ერთად შექმნილი ფრთოსანი რაკეტა „ბრამოსი,“ ერთობლივი სატრანსპორტო თვითმფრინავი და ინდოეთის მონაწილეობა მეხუთე თაობის გამანადგურებლის შექმნაში;**

**3) ინდოეთი და ჩინეთი იარაღის შემსყიდველებისგან მის გამყიდველებად გადაიქცევიან. თუმცა ამ ქვეყნებთან იარაღითა და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობის მოცულობის შემცირების კანონზომიერების გაცნობიერება ვერაფერი ნუგეშია, რადგან სხვა ასეთი დიდი შემსყიდველები რუსეთს ჯერ არ ჰყავს.**

მეორეც, რუსეთის პროდუქცია ყოველთვის როდი ესადაგება შეიარაღების შემსყიდველთა მზარდ მოთხოვნებს, უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებს, ეკონომიურობასა და ექსკლუზიურობას. მესამეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსეთის კონკურენტუნარიანობისთვის იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო ბაზარზე, ესაა რუსეთის პარტნიორთა საიმედოობა და მზაობა, სამხედრო კონტრაქტების შესახებ მოლაპარაკებებზე კომპრომისის გამოძებნისა. კერძოდ, თანამედროვე რუსეთს არ შეუძლია პოლიტიკურ საფარველს წარმოადგენდეს კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმებისათვის და მათი ეკონომიკური სპონსორობა ითვირთოს. ამასთან, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შემსყიდველებს ხარისხის (უსაფრთხოების) ერთგვარი გარანტიები და მომწოდებელი ქვეყნისგან ტექნიკის მომსახურებაც სჭირდებათ, რაც რუსეთს ყოველთვის არ შეუძლია მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე. ამგვარად, იარაღის ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიციების შენარჩუნება რუსეთის ხელმძღვანელობისა და იარაღისა და სამხედრო ტექნიკის უშუალო მწარმოებლებისგან სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს. იარაღით ვაჭრობა რუსეთისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ როლის გამო, რომლის შესრულებაც შეუძლია სამხედრო-საწარმოო კომპლექსს ინოვაციური განვითარებისათვის, რომლის გარეშეც ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სუვერენიტეტის შენარჩუნება და ისეთი ნეოიმპერიების სანედლეულო დანამატად გადაქცევის საფრთხის თავიდან აცილება, როგორიცაა აშშ და ევროკავშირი, თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია.

**საგულისხმოა, რომ ფედერალური კრებისთვის გაგზავნილ წერილში დ. ა. მედვედევმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „უახლესი ყაიდის შეიარაღების შექმნაზე“ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა შეიქმნას „სამხედრო პროდუქციის შეკვეთების ეფექტიანი სისტემა,“ ასევე სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი მისი თვითღირებულების შემცირების თანადროულად.**

ამჟამად რუსეთი იარაღსა და სამხედრო ტექნიკას აწვდის მსოფლიოს 80 ქვეყანას. ყოველწლიურად „როსობორონექსპორტი“ 1000-დან 1700-მდე კონტრაქტს აფორმებს უცხოეთში სამხედრო დანიშნულების პროდუქციის მიწოდებაზე. თუმცა ბოლო წლებში იარაღის ბაზრის პოლიტიზებისა და კონკურენციის შედეგად, ამ სფეროში არსებული სიტუაცია რუსეთის სასარგებლოდ როდი ყალიბდება. ამერიკის კონგრესის კვლევითი სამსახურის მონაცემებით, 2008 წელს აშშ კვლავ პირველ პოზიციებზე აღმოჩნდა და 38 მლრდ ღირებულების გარიგებები დადო. ეს მსოფლიოში ყველა იარაღით მოვაჭრე ქვეყნის მიერ განხორციელებული ანალოგიური კონტრაქტების ღირებულების 68 პროცენტს უდრის. მეორე ადგილზე აღმოჩნდა იტალია, რომელმაც 3,7 მლრდ დოლარის ღირებულების შეკვეთები მიიღო. ამერიკის მონაცემებით, რუსეთს მხოლოდ მესამე პოზიცია უკავია 3.5 მლრდ დოლარის მაჩვენებლით, რაც აშშ-ის მაჩვენებელზე 10-ჯერ ნაკლებია.

**„როსობორონექსპორტს“ კი სხვა მონაცემები გააჩნია. 2008 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული კრებულის — „რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ბაზრის ანალიზი“ — თანახმად, რუსეთმა 6.75 მლრდ დოლარის ღირებულების შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა გაყიდა, ხოლო 2009 წელს რუსული იარაღის საექსპორტო მოცულობის გაზრდას 700-800 მლნ დოლარამდე ელოდნენ. 2009 წელს შეკვეთების საექსპორტო მოცულობის გაზრდით რუსეთს შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მსოფლიო ექსპორტიორთა შორის მკვიდრად უკავია მეორე ადგილი და წინ უსწრებს ევროპის წამყვან ქვეყნებს.**

ასეა თუ ისე, რუსეთი აშკარად ჩამორჩება იარაღით მთავარ მოვაჭრეს. აშშ-ის დომინირება იარაღით ვაჭრობის ბაზარზე განპირობებულია ფაქტორების კომპლექსით, რომელიც არა მარტო შიდარუსულ პრობლემას, არამედ მსოფლიო ჰეგემონობისათვის სერიოზული ბრძოლის შედეგს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჰეგემონიის მიღწევისთვის აშშ, სხვა იმპერიული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ერთობ შემოქმედებითად მოქმედებს: **დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდის, მორალური დამოძღვრის საფარქვეშ ხორციელდება ამერიკის ეკონომიკაზე მიბმა. ჯარების შეყვანა და სამხედრო ბაზების განთავსებაც ექსპანსიის უზრუნველყოფის საშუალებად და არა მის მიზნად იქცევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე თ.რუზველტმა „მსოფლიოში აშშ-ის ძალის გადამწყვეტი უპირატესობის“ უზრუნველყოფის სტრატეგეგმა ჩამოაყალიბა. თავისი მემარცხენე შეხედულებებით ცნობილი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ჰომსკი ირწმუნება, რომ ამოცანის გადასაჭრელად, თუ „როგორ ჩამოვაყალიბოთ მსოფლიო იმგვარად, რომ ის სავსებით შეესაბამებოდეს აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებს,“ ამერიკის ჰეგემონიზმის იდეოლოგებმა „დიდი სივრცის“ ცნება შემოიტანეს. ამ „დიდ სივრცეში“ უნდა მოქცეულიყო, როგორც მინიმუმ, დასავლეთ ნახევარსფერო, ბრიტანეთის ყოფილი იმპერია და შორეული აღმოსავლეთი, მაქსიმუმ — მთელი სამყარო. ყველა ამ პროექტსა და გეგმას ვიწრო პრაგმატული მიზნები აქვს — „ემსახუროს ამერიკის ეკონომიკის ინტერესებს.“**

ცივი ომის პერიოდში „დიდი სივრცის“ გეგმის რეალიზაციაში აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირი იყო. საგულისხმოა, რომ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს 1948 წლის 18 აგვისტოს 20/1 დირექტივა, რომელიც „დალესის გეგმის“ სახელწოდებითაა ცნობილი, არა მარტო განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის სტრატეგიულ მიზნებს, არამედ შეიცავდა დებულებას „რუსეთის ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე ნებისმიერი არაკომუნისტური ხელისუფლების“ წარმოქმნის შემთხვევისთვის. წამოჭრილი საკითხის მნიშვნელობის ხაზგასასმელად მოვიყვანთ ციტატას აღნიშნული დოკუმენტიდან:

**„ჩვენ მიზნებს უნდა მივაღწიოთ... სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა შევქმნათ ავტომატური გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ არაკომუნისტურსა და ჩვენდამი ნომინალურად მეგობრულ რეჟიმსაც კი:**

**არ გააჩნდეს სამხედრო ძლიერება;**

**ეკონომიკური თვალსაზრისით, ზედმიწევნით იყოს დამოკიდებული გარე სამყაროზე;**

**არ გააჩნდეს სერიოზული ძალაუფლება ნაციონალურ უმცირესობებზე;**

**არ ჩამოაფაროს რკინის ფარდა.**

**იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რეჟიმი კომუნისტებისადმი — მტრულად, ხოლო ჩვენდამი მეგობრულად იქნება განწყობილი, უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს პირობები მისთვის შეურაცხმყოფლად ანდა დამამცირებლად არ იქნას თავსმოხვეული... თუმცა ვალდებული ვართ, ჩვენი ინტერესების დასაცავად მაინც თავს მოვახვიოთ ისინი.“**

მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში რუსეთის ზეგავლენის შეზღუდვა „დალესის გეგმის“ რეალიზაციის ფაქტობრივი გაგრძელებაა, ხოლო პარტნიორთა შემცირება სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაში უშუალოდ უწყობს ხელს ამერიკის ინტერესთა დაცვის პირველი ორი „გარანტიის“ მიღწევას. მოვიყვანთ ამ თეზისის დამადასტურებელ ზოგიერთ მტკიცებულებას.

სსრკ-სთვის ტრადიციული შეიარაღების ევროპული ბაზარი თანამედროვე რუსეთისთვის პრაქტიკულად დაკარგულია არა მარტო შეიარაღების ნატოსეულ სტანდარტებზე პოსტსაბჭოთა ქვეყნების გადასვლის გამო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრება თავისთავად არ ნიშნავს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის დასასრულს. ჯერ ერთი, რომ მრავალი რუსული შეიარაღება ნატოს სტანდარტებს შეესაბამება და ამავე დროს, ამერიკულზე, ფრანგულ ან გერმანულ ანალოგებზე იაფია. მეორეც, რეგიონის ქვეყნების შეიარაღებაში ჯერ კიდევ არსებობს საბჭოთა ტექნიკა, რომელიც მოდერნიზაციას საჭიროებს. მესამეც, „მსოფლიო პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობით რუსეთი სულ უფრო ავტორიტეტული მოქმედი პირი ხდება ევროპულ პროცესებში.

**სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა, ასევე, აქტიურად ვითარდება „რუსეთი-ნატოს“ საბჭოს ფარგლებში, რამაც თავისი დადასტურება ჰპოვა მოსკოვში ალიანსის გენერალური მდივნის ა. ფ. რასმუნსენის ამასწინანდელი ვიზიტისას. პრობლემის არსი, ერთი მხრივ, მდგომარეობს რუსეთის პოლიტიკურ „განდევნაში“ ისეთი მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ზონებიდან, როგორიცაა აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, ცენტრალური აზია და კავკასია; მეორე მხრივ, აშშ-ისა და ნატოს მისწრაფებაში, ყველაზე რთულ რეგიონებში არსებულ სიტუაციაზე რუსეთს დააკისროს პასუხისმგებლობის ნაწილი, უფრო მეტიც, გააბას რუსეთი ავღანეთის ტიპის გეოპოლიტიკურ ხაფანგში.**

ნატოს გენმდივანმა აღნიშნა, რომ „რუსეთ-ნატოს თანამშრომლობა 2020 წლისათვის ბუნებრივი იქნება უსაფრთხოების სფეროში. ჩვენ ერთობლივად შევებრძოლებით ნარკოტიკების ტრაფიკს, მეკობრეობას და ჩავატარებთ მშვიდობიან ოპერაციებს. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში მუშაობისას ჩვენ გავაერთიანებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. ეს ყველას დაგვიცავს და პოლიტიკურად გაგვაერთიანებს.“ რუსეთისა და ნატოს შეხების მთავარი წერტილი უახლოეს ხანებში სწორედ ავღანეთი იქნება. ნატოს გენმდივნის კონკრეტულ წინადადებებს შორის რუსეთს განსაკუთრებით აფაციცებს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდეგი პუნქტები: შვეულმფრენების მიწოდება ავღანეთის შეიარაღებული ძალებისათვის, პილოტების მომზადება, საწვავითა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება: **ადგილობრივი პოლიციელების წვრთნა და რუსე-**

## შეიარაღების ბაზრის დაპყრობით ამერიკა მსოფლიოს დაიპყრობს



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჰეგემონიისათვის ბრძოლაში

**თის სამართალდამცავი ორგანოების გამოცდილების გაზიარება; ნარკოტიკებთან ბრძოლის გამოცდილების გაზიარება.**

**ნატოს ამგვარი „წყალობა" აშშ-ისა და ალიანსის გავლენის შემდგომ გაფართოებას უკავშირდება ისეთ რეგიონებში, როგორიცაა პოსტ-საბჭოთა სივრცე და ახლო აღმოსავლეთი. შეერთებული შტატები „ხისტი" (პოლიტიკური ზეწოლა, სანქციები, პირდაპირი სამხედრო ჩარევა) და „რბილი" მეთოდებით (მასობრივი ცნობიერებით მანიპულაცია, ელიტის მოსყიდვა და ა. შ.) თანდათან იპყრობს ბაზრებს, რომლებიც ტრადიციულად ორიენტირებულია რუსულ შეიარაღებაზე (ალჟირი, საქართველო, ეგვიპტე, ერაყი, ინდოეთი, უკრაინა და სხვ).**

კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2006 წელს შემოიღო ეკონომიკური სანქციები „როსობორონექსპორტისათვის." ეს გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ რუსეთმა ირანს მიაწოდა საზენიტო-სარაკეტო სისტემები Njh-V1 და ამით, თითქოსდა დაარღვია ძალთა ბალანსი რეგიონში. რუსეთმა 2006 წელს დაასრულა ირანისთვის საზენიტო კომპლექსების — Njh-V1-ის მიწოდება. ამ დიდი სავაჭრო გარიგების საერთო ღირებულებამ 1.4 მლრდ დოლარი შეადგინა. ამის პასუხად, აშშ-მა განაცხადა, რომ ირანისთვის ასეთი იარაღის მიწოდება უადგილოა, რადგან ეს ქვეყანა გაეროს უსაფრთხოების სისტემების სანქციებქვეშ იმყოფება. შედეგად, აშშ-მა სანქციები დაუწესა რუსეთის კომპანიას, მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი ეხებოდა მარტოდენ თავდაცვით შეიარაღებას.

აშშ-ის მხრიდან ასეთი წნეხის პირობებში პოზიციების შენარჩუნება იარაღის ბაზარზე დამოკიდებულია არ მარტო სამხედრო-საწარმოო კომპლექსის მოდერნიზაციაზე, არამედ თავად შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გაყიდვის პროცესის დივერსიფიკაციაზე. ამ თვალსაზრისით, ვიეტნამის გადაქცევა რუსული იარაღის ერთ-ერთ მთავარ იმპორტიორად შეიარაღების საერთაშორისო ბაზარზე რუსეთის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. ჰანოიმ რუსეთისგან უკვე შეისყიდა 72 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი BUKF-1, 32 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ურანი," 2 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-300 GVE-1, სამი შვეულმფრენი VB-17, ორი სარაკეტო კატერი „მოლნია," „სვეტლიაკის" ტიპის საყარაულო ხომალდი და სხვ. მოლაპარაკებები ჰანოისთვის ექვსი რუსული, „ვარშავიანკას" ტიპის დიზელის წყალქვეშა ნავის (ნატოს კლასიფიკაციით — RBKJ-G), 12 CE-30VR2 გამანადგურებლისა და მომავალში, სავარაუდოდ, Vb-17 შვეულმფრენების მიწოდების შესახებ 2009 წლის 15 დეკემბერს, მოსკოვში ვიეტნამის პრემიერ-მინისტრის ნგუენ ტან ზუნგის ვიზიტისას დასრულდა. ეს ძალიან დიდი კონტრაქტია და დაახლოებით 2 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

სავარაუდოდ, რუსეთი იარაღის დიდი მიმწოდებელი გახდება ინდონეზიისთვისაც, რომელმაც მისგან უკვე შეისყიდა 12 საბრძოლო თვითმფრინავი CE-27 და CE-30, შვეულმფრენები Vb-17 და Vb-36 და გადაწყვიტა, შეისყიდოს RBKJ-სა და FVEH-950 კლასის დიზელის წყალქვეშა ნავები. სულ 2024 წლამდე დაგეგმილია 12 რუსული წყალქვეშა ნავის შესყიდვა. რუსეთისა და ინდონეზიის აქტიური კონტრაქტები ვაშინგტონის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რომელიც რეგიონში თავისი უწინდელი გავლენის აღდგენას ცდილობს. კერძოდ, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რ. გეიტსმა ჯაკარტაში 2008 წლის 26 თებერვლის ვიზიტისას განაცხადა, რომ ვაშინგტონი მზადაა, „ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ინდონეზიას ტექნიკურ მოდერნიზაციასა და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის მომზადებაში."

ახლო აღმოსავლეთის ბაზარი, ასევე, რუსეთსა და აშშ-ს შორის სერიოზული ბრძოლის არენას წარმოადგენს. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად (2001 წლის მაისში რუსეთში სირიის თავდაცვის მინისტრის მ. ტლასის ვიზიტის შედეგად) მოსკოვმა და დამასკომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ახლოაღმოსავლური ქვეყნის მიერ შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვისა და უწინდელი დავალიანების დაფარვის შესახებ. ამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის აღდგენის გამო დასავლეთის უკმაყოფილების მიუხედავად, 14 CE-27CR გამანადგურებლის მიწოდება სირიისთვის 2002 წელს დაიწყო. თუმცა 2005 წლის ზაფხულში რუსეთმა და აშშ-მა ხელშეკრულება დადეს მსოფლიოს „ცხელ წერტილებში" შეიარაღების მიწოდების შეზღუდვაზე. შედეგად, კონტრაქტი სირიისათვის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების BUKF-ს (როგორც „ტერორისტთა იარაღისა," რომელიც ადვილი გადასაზიდია და ეფექტიანად გამოიყენება ავიაციის წინააღმდეგ) მიწოდებაზე, აშშ-ისა და ისრაელის ზეწოლით, პრაქტიკულად ანულირებული იქნა, თუმცა ეს პრობლემა წლის ბოლოსთვის მაინც მოგვარდა. BUKF-ს ნაცვლად, რუსეთმა სირიას სატრანსპორტო შოსიანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Cnhtktw-ი შესთავაზა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა ტერორისტების მიერ მის გამოყენებას (რასაც ასე უფრთხოდა ისრაელი). მიუხედავად ამისა, აშშ და ისრაელი კვალავაც ადანაშაულებენ რუსეთს იმაში, რომ სირიისთვის იარაღის მიწოდებით ის ძალთა ბალანსს არღვევს რეგიონში, ხოლო მისი იარაღი ორგანიზაცია „ჰეზბოლას" რადიკალი წევრების ხელში ხვდება.



## „დალესის გეგმა" გრძელდება

**რუსეთმა ერაყის იარაღის ბაზარი აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაციის შედეგად დაკარგა. ამ ქვეყანაში ამერიკის შეჭრამდე, 2003 წელს მოსკოვმა, რომელიც დაინტერესებული იყო ბაღდადის დავალიანების რესტრუქტურიზაციით, დიდი ძალისხმევა დახარჯა ანტიერაყულ კოალიციასა და სადამ ჰუსეინის რეჟიმს შორის დაპირისპირების დასაძლევად, ეკონომიკური და სხვა სანქციების გაუქმების ჩათვლით, თუმცა ნატოს ძალების მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ ამ ქვეყანასთან რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა შეწყდა და ერაყის მიერ ვალის დაბრუნების პერსპექტივა ნულს გაუტოლდა. მით უფრო, რომ 2008 წელს ხელმოწერილი კონტრაქტების შესრულებამ უკვე 2009 წელს ერაყი მსოფლიოში ამერიკული იარაღის პირველ შემსყიდველად აქცია.**

სამაგიეროდ, რუსი ექსპორტიორებისათვის სერიოზულ წარმატებად იქცა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის აღდგენა ალჟირთან. 2002 წელს რეალიზებული იქნა კონტრაქტები 120 მლნ დოლარის ღირებულების 22 თვითმფრინავ CE-24-ისა და 180 მლნ დოლარის ღირებულების 42 შვეულმფრენ Vb-17-ის მიწოდებაზე. თუმცა მოლაპარაკებებმა 1.5 მლრდ დოლარის ღირებულების 50 გამანადგურებელ VbU-24-ის მიწოდების შესახებ კონკრეტული შედეგები ვერ გამოიღო: რუსეთის უურანიმ დაასწრო და ხელშეკრულება გააფორმა ალჟირისთვის 36 VbU-29-ის მიწოდებაზე.

**2006 წლის მარტში ალჟირში ვ. პუტინის ვიზიტისას, პრეზიდენტ ა. ბუტეფლიკასთან მიღწეული იქნა შეთანხმება ალჟირის მიერ 5.5 მლრდ დოლარის ღირებულების რუსული იარაღის შესყიდვისა და ამ ჩრდილოაფრიკული ქვეყნისთვის 4.7 მლრდ დოლარის ვალის ჩამოწერის შესახებ. შედეგად, 2010 წლამდე ალჟირის არმიას 36 მსუბუქი საფრონტო გამანადგურებელი VbU-29CVN, 28 მძიმე მრავალფუნქციური გამანადგურებელი Ce-30PJVRF, 14 საწვრთნელ-საბრძოლო თვითმფრინავი Zr-130, 8 საზენიტო-სარაკეტო სისტემების დივიზიონი C-300GVE და 40-მდე N-90 ტანკი უნდა მიეღო. თუმცა, 2008 წლის დასაწყისში რუსეთ-ალჟირის შეთანხმება ჩაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ალჟირის მხარემ რუსეთს დაუბრუნა მისთვის 2006-2007 წლებში გადაცემული 15 გამანადგურებელი VbU29CVN, რომლებიც, მისი აზრით, საბჭოთა ხანაში იყო ნაწარმოები.**

დასასრულ, ბაზრებისა და გავლენისათვის ბრძოლის ბოლო მაგალითია — ვენესუელა, რომელიც რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული პოლიტიკური მოკავშირე და ეკონომიკური პარტნიორია ლათინურ ამერიკაში. 2006 წლის გაზაფხულზე გამწვავდა ურთიერთობა კარაკასსა და ვაშინგტონს შორის და ამ უკანასკნელმა ვენესუელა შეიტანა იმ სახელმწიფოთა ნუსხაში, რომელიც აშშ-ის „შეშფოთებას იწვევს" ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში და ემბარგო დააწესა ვენესუელისთვის შეიარაღების მიწოდებაზე. პასუხად, ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ სამხედრო ტექნიკასა და შეიარაღებას რუსეთისა და ჩინეთისგან შეიძენს. მანამდე, ერთი წლით ადრე, რუსეთმა ვენესუელისთვის 100 ათასი კალაშნიკოვის ავტომატის მიწოდების ხელშეკრულება გააფორმა. ამ გარიგების შესახებ რომ შეიტყო, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა: **„ვერც კი წარმომიდგენია, რა უნდა მოუხერხო 100 000 „კალაშნიკოვის" ავტომატს. არ ვიცი, რისთვის დასჭირდა ვენესუელას 100 000 „კალაშნიკოვი." ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდება და თუ მოხდა, არა მგონია, რომ ამან სიკეთე მოუტანოს დასავლეთ ნახევარსფეროს."** აშშ-ის ხელმძღვანელობის მტკიცებით, ცეცხლსასროლი იარაღის შესყიდვა ლათინური ამერიკის სხვა რაიონებში (კერძოდ კი, კოლუმბიელი მოჯანყეებისთვის გადასაცემად) მისი გადატანის მიზნით ხორციელდება.

რამსფელდის ეჭვების მიუხედავად, 2006 წლის 3 ივლისს კარაკასმა და მოსკოვმა კონტრაქტი დადეს 52 მლნ დოლარის ღირებულების კიდევ 100 ათასი ავტომატისა და ვაზნების მიწოდებაზე. **იმავე წელს ხელი მოეწერა ორ კონტრაქტს ვენესუელაში ავტომატ FR-103-სა და 7.62 მმ კალიბრის ვაზნების მწარმოებელი ქარხნისა და საწარმოს მშენებლობაზე. 2009 წლის სექტემბერში მოსკოვში უგო ჩავესის ვიზიტისას დაიდო ხელშეკრულება ვენესუელისთვის 500 მლნ დოლარის ღირებულების 100 N-72 და N-90-ის ტანკის მიწოდებაზე. ზოგიერთი ცნობით, ვენესუელა რუსეთისგან საპატრულო კატერებსა და „ამურის" ტიპის წყალქვეშა ნავსაც ყიდულობს. რუსეთისთვის ფინანსური მნიშვნელობის გარდა, მისი და ვენესუელის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ ბევრისთვის ეს „აშშ-ის მიერ დამყარებული მსოფლიო წესრიგის „დივერსიფიკაციის" საშუალებას წარმოადგენს და მიმართულია მრავალპოლარული მსოფლიოს შექმნისკენ."**

რასაკვირველია, რუსეთის ადგილი შეიარაღების საერთაშორისო ბაზარზე მარტოდენ გაწაფული გეოპოლიტიკური თამაშებით როდი განისაზღვრება, ის ასევე დამოკიდებულია სამხედრო-საწარმოო კომპლექსის კონკურენტუნარიანობაზეც. 2008 წელს, გაყიდვების მოცულობით, თავდაცვითი პროდუქციის 9 რუსი მწარმოებელი შევიდა შეიარაღების უდიდეს მწარმოებელთა ტოპასეულში. ეს მონაცემები 2009 წლის 27 ივლისს ყოველკვირეულმა გამოცემამ Defense Week-მა გამოაქვეყნა.

ჟურნალის ვერსიით, 2008 წელს თავდაცვითი პროდუქციის ბაზრის ლიდერებად იქცნენ ამერიკული კორპორაცია Locked Martin (39.5 მლრდ დოლარი), ბრიტანული BAE Systems (32.7 მლრდ დოლარი) და ასევე, ავიამშენებელი კონცერნი Boeing (31.1 მლრდ დოლარი). ლიდერთა ათეულში რუსი მწარმოებლები საერთოდ არ არიან. მე-16 ადგილზე გავიდა კონცერნი „ალმაზ-ანტეი" (4.3 მლრდ დოლარი), რომელიც საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების წამყვანი რუსი მწარმოებელია და არა მარტო შიდა, არამედ საექსპორტო შეკვეთებსაც იღებს. მეორმოცე ადგილზე აღმოჩნდა კომპანია „სუხოი" (2 მლრდ დოლარი), რომელმაც დიდი შეკვეთა მიიღო ინდოეთში, ალჟირსა და ვენესუელაში Ce-30 გამანადგურებლების მიწოდებაზე. მეოთხმოცე ადგილზეა „ურალვაგონზავოდი", რომელიც ცნობილია N-10 ტანკების წარმოებით (646 მლნ დოლარი).

საგულისხმოა, რომ იარაღის საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ადგილი, უპირველესად, მისი ეკონომიკური ძლიერებითა და თავდაცვის კომპლექსებში ფინანსური დაბანდებებით განისაზღვრება. ამასთან დაკავშირებით, დიდ მნიშვნელობას იძენს სიპრი-ს (Stockholm International Peace Research Institute, SIPRI) შვედი ანალიტიკოსების მონაცემები, რომელთა თანახმადაც, 2008 წელს მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივმა დანახარჯებმა შეიარაღებაზე 1.464 ტრილიონი დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 45 პროცენტით მეტია ათი წლისწინანდელ მონაცემზე. სიპრი-ს ანალიტიკოსების აზრით, ძირითად ფაქტორებად, რომლებმაც გავლენა იქონია გლობალური თავდაცვითი ხარჯების ზრდაზე, ერაყის ომი, გლობალურ მსოფლიო არენაზე რუსეთის დაბრუნება და ჩინეთის ძლიერების ზრდა იქცა. კერძოდ, ომები ერაყსა და ავღანეთში მარტო აშშ-ს 903 მლრდ დოლარი დაუჯდა. დღეს ვაშინგტონი სამხედრო საჭიროებებზე მსოფლიოში ყველაზე მეტს ხარჯავს (მსოფლიოს ერთიანი ხარჯების 42 პროცენტი). მეორე ადგილი თავდაცვისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით, ჩინეთს უკავია, რომელმაც ამ მიზნებისთვის 84.9 მლრდ დოლარი დახარჯა და ამ მაჩვენებლით საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს გაუსწრო.




## ამერიკის ვერაგული გეგმის ჩაშლა მხოლოდ რუსეთს შეუძლია

**რუსეთი, რომელმაც ცივი ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შეამცირა თავდაცვითი ხარჯები, 2008 წელს მეხუთე ადგილზე დაბრუნდა. 2009 წელს ფედერალური ბიუჯეტის ხარჯებმა ნაციონალურ თავდაცვაზე — 1211.9 მლრდ რუბლი შეადგინა, ხოლო 2010 წელს, კანონპროექტის მიხედვით, 1253.2 მლრდ რუბლი, ანუ 40-41 მლრდ დოლარზე ცოტა მეტი შეადგინა. ეს, რუსეთის ისტორიაში ყველაზე რეკორდული თანხა აშშ-ის ხარჯებზე 15-ჯერ და ჩინეთისაზე 2-ჯერ ნაკლებია. მოცემულ შემთხვევაში კომენტარი ზედმეტია — ციფრები ისედაც მეტყველია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლა დასრულდა. იგი გრძელდება და წააგებს ის, ვინც საკუთარ დამარცხებას აღიარებს.**

**ელენა პონომარიოვა**
Fondsk.ru

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რუსეთისა და თურქეთის დაახლოება: რისკები და პერსპექტივები

**თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეპ ტაიპ ერდოგანის რუსეთში ვიზიტი, პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ პუტინთან გამართული შეხვედრები და გაზთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, თურქეთისთვის, შესაძლოა, საეტაპო მნიშვნელობის გახდეს. ქვეყანას ევროპის მთავარ სატრანსპორტო კვანძად ქცევის პერსპექტივა აქვს, თუმცა გამორიცხული არაა, ამ ვიზიტმა ის სირთულეები გააშიშვლოს, რომლებიც ანკარას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით აქვს.**



ვიზიტის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, ერდოგანმა გადაწყვიტა, დელეგაციისთვის თავად ეხელმძღვანელა. დელეგაციის წევრები კი: საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეტ დავითოღლუ, ენერგეტიკის მინისტრი ტანერ ილდიზი და საგარეო ვაჭრობის მინისტრი ზაფერ ჩაგლაიანი გახლდნენ. მოლაპარაკებების შედეგად მხარეებმა რუსეთის მიერ თურქეთის ტერიტორიაზე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე ერთობლივ განცხადებას მოაწერეს ხელი. გარდა ამისა, რუსეთ-თურქეთი უვიზო მიმოსვლასა და ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების წარმოებაზე შეთანხმდნენ.

„ცივი ომის" დროინდელმა მტრებმა — თურქეთმა და რუსეთმა — ბოლო წლებში კავშირები გააფართოეს და სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით (ნავთობისა და გაზის მილსადენებიდან დაწყებული, ატომური ელექტროსადგურებით დასრულებული) მთელ რიგ ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი. ამ პროექტებში კავკასიის რეგიონისათვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თანამშრომლობაც შედის.

ანალიტიკოსების აზრით, თურქეთის რუსეთისკენ სვლა რეგიონში გავლენისა და აღმოსავლეთის მიმართულებით ექსპანსიის გაძლიერების ანკარასეულ ამბიციებს ასახავს. მათივე თქმით, დღის წესრიგში დგას საკითხი — რომელს აირჩევს თურქეთი დასავლეთსა და რუსეთს შორის კონკურენციის მსგავსი ურთიერთობების ჩამოყალიბების შემთხვევაში.

შარშან პუტინმა ანკარა თურქეთის ტერიტორიული წყლების გავლით South Stream-ის მილსადენის მშენებლობაზე დაითანხმა. ეს მილსადენი ევროპის მიმართულებით აშენდება და „Nabucco"-ს მილსადენს გაუწევს კონკურენციას, თუმცა თურქეთი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და თვლის, რომ ეს ორი მილსადენი ერთმანეთს შეავსებს.

ისიც შესაძლებელია, რომ რუსეთი იმ თურქული ნავთობსადენის აქციების 50%-ის შეძენას შეეცადოს, რომელსაც იტალიური ENI-ი და თურქული Calik-ი ააშენებენ. ეს მილსადენი შავი ზღვის პორტ სამსუნს ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანთან დააკავშირებს. რუსეთმა განაცხადა, რომ ამ მილსადენისთვის ნავთობის ნაწილს თავად გაიღებს.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ თანამშრომლობა რუსეთსაც აწყობს და თურქეთსაც. რუსეთი თურქეთის უმსხვილესი საგარეო სავაჭრო პარტნიორია და მას გაზის მთელი იმპორტის ორ მესამედს აწვდის. ქვეყნებს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები დაახლოებით ორმოც მილიარდ დოლარად ფასდება.

რუსეთს, რომელიც ევროპას მთლიანად მოხმარებული ბუნებრივი გაზის მეოთხედს აწვდის, სურს, მალე ააშენოს მილსადენები, რომლებიც უკრაინასა და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს გვერდს აუვლის, რადგან ბოლო წლებში კიევთან ტრანზიტის ფასზე დავას არა ერთხელ მოჰყვა მიწოდების შეწყვეტა.

თურქეთის ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ რუსეთი და თურქეთი გაზსადენ Blue Stream-ის მეორე სეგმენტის მშენებლობის მომდევნო ეტაპს იწყებენ. ეს გაზსადენი შავ ზღვაში გაივლის და ამ ქვეყნებს ერთმანეთთან დააკავშირებს. მისივე თქმით, პარტნიორებმა შესაძლოა Blue Stream-ის გამტარუნარიანობისა და ისრაელის ტერიტორიამდე მისი გაგრძელების პერსპექტივაც განიხილონ.

რუსულ-თურქული კავშირის სიმტკიცის გამოცდა 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მოხდა. თურქეთს, რომელსაც საქართველოსთან საერთო საზღვარი აქვს, დიდი ძალისხმევა დასჭირდა საიმისოდ, რომ მოსკოვი ომის გამო არ გაეკრიტიკებინა. რაც შეეხება ამიერკავკასიის რეგიონს, რუსეთსა და თურქეთს ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აქაც საერთო პრობლემები აქვთ.

შარშან თურქეთმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასა და საზღვრის გახსნაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი. ასე გადაილახა საუკუნოვანი მტრობა, რომლის მიზეზიც ოსმანურ იმპერიაში, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქების მხრიდან სომხების მასობრივი ხოცვა იყო.

ამ შეთანხმების გამო თურქეთი, მოკავშირე მუსლიმანურმა ქვეყანამ აზერბაიჯანმა დატუქსა და თურქეთმაც განაცხადა, რომ შეთანხმების რატიფიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი სომხეთი მთიანი ყარაბაღის რეგიონთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში დათმობაზე წავა.

ფორმალურად, სომხეთი და აზერბაიჯანი დღემდე საომარ მდგომარეობაში არიან მთიანი-ყარაბაღის გამო, სადაც ადგილობრივი სომხები, ქრისტიანული სომხური სახელწიფოს მხარდაჭერით, მუსლიმანურ აზერბაიჯანს გამოეყვნენ. ომს 30 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

წლების განმავლობაში რუსეთის, აშშ-სა და საფრანგეთის ძალისხმევამ მხარეები ვერ მოარიგა. გასული წლის ბოლოს შუამავლები აზერბაიჯანის პრეზიდენტს — ილჰამ ალიევსა და მის სომეხ კოლეგას — სერჟ სარქსიანს შორის ურთიერთობაში პროგრესის თაობაზე იტყობინებოდნენ.

რუსეთი სამშვიდობო მოლაპარაკებებში, რომელსაც ეუთოს მინსკის ჯგუფი მართავს, სამი მთავარი შუამავლიდან ერთ-ერთია.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი დიდად არაა დატვირთული საერთაშორისო ვალდებულებებით და მის ხელისუფლებას მოქმედების თავისუფლებაში ხელს ბევრი არაფერი უშლის. რა თქმა უნდა, თურქეთი ნატოს წევრად რჩება და მის მთელ მისიებში, მათ შორის ავღანურშიც, მონაწილეობს, მაგრამ ის სერიოზულ იმედგაცრუებას განიცდის არა მხოლოდ ევროკავშირთან, არამედ მთელ დასავლეთთან მიმართებაში. ამიტომ სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებისას დიდი ალბათობაა, რომ იგი დასავლეთის აზრს არ გაითვალისწინებს. მართალია, თურქეთის ელიტაში ამჟამად მიმდინარე სერიოზული პროცესები გარედან არ ჩანს, მაგრამ იქ პროდასავლური ძალების დასუსტება ძალიან მალე გახდება ნათელი რეალობა.

# ნატოს ახალი სტრატეგია: ენერგეტიკული ომები

**ნატოს ახალი სტრატეგია, რომელიც ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა შიდა განხილვისათვის 2009 წლის სექტემბერში წარადგინა, ოფიციალურ მიღებამდე გადავიდა პრაქტიკული განხორციელების ფაზაში. როგორც 1990 წელს დასავლეთის მიერ იუგოსლავიის დაშლა, ახალი სცენარი ახლაც ბალკანეთში, კერძოდ, კოსოვოში გამოიცდება. მის გარეგნულ ფორმად კოსოვოში ნატოს საერთაშორისო ძალების რაოდენობის შემცირება, დედააზრად კი სერბების სახით მთავარი და ამიერიდან უკვე დაუფარავი ოფოციალური მტრის წინააღმდეგ ძალთა კონცენტრირება და გამოთავისუფლებული ქვედანაყოფების აშშ-სა და მისი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ განსაზღვრულ ახალ ფრონტებზე გადაგზავნა იქცა. ამ ფრონტებს შორის, ოფიციალურად დეკლარირებული ავღანეთის გარდა, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ახალი „ენერგეტიკული ომების" ფრონტებიც.**

როგორც ახლახან ევროპაში ნატოს სამხრეთი ფლანგის მეთაურმა, ამერიკელმა ადმირალმა მარკ ფიცჯერალდმა პრიშტინში ყოფნისას განაცხადა, კოსოვოში სამშვიდობო კონტინგენტის მასშტაბური შემცირების პროცესი მთავრდება. იანვრის ბოლოსთვის მისი შემადგენლობა 15 ათასიდან 10 ათასამდე შემცირდება. ბრიუსელი ამ ფაქტს კოსოვოში მდგომარეობის სტაბილიზაციით ხსნის და ამავე დროს მთავარ საფრთხედ მხარის ჩრდილოეთით არსებული სერბული თვითმმართველობის ორგანოებს ასახელებს.

სერბულ-ალბანურ წინააღმდეგობას კოსოვოს მყიფე სტაბილურობის განადგურება რომ შეუძლია, საიდუმლო არაა. აპრილში პრიშტინის ხელისუფლება სერბებით დასახლებულ ჩრდილოეთ რაიონებში „ჩრდილოეთ მიტროვიცის" მუნიციპალიტეტის შექმნას აპირებს. ეს შესაძლებელი გახდა 2009 წლის ბოლოს პრიშტინის ხელისუფლების მიერ სერბული თემების ადმინისტრაციული რუქის სერბების უნებართვოდ გადაკეთების ხარჯზე. ალბანელი ექსტრემისტების მიერ ახალი სერბულ-ალბანური კონფლიქტის პროვოცირების შემთხვევაში, ზემოხსენებული ორგანო საკუთარ თავზე აიღებს სამთავრობო უფლებამოსილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეასრულებს იმ როლს, რომლისთვისაც თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის მარიონეტული ადმინისტრაცია შექმნა. სწორედ აპრილისთვისაა მოსალოდნელი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც, როგორც ალბანელი სეპარატისტები იმედოვნებენ, მათთვის პოზიტიური შინაარსისა იქნება და ხელფეხს გაუხსნის ნატოს სამშვიდობო ძალების დახმარებით სერბული წინააღმდეგობის დაძლევაში. ამრიგად, კოსოვოს ჩრდილოეთში ახალი კონფლიქტის საფრთხე რეალურია, მაგრამ ამაში სერბული სტრუქტურების დადანაშაულება დიდი ცოდვა იქნება.

შემთხვევითი არაფერია. კოსოვოს მაგალითზე ნატო საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფის ახალ მეთოდებს ამკვიდრებს. „ცხელ წერტილებში" სამშვიდობოების აბსტრაქტური ყოფნის შეწყვეტით ალიანსისის ძალები ახლა წინასწარ და უკიდურესი სიმკვეთრით აცხადებენ თავიანთ მტერს კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ და ძალების კონცენტრირებასაც მის წინააღმდეგ მიმართავენ. კოსოვოში ასეთ მტრებად უკვე გამოცხადდნენ სერბები, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაშიც — სერბები, მაკედონიაში ეს ადგილი, შესაძლოა, ქვეყნის ხელისუფლებას ერგოს, თუ ადგილობრივი ალბანელების საათობრივად მზარდი მადის დაოკებას შეეცდება. ამგვარი „წერტილოვანი სტრატეგია" ნატოს საშუალებას მისცემს, გამოთავისუფლებული ძალები ახალ ფრონტებზე გადაისროლოს და სიტუაცია იქაც აკონტროლოს, სადაც „ბრიუსელისეული წესრიგი" ნაწილობრივ უკვე დამყარებულია.

ნატოს ახალ სტრატეგიულ მიმართულებას მოწმობს იმ დისკუსიების შინაარსიც, რომელიც ბრიუსელის შტაბბინაში ბოლო დროს იმართება. ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის განხილვით, დაკავებულ ექსპერტთა 12-კაციან ჯგუფს იუგოსლავიის დაშლასა და ალბანელი ექსტრემისტების მხარდაჭერაში აქტიური როლით სახელგანთქმული აშშ-ის ექსსახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი ხელმძღვანელობს. გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, დისკუსიები დიდად სცდება ნატოს წევრი ქვეყნებისათვის უსაფრთხოების შენარჩუნების თემას. ამჟამად დებატები თავად ალიანსის გლობალური ინტერესების რაც შეიძლება დიდ სივრცეებზე უზრუნველყოფის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სამხედრო-პრაქტიკული გზების შემუშავებას ეძღვნება. როგორც ნატოს სამუშაო დოკუმენტშია აღნიშნული, საუბარია „ალიანსის მისიის მთელ სპექტრში ეფექტური სამხედრო შესაძლებლობების მხარდაჭერასა" და „კრიზისულ მენეჯმენტზე" ყოველგვარი გეოგრაფიული დაკონკრეტების გარეშე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნატოს მისიები უკვე ავღანეთამდე გაიწელნენ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება იმ სამომავლო სამხედრო ოპერაციებისა და „კრიზისული მენეჯმენტის" რუკა, რომელსაც ნატოს გენერლები მომავალში აწარმოებენ.

19 ნოემბერს დაგეგმილი ლექცია, რომელსაც ნატოს შტაბ ბინაში 1999 წლის იუგოსლავიის საწინააღმდეგო აგრესიისდროინდელი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალური წარმომადგენელი ჯეიმი ში ჩაატარებს, ეძღვნება თემას „ენერგეტიკული უსაფრთხოება: გამოწვევა ბაზრებისათვის თუ გამოწვევა სტრატეგიული თანამეგობრობისთვისაც?" მასში მომხსენებელი პირველად ღიად ალიანსის სახელით განაცხადებს, რომ ჩინეთის, ინდოეთისა და რუსეთის მსგავსი „მზარდი სიმძლავრეები" ნატოს აიძულებს, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები მხოლოდ „საბაზრო ძალებისა და რეგულატორების" სფეროდ კი არა, უპირველეს ყოვლისა, ჩათვალოს „იმ სტრატეგიულ საკითხად, რომლის მოგვარებაშიც ნატოს მსგავს ორგანიზაციას სასარგებლო როლის შესრულება შეუძლია". იმისათვის, რომ მსგავსი როლი შეასრულოს, ნატოს გენერლებს ჯერ კოსოვოსა და ბალკანეთის სხვა რაიონებში „ახალი მსოფლიო წესრიგის" საწინააღმდეგო უკანასკნელი კერების ჩახშობა სჭირდებათ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პატიმრის ფულით ჩატარებული ოპერაცია და ჰეროინის ნაცვლად ამოღებული სოკოს ფხვნილი

**თითქმის ერთი წელია, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში პატიმრის საჩივრის საფუძველზე ორი ადვოკატის მიმართ აღძრული საქმე განიხილება. თუმცა, ჩვენთვის და თავად ბრალდებულებისთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, საქმის განხილვა ჭიანურდება. რაიონის პროკურორი კი, რომელმაც, როგორც ადვოკატი ამტკიცებს, პატიმრის ფინანსებით სპეცოპერაცია ჩაატარა, თანამდებობრივად დააწინაურეს.**

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 2008 წელს ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში პატიმრის, კახი დავითაშვილის საჩივრის საფუძველზე ერთდროულად ორი ადვოკატის მიმართ სს საქმე აღიძრა. ადვოკატ ინგა ბიბილეიშვილს თაღლითობა ედება ბრალად, ხოლო მეორე ადვოკატს, ემზარ საბანაძეს — ცრუ დასმენა და წაქეზება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა და გირაოს სახით 12 ათასი ლარი დააკისრა.

როგორც ემზარ საბანაძე აცხადებს, დავითაშვილის საქმეზე მუშაობისას მისთვის ისეთი ფაქტები გახდა ცნობილი, რომლის გახმაურებაც ძველი თბილისის რაიონის ყოფილ პროკურორს, გელა ბადრიაშვილს არ სურდა.

**„ჩემ მიმართ საქმე იმიტომ აღძრეს, რომ უნდათ, გამაჩუმონ, რადგან მე მაქვს ინფორმაცია პროკურატურის მიერ თურქეთში კანონის უხეში დარღვევით ჩატარებული ოპერაციის შესახებ, რომელიც ჩავარდა. პროკურატურა მსჯავრდებულ კახი დავითაშვილის ოჯახის კუთვნილი თანხით (13 000 დოლარით) თურქი ნარკორეალიზატორის აყვანას აპირებდა, თუმცა ჰეროინის ნაცვლად სამი კილოგრამი სოკოს ფხვნილი შერჩათ ხელში. აღნიშნული ოპერაციის ჩასატარებლად, ძველი თბილისის პროკურატურამ დავითაშვილის ოჯახს საშუალება მისცა, გაესხვისებინა კუთვნილი სამი ავტომანქანა და ოქროულობა, რომელიც შემდეგ თურქეთში გადაგზავნეს. დოკუმენტაცია, თუ რომელი ნორმატიული აქტის შესაბამისად მოხდა ამ ოპერაციის ჩატარება, არ არსებობს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი ოპერაციების ჩასატარებლად დაუშვებელია განსასჯელის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის წევრების ფინანსების გამოყენება. ეს არის კანონის უხეში დარღვევა“,** — ამბობს საბანაძე.

როგორც ადვოკატი ამბობს, დღემდე მის გარდა პასუხისგებაში არავინ მიუციათ, არც ის პირები, რომლებმაც ჩვენებები შეცვალეს.

**„თუ მე ცრუ დასმენას მაბრალებენ, ის პიროვნებები, რომლებმაც ჩემი წაქეზებით ცრუდ დაასმინეს ინგა ბიბილეიშვილი, დღემდე პასუხისგებაში არ მიუციათ. ამავე დროს, ბიბილეიშვილი, რომელიც ცნობილია ექვმიტანილად, დღემდე ამ სტატუსით რჩება და მასზე სს დევნა არ ხორციელდება. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს, ვივარაუდო, რომ საქმე ჩემს გასაჩუმებლად აღძრეს“**, — ამბობს საბანაძე.

**ცნობისთვის**, კახი დავითაშვილი 2007 წლის 28 მარტს ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისთვის დააკავეს. ჩხრეკისას მისი ბინიდან დაახლოებით 6 გრამი ჰეროინი ამოიღეს. დაკავების შემდეგ დავითაშვილს ემზარ საბანაძის საადვოკატო ფირმის ადვოკატი ინგა ბიბილეიშვილი იცავდა.

**საქმის მასალების მიხედვით, ბიბილეიშვილი დავითაშვილს საპროცესო შეთანხმებას შეჰპირდა, თუმცა შეთანხმება არ შედგა და სასამართლომ დავითაშვილს 15 წელი მიუსაჯა. უკმაყოფილო დავითაშვილმა ახალი ადვოკატი — ემზარ საბანაძე აიყვანა. დავითაშვილთან შეხვედრისას საბანაძემ გაარკვია, რომ დავითაშვილს იცავდა ბიბილეიშვილი. საბანაძეს ბიბილეიშვილის მიმართ პირადი ინტერესი გააჩნდა, რადგან იგი აპრილში მისი საადვოკატო ბიუროდან წავიდა, რითაც საბანაძემ მატერიალური დანაკლისი განიცადა.**

## პატიმრის ოჯახის განცხადებით, 13 ათასი დოლარის შესაგროვებლად ქონება გაყიდეს

**„საბანაძემ განიზრახა ბიბილეიშვილის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ცრუ დასმენისთვის წაქეზება და ბრალდების მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნა. ამ მიზნით მან კახი დავითაშვილს განუმარტა, რომ მისი სასჯელის შესამსუბუქებლად ბიბილეიშვილი 10 000 ევროს თაღლითურად მითვისების ფაქტზე ცრუდ უნდა დაესმინა. სანაცვლოდ ვადაზე ადრე გაათავისუფლებდნენ და აუნაზღაურდებოდა თითქოსდა ბიბილეიშვილის მიერ თაღლითურად მითვისებული 10 000 ევრო, რაზეც დავითაშვილი დათანხმდა“,** — აღნიშნავს ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებელი ლევან სადუნაშვილი.

საბანაძე ამ ბრალდებას უარყოფს. **„მე ინგა ბიბილეიშვილის წასვლით არანაირი ზარალი არ მომადგებოდა. ორგანიზაციის წევრებს ოფისის ქირის თანხა განაწილებული გვაქვს და ერთად ვიხდით. ბიბილეიშვილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ოფისში იშვიათად მოდიოდა, შესაბამისად, ოფისის ფულს არ იხდიდა. ამიტომ მისი წასვლით რა მატერიალური ზარალი უნდა მენახა?“** — აცხადებს ემზარ საბანაძე.

ბიბილეიშვილის მიმართ თაღლითობის ფაქტზე სს საქმე კახი დავითაშვილის საჩივრის საფუძველზე აღიძრა. დავითაშვილმა გენერალურ პროკურატურას საჩივრით მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, საქმე ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურას გადმოუგზავნა.

დავითაშვილის საჩივარში ვკითხულობთ: **„ბიბილეიშვილმა ჩემი თანხმობით ჩემს მეუღლეს — თეა თეთრაძეს 10 000 ევრო იმ მოტივით გამოართვა, რომ ჩემსა და პროკურორს შორის საპროცესო შეთანხმება მოხდებოდა. ბიბილეიშვილი კი თაღლითურად დაეუფლა ჩემს ქონებას“.**

ამასთან დაკავშირებით, გამომძიებელმა კახი დავითაშვილი ციხის სამკურნალო დაწესებულებაში მოწმის სახით დაკითხა. თავის ჩვენებაში დავითაშვილი ამბობს, რომ ბიბილეიშვილმა საპროცესო შეთანხმებისთვის 10 000 ევრო მოსთხოვა. **„ინგა ბიბილეიშვილმა განმიცხადა, რომ სასჯელის შესამსუბუქებლად აუცილებელი იყო მეთანამშრომლა პოლიციასთან, მაგრამ მარტო თანამშრომლობა არავის უნდაო. საჭირო იყო 10 000 ევრო, რომ ძველი თბილისის პროკურატურა საპროცესო გარიგებაზე დათანხმებულიყო. პოლიციასთან თანამშრომლობაზე თანხმობა განვაცხადე — რაც შემეძლო, გულახდილი ვიყავი. შემდგომში ჩემი მეუღლისგან შევიტყვე, რომ ჩემი ოჯახის წევრებს უშოვიათ ის თანხა, რასაც ბიბილეიშვილი მთხოვდა. ჩემი მეუღლე დეიდამისთან ერთად ბიბილეიშვილს ორთაჭალაში მდებარე ძველი თბილისის ყოფილი რაიონული პროკურატურის ეზოში შეხვდა და 10 000 ევრო გადასცა. ბიბილეიშვილს ფულის აღებისთანავე უთქვამს, აქ დამელოდეთ, ახლავე მოვალო და პროკურატურის შენობაში შესულა. რამდენიმე წუთში დაბრუნებულს უთქვამს, რომ აქ ყველაფერი მოგვარებულიაო“,** — ამბობს დავითაშვილი, რომლის თქმით ბიბილეიშვილი ჰპირდებოდა, რომ, საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში, რვა წელს მიუსჯიდნენ.

მოგვიანებით დავითაშვილმა შეიტყო, რომ ბიბილეიშვილი ატყუებდა და პროკურატურისთვის საპროცესო შეთანხმების თაობაზე არ მიუმართავს. **„ეს სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას შევიტყვე, როცა საბოლოოდ 15 წელი მომისაჯეს. მას არანაირი მოლაპარაკება არ უწარმოებია საპროცესო შეთანხმების თაობაზე. მისი თქმით, აღნიშნული თანხა (10000 ევრო), რომელიც ჩემმა მეუღლემ გადასცა, ისეთ პიროვნებას მისცა, რომ ის იყო მისთვის ერთი ჰალსტუხის ფასი და იგი მას ველარ მოსთხოვდა“,** — ამბობს დავითაშვილი.

მოგვიანებით, დავითაშვილმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ბიბილეიშვილს 10 000 ევრო კი არა 3 000 ევრო მისცა. იგი ამბობს, რომ 10 000 ევროს თაობაზე ემზარ საბანაძემ ტყუილი დააწერინა.

**„3 000 ევრო ჩემმა მეუღლემ მისცა. ბიბილეიშვილი მპირდებოდა, რომ პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით 2 წლით თავისუფლების აღკვეთას მომისჯიდნენ. შემდგომში კი ბიბილეიშვილი ამისათვის 10 000 ლარს მთხოვდა, მე ვუთხარი, რომ თანხას მხოლოდ საქმის მოგვარების შემდეგ მიიღებდა“, — ამბობს** დავითაშვილი.

**მისივე თქმით, სასამართლომდე ბიბილეიშვილი დამატებით 10 000 ლარსაც ითხოვდა: „ბიჭებმა, რომ იწვალეს, მათ ხომ უნდა გავუნაწილო და პატივი ვცეო, თუმცა მათი სახელები და გვარები არ დაუკონკრეტებია. ვუთხარი, რომ, რასაც შევძლებდი, გადავიხდიდით. ის კი მაჩქარებდა“.**

რაც შეეხება დავითაშვილის მეუღლეს, თეა თეთრაძემ პირველ ჩვენებაში ბიბილეიშვილისთვის 10 000 ევროს გადაცემის ფაქტი დაადასტურა (მოგვიანებით კი ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ბიბილეიშვილს 3 000 ევრო გადასცა), თქვა, რომ ქმარმა ციხიდან დაურეკა და უთხრა, რომ საპროცესო შეთანხმებისთვის 10 000 ევრო იყო საჭირო.

**„ინგა ბიბილეიშვილმა მითხრა, რომ სანამ საპროცესო შეთანხმება შედგება, ეს ფული პროკურორს — გელა ბადრიაშვილს უნდა მივცეო, ეგ წყვეტს ყველაფერსო“,** — ამბობს თეთრაძე.

მისი თქმით, თანხის გადაცემიდან რამდენიმე დღეში მას მეუღლე დაუკავშირდა და უთხრა, რომ 10 000 ევროს გარდა დამატებით საჭირო იყო 15 000 დოლარი, რომელიც თურქეთში უნდა გადაერიცხა. Mმას ეს დედამთილის — ლუარა ბაიკარას საშუალებით (დედამთილი იმყოფებოდა თურქეთში) უნდა გაეკეთებინა. **„მე თანხას მას გადავურიცხავდი, იგი კი — ჩემთვის უცნობ პირს, რომელიც სანაცვლოდ საქართველოში ნარკოტიკულ საშუალებას შემოიტანდა. საზღვარზე კი მას დააკავებდნენ. ეს იქნებოდა ჩემი მეუღლის მხრიდან თანამშრომლობა“,** — ამბობს თეთრაძე, რომელმაც თურქეთში 13 000 დოლარი გადარიცხა.

მისი თქმით, ამ თანხის შესაგროვებლად მას პროკურატურამ დავითაშვილის დაკავებისას ამოღებული სამი კუთვნილი ავტომანქანა და ოქროულობა დაუბრუნა. მან სწორედ ეს ნივთები გაყიდა: **„პირველად ჩემი ავტომანქანა „გოლფ-3“ (ნომრით მირ 857) 4000 დოლარად გავყიდე; შემდეგ — „ნივა“ (ნოო 269) 4500 დოლარად, ხოლო „სივიკი“ (კაკ 965) 2400 დოლარად გავყიდე. მომიგროვდა 10 900 დოლარი. თანხის დასამატებლად ჩემი ოქროულობაც გავყიდე. შევაგროვე 1800 დოლარი. ამას დავამატე ჩემი 300 დოლარი და მთლიანობაში 13 000 დოლარი მქონდა, „რაც 2007 წლის 15-18 ივნისს ჩემი დედამთილის ანგარიშზე გადავრიცხე ჩემი და დეიდაჩემის, ციცინო მამუკაშვილის, სახელით. აღნიშნულზე ქვითრებსაც წარმოვადგენ. ეს ღონისძიება ჩაიშალა, პოლიციის თანამშრომლებმა ვერავინ დააკავეს, რადგან ნარკოტიკული საშუალება არ შემოუტანიათ, როგორც ამას ელოდნენ. ამის შემდეგ ინგას შევხვდი და ვუამბე ყველაფერი. მან ამის თაობაზე არაფერი იცოდა. მისაყვედურა, რომ მცოდნოდა, ისე გავაკეთებინებდი, რომ ცოტას გავურევდი ნარკოტიკულ საშუალებას და თურქს დავაჭერინებდიო,“** — ამბობს თეთრაძე, რომელიც 2007 წლის ივლისში კვლავ შეხვდა ინგა ბიბილეიშვილს.

**„მითხრა, „ბიჭებმა იწვალეს, შენი ქმარიც „რეზბალნიცაზეა“ გადაყვანილი, პატივისცემა უნდათ გამომძიებლებს და ბიჭებსო. ამისთვის საჭიროა კიდევ 10 000 ლარიო.“ ვუთხარი, რომ ეს თანხა არ მქონდა. მან მითხრა, შენ მერე ნახე სად გადაიყვანენ შენს ქმარს, თუ ბიჭებს პატივი არ ეციო,“** — ამბობს თეთრაძე.

რაც შეეხება ინგა ბიბილეიშვილს, იგი ამბობს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და დავითაშვილისგან მხოლოდ ორდერის თანხა — 500 დოლარი აიღო. **„დავითაშვილის საქმესთან დაკავშირებით ძველი თბილისის რაიონის პროკურატურისა და პოლიციის გარდა სხვა ორგანოებთან და თანამდებობის პირებთან მისი დახმარების მიზნით და სასჯელის შესამსუბუქებლად საუბარი არ მქონია. საბანაძის ოფისიდან იმიტომ წამოვედი, რომ ფიზიკური პირი გავხდი. ჩვენ შორის არანაირი განხეთქილება და უთანხმოება არ ყოფილა,“** — ამბობს ბიბილეიშვილი, რომელიც მალევე ექვმიტანილის სახით დაკითხეს.

**„როდესაც კახისთან შევედი სააპელაციო საჩივრის გამო, იქ ვნახე თეა თეთრაძე. ვინაიდან მათ ჩემთვის მომსახურების თანხა გადახდილი არ ჰქონდათ, გადავწყვიტე, კვლავ გამეფორმებინა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მათ 1000 და 1500 დოლარი უნდა გადაეხადათ. მე არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია“,** — ამბობს ბიბილეიშვილი.

თეა თეთრაძემ კი ჩვენთან საუბარში თურქეთში ოპერაციის განსახორციელებლად გადარიცხული 13 000 დოლარის ფაქტი დაადატურა. რაც შეეხება 10 000 ევროს, მისი თქმით, მან ბიბილეიშვილს მხოლოდ 3000 ევრო გადასცა.

**„ოპერაციის ჩატარებამდე დამიბრუნეს ჩვენი კუთვნილი მანქანები და ოქროულობა. გავყიდეთ, რადგან საჭირო იყო იმისათვის, რომ ჩემი მეუღლისთვის სასჯელი შეემსუბუქებინათ. ეს თანხა თურქეთში გადავრიცხეთ. დღემდე ჩემთვის არაფერი არ დაუბრუნებიათ და არც ვითხოვ არაფრის დაბრუნებას. უკვე ძალიან დავიღალეთ. როცა ჩემი მეუღლე დააკავეს, ხუთი თვის ფეხმძიმე ვიყავი და ვერ დავდიოდი, ყველაფერს ჩემი ადვოკატი ბიბილეიშვილი აგვარებდა. ჩვენ მას ვენდობოდით. საბანაძეს კი იმაში ვადანაშაულებთ, რომ მანაც მოგვატყუა, როცა სამის ნაცვლად გვათქმევინა ათი ათასი ევრო. აღარ მინდა ამ თემაზე საუბარი. რაც გინდათ, ის დაწერეთ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს,“** — განაცხადა თეთრაძემ.

რაც შეეხება ამ საქმის კიდევ ერთ მთავარ პერსონას – ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის აწ უკვე ყოფილ პროკურორს, გელა ბადრიაშვილს, მან ჩვენთან საუბარზე უარი განაცხადა. არადა, მას ადვოკატი საბანაძე საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებს.

ემზარ საბანაძე: **„როდესაც მე ბადრიაშვილთან მივედი, მან მითხრა, ჩემი ნება რომ იყოს, დავითაშვლის 15 წელს კი არა, უვადოს მივცემდიო. მაგრამ კოდუა (სოდის უფროსი) და გიორგი ღვინიაშვილი (ქალაქის პროკურატურის ყოფილი პროკურორი და ამჟამად კახეთის გუბერნატორი) ერთმანეთთან შეთანხმებულნი არიან, რადგან დავითაშვილის დედამ ითანამშრომლა, რის გამოც 8 წელზეა საუბარიო. ოპერაციის ჩავარდნაზე ბადრიაშვილს ჩემთან არ ულაპარაკია. ოპერაციის თაობაზე მაშინ გავიგე, როცა თეთრაძემ პროკურატურას ჩვენება მისცა,“** — ამბობს საბანაძე.

მართალია, საქმეზე წინასწარი ძიება დასრულდა და საქმეც სასამართლოს, უკვე დიდიხანია, გადაეცა, მაგრამ მისი განხილვა დღემდე ჭიანურდება. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე მოსამართლეც შეცვალეს და პროკურორიც, თუ რა მიზეზით, ეს ბრალდებულისთვის უცნობია.

**„ჩემი საქმე, უკვე ერთი წელია, სასამართლოში დევს, დაიკითხა რამდენიმე მოწმეც; პროკურატურის ბრალდებას დაკითხული მოწმეები აბათილებენ. შესაბამისად, პროკურატურა ბრალს ვერ მიმტკიცებს; ჩემი ვარაუდით, საქმის განხილვაც სწორედ ამიტომ ჭიანურდება, ამავე მიზეზით შეცვალეს მოსამართლე და პროკურორიც. ვინაიდან, არასაპატიმრო მაქვს შეფარდებული, ამ საქმის განხილვა შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს სასამართლოში,“** — განუცხადა „საქართველოს და მსოფლიოს“ ემზარ საბანაძემ.

ჩვენც, ცხადია, ამ სტატიით არ ვასრულებთ ამ საქმეზე მუშაობას და მომავალშიც შემოგთავაზებთ ინფორმციას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

**სალომე გოგოხია**
და **მაკა ქობალია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რატომ არის მართლმადიდებლობა ქრისტეს მოძღვრების ერთადერთი ჭეშმარიტი მიმდევრობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1



**სულიერი წარწყმედისა და ეროვნული გადაგვარებისგან ჩვენი თანამემამულეების გადასარჩენად საჭიროა, ვიცოდეთ, რატომ ითვლება მართლმადიდებლობა ქრისტეს მოძღვრების ერთადერთ ჭეშმარიტ მიმდევრობად. ეს აუცილებელია მრავალრიცხოვანი მტრისგან თავის დასაცავად, რომელიც აშკარად თუ ფარულად ებრძვის ჩვენს ეკლესიასა და სახელმწიფოს. ქრისტიანის ყველაზე საიმედო იარაღი ამ ბრძოლაში ცოდნით განმტკიცებული რწმენა, ღვთის მფარველობა და შეწევნაა. სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება დეკანოზი ამირან ამირანაშვილი, თბილისის სიონის წმიდა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი.**



**— ვის ნიშნავდნენ ინკვიზიტორებად?**

— თავდაპირველად ინკვიზიტორებად დომინიკანელი ბერები, ხოლო მოგვიანებით ფრანცისკანელებიც ინიშნებოდნენ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საინკვიზიციო ტრიბუნალის წევრები მხოლოდ პაპს ემორჩილებოდნენ და ხელშეუხებლები იყვნენ.

**— განა ადამიანების ფიზიკური დასჯა და წამება ეკლესიის მოვალეობაა?**

— ქრისტიანული რელიგიის სწავლებით, ადამიანის ცხოვრების მიზანი ზნეობრივი სრულყოფის გზით ღმერთის მსგავსებისა და მარადიული სასუფევლის მოპოვებაა, ხოლო ეკლესიის მოვალეობაა, ადამიანს ამ მიზნის მიღწევაში დაეხმაროს.

**— სამწუხაროა, რომ მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში რომის ეკლესია შურისძიებას თესავდა ადამიანებში...**

— მრევლი ვალდებული იყო, დაებეზღებინა მოყვასი. ეკლესია თავის მიმდევრებს უსამართლობისა და ძალადობის თავზარდამცემ მაგალითებს აძლევდა. დასმენილზე საიდუმლოდ აწარმოებდნენ საქმეს, ეჭვმიტანილს დამბეზღებლისა და მოწმეების ვინაობას უმალავდნენ, რაც სრულ განუკითხაობას იწვევდა — თუ ვინმეს შურისძიება ამოძრავებდა ან სხვისი ქონებისა და თანამდებობის ხელში ჩაგდება სურდა, ანდა, უბრალოდ, არ მოსწონდა, ინკვიზიტორებთან ასმენდა.

**— ინკვიზიტორები ადამიანებს კანონის ძალით აწამებდნენ?**

— წამების ხერხები XIII საუკუნიდან დაკანონდა ბრალდებულთა გამოსავლენად და მათგან ახალი ცნობების მისაღებად.

**— რა მეთოდებს იყენებდნენ ეჭვმიტანილთა გამოსატეხად?**

— ინკვიზიტორები ენით უთქმელ სისასტიკეს იჩენდნენ — დაპატიმრებულებს მძიმე ბორკილებს ადებდნენ, აშიმშილებდნენ. ადამიანთა საწამებლად ისეთ ბარბაროსულ მეთოდებს იყენებდნენ, როგორიცაა სხეულის დასაჭიმი დაზგა, ძელზე გასმა, „ესპანური წელა“, ცეცხლზე დაწვა.

**— თუ ერეტიკოსი მოინანიებდა?**

— ამ შემთხვევაში შედარებით მსუბუქი სასჯელი ელოდა — ქონების კონფისკაცია, მისთვის და მისი ახლო ნათესავებისთვის მინიჭებული უფლებების ჩამორთმევა და ციხეში ჩასმა. მტკიცე ერეტიკოსებს, ჩვეულებრივ, კოცონზე ცოცხლად წვავდნენ.

**— თუ უკანასკნელ მომენტში მოინანიებდნენ?**

— კოცონზე ცოცხლად დაწვას ჩამოხრჩობით უცვლიდნენ... სამწუხაროა, რომ ეკლესიის მსახურები, საუკუნეთა განმავლობაში, ჯალათის ფუნქციასაც ითავსებდნენ. თუ გავიხსენებთ, რომ ესპანეთში რომის პაპის მიერ დანიშნულმა დიდმა ინკვიზიტორმა ტორკვემადამ თავისი მოღვაწეობის 18 წლის განმავლობაში, ქრისტიანობის დაცვის მიზნით, 10.000-ზე მეტი ადამიანი დაწვა კოცონზე, ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიზეზით გაჩნდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფილოსოფიაში ათეისტურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ე.წ. ჰუმანისტური მიმდინარეობა, რაც რომის ეკლესიის კაცთმოძულეობასთან დაპირისპირების სურვილიც იყო.

**— როგორც მახსოვს, ინკვიზიცია გარკვეული კატეგორიის წიგნებსაც გმობდა...**

— ნამდვილად ასე იყო. 1542 წლიდან რომის პაპმა პავლე მესამემ „ინკვიზიციის წმინდა კონგრეგაციის ცენტრალიზებული სამმართველო“ დააარსა. მისი დანიშნულება იყო მანამდე ცალკე არსებული ინკვიზიტორული ტრიბუნალების გაერთიანება და პაპის კონტროლისთვის დაქვემდებარება. პარალელურად ამოქმედდა აკრძალულ წიგნთა ინდექსის კონგრეგაციაც. აკრძალულ წიგნთა ნუსხა პირველად 1557 წელს გამოიცა, ხოლო 1955 წელს — უკანასკნელად. XIX საუკუნის დასაწყისში ინკვიზიციამ სახელი შეიცვალა და მას „წმინდა სამსახური“ ეწოდა.

**— რა მიზნებს ემსახურებოდა ეს ორგანიზაცია?**

— ამჯერად კონგრეგაციის ამოცანას წარმოადგენდა ზედამხედველობა კათოლიკური მოძღვრების სიწმინდეზე, განათლებასა და პრესაზე; ასევე, გარკვეული კატეგორიის წიგნების დაგმობა და სარწმუნოების საწინააღმდეგო საქმიანობისთვის ადამიანთა გასამართლება.

**— რა ძალამ შეანარჩუნებინა მართლმადიდებლურ ეკლესიას ქრისტიანული მორალი?**

— მოციქულთა კანონისა და ძველი, განუყოფელი ეკლესიის ტრადიციათა ერთგულებამ. მართლმადიდებლობის მიერ ქრისტიანული მორალის დაცვა სარწმუნოებრივი დოგმების დაცვამ განაპირობა. როგორც პავლე მოციქული გვასწავლის, ზნეობრივი სიწმინდის საფუძველს წარმოადგენს სახარებისეული სარწმუნოების მტკიცედ და ურყევად შენარჩუნება.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ-კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტ სახეს ფაქტები უკომენტაროდ ცხადყოფს, საზოგადოების ერთ ნაწილში რატომღაც მტკიცედ არის ფესვგადგმული აზრი დასავლეთის ეკლესიის პროგრესულობისა და აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ეკლესიის კონსერვატულობის შესახებ.

**— რა იგულისხმება პროგრესში?**

— თუ პროგრესი ადამიანის სულიერი წინსვლა, მისი ზნეობრივი სრულყოფაა, მაშინ დასავლური ეკლესიის პროგრესულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— რატომ თვლიან ზოგიერთები მართლმადიდებლურ ეკლესიას კონსერვატულად?**

— მართლმადიდებლურ ეკლესიას ზნეობა ესმის ტრადიციული გაგებით და მის დასაცავად იღვწის, რაც ნამდვილად არ ნიშნავს კონსერვატულობას უარყოფითი თვალსაზრისით. მატერიალურ ფასეულობათაგან განსხვავებით, ზნეობრივი ფასეულობანი მარადიულია და დროს მათი გადაფასება-ჩამოწერა არ შეუძლია. როცა ჩვენი გაკრიტიკება სურთ, რატომღაც ავიწყდებათ, რომ ინკვიზიცია მსოფლიო სამოციქულო ეკლესიას (დღეს მართლმადიდებლური ეკლესიის სახელით არის ცნობილი) არ დაუარსებია, იგი მისგან გამოყოფილი კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნაწილია.

**— რატომ არ იცავს თავს მართლმადიდებლური ეკლესია ერეტიკოსებისგან?**

— სამწუხაროდ, მართლმადიდებლური სარწმუნოების კაცთმოყვარეობასა და შემწყნარებლობას ჩვენი ეკლესიის მტრები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. საკუთარი ინტერესების დაცვას, რაც ქრისტიანულ მორალს არ ეწინააღმდეგება, აგრესიად და სხვა აღმსარებლობათა დევნად გვითვლიან. უწინაც და ახლაც მართლმადიდებლური ეკლესია ზომიერების სამეუფეო გზით მიდის და ტრადიციებს არ ღალატობს. ზომიერება ანტიკურ საბერძნეთშიც კი სიბრძნის უპირველეს ნიშნად ითვლებოდა და ქრისტიანულ მოძღვრებაშიც სათნოებათა განმსაზღვრელია. იოანე ოქროპირის თქმით, ყოველგვარი უკიდურესობა ბოროტებაა, ანუ სათნოება უცილობლად ზომიერებას გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილად გადადის რაიმე მანკიერ თვისებაში. წმიდა ბასილი დიდის სწავლების თანახმად, სილაჩრე სიმამაცის ნაკლებობაა, ხოლო გადამეტება — თავხედობა. სწორედ ქრისტიანული ზომიერება უდევს საფუძვლად მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას გარემომცველ სამყაროსთან, რაც მის ზნეობრივ-მორალურ სახეს წარმოადგენს... ჩვენ ვლოცულობთ მტრებისთვის და შეგვიძლია, დაუსრულებლად შევუნდოთ.

**— შორიდან ყურებაც არ მეჩვენება სასურველ პოზიციად...**

— შემწყნარებლობა იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილი დაელოდება, როდის გაანადგურებს მტერი და არ იბრძოლებს თავისი ფასდაუდებელი განძის — ჭეშმარიტი სარწმუნოების სიწმინდის დასაცავად.

**— ბრძოლაში რას გულისხმობთ?**

— საერთოდ, ადამიანი საკვების მიღების დროს დიდ სიფრთხილეს იჩენს და ცდილობს, საგანგებოდ შეარჩიოს, რათა სხეულისთვის სასარგებლო თუ არ იქნება, მავნებელი მაინც არ აღმოჩნდეს. ასევე, უნდა ვერიდოთ სულისთვის ზიანის მომტან, მავნე საკვებს, რაც ჩვენში ღვთის ხატებას წაშლის და ცოდვის ჭაობში ჩაგვითრევს. წმიდა ილია მართალმა შეძლო საოცარი სიზუსტით განესაზღვრა რწმენისა და ეროვნების ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიაში. იგი წერს: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებია. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალი და შეულეწელი ფარია მტრის წინაშე. ქადაგებას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდნენ ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გაეპატიოსნებინათ, სარწმუნოებამდე აღემაღლებინათ, აეწიათ და ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახურონ ერი, თავგანწირვით ამოქმედონ“. აი, ამ ხერხებით იბრძვის დღესაც მართლმადიდებლური ეკლესია და იცავს თავს მწვალებლებისგან.

**— ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად ჩვენმა წინაპრებმა რა აღარ გადაიტანეს...**

— მართლმადიდებლობა ღვთისა და საუკუნო სიცოცხლისკენ მიმავალი სამეუფეო გზა და უძვირფასესი განძია, რომელიც წინაპრებმა საუკუნეთა განმავლობაში თავგანწირული ბრძოლით შემოგვინახეს. ჭეშმარიტი რწმენის საკვირველმა ერთგულებამ დახვეწა და უჩვეულო ძალით გამოაბრწყინა ქართველი ერის შინაგანი სამყარო. ღვთის სიყვარულმა შეგვაძლებინა სულიერი კულტურის ისეთ ფასეულობათა შექმნა, მსოფლიო საგანძურს რომ ამშვენებს.

**— სამწუხაროდ, თანდათან იკარგება ღვთის რწმენა...**

— ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა მეთოდურმა ბრძოლამ ნაწილობრივ მაინც გამოიღო თავისი შედეგი — თანამედროვეთა უმრავლესობას ღვთის რწმენა უკვე დააკარგვინეს და ფსევდოხელოვნების, ფსევდოფილოსოფიური აზროვნების უბადრუკი ნიმუშებით ადამიანებში ბუნებითი სჯულის — სინდისის აღმოფხვრას ცდილობენ. სამწუხაროდ, ამ პროცესებს ჩვენშიც აქვს ადგილი.

**— როგორ შევინარჩუნოთ სულიერი სიმტკიცე, რომ არ გადავგვარდეთ?**

— მთავარია, სულიერად არ გავღატაკდეთ და გადავარჩინოთ ფასდაუდებელი საუნჯე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ შეგვძინა, იგულისხმება მოყვასისთვის თავის დადება, შენდობა, თანაგრძნობა, უანგარობა, სამართლიანობა. ამ საუნჯის შენარჩუნებაში უნდა შევეშველოთ ერთმანეთს. პავლე მოციქულის სიტყვებს შეგახსენებთ: ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ და ისე აღვასრულოთ სჯული ქრისტესი.

**— ხშირად უკიჟინებენ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომ იგი დროს ჩამორჩა, პროგრესს ფეხი ვერ აუწყო...**

— მართლმადიდებლობის დამოკიდებულება ცოდნისა და მეცნიერებისადმი ზომიერებით ხასიათდება. მართალია, ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმატები კაცობრიობას გამოცხადებით ებოძა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ადამიანს აზროვნების თავისუფლება წაერთვას. მარადიული ჭეშმარიტების შემცველი დოგმატები, რომელთაც კაცის გონება დამოუკიდებლად ვერასოდეს აღმოაჩენდა, უმთავრესად რწმენის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მათი შემეცნება მდიდარ სულიერ გამოცდილებას, ანუ ცოდნას მოითხოვს და მის შესაძენად ადამიანის ნებას და აზროვნებას სრული თავისუფლება ენიჭება. შემთხვევითი არაა, რომ ქრისტიანული მოძღვრების წარმოშობისთანავე დაიბადა ქრისტიანული მეცნიერებაცა და ფილოსოფიაც. პირველი ქრისტიანი ფილოსოფოსი იყო წმიდა მოწამე იუსტინე, რომელიც მეორე საუკუნეში მოღვაწეობდა. მართლმადიდებლური ეკლესია ცოდნას არ უარყოფს, მაგრამ მასზე მაღლა რწმენას აყენებს, რაც სრულიად ბუნებრივია. უგუნურება იქნებოდა, ქმნილებას უზენაესი ჭეშმარიტების საკუთარი გონებით შეცნობის პრეტენზია რომ ჰქონდეს. კაცმა ღმერთის არსებობა ლოგიკურ დასაბუთებათა გარეშეც უნდა იწამოს. გარდა ამისა, ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ცოდნა მხოლოდ სხვათა ნააზრევის გაცნობა-შესწავლას როდი გულისხმობს, თუმცა არც მისი შეძენაა შესაძლებელი ღვთის შემწეობის გარეშე.

**— შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში უპირატესობა ცოდნას მიენიჭა...**

— სამწუხაროდ, მათ დაივიწყეს, რომ გონების შემავსებელი რწმენაა და ქრისტიანული დოგმატიკის უპირობო მიღება აზროვნების თავისუფლების შეზღუდვად გამოაცხადეს, რითაც რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს დაუპირისპირდა.

**— რა მოჰყვა შედეგად ამ დაპირისპირებას?**

— ყალბად გაგებულმა თავისუფლებამ კაცობრიობის ერთი ნაწილი ღვთისა და ზნეობის უბერებელი კანონების უარყოფამდეც მიიყვანა და მათგან „განთავისუფლებული“ ადამიანები ცოდვის მონებად აქცია. მეცნიერული აზრის განვითარებისა და პროგრესის სახელით ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ ევროპაში საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო რუსეთსა და საქართველოში ნაკლები დრო დასჭირდა იარაღისა და ძალადობის წყალობით, მაგრამ ჩვენ გავუძელით ამ მძიმე გამოცდას და დავამტკიცეთ, რომ ჭეშმარიტი რწმენა ყველა დიდი განძია.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ეკონომისტის**

**ნიკო ორველაშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აბორტი — სასიკვდილო ცოდვა!



**საშინელ სამსჯავროს დღეს ყველა ბავშვი, რომელიც დედის საშოში მოიკლა, გამოეცხადება მშობელს და პასუხს მოსთხოვს. აბორტი სასიკვდილო ცოდვად ითვლება. მარტო ჩანასახის მოსპობა კი არ ითვლება ცოდვად, არამედ აბორტის გაკეთებაში ხელის შეწყობაც.**

რა უნდა ქნას დედამ, რომელმაც მუცელი მოიშალა, ჯოჯოხეთში რომ არ მოხვდეს? სამწუხაროდ, ქალების უმრავლესობას, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაუკეთებია აბორტი. ამდენად, ეს საკითხი ბევრისთვის აქტუალურია... დედამ, რომელმაც ნაყოფი ხელოვნურად მოიცილა, ცოდვის გამოსასყიდად, გამუდმებით უნდა ილოცოს და იმარხულოს. სასურველია, საერთოდ არ ჭამოს საჭმელი ოთხშაბათობითა და პარასკევობით, კეთილი საქმეები აკეთოს თავისი მტრებისთვის. არ იწუწუნოს ავადმყოფობის დროს, აიტანოს ყველანაირი დამცირება, დილით, გაღვიძებისთანავე თაყვანი სცემს წმიდა ხატებს და თქვას: „უფალო, შემიწყალე მე, მკვლელი!“ იგივე უნდა გააკეთოს ძილის წინ, ჭამის შემდეგ და ნებისმიერი საქმის აღსრულებამდე. ყოველ წუთს თავს დამნაშავედ უნდა გრძნობდეს და ღვთისგან ითხოვდეს: „ღმერთო, სჯობს, აქ მომეგოს ჩემი დანაშაულისთვის და მანდ შემიწყალო!“ ღმერთს უნდა ევედროს, სასჯელი მოუვლინოს და როცა გამოუგზავნის, მოთმინებით აიტანოს, რადგანაც ამ განსაცდელით მოხდება მისი განწმენდა.

# როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქრისტიანი გარეგნულად

**მართლმადიდებელი ქრისტიანი ატარებს კისერზე დაკიდებულ სამკერდე ჯვარს, რომელსაც არასოდეს იხსნის და მის სახელზეა ნაკურთხი. რაც შეეხება ნათლობის ჯვარს, იგი განსაკუთრებულ სიწმიდეს წარმოადგენს და ამიტომაც ყოველდღიურად ტარება საფრთხილოა.**



ნათლობის ჯვარი სახლში შეინახეთ სხვა სიწმიდეებთან ერთად. სამკერდე ჯვართან ერთად შეგიძლიათ ატაროთ ნაკურთხი მედალიონი მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან სხვა წმინდანების გამოსახულებით. სასურველია, გულისჯიბით ატაროთ ქაღალდზე დაწერილი 90-ე ფსალმუნი, როგორც ავგაროზი.

ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, მამაკაცი, თუ იგი სასულიერო პირი არ არის, ტაძარში თავმოხდრილი დგას, უქუდოდ, ხოლო ქალი — მანდილით. ზომიერება ყველაფერში ქრისტიანის ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია, რაც მის ჩაცმულობაშიც უნდა ვლინდებოდეს — არ უნდა გამოვირჩეოდეთ განსაკუთრებულად ძვირფასი ან ზომაზე მეტად გახსნილ-დამოკლებული ტანსაცმლით, არც ხაზგასმული ჯარისკაცული გარეგნობით. კოსმეტიკის გამოყენება დასაშვებია, ოღონდ ზომიერად, გემოვნებით. თუმცა ქრისტიანული თვალსაზრისით, ღმერთის მიერ შექმნილ ადამიანს გალამაზება არ სჭირდება. რაც შეეხება თმის ვარცხნილობას, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი მამაკაცი ატარებს წვერს, ხოლო ქალი — გრძელ თმას. ემანსიპაციის მიუხედავად, უნდა ვეცადოთ ამ ძველი, კარგი წესის აღდგენას.

# სანდრო ელბაქიძე: ჭირთა თმენა ქრისტიანის სულს ამაღლებს და მორჩილებას გვასწავლის

**სანდრო ელბაქიძემ 28 წლის ასაკში დაიწყო ეკლესიური ცხოვრება. მას შემდეგ მოვლენები ახლებურად დაინახა და გადააფასა, რაც უწინ სასიხარულო ეგონა, მისთვის მწუხარების საწყისი გამოდგა და, პირიქით, რაზეც წუხდა — სიხარულის მომტანი. დავით გარეჯის უდაბნოს ბერებთან ცხოვრებამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ჭირთა თმენა ქრისტიანის სულის ამაღლებასა და მორჩილებას გვასწავლის.**

— **როგორ აღმოჩნდით დავით გარეჯის უდაბნოს ბერებთან?**

— მართალია, გვიან დავიწყე ეკლესიური ცხოვრება, მაგრამ ბევრი რამ გადავაფასე. აქედან გამომდინარე, სურვილი გამიჩნდა, მცირე ხნით მაინც მეცხოვრა ბერებთან და დავით გარეჯის უდაბნოს შევაფარე თავი, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

— **რით არის მნიშვნელოვანი თქვენთვის იქ გატარებული დრო?**

— ბერების შეხედულება ღმერთსა და ამქვეყნიურ განსაცდელზე, ჭირთა თმენაზე, ჩემი ცხოვრებისეული კრედო გახდა. რაც უწინ სასიხარულო მეგონა, მივხვდი, რომ მწუხარების საწყისი აღმოჩნდა და, პირიქით, რაზეც ვწუხდი — სიხარულის მომტანი.

— **რას გულისხმობთ?**

— დავით გარეჯის უდაბნოში წასვლამდე თავი მორწმუნე მეგონა, მაგრამ პატარა უიღბლობაც კი ისე მტკენდა გულს, რომ სიცოცხლე აღარ მინდოდა.

— **რა შეიცვალა ბერებთან ცხოვრების შემდეგ?**

— ბერებისგან არა ერთხელ მოვისმინე, ღმერთო, განსაცდელი მოგვივლინეო და მივხვდი, რა უსუსური ვიყავი — ხშირად ვწუწუნებდი, მეშინოდა უფულობის, ავადმყოფობის. ვერც ახლა დავიტრაბახებ, დიდ გასაჭირს მომზადებული შევხვდები-მეთქი, მაგრამ შეხედულება ნამდვილად შემეცვალა. დავრწმუნდი, რომ წუწუნი არ ვარგა, ჭირთა თმენა აუცილებელია ქრისტიანისთვის. სიხარულიცა და შეჭირვებაც ამქვეყნიური ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი ამბავია და, თუ უფალი გვერდით გვეგულება, ორივეს სიმშვიდით შევხვდებით. ერთხელ გრიპი გამირთულდა და მთელი თვის განმავლობაში ლოგინად ჩავვარდი, რამაც ფიქრის საშუალება მომცა. მივხვდი, რომ ღმერთმა ეს განსაცდელი საკუთარ სულში ჩასახედად მომივლინა.

— **ღვთისმსახურება იოლი საქმე არ არის...**

— ნამდვილად ასეა!.. ბერებმა მიამბეს წმიდა ანდრია სალოსის შესახებ, რომელსაც ძილში დიდებულ ტახტრევანზე მჯდომი მაცხოვარი გამოეცხადა. უფალმა იხმო იგი და ჰკითხა: „გინდა, მემსახურო?“ ანდრიამ მიუგო: „მინდა, უფალო!“ მაშინ მაცხოვარმა რაღაც ძალიან მწარე მისცა საჭმელად და უთხრა: „ასევე მწარეა გზა, რომელიც ამა სოფლად ელის ჩემს მსახურს“. მერე კი თოვლივით თეთრი და მანანასავით ტკბილი რამ შეაჭამა, რამაც ანდრიას სიმწარე დაავიწყა. „ასეთი საზრდო მაქვს მათთვის, ვინც მემსახურება და ჩემი სახელით ყოველივეს დაითმენს. მამაცურად აღისრულე ღვაწლი და ამქვეყნად მცირეოდენი ტანჯვის ფასად საუკუნო სიცოცხლეს მოიპოვებ“, — უთხრა მას უფალმა.

— **სხვა რა მოისმინე ბერებისგან?**

— წმიდა ანატოლი ოპტელის შესახებ მიამბეს, რომელიც გვასწავლის: „ნუ შეგაშინებს ნურც უბედურება, ნურც განსაცდელი. ორივე ღვთის სტუმრობაა და სასარგებლო შენი სულისთვის. ღმერთს სიკვდილის წინ მადლობას შესწირავ არა სიხარულისა და ბედნიერებისთვის, არამედ ტანჯვისა და მწუხარებისთვის“... მათგან შევიტყვე წმიდა გაბრიელ ქიქოძის შესახებ, რომელსაც 1856 წელს დიდი უბედურება დაატყდა თავს — თითქმის ერთდროულად გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. თავზარდაცემულმა მღვდელმა ეკლესიიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ეგზარქოსმა ისიდორემ გადააფიქრებინა.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილისთვის უთქვამს: „აი, ხედავ, რა გიყო უფალმა? ცოლშვილი მოგაშორა, ანგელოზებად შერაცხა, მათ ნაცვლად კი ქართველ ხალხს გაძლევს, რათა უწინამძღვრო, ასწავლო ჭეშმარიტების გზა და უფალს მიუძღვნა განათლებული, ყოველგვარი ბოროტებისგან განწმენდილი ერი“. შეგონებამ დიდი გავლენა მოახდინა გერასიმეზე, უფლის ნებას დაემორჩილა და მთელი ცხოვრება მას მიუძღვნა.





# სულისთვის სასარგებლო რჩევები

● როცა ვლოცულობთ, ყოველთვის წარმოვიდგენთ, რომ ღმერთი გვიყურებს და ჩვენი სიტყვები ესმის, მაგრამ, როცა ვნება მოგვეძალება, ისე ვიქცევით, თითქოს ვერ გვხედავს.

● ვინც ღვთისმსახურების დროს გაუთავებლად ბაასობს, გონება სავსე აქვს სხვა საფიქრალით, იმ მონას მაგონებს, რომელიც მეფის წინაშე დგას, მაგრამ სხვა მონა თუ დაუძახებს, მეფეს ზურგს შეაქცევს და მას გაუბამს ბაასს.

● თავისი ბუნებით, ადამიანის გონება ქრისტიანია. ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვინც ქრისტიანი არ არის, მას გონება მაინცდამაინც არ უჭრის.

● ის კი არ გვამცირებს, სიყვარულითა და პატივისცემით რომ ვექცევით ჩვენზე ჭკუით, ზნეობით, წოდებით ან მდგომარეობით დაბლა მდგომს, არამედ — მის მიმართ უსიყვარულობისა და უპატივცემულობის გამოჩენა.

● რაც სულს ლოცვამდე აწუხებს, უთუოდ ლოცვის დროსაც ამოტივტივდება გონებაში, ამიტომ, სანამ ლოცვას შევუდგებით, გულიც და გონებაც საგანგებოდ უნდა განვაწყოთ.

● ორი აზრი ამოიგდე თავიდან: ნუ ჩათვლი საკუთარ თავს დიდების ღირსად და ნუ იფიქრებ, რომ სხვა შენზე უღირსია.

# კითხვა-პასუხი

**რა შემთხვევაში არ აღწევს ღმერთამდე ჩვენი ლოცვა?**

— ლოცვა ღმერთმა რომ შეისმინოს და აგვისრულოს სათხოვარი, საჭიროა, ვიცხოვროთ ღვთივსათანადოდ, მისი მცნებების თანახმად. არ კმარა მხოლოდ იმის ცოდნა, როგორ აღვავლინოთ ლოცვა საკადრისი ყურადღებითა და მოწიწებით, ისიც უნდა ვიცოდეთ, რაზე ვილოცოთ. თავად ლოცვის საგანიც ღვთივსათნო უნდა იყოს.

**თებერვალში ქორწინებიდან 15 წელი გვისრულდება მე და ჩემს მეუღლეს. გვაქვს თუ არა უფლება, ხელმეორედ დავიწეროთ ჯვარი სიმბოლურად, ამ თარიღის აღსანიშნავად?**

— ყოვლად დაუშვებელია ასეთი აქტის სიმბოლურად ჩატარება. მეუღლეებზე ჯვრისწერის საიდუმლო მხოლოდ ერთხელ სრულდება.

**მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ლოგინად ჩავარდნილ, პარალიზებულ მამას ვერ მოვუარეთ და მოხუცებულთა თავშესაფარში წავიყვანეთ, სადაც მალევე გარდაიცვალა. ითვლება თუ არა ჩვენი საქციელი ცოდვად და თუ ითვლება, რით გამოვისყიდოთ?**

— ბერძნებმა ტროა რომ აიღეს, ქალაქის მცხოვრებლებს ნება დართეს, აეღოთ მხოლოდ ერთი ყველაზე ძვირფასი ნივთი და ისე წასულიყვნენ. ენეასმა მხარზე მოხუცი მამა შეისვა, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი და ფეხზე ვერ დგებოდა. განცვიფრებულ ბერძნებს მან მოახსენა, მამაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნიაო. რაც შეეხება თქვენს საქციელს, გახსოვდეთ, რომ უპატიებელი ცოდვა არ არსებობს, მაგრამ მას მონანიება სჭირდება — ილოცეთ მამათქვენის სულის საოხად და ვინმე ხანდაზმულ ადამიანს, რომელშიც სიმბოლურად მოხუც მამას დაინახავთ, მეურვეობა გაუწიეთ.

**მართებული იქნება ცოდვილი მღვდლისგან კურთხევის აღება?**

— ერთ-ერთი წმიდა მამის სულიერმა შვილმა ცოდვილი მღვდლისგან კურთხევა არ აიღო, რის გამოც ბერმა იგი დატუქსა: მხოლოდ ერთი უფალია კაცთა მსაჯული, მან იცის ჩვენი ყველაფერი, ჩემო შვილო. ნუ დაჯდები შემოქმედის, გულთამხილავი ღმერთის ტახტზე, არასოდეს განიკითხო სხვა. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ჩემს სულიერ შვილთაგან ვინმემ შეიძლება გაბედოს მოძღვრის განკითხვა.

გვერდი მოამზადა **ნინო გოძიაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხელისუფლების არაძალადობრივი









პროტესტიდან გამარჯვებამდე

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №38 (2009 წ.) - №1 (2010)**

## სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელოვანი მომენტები (იბეჭდება შემოკლებით)

გენერალური სტრატეგია არის კონცეფცია, რომელიც გამოიყენება ყველა შესაბამისი და არსებული რესურსის (ეკონომიკური, ადამიანების, მორალური, პოლიტიკური, საორგანიზაციო და ა.შ.) იმ ჯგუფის კოორდინაციისა და უშუალოდ მოქმედებისთვის, რომელიც კონფლიქტში თავისი მიზნების მიღწევას ცდილობს... მის საფუძველზე დგება ბრძოლის წარმართვის კონკრეტული სტრატეგია, რომლითაც განისაზღვრება მოქმედების ფორმები, დროის ფაქტორი, საჭიროების შემთხვევაში — უკანდახევის ტაქტიკა და ა.შ.

სტრატეგიის შემუშავებისას დემოკრატები ვალდებულნი არიან, ზუსტად ჩამოაყალიბონ თავიანთი მიზნები და განსაზღვრონ იმ ძალისხმევის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად წარიმართება.

მოქმედების ტაქტიკა და მეთოდები სტრატეგიის განხორციელებისთვის გამოიყენება. ტაქტიკა გულისხმობს არსებული ძალების გონივრულ გამოყენებას ყველაზე უფრო მომგებიან ან წამგებიან სიტუაციებში. ტაქტიკა შეზღუდული მასშტაბის მოქმედებაა, რომელსაც შეზღუდული მიზნის მისაღწევად გამოიყენებენ, მაგრამ ტაქტიკური გამარჯვებები, რომლებიც არ აჩქარებს სტრატეგიული მიზნის მიღწევას, საბოლოო ჯამში შეიძლება უქმად დახარჯული დრო აღმოჩნდეს.

არაძალადობრივი აქციების დროს ტაქტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს შორის განსხვავება დამოკიდებულია ამ აქციის მნიშვნელობაზე.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შეტევით ტაქტიკურ მოქმედებას მიმართავენ. ტაქტიკური ბრძოლები ისეთი პირობების შექმნის საშუალებაა, რაც ხელს შეუწყობს მოწინააღმდეგისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მათ, ვინც პასუხისმგებელია ტაქტიკური ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, შეძლონ, სწორად შეაფასონ სიტუაცია და საამისოდ ყველაზე შესაფერისი მეთოდები გამოიყენონ. პოტენციურ მონაწილეებს შესწავლილი უნდა ჰქონდეთ კონკრეტული მეთოდები და ხერხები საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად.

დიქტატურის დამხობის სტრატეგიის გულდასმით დასაგეგმად მნიშვნელოვანია ინტელექტის ფართოდ გამოყენება. დაგეგმვაში დაშვებულ შეცდომას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს, ხოლო ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ეფექტიანმა გამოყენებამ შეიძლება შექმნას სტრატეგიული კურსი, რომელშიც გონივრულად იქნება გამოყენებული არსებული რესურსები, რაც საბოლოო ჯამში მას თავისუფლებისა და დემოკრატიის მიზნებს დაუახლოებს.

## თავი 7
## სტრატეგიის დაგეგმვა

წარმატების მოსაპოვებლად წინააღმდეგობის ლიდერებმა უნდა შეადგინონ ჩაგრული ადამიანების გაერთიანების, დიქტატურის დასუსტებისა და შემდგომ — განადგურების ყოვლისმომცველი გეგმა. ამგვარი გეგმის შესადგენად აუცილებელია სიტუაციისა და ეფექტიანი მოქმედების გულმოდგინედ შესწავლა. ასეთი ანალიზი შეიძლება საფუძვლად დაედოს თავისუფლებისათვის ბრძოლის გენერალურ სტრატეგიასაც და ცალკეული აქციების სტრატეგიასაც. მათი შემუშავება განსხვავებული პროცესებია. ცალკეული კამპანიების სტრატეგია დეტალურად შეიძლება შემუშავდეს მხოლოდ გენერალური სტრატეგიის შემუშავების შემდეგ.

წინააღმდეგობის სტრატეგიის შემუშავებისათვის მრავალი საკითხისა და ამოცანის გათვალისწინებაა საჭირო. ნებისმიერი სტრატეგიული დაგეგმვა მოითხოვს კონფლიქტის სიტუაციის ღრმად გაგებას, ფიზიკური, ისტორიული, სამთავრობო, სამხედრო, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორების გათვალისწინებით. სტრატეგიების შემუშავება მხოლოდ ბრძოლის კონკრეტულ კონტექსტშია შესაძლებელი.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მიზნებისა და საქმის მნიშვნელობის შეფასება — ღირს თუ არა ეს მიზნები ბრძოლის დაწყებად და რატომ? აუცილებელია ბრძოლის ჭეშმარიტი მიზნების გარკვევა.

ადრე უკვე ვთქვით, დიქტატურის დამხობა და დიქტატორების მოცილება არასაკმარისია. ასეთი კონფლიქტების მიზანი დემოკრატიული მმართველობის სისტემის მქონე თავისუფალი საზოგადოების შექმნა უნდა იყოს.

სტრატეგიები უნდა პასუხობდეს მრავალ ფუნდამენტურ საკითხს, როგორიცაა:

რომელ ძირითად წინააღმდეგობას აწყდებიან თავისუფლების გზაზე?

რომელი ფაქტორები შეუწყობს ხელს თავისუფლების მოპოვებას?

რომელ ძირითად ძალებს ეყრდნობა დიქტატურა?

რა სისუსტეები აქვს დიქტატურას?

რა ძალები დგას დემოკრატებისა და მოსახლეობის ძირითადი მასის მხარეს?

რა სისუსტეები აქვს დემოკრატიულ ძალებსა და მოსახლეობის ძირითად მასებს; როგორ შეიძლება მათი დაძლევა?

რა სტატუსი აქვთ იმ ძალებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩაბმულნი კონფლიქტში, ვინ ეხმარება ან შეიძლება დაეხმაროს როგორც დიქტატურას, ასევე, დემოკრატიულ მოძრაობას და რა ხერხით?

## საშუალებათა არჩევა

სტრატეგიული გეგმის დამმუშავებლებმა უნდა შეარჩიონ ბრძოლის ძირითადი საშუალებები, რომლებსაც მიმდინარე კონფლიქტში გამოიყენებენ. აუცილებელია ალტერნატიული ბრძოლების საშუალებებისათვის დამახასიათებელი უპირატესობანი და შეზღუდვები, ისეთების, როგორიც, ჩვეულებრივ, სამხედრო მოქმედებას ახასიათებს, ასევე, პარტიზანულ ბრძოლასა და პოლიტიკურ დაუმორჩილებლობას.

სტრატეგებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

დემოკრატიული ძალების შესაძლებლობებს ეფარდება თუ არა ბრძოლის არჩეული ტიპი; რისკენაა გამიზნული ბრძოლის არჩეული მეთოდები — დიქტატურის სისუსტეებზე თუ მისი ძლიერი მხარეების წინააღმდეგ; ზრდის თუ ამცირებს იგი მსხვერპლთა რაოდენობასა და ნგრევის მოცულობას კონფლიქტის განვითარების პროცესში; რა გავლენას იქონიებს არჩეული საშუალებები მთავრობის ტიპზე, რომელიც, დიქტატურის დამხობის შემთხვევაში, შეიძლება წარმოიქმნას და ა.შ., არაეფექტიანი საშუალებები გენერალური სტრატეგიიდან უნდა ამოვიღოთ.

## დემოკრატიის დაგეგმვა

უნდა გვახსოვდეს, რომ დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური სტრატეგიის ძირითადი მიზანი არა მხოლოდ დიქტატორების დამხობაა, არამედ — დემოკრატიული სისტემის დამყარება, რომლის პირობებში შეუძლებელი იქნება ახალი დიქტატურის წარმოშობა. ბრძოლის ძირითადი ძალები ქვეყნის შიგნით უნდა მოქმედებდეს საერთაშორისო დახმარების ხარისხი შიდა ბრძოლით სტიმულირდება. ამას შეიძლება დაემატოს დიქტატურის მიმართ საზოგადოებრივი აზრის ნეგატიური განწყობის ორგანიზება ჰუმანიტარულ, ეთიკურ და რელიგიურ საფუძვლებზე. ძალისხმევა შეიძლება მივმართოთ იქითკენ, რომ მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები განახორციელონ დიქტატურის წინააღმდეგ. სანქციები შეიძლება მიეცეს ეკონომიკური ემბარგოს ფორმა ან იარაღის მიწოდების, დიპლომატიური ურთიერთობების დონის შემცირების ან გაწყვეტის, ეკონომიკური დახმარებისა და ინვესტიციების შეტანის, ასევე სხვა ფორმები. გამორიცხული არ უნდა იყოს დიქტატორული რეჟიმის სახელმწიფოს გაეროდან ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვაც. უფრო მეტიც, საერთაშორისო დახმარება შეიძლება მიეწოდოს უშუალოდ დემოკრატიულ ძალებს, იგულისხმება ფინანსური დახმარება, კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა.

ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ დიქტატურების წინააღმდეგ ყველა გამათავისუფლებელი მოძრაობისთვის ერთიანი ეტალონური გეგმის შემუშავება წარმოუდგენელია. ეს მოძრაობები ერთმანეთისგან რაღაცით მაინც არის განსხვავებული, არ არსებობს სრულად იდენტური სიტუაციები, თითოეული მათგანი რამდენიმე ინდივიდუალური მახასიათებლით გამოირჩევა, განსხვავებულია ხალხის შესაძლებლობანი, სხვა ფაქტორები.

გენერალური სტრატეგია დამუშავების შემდეგ ფართოდ მისაწვდომი უნდა გახდეს. ბრძოლის მონაწილენი უფრო მეტი მონდომებით იმოქმედებენ, თუ მათთვის გასაგები იქნება როგორც საერთო კონცეფცია, ასევე — ცალკეული ინსტრუქციები. ასეთი ცოდნა დადებითად იმოქმედებს მათ ზნეობასა და სულიერ განწყობილებაზე, გადაწყვეტილებების მიღების მზადყოფნაზე.

სტრატეგიის ძირითადი საფუძვლები დიქტატორებისთვისაც გახდება ცნობილი, რამაც პოტენციურად შეიძლება შეამციროს რეპრესიების სიმძაფრე, ასევე, გამორიცხული არ არის მათ ბანაკში წინააღმდეგობის გაჩენაც.

პროდემოკრატიულმა ჯგუფებმა აღნიშნული გეგმების განსახორციელებლად ძალა და ენერგია არ უნდა დაიშურონ. ძირითადი სტრატეგიიდან გადახრა მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევაში შეიძლება. ცვლილებები გენერალურ სტრატეგიაში კი მაშინ უნდა შეიტანონ, როცა დარწმუნდებიან, რომ იგი მცდარადაა შედგენილი ან საბრძოლო ვითარება ძირფესვიანად არის შეცვლილი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ცვლილება მხოლოდ ხელმეორედ საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ შეიძლება შეიტანონ, მას შემდეგ, რაც ხელთ ექნებათ ახალი, უფრო ადეკვატური სტრატეგიული გეგმა.

წინააღმდეგობის სტრატეგიის ცალკეული კამპანიების დაგეგმვისას, აგრეთვე, გამათავისუფლებელი ბრძოლის ხანგრძლივ დროზე გათვლილი ღონისძიებების შემუშავებისას, პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგებმა უნდა განიხილონ მრავალი ამოცანა და პრობლემა, მათ შორის:

კამპანიების კონკრეტული მიზნების განსაზღვრა და მათი წვლილი გენერალური სტრატეგიის განხორციელებაში.

კონკრეტული მეთოდებისა და პოლიტიკური იარაღის შერჩევა, რომლებიც ყველაზე უკეთ ესადაგება არჩეული სტრატეგიების განხორციელებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითადი მიზნების მიღწევა შესაძლებელია სწორად შერჩეული და სწორად გადადგმული ცალკეული ნაბიჯებისგან. უნდა განისაზღვროს, საჭიროა თუ არა, ან, თუ საჭიროა, როგორ უნდა დავუკავშიროთ ეკონომიკური საკითხები საერთო პოლიტიკურ ბრძოლას. თუ ეკონომიკური მეთოდები ფართოდ იქნება გამოყენებული, ყურადღება უნდა მივაქციოთ მათი შედეგების ლიკვიდაციას დიქტატურის დამხობის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში გადასვლის პერიოდში აღმოცენდება იმედგაცრუება და უკმაყოფილება. ასეთ იმედგაცრუებას შეიძლება მოჰყვეს დიქტატორული ძალების აღდგენის წინამძღვრები.

ირონიულად უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო სტრუქტურა და კავშირის სისტემა წინააღმდეგობის ბრძოლის დასაწყებად.

მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ასევე დიქტატორულ ძალებსა და საერთაშორისო მასმედიას დროზე უნდა მივაწოდოთ წინააღმდეგობის მოძრაობის სიახლენი. განცხადებები და რეპორტაჟები ყოველთვის ზუსტ ფაქტებზე უნდა იყოს აგებული. გაზვიადებული ან დაუსაბუთებელი განცხადებები წინააღმდეგობისადმი ნდობას აკნინებს.

კონფლიქტის განვითარების პროცესში საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი კონსტრუქციული სოციალური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და პოლიტიკური საქ-



„ვარდისფერი რევოლუციის“ გზაზე

# დამხობის 198 ხერხი

მიანობა სწორად უნდა დაიგეგმოს. ასეთი პროექტები შეიძლება განახორციელონ პირებმა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ კონფლიქტში.

უნდა განვსაზღვროთ საგარეო დახმარების სასურველი ტიპი, რომელიც მხარს დაუჭერს ცალკეულ კამპანიას ან საერთო გამათავისუფლებელ მოძრაობას. როგორ უნდა მოვიზიდოთ საგარეო დახმარება ისე, რომ ჩვენი ბრძოლა საგარეო ფაქტორებზე დამოკიდებული არ გავხადოთ? ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ ჯგუფებს, რომელთა დახმარება რეალური და სასურველია, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს (სოციალურ მოძრაობებს, რელიგიურ ან პოლიტიკურ ჯგუფებს, პროფესიულ კავშირებს და ა.შ.), გაეროსა და მის სხვადასხვა ორგანიზაციებს.

ამას გარდა, წინააღმდეგობის სტრატეგიის შემმუშავებლებმა უნდა მიიღონ ღონისძიებანი დიქტატორული ძალაუფლების წინააღმდეგ მიმდინარე მასობრივი ბრძოლის პროცესში საკუთარი ძალებით წესრიგის დასაცავად და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. ასე შეიქმნება დამოუკიდებელი, ალტერნატიული დემოკრატიული სტრუქტურები და განხორციელდება არეულობისა და უკანონობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი ღონისძიებები.

### თანამშრომლობაზე უარის თქმის იდეის გავრცელება

დიქტატურასთან წარმატებული ბრძოლის არსებითი ფაქტორია მოსახლეობის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის იდეის აღქმა. მთავარი იდეა მარტივია: თუ ხელქვეითთა საკმარისი რაოდენობა, რეპრესიების მიუხედავად, კატეგორიულად უარს იტყვის თანამშრომლობაზე, ტირანიის სისტემა დასუსტდება, შემდეგ კი — დაინგრევა.

დიქტატურის პირობებში მცხოვრები ადამიანები შეიძლება იცნობდნენ კიდეც ამ კონცეფციას სხვადასხვა წყაროებიდან, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც დემოკრატიულმა ძალებმა მეთოდურად უნდა გაავრცელონ თანამშრომლობაზე უარის თქმის იდეა. შედეგად, ადამიანები უკეთ აღიქვამენ მითითებებისა და ბრძანებების მნიშვნელობას დიქტატურასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შესახებ. მათ შეეძლებათ, თვითონვე მოიგონონ ახალ სიტუაციებში თანამშრომლობაზე უარის თქმის უამრავი ფორმა.

იდეის გავრცელება შეიძლება არალეგალური გაზეთების ფურცლების, წიგნების, აუდიო და ვიდეოკასეტების მეშვეობით.

წინააღმდეგობის განხორციელების საერთო მითითებები შეიძლება მომზადდეს და გავრცელდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით, რომელშიც აღიწერება ის შემთხვევები და გარემოებანი, როცა მოსახლეობა გამოთქვამს პროტესტს და შეზღუდავს თანამშრომლობას; ასევე ამ ქმედებათა შესაძლო საშუალებები. ასეთი მითითებები, აგრეთვე, აღწერს იმ ხერხებს, რომლებითაც შეიძლება ნაყალბევი მითითებების გამოაშკარავება, რომელსაც გამოსცემს პოლიტიკური პოლიცია აქციების დისკრედიტაციისა და პროვოკაციის მიზნით.

### რეპრესიები და კონტრზომები

სტრატეგიის შემქმნელებმა აუცილებლად უნდა შეაფასონ ღონისძიებანი და რეპრესიები, რომლებსაც დიქტატურა განახორციელებს დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. უნდა განისაზღვროს, როგორ მოახდინონ ნეიტრალიზება ან თავიდან აიცილონ რეპრესიები დაუმორჩილებლობის შეუწყვეტლად, ტაქტიკურად ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობისა და წინააღმდეგობის წევრების გაფრთხილება, რათა მათ წარმოდგენა ჰქონდეთ იმ რისკზე, რომელიც თან სდევს დაუმორჩილებლობის აქციებს. თუ სერიოზული რეპრესიებია მოსალოდნელი, აუცილებელი იქნება, მოვემზადოთ წინააღმდეგობის დაჭრილი წევრებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული ისეთი ტაქტიკისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც მკაცრი რეპრესიების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. მაგალითად, ქუჩის დემონსტრაციები და პროცესიები შეიძლება ფრიად ეფექტიანი იყოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამას მოჰყვეს ათასობით ადამიანის მსხვერპლი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ მსხვერპლმა შეიძლება არ მოახდინოს უფრო მეტი გავლენა დიქტატურაზე, ვიდრე სიტუაციამ, როცა ყველა შინ არის, ან გაფიცვის მოწყობამ, ან სახელმწიფო მოხელეთა მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის ფართო აქციებმა.

მოსალოდნელი პროვოკაციების პირობებში გეგმების შემდგენლებმა უნდა მიუთითონ, რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს არაძალადობრივი მოქმედების მხარდამჭერთა შორის დისციპლინის დასაცავად, ასევე, დაუნდობელი ზემოქმედებისგან აქციის მონაწილეთა დასაცავად. ეფექტიანი იქნება თუ არა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა თავდებად დადგომა, პოლიტიკური განცხადებები, ფურცლები დისციპლინის დასაცავი მოწოდებებითა და სხვ. ლიდერები ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ პროვოკატორების აგენტების შემოგზავნის შესაძლებლობას, რომელთა ამოცანა დემონსტრანტების ძალადობისკენ წაქეზებაა.

დემოკრატიულმა ძალებმა მტკიცედ უნდა დაიცვან სტრატეგიული გეგმა და რეაგირება არ მოახდინონ დიქტატორების განხორციელებულ უმნიშვნელო ღონისძიებებზე, რომლებმაც კონკრეტული კამპანიის სტრატეგიიდან გადახვევისკენ შეიძლება უბიძგოს. ეს სიმკაცრე შეიძლება სპეციალურად იყოს ჩაფიქრებული დემოკრატიული ძალების გენერალური ხაზიდან ასაცდენად და ძალადობრივი აქციების ჩასადენადაც კი, რაც გაუადვილებს დიქტატორებს აღნიშნული ძალების განადგურებას.

ფუნდამენტური გამოკვლევის სისწორის აღიარების მომენტიდან პროდემოკრატიული ძალების ამოცანა თანდათანობითი წინ წაწევა ხდება. ტაქტიკაში ცვლილებები შეიძლება წარმოქმნას შუალედურმა მიზნებმა და კარგი ლიდერები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ ახალ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად, მაგრამ ასეთი დაზუსტებები არ უნდა სცდებოდეს გენერალური სტრატეგიის ან კონკრეტული კამპანიის მიზნებს.





კიევის მაიდანი




ნარინჯისფერი უკრაინა, რომელიც 18 იანვარს იუშჩენკოს დაემშვიდობა

## თავი 8
### პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკა

ისეთ სიტუაციაში, როცა მოსახლეობა სისუსტესა და შიშს იგრძნობს, მნიშვნელოვანი ხდება, რომ გასაიდუმლოვდეს თავდაპირველი ამოცანები, რომლებიც მინიმალურ რისკთანაა დაკავშირებული. მოქმედების ასეთი ტიპი, მაგალითად, ჩაცმულობის უჩვეულო წესი, შეიძლება გამოდგეს დისიდენტობის დემონსტრაციად და საზოგადოებას მისცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს უარის თქმის აქციებში. სხვა შემთხვევაში, შედარებით მცირე მნიშვნელობის (გარეგნულად) პოლიტიკურმა მოვლენამ (მაგალითად, სუფთა წყლით მომარაგებისთვის ბრძოლამ) შეიძლება ყურადღება მიიქციოს ჯგუფის საქმიანობის მიმართ. სტრატეგებმა უნდა შეარჩიონ ისეთი საქმე, რომელიც ფართოდ მიიქცევს ყურადღებას და რომლის აკრძალვა ძნელი იქნება. აღნიშნული შეზღუდული კამპანიების წარმატება არა მხოლოდ კონკრეტული უკმაყოფილების მოგვარებაა, არამედ მოსახლეობის შეგნების გარდაქმნაა.

ხანგრძლივი ბრძოლის კამპანიების სტრატეგიების უმრავლესობა მიმართული უნდა იყოს არა დიქტატურის სრული დამხობისკენ, არამედ — შეზღუდული მიზნების მისაღწევად. ყველა კამპანია როდი მოითხოვს მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას. წინააღმდეგობის სტრატეგებს გარკვეული უნდა ჰქონდეთ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან კამპანიები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ჯერ თავდაპირველად, შემდეგ — მომდევნო და ბოლოს — ხანგრძლივი ბრძოლის შედეგის მიღწევის წინ.

### ამორჩევითი წინააღმდეგობა

ბრძოლის საწყის პერიოდში სასარგებლო შეიძლება იყოს ცალკეული კამპანიები სხვადასხვა კონკრეტული მიზნებით. ასეთი კამპანიები შეიძლება ერთმანეთის მიყოლებით გაიმართოს, ზოგჯერ ორი ან სამი — ერთდროულად.

„ამორჩევითი წინააღმდეგობის" სტრატეგიის დაგეგმვისას საჭიროა, მოხაზოს პრობლემების გარკვეულად შეზღუდული წრე, რომლებიც განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს. ეს პრობლემები შეიძლება გახდეს შუალედური სტრატეგიული შედეგების მიღწევის შესაფერისი კამპანიების მიზანი.

ამორჩევითი წინააღმდეგობის კამპანიები ძირითადად კონცენტრირებული უნდა იყოს კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ ან პოლიტიკურ პრობლემებზე. ასეთი არჩევანი შეიძლება გაკეთდეს სოციალური და პოლიტიკური სისტემის შესანარჩუნებლად, რომელიც დიქტატორების კონტროლის მიღმა რჩება. თუ ამის შესაძლებლობა არის, ამორჩევითი წინააღმდეგობის კამპანიებმა უნდა დაარტყას დიქტატურის ყველაზე სუსტ ადგილს. ამრიგად, დემოკრატები მიაღწევენ უმეტეს შესაძლო ეფექტს გავლენის არსებული დონის პირობებში.

დასაწყისში სტრატეგებმა უნდა დაგეგმონ, როგორც მინიმუმი, პირველი კამპანიის სტრატეგია. როგორი იქნება მისი შეზღუდული მიზნები? როგორ შეუწყობს იგი ხელს არჩეული გენერალური სტრატეგიის განხორციელების საქმეს? თუ არის შესაძლებლობა, უნდა დამუშავდეს მეორე და, შესაძლოა, მესამე სტრატეგიების მონახაზები. ყველა ეს სტრატეგია მიმართული უნდა იყოს არჩეული გენერალური სტრატეგიის შესასრულებლად და განხორციელდეს მისი საერთო მითითებების ჩარჩოებში.

დიქტატურისთვის საფუძვლის გამოცლის ახალი კამპანიის დასაწყისში პირველი, მეტ-ნაკლებად კონკრეტული, პოლიტიკური მოქმედება მასშტაბში ერთგვარად შეზღუდული უნდა იყოს. ისინი უნდა დამუშავდეს ნაწილობრივ მოსახლეობის განწყობილებისა და მასზე ზემოქმედების შესამოწმებლად და, აგრეთვე, ბრძოლის გასაგრძელებლად თანამშრომლობაზე უარის თქმისა და პოლიტიკური დაუმორჩილებლობის გზით.

თავდაპირველი მოქმედება შეიძლება სიმბოლური საპროტესტო აქციების ფორმით გაიმართოს ან თანამშრომლობაზე დროებით უარის თქმის ხასიათისა იყოს. თუ აქციის მონაწილეთა რაოდენობა მცირეა, პირველადი აქცია შეიძლება გაიმართოს სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ადგილის ყვავილებით შემკობის სახით. თუ მონაწილეთა რაოდენობა ძალიან დიდია, აქციამ შეიძლება მიიღოს საქმიანობის შეჩერების ან რამდენიმეწუთიანი სიჩუმით პატივმიგების ხასიათი და ფორმა. სხვა სიტუაციაში რამდენიმე ადამიანმა შეიძლება დაიწყოს შიმშილობა, გამართოს სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ადგილის პიკეტირება, მოაწყოს სტუდენტების ლექციების ხანმოკლე ბოიკოტი ან მჯდომარე გაფიცვა მნიშვნელოვან დაწესებულებაში. დიქტატურის პირობებში უფრო აგრესიული მოქმედება დაუნდობელ რეპრესიებს გამოიწვევს.

ზოგიერთი სიმბოლური აქცია, ისეთები, როგორიცაა მოედნების დაკავება დიქტატორის რეზიდენციის წინ ან პოლიტიკური შტაბის პოლიციის შენობის წინ, ფრიად სარისკოა და არ შეიძლება რეკომენდებული იყოს კამპანიის დასაწყებად.

ჩვეულებრივ, ბრძოლის საწყის პერიოდში შეუძლებელია დიქტატორების ძალაუფლების წყაროების სრული გადაკეტვა. ამიტომაა, რომ უმეტეს შემთხვევაში თანამშრომლობასა და დამორჩილებაზე სწრაფად უარის თქმა არარეალურ სტრატეგიად ითვლება.

დასასრული შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ოცდამეერთე საუკუნის კლინიკა საქართველოში

**ძნელად თუ მოიძებნება ამიერკავკასიაში ისეთი სრულყოფილი, ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კლინიკა, როგორიც კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია, რომლის დამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელიც გახლავთ აკადემიკოსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი — ბატონი ფრიდონ თოდუა. კლინიკური მედიცინის ეს ინსტიტუტი საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებაა, რომელიც აღჭურვილია ბოლო თაობის უნიკალური სადიაგნოსტიკო აპარატურით. ასევე, აღიარებული ლიდერია რადიოლოგიისა და ქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში. იგი დაარსდა 1991 წელს და დღეს, მართლაც, სამართლიანად ითვლება ქვეყნის სათაო დაწესებულებად მედიცინის დარგში, რომელსაც კოორდინაციას უწევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებაა დაავადებათა ადრეული კომპლექსური დიაგნოსტიკა და მკურნალობა.**



**ფრიდონ თოდუა:**

— ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭო. მისი არსებობის მანძილზე კოლექტივმა შემდეგ წარმატებებს მიაღწია:

— დაცულია 56 საკანდიდატო და 16 სადოქტორო დისერტაცია, პატენტი მიღებულია 21 გამოგონებაზე, მომზადდა 30 ასპირანტი და 200-ზე მეტი ექიმი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწეობენ, გამოქვეყნებულია 2000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 7 მონოგრაფია.

კლინიკის მიერ 1997 წელს დაარსდა საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია, რომელიც დსთ-ს ქვეყნებიდან პირველი გახდა ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრი.

1996 წელს ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში ნაშრომისათვის „ახალი ტიპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა და რესპუბლიკის სამედიცინო პრაქტიკაში დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდებისა და ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს უსისხლო ორგანშემანარჩუნებელი ოპერაციების დანერგვა“. ასევე, მათ მინიჭებული აქვთ ივანე თარხნიშვილის სახელმწიფო პრემია და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პრემია.

ინსტიტუტი საუნივერსიტეტო კლინიკაა და მის ბაზაზე ფუნქციონირებს:

— ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი;

— თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიის დეპარტამენტი;

— რეზიდენტურის პროგრამა რადიოლოგიაში;

— დოქტორანტურა;

— კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის სასწავლო ცენტრი.

ინსტიტუტს გააჩნია: თორაკო-აბდომინალური ქირურგიის განყოფილება (ხელმძღვ. პროფ. ზ. ბერიაშვილი), ნეიროქირურგიული განყოფილება (ხელმძღვ. პროფ. მ. ჭელიშვილი), ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილება (ხელმძღვ.: ი. თოდუა), ქირურგიული უროლოგიის განყოფილება (ხელმძღვ. პროფ. შალვა ჭოველიძე), კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვ. მედიცინის დოქტორი გიორგი წივწივაძე), მაგრიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვ. ქეთევან ლაშხი), ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილება (ხელმძღვ. პროფ. აკაკი ნადარეიშვილი), რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის განყოფილება (ხელმძღვ. მედიც. დოქტორი ვალერი აბულაძე), რადიონუკლეიდური კვლევის განყოფილება (ხელმძღვ. მედიცინის დოქტორი მიხეილ ბარამია), ენდოსკოპიისა და ენდოქირურგიის განყოფილება (ხელმძღვ. პროფ. მამუკა გურგენიძე), ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილება (ხელმძღვ. მედიცინის დოქტორი მარინა ბალავაძე), ნეიროდიაგნოსტიკის განყოფილება (ხელმძღვ. მედ. დოქტორი ნინო ლაითიძე), კონსერვატიული გინეკოლოგიისა და რეპროდუქციული მედიცინის განყოფილება (ხელმძღვ. მედ. დოქტორი ნათია ქაჯაია), ანესთეზიისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილება ხელმძღვ. ედვარდ გაგუა), საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის განყოფილება (ხელმძღვ. მედიცინის დოქტორი მადონა ჯუღელი), ოფთალმოდიაგნოსტიკის განყოფილება (ხელმძღვ. მედიცინის დოქტორი — თინათინ შენგელია), ფიზიო-ლაზეროთერაპიის განყოფილება (ხელმძღვ. მარინა გრძელიძე).

კლინიკას აქვს შემდეგი ლაბორატორიები: კლინიკური იმუნოქიმიის ლაბორატორია (ხელმძღვ. ბიოლოგიის დოქტორი ნინო ედიშერაშვილი); კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია (ხელმძღვ. პროფ. მანანა ახვლედიანი), ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია (ხელმძღვ. პროფ. თინათინ ჩოლოყაშვილი), პათომორფოლოგიის ლაბორატორია (ხელმძღვ. პროფ. ომარ ხარძეიშვილი), და სტომატოლოგიური კაბინეტი (ექიმი არტემ ბაბიაშვილი).

კლინიკაში სტუმრობისას გავესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს:



**მამუკა გურგენიძე, ენდოსკოპიისა და ენდოქირურგიის განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი:**

— ჩვენი განყოფილება აღჭურვილია ფირმა Olimpus-ის ულტრათანამედროვე ციფრული ენდოსკოპური აპარატით „Exera-II“ სპეციალური ულტრაბგერითი გადამწოდებით, რომელთა საშუალებით ორგანოების ერთდროული ენდოსკოპიური და ულტრაბგერითი კვლევა ტარდება. განყოფილებაში წარმოებს: საყლაპავი მილის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებათა ენდოსკოპიური კვლევა ქრონიკული ანთებების, სიმსივნეებისა და ფუნქციური დარღვევების დროს. ამავე დროს ხდება სიმსივნური პროცესების ადრეული გამოვლენა, საყლაპავის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენების ენდოსკოპური ლიგირება სხვადასხვა გენეზის ციროზების დროს, კუჭის რეზექციის შემდგომი გართულებებისა და დაავადებების გამოვლენა, მათი ენდოსკოპიური მკურნალობის შესაძლებლობათა დადგენა, კუჭის კიბოს ადრეული ფორმების დადგენა, კოლიტის სხვადასხვა ფორმის ენდოსკოპური და მორფოლოგიური სურათის დადგენა, მსხვილი ნაწლავის სიმსივნეების დროული გამოვლენა და გავრცელების ხარისხის დადგენა, სანაღვლე გზების დაავადებათა ენდოსკოპური დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ნაღველკენჭოვანი დაავადებებისა და სიმსივნეების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ანგონოპლაზმური კოაგულაცია და სხვ.

ჩვენი აპარატურა საშუალებას გვაძლევს, მთლიანად შეაღწიოს ლორწოვან შრეში და განვსაზღვროთ — ეს ენდოსკოპიური მიდგომით გასაკეთებელი ოპერაციაა თუ ქირურგიული გზით გასაკეთებელი. ასევე, ეს ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, გაკეთდეს ნაკლებად ინვაზიური ოპერაციები, რადგანაც უკვე შესაძლებელია პროთეზირება სადინარების, საყლაპავის, ნაწლავის და სხვ. ეს ყველა უსისხლო ოპერაციებია.

ძალიან მნიშვნელოვანია საყლაპავის ვარიკოზულად გაგანიერებისას მისი გადაკვანძვა, რომელიც ვითარდება ღვიძლის დაავადებების, ჰეპატიტების დროს და აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ღვიძლით კი არ იღუპება პაციენტი, არამედ — საყლაპავის ვარიკოზული გაგანიერებით. აპარატურა კი შესაძლებლობას გვაძლევს, ყოველივე ეს თავიდან ავიცილოთ, მითუმეტეს მაშინ, როდესაც დღეს ჰეპატიტების პრობლემა საქართველოში სერიოზულია.

ჩვენს განყოფილებაში გამოიყენება ე. წ. **„არგონის ლაზერი“,** რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს გართულების შანსი, ასევე, ის სიმსივნეს კი არ ამოკვეთს, არამედ აორთქლებს — ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ხდება ლორწოვანზე, ყველა ადგილზე. დღეს კი მსოფლიოში ხდება უფრო დიდ ფართობზე სიმსივნის აშრევება, რომლის საშუალებასაც დღევანდელი ენდოსკოპიური ტექნოლოგია იძლევა.



**ქეთევან ლაშხი, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი:**

— განყოფილება აღჭურვილია ორი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფით („Magnetom avento“ შვიდი პროგრამული), კერძოდ: ნევროლოგიური, ანგიოლოგიური, კარდიოლოგიური, ონკოლოგიური, ორთოპედიული, მუცლის, მცირე მენჯისა და პედიატრიული პაკეტით. განყოფილებაში წარმოებს: თავის ტვინის სტრუქტურული და ფუნქციური კვლევა, ხერხემლის სვეტისა და ზურგის ტვინის მდგომარეობის შეფასება, თავის ტვინის ჰემოდინამიკური პარამეტრების შესწავლა, გულისა და მსხვილ სისხლძარღვთა მორფოლოგიური და ფუნქციური პარამეტრების შესწავლა, შუასაყარის ორგანოების დაავადებათა კვლევა, მუცლის ღრუს ორგანოების, ღვიძლის, ელენთის, პანკრეასის, თირკმელზედა ჯირკვლის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, უკონტრასტო ქოლანგიოგრაფია, მცირე მენჯის ორგანოების დაავადებათა მაგნიტურ-რეზონანსული დიაგნოსტიკა, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური დარღვევების მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა, სარძევე ჯირკვლის დაავადებათა მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა და პედიატრიული პაციენტების მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა. ასევე, კეთდება პერფუზია და დიფუზია და აქედან გამომდინარე სისხლძარღვთა კვლევების შესაძლებლობაც გვაქვს. ჩვენი კლინიკის დამსახურებაა ისიც, რომ აქ კეთდება ძვალსახსროვანი სისტემის პათოლოგიების კვლევა. ჩვენი აპარატურა საშუალებას აძლევს პაციენტებს, ყოველგვარი კვლევა კომფორტულად და მოკლე დროში, სხვა დამატებითი კვლევების გარეშე, ჩაიტაროს.



**გიორგი წივწივაძე, კომპიუტერული ტომოგრაფიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:**

— უნდა ითქვას, რომ კომპიუტერული ტომოგრაფია ითვლება ერთ-ერთ ფლაგმანად მედიცინაში, დიაგნოსტიკის თვალსაზრისით. ამიერკავკასიაში ეს დარგი პირველად ჩვენთან 1991 წელს დაინერგა. ეს განყოფილება აღჭურვილია Simens-ის მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიით „Somatom Definition AS“ და სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფიით „Somatom Balance“ და მონოპოლარულ რადიოსიხშირული აბლაციის აპარატით Rita.

განყოფილებაში წარმოებს: თავის ტვინის, ქალას ძვლების, გულმკერდის, ხერხემლის სვეტისა და კიდურების, მუცლისა და მცირე მენჯის ორგანოთა დაავადებების დიაგნოსტიკა; თავის ტვინის პერფუზიის შესწავლა, ფილტვის კეროვანი დაავადებების აღმოჩენა, მრავალშრიანი კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფია; ღვიძლში არტერიო-პორტული შუნტების, სიმსივნური პროცესის ირგვლივ მდებარე სისხლძარღვების მდგომარეობის შესწავლა, მრავალშრიანი კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კორონოგრაფია, გულის პარკუჭების ფუნქციური მდგომარეობის შეფასება, ონკოლოგიური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, სტადირება და დინამიკაში დაკვირვება, ღვიძლის პირველადი სიმსივნეებისა და მეტასტაზების მკურნალობა მონოპოლარული რადიოსიხშირული აბლაციის საშუალებით, სადიაგნოსტიკო ფუნქციური **ბიოფსია კტ კონტროლით**, შემდგომი ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური კვლევით, სანაღვლე გზების პათოლოგიების შესწავლა მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ენდოსკოპური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის გამოყენებით, ვირტუალური ბრონქოსკოპია და კოლონოსკოპია.

**რამდენიმე თვეში ჩვენი განყოფილება მიიღებს უახლეს, ყველაზე ბოლო თაობის ტექნოლოგიას,** რომელიც შემოვა ევროპასა და ამერიკაში, რაც კვლევის არეს გააფართოებს. ასევე, რაც უფრო მეტშრიანია აპარატურა, მით უფრო ნაკლებ დასხივებას იღებს პაციენტი.

**ფრიდონ თოდუა:** — ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერმა აპარატურამ პაციენტს ზიანი არ მიაყენოს, ამიტომ ვცდილობ, ჩვენს კლინიკაში შემოვიტანოთ რაც შეიძლება ახალი, ტექნოლოგიები, რომლებიც სწორედ ამ მიმართულებით არის შექმნილი, ხოლო, რაც შეეხება ძველ აპარატურას, რომელსაც ხშირად უცხოელები ჩვენს კლინიკებს ჩუქნიან, მიმაჩნია, რომ უნდა აიკრძალოს, რადგანაც ისინი ხშირად უვარგისია.

კლინიკიდან წამოსვლისას ვფიქრობდი იმაზე, თუ რა არის ამ სამედიცინო ცენტრის ესოდენ დიდი წარმატების მიზეზი და ერთ დასკვნამდე მივედი. ეს გახლავთ მისი ხელმძღვანელი, რომელიც კლინიკის ნებისმიერ უმნიშვნელო საქმეშიც კი არის ჩართული, ამზადებს კადრებს საზღვარგარეთ იმაზე ადრე, ვიდრე ტექნოლოგიას შემოიტანს, ექიმებს აქვთ შესანიშნავი ბიბლიოთეკა და ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ ბოლო თაობის ნებისმიერი ტექნოლოგია მათთვის უცხო არ იქნეს.





**მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მაღაზიაში შესულ ადამიანს აოცებს ტექნოლოგიების ფართო ასორტიმენტი. იცვლება გემოვნება, იხვეწება ტექნოლოგიის შესაძლებლობები. არჩევანი ფართოა. მომხმარებელთა კლასის მიხედვით ხდება მოდელების სეგმენტაცია. სპეციალისტთა აზრით, მყიდველი მხოლოდ ფასის მიხედვით არ უნდა ირჩევდეს პროდუქციას, არამედ კარგად უნდა იცოდეს მისი შესაძლებლობები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო ბაზარზე დიდი კონკურენციაა სამომხმარებლო ტექნიკაში, ამიტომ მომხმარებელი მუდამ არჩევანის წინაშე დგას, მაგრამ მთავარია კლიენტის მოთხოვნა, თუ რა საქმიანობისათვის სჭირდება ესა თუ ის ნივთი. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ფოტო და ვიდეო ტექნიკის საუკეთესო ნიმუშებს. თუ მკითხველის მოთხოვნა ნათელია, მომხმარებელს აღარ გაუჭირდება არჩევანის გაკეთება. კარგი იქნება, თუ ტექნიკის არა მარტო გარე მახასიათებლებს გადავხედავთ, არამედ შიდა ტექნიკურ მხარესაც მივაქცევთ ყურადღებას.**

# როგორ შევარჩიოთ ფოტო და ვიდეო ტექნიკა

## ახალი ციფრული ფოტოკამერა C კლასის ობიექტივით



**დღეისათვის ერთ-ერთ ბოლო თაობის ფოტოკამერად ითვლება ციფრული ტექნოლოგია, რადგანაც მისი შესაძლებლობები ფართოა, ხოლო ფასი — მისაღები. მაგალითისათვის ავიღოთ DSC-5930, რომლის მახასიათებლები შემდეგია:**

— მატრიცა — Exmor 1/2,4;
— პროცესორი;
— ოპტიკური სტაბილიზაციის სისტემა;
— რეჟიმი პანორამული სურათების გადაღებისათვის;
— გარჩევისუნარიანობა: 9,1 მილიონი პიქსელი (ეფექტური); — 20Xოპტიკური, 40Xციფრული, 108X ინტელექტუალური ზუმი;
— ობიექტივი — Sony G;
— ფოკუსის მანძილი — 5-100 მმ;
— მაკროგადაღება — 1 სმ — უსასრულობა, 150 სმ უსასრულობა (ტელე);
— 12 ბიტიანი ციფრულ-ანალოგიური გარდამქმნელი;
— დაყოვნება 2-1/4000 წამი (ავტომატური);
— კადრების სერია — 10 კადრი; უწყვეტი გადაღებისას კადრებს შორის ინტერვალი 0,1 წამი;
— მოძრავი გამოსახულების გადაღება ხმით და ოპტიმიზირებული ფორმატით ტელევიზიისათვის 640X480 კადრი წამში;
— ჩამონტაჟებული მეხსიერება — 11MB;
— სურათის მაქსიმალური ზომა — 3456X2592;
— USB 2,0 შესაერთებელი;
— ზომა — 114,5X82,8 მმ;
— წონა — 453 გრ.
— აქსესუარები — აკუმულატორი, დამტენი ადაპტერი; კაბელი, პროგრამული უზრუნველყოფა.

## ფოტოაპარატი როგორც უფროსების, ასევე პატარებისათვის



**მოდელი DSC-T2 ფოტოკამერა, ერთ-ერთი ყველაზე კარგი და იაფიანი ტექნოლოგიაა, საუკეთესოა საჩუქრად, ვინაიდან პატარა და ფართო შესაძლებლობების მქონეა. მისი მხარეები შემდეგნაირია:**

— სუპერ HAD ტექნოლოგია;
— მატრიცის ზომა 1/2,3;
— გარჩევისუნარიანობა 10,1 მილიონი პიქსელი;
— ფოკუსირება სახეზე;
— სტაბილიზატორით;
— 3Xოპტიკური, 6X ციფრული, 17X ინტელექტუალური ზუმი;
— ფოკუსის მანძილი 6,4-19,2 მმ;
— მაკროგადაღება 5 სმ უსასრულობა;
— 12-ბიტიანი გარდამქმნელი;
— დაყოვნება 1/8 წამი (ავტომატური);
— პიქსელის დისპლეი თხევად კრისტალებზე;
— ფუნქცია — სურათების ციფრული ფოტოპრინტერზე დაბეჭდვისათვის კომპიუტერის გარეშე;
— კადრების სერია — 100 კადრი;
— უწყვეტი გადაღებისას კადრებს შორის ინტერვალი 1 წმ;
— ჩამონტაჟებული მეხსიერება — 12 MB;
— USB 2,0 შესაერთებელი;
— ზომა — 89,5X61 მმ;
— წონა — 118 გრ.
— აქსესუარები — AA ტიპის ბატარეა, კაბელი, პროგრამული უზრუნველყოფა.

## ახალი ელეგანტური ციფრული კამერა



**DSC-T900 ტიპის ციფრული ფოტოკამერა სერიოზული ტექნოლოგიაა სერიოზული ადამიანებისათვის, შესახედავად ძალიან მოდურია და ელეგანტური, მისი მახასიათებლები კი შემდეგნაირია:**

— სუპერ ტექნოლოგია;
— მატრიცას ზომა 1/1,2,3;
— გარჩევის უნარიანობა 12,1 მილიონი პიქსელი;
— პროცესორი;
— ფოკუსირება სახეზეა;
— 4X ოპტიკური, 8X ციფრული, 25X ინტელექტუალური ზუმი;
— ფოკუსის მანძილი 6,18-24,7 მმ;
— 14-ბიტიანი გარდამქმნელი;
— დაყოვნება 1/1000 წამი (ავტომატური);
— მაკროგადაღება — 8სმ უსასრულობა (ფართო), 50 სმ უსასრულობა (ტელე);
— კადრების სერია — 100 კადრი;
— მოძრავი გამოსახულების გადაღება ხმითა და ოპტიმიზირებული ფორმატით ტელევიზიისათვის;
— ჩამონტაჟებული მეხსიერება 11 MB;
— სურათების მაქსიმალური ზომა 4000-3000;
— უწყვეტი გადაღებისას კადრებს შორის ინტერვალი 0,57 წმ;
— USB და მულტიშესაერთებელი;
— ფუნქცია — სურათების ციფრული ფოტოპრინტერზე დაბეჭდვისათვის კომპიუტერის გარეშე;
— ზომა — 97,9X57,8 მმ;
— წონა — 123,7 გრ.
— აქსესუარები — აკუმულატორი, დამტენი, კაბელი.

## ვიდეოკამერა DCR-SX60

**ახალი ვიდეოკამერა ჰიბრიდული ჩაწერის ფუნქციით — შიდამეხსიერება 16GB; ეს ტექნოლოგია ერთ-ერთი ბოლო თაობის საუკეთესო კამერაა შემდეგი მახასიათებლებით:**



— ჩაწერის ფორმატი, სტანდარტული, MPEG2;
— 0,8 მეგაპიქსელი;
— შიდა მეხსიერება — 16 GB (11 საათამდე ჩაწერის შესაძლებლობა);
— 16:9 ფორმატი (სრული);
— ფერადი ეკრანი თხევად კრისტალებზე;
— ვიდეორეჟიმი 39-2340მმ (16:9);
— ფოტორეჟიმი 49-2944 მმ (16:9);
— USB 2,0 შემავალი და გამავალი შესაერთებელი;
— სურათის მაქსიმალური გარჩევისუნარიანობა 640X480;
— აუდიო ფორმატი (ჩამონტაჟებული მიკროფონის მეშვეობით);
— აქსესუარები: აკუმულატორი, დამტენი ადაპტერი, მულტი აუდიო/ვიდეო კაბელი, კომპლექტი პერსონალურ კომპიუტერთან შესაერთებელი/დრაივერი და პროგრამული უზრუნველყოფა);

## სახლის კინოთეატრი

**ბოლო პერიოდში საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მოდად იქცა სახლის კინოთეატრი, რომელიც დასვენების დროს სრული კომფორტის შესაქმნელად საუკეთესო ტექნოლოგიაა. მისი შეძენა უკვე ყველას შეუძლია, რადგან ის თითქმის ერთი კომპიუტერის ფასია, თუმცა მისი დანიშნულება ბევრად განსხვავებული და ორიგინალურია.**

ის თანამედროვე ადამიანის მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს თავისი შესაძლებლობით, მნიშვნელობითა და სრულყოფილებით.

ავიღოთ ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ DAV-F500 მოდელი, მისი ზოგადი მახასიათებლები შემდეგნაირია:

— ინოვაციური აუდიო, ვიდეო სისტემა „სახლის კინოთეატრი“ DVD, CD, VCD, MP3, JPEG ფორმატების წარმოების საშუალებით, USB შესაერთებლით, ტიუნერით, სატელიტური დინამიკებით S-AIR ტექნოლოგიით სრულ კომფორტს ქმნის.
— აქვს გამაძლიერებელი;
— 32-ბიტიანი ციფრული გამაძლიერებელი;
— დეკოდერი;
— საერთო სიმძლავრე — 850W;
— 2 უკანა უკაბელო დინამიკი;
— USB შესაერთებელი (MP3)
— ორარხიანი ტიუნერი;
— ფლეერი;
— 30 რადიოსადგურის დამახსოვრების უნარი;
— დისკების აღწარმოების საშუალება;
— 2 ოპტიკური აუდიო შემავალი შესაერთებელი;
— კოაქსიალური აუდიო შემავალი შესაერთებელი;
— კომპოზიტური ვიდეო გამავალი შესაერთებელი.

იგი მოსახმარად კომფორტულია, თვალს არ ღლის.




## ახალი ტიპის ვიდეოკამერა

**HDR-CX100 ტიპის ახალი ვიდეოკამერა ჰიბრიდული ჩაწერის ფუნქციით. ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოსახერხებელი და მოდური ვიდეოკამერაა, რომელიც გათვლილია ყველა ასაკის მომხმარებელზე, მოსახმარად იოლია და კომფორტული, მისი ზოგადი მახასიათებლები კი შემდეგნაირია:**



— შიდა მეხსიერება 8GB (ხარისხში 3 საათამდე ჩაწერის შესაძლებლობა);
— 4 მეგაპიქსელი;
— მატრიცა 1/5 Exmor;
— ფორმატი 16:9 (სრული);
— ფილტრის დიამეტრი 30 მმ;
— 120 ციფრული ვარიოობიექტივი;
— ვიდეორეჟიმი — 42-497 მმ;
— ფერადი ეკრანი თხევად კრისტალებზე (221.200 პიქსელი);
— ფოტორეჟიმი — 42-420 მმ;
— დაყოვნება 1/50 — 1/1000;
— კომბინირებული ვიდეო გამავალი შესაერთებელი;
— სურათების მაქსიმალური გარჩევისუნარიანობა 2304X1728;
— აქსესუარები: აკუმულატორი, დამტენი ადაპტერი; მულტი-აუდიო, ვიდეო კაბელი — კომპლექტი პერსონალურ კომპიუტერთან შეერთებისათვის.

## ახალი ტიპის ფოტოკამერა



**DSC-W290 — ფოტოკამერა სრულიად ახალი ტიპისა და მოდელის ტექნოლოგიაა, როგორც ვიზუალურად და მახასიათებლებით, ასევე მცირე ზომითა და წონით. მოდელი გათვლილია ყველა ასაკის მომხმარებელზე.**

— მატრიცას ზომა — 1/2,3;
— გარჩევისუნარიანობა — 12,1 მილიონი პიქსელი;
— Bionz პროცესორი;
— ფოკუსირება სახეზე;
— ფილტრის დიამეტრი 46 მმ;
— ფოკუსის მანძილი 5-25 მმ;
— მიკროგადაღება — 10 სმ უსასრულობა;
— 14-ბიტიანი გარდამქმნელი;
— დაყოვნება — 1/1600 წამი;
— კადრების სერია — 100 კადრი;
— USB-2,0 შესაერთებელი;
— უწყვეტი გადაღებისას კადრებს შორის ინტერვალი 0,57 წამი;
— ჩამონტაჟებული მეხსიერება — 11 MB;
— Shap Front — ფუნქცია.
— ზომა — 97,6X57,4 მმ;
— წონა — 145 გრამი;
— აქსესუარები — აკუმულატორი, დამტენი, კაბელი, პროგრამული უზრუნველყოფა.

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჭირით და რუდუნებით ნამუშაკევი

## ალგეთის ხეობა

**სკვირეთის ხეობაში მოგზაურობის შემდეგ, როგორც დაკვირვებული მკითხველი შენიშნავდა, კაბენის, ღოუბნისა და კობალას ტაძრების მიმოხილვით, ისევ ალგეთის ხეობას დავუბრუნდით, სადაც რამდენიმე საგულისხმო ძეგლი გვრჩება სანახავი. ამჯერად თბილისი-მარნეული-თეთრიწყაროს გზით უნდა ვიმოგზაუროთ.**


წინწყაროს „დედაღვთისა"

**წინწყაროში** შევდივართ.

ეს სოფელი XVII-XVIII საუკუნეებშიც კი, როცა საქართველო სისხლისაგან იწრიტებოდა, საკმაოდ ღონიერი დასახლება ყოფილა: 1721 წელს აქ 110 გამომღები და 34 ბოგანო ყმა-კომლი ცხოვრობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ერთი ოჯახი ათ სულს მაინც ითვლიდა, სოფელში, სულ მცირე, 1500 კაცი ყოფილა. მიწების ერთი ნაწილის პატრონად ძველ საბუთებში კათალიკოსია დასახელებული, მეორე ნაწილის პატრონად — ქართლის დედოფალი. აქაური სადედოფლო ხოდაბუნები იმდენად ვრცელი ყოფილა, რომ მარცვლეულის მომკა და გალეწვა თურმე, წინწყაროს გარდა, 23 სოფელს ევალებოდა. 1801 წლისათვის, დარეჯან დედოფლის სიტყვით, უკვე გაპარტახებული წინწყაროდან 30 კომლი მას კუკიაში დაუსახლებია. დარჩენილ 97 გამომღებ კომლს კი, რომელსაც აზნაური დრიაშვილები განაგებდნენ, გადასახადის სახით, ყეენის საფეშქაშო 6 თუმანი და 3 აბაზი ჰქონია შეწერილი. XIX საუკუნის 20-იან წლებში აქ, თარაქამებთან ერთად, ბერძნულ-სომხური მოსახლეობა გამოჩნდა. მამაპაპისეულ სოფელში ქართველობა მხოლოდ XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაბრუნდა, მაგრამ მას უძველესი ტაძრები ან დანგრეული, ან სახეშეცვლილი დახვდა. ასე მაგალითად, სოფლის ცენტრში არსებული IV საუკუნის ნანგრევების ადგილზე XIX საუკუნეში მცირე გუმბათიანი საყდარი **„აი გიორგი"** აღუმართავთ, ხოლო სოფლის სამხრეთ სანახებში მდგარი ღვთისმშობლის სახელობის მცირე დარბაზული ეკლესია (ადრეშუასაუკუნეები) იმგვარად შეუკეთებიათ, რომ (უფალმა მოგვიტევოს) ბოსლისთვის დაუმგვანებიათ. ჩანს, „რესტავრატორებს" დრო და სახსრები არ ეყოთ, თორემ უკეთესი დღე არც ნასოფლარ არნაუთის (ეს, თუ არ ვცდები, ვახუშტისეული თხვინთობა ან წრაუთია) ნაეკლესიარს დაადგებოდა. VII-VIII საუკუნეების ეს ნასაყდრალი XII-XIII საუკუნეებში განუახლებიათ, რაც ქვათა მოცულობითა და თლის ნიშნებითაა თვალში საცემი. კედლის წყობის შემორჩენილ ზედა რეგისტრებში ჯვრის ბუნისა და გელაზის ქვებია ჩართული. ერთგან ლეგატურით შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტიც ჩანს. XII-XIII საუკუნეებში შეკეთებული ტაძარი მოგვიანებით ისევ დანგრეულია.

დღეს ყველაზე უკეთ გამოიყურება წინწყაროდან დასავლეთით, გოლთეთის გადასახვევთან, გზიდან ხელმარჯვნივ (ჩრდილოეთით), მაღალ სერზე მდგარი ეკლესია **„დედაღვთისა"**, ანუ იგივე **„მამუკიანთ საყდარი"**. მუქი რუხი პერანგის გამო, შორიდან იგი თვალს ვერ მოგტაცებთ, მაგრამ მიახლოებისას აზრს შეიცვლით. ჩვენს წინაშეა VIII-IX საუკუნეთა მიჯნის ოსტატის ნაღვაწი. სუფთად გათლილი სხვადასხვა ზომის ბაზალტის კვადრებით შექმნილი პერანგის ნაკერების ჰორიზონტალური ხაზები, თავიანთი განვითარებით, საგანგებო არიტმიას ქმნის. ტაძარს ოდესღაც (ჩრდილოეთიდან, მთელ გაყოლებაზე, ხოლო სამხრეთიდან პირველი სარკმლის ნიშნულამდე) მინაშენები ჰქონია. ამის დასტურია ტაძრის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარი და სამხრეთ ფასადზე, კარის ორსავ მხარეს, შემორჩენილი კრონშტეინები. ტაძრის ერთადერთი სამკაული სარკმლების ნალისებრი მოყვანილობის სათაურებზე ამოკაწრული ხაზებია. ნალისებრი ფორმისაა საკურთხევლის აფსიდიცა და კამარის დამჭერი თაღებიც. ორთავე კარი – სამხრეთისაც და ჩრდილოეთისაც — როგორც გარედან, ისე შიგნიდან, არქიტრავულია. შიდა სივრცე, რომელიც 2 წყვილი პილასტრითაა დანაწევრებული, გრძელი, ვიწრო და ზემსწრაფია (7,5X2,5X6 მ). ტაძარი ახალი აღდგენილია, მას კამარის ნაწილი და დასავლეთის ფრონტონი აქვს განახლებული. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს უძველესი ძეგლი თუნუქით გადაუხურავთ.


გოლთეთის „კვირაცხოველი"

„დედაღვთისადან" ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ში, სოფელი **გოლთეთია**, რომლის ცენტრში დგას განვითარებული შუასაუკუნეების **„კვირაცხოვლის"** სანახევროდ დანგრეული დარბაზული საყდარი. ისევე როგორც „დედაღვთისა", „კვირაცხოველიც" ბაზალტის რუხი ქვითაა ნაგები, მაგრამ აქაიქ ოქროსფერი ქვიშაქვის კვადრებიცაა ჩართული. ოქროსფერი ყოფილა ლავგარდანიც, რომლის ქვები ტაძრის გარშემოა მიმოფანტული. „დედაღვთისასგან" განსხვავებით, „კვირაცხოვლის" პერანგის ქვებს წახნაგები მომრგვალებული არ აქვს, რის გამოც ნაკერები ლამის არ ჩანს. გარდა ამისა, გოლთეთის ამ ეკლესიის შიდა სივრცე უფრო ხალვათი და ლაღად მსუნთქავია, საკურთხევლის აფსიდი ზუსტი ნახევარწრიული ფორმისაა, ხოლო კარი გარედან არქიტრავული და შიგნიდან თაღოვანი. სამხრეთის ფასადზე, კარის ორსავ მხარეს გარედან, აქაც კრონშტეინებია ჩადგმული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხრიდან „კვირაცხოვლის" მინაშენი და კარიბჭე ჰქონია. ტაძარი რომელიღაც დროს აღუდგენიათ (ამას მოწმობს კედელში ერთგან ჩატანებული ქვაჯვრის ბუნის ქვა), მაგრამ იგი ხელახლა დანგრეულა, ანდა მტერს დაუქცევია.


მაწევნის „ყველაწმინდა"

გოლთეთში ამჟამად უმეტესობას სტიქიური უბედურების გამო სვანეთიდან ჩამოსახლებული მოახალშენეები შეადგენენ.

სვანეთიდან ჩამოსახლებული ოჯახები გოლთეთიდან დასავლეთით შეფენილ სოფელ **მაწევანშიც** გვხვდება. აქ, სოფლის სამხრეთ საზღვარზე, მარნეულიდან თეთრიწყაროსაკენ მიმავალი გზის მახლობლად, შემორჩენილია **„ყველაწმინდის"** ეკლესიის საგულისხმო ნაშთები. სოფლის სახელწოდება საისტორიო წყაროებში 1669 წლიდან ჩნდება **„მაწევნური ხევის"** ფორმით. 1721 წლის აღწერით აქ, მეფესთან ერთად, მებატონეებად სახელდებიან სააკაძე, აფხაზიშვილი და საგინაშვილი, თუმცა მათ შორის ყველაზე მეტი ყმა-კომლი მაინც საგინაშვილს ჰყოლია. აღსანიშნავია, რომ ტაძარში დღემდე შემორჩენილი ერთადერთი საფლავიც საგინაშვილს ეკუთვნის.

მაგრამ ეს XVII-XVIII საუკუნეების სურათია, „ყველაწმინდა" კი XIII საუკუნის მიწურულის ძეგლია. მისი ერთადერთი, სამხრეთის კარის ტიმპანზე ამ პერიოდის მებატონის სახელიც იკითხება. ასომთავრული წარწერა გვეუბნება: **„სახელითა ღმრთისაითა მე სიმონ ღირსი მამქანის ძემან ქვაი შევწირე ამას ეკლესიასა და ამის ეკლესიის ამშენებელთა. მღვდელთა გამიკეთოს ორი ჟამის წირვაი: დღე ხარებაი და თევდორობაი და არა შეიცვალეს"...**

მაშასადამე, ეკლესიის ერთ-ერთი ქტიტორი ყოფილა XIII საუკუნის მიწურულის აქაური დიდებული სიმონ მამქანისძე, რომელსაც, კიდევ ერთი აქაური წარწერის თანახმად,ეს ტაძარი შვილებისა და შვილიშვილებისათვის დაუტოვებია სალოცავად და საძვალედ.

ტაძარი სიგანეში 6 მეტრია, სიგრძეში კი 11 მეტრს აჭარბებს, მაგრამ ჩრდილოეთის კედელი მორღვეული აქვს. ეკლესია ნაგებია ბაზალტის ქვის დიდი და კარგად გათლილი მუქი რუხი კვადრებით. როგორც განვითარებულ შუასაუკუნეებს შეეფერება, ე. წ. პერანგის ნაკერები წმინდა და ჰორიზონტალურია. კედლებში აქა-იქ ძველი ბუნის ქვებია ჩაყოლებული. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ადრე რამდენიმე ქვაჯვარიც იდგა.

XIII საუკუნის კიდევ ერთი ტაძრისა და საინტერესო ლაპიდარული წარწერის სანახავად მაწევნიდან ჩრდილო-დასავლეთით გავეშურეთ, სამების ცნობილ მთას სამხრეთიდან შემოვუარეთ და სოფელ **აბელიანში** შევედით. ეს სოფელი ისტორიულ საბუთებში 1580 წლიდან ჩანს (ამ დროს აქ მებატონეებად საააკაძეები არიან დასახელებულნი, 1683 წლიდან კი უკვე გერმანოზიშვილები ჩანან), თუმცა იგი გაცილებით ძველია. დღეს, მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად, აქ სვანეთიდან ჩამოსახლებული ოჯახები ცხოვრობენ. სოფლის ძველ უბანში, ბერძნების მიერ XX საუკუნეში ათვისებულ ძველ სასაფლაოზე, დგას ალგეთის (იგივე დოლორიტის) სუფთად გათლილი ქვით ნაშენი დარბაზული ეკლესია, რომელსაც არავითარი გადაკეთების კვალი არ ეტყობა. ქვათა წყობა, როგორც ფასადებზე, ისე ინტერიერში, რიტმულია — მათი მოცულობა ნელ-ნელა მცირდება ქვევიდან ზევით. სამკაულები თავმოყრილია მხოლოდ სარკმელთა არშიებში.

აბელიის **„სამების"** ტაძარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია — სამხრეთ ფასადის 3 ქვაზე ამოკვეთილი 23-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ერთ-ერთი უდიდესი ლაპიდარული საბუთია ჩვენში:

**„ქრისტე, ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და დავით, დედოფალი თამარ-ხათუნ და ძე გიორგი, რომელთა წყალობით ღირს ვიქმენ აღშენებად ეკლესიისა ამის, სამლოცველოდ მეფობისა მათისა, მე გლახაკი არსენი მშვიდაისძე, მანგლელი მთავარეპისკოპოსი, და სახსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა ანალასა და მშობელთა და ძმათა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთათვის. გარწმუნოს ღმერთმან, ვინცა ჰნახოთ ჭირით და რუდუნებით ნამუშაკევი ჩუენი, შენდობაი ბრძანოთ, რათა ღმერთმან თქუენცა მოგანიჭოს სასყიდელი შრომათაი აქა და საუკუნესა. ამენ!**

**მას ჟამსა ხელვყავ შენებად, ოდეს თათართა დაეპყრა ესე სამეფო და ყოველი ქუეყანაი. ძალით და შრომით შეემართებოდა ჩემებრ გლახაკისა და არას მქონებელისაგან, გარნა პატრონთა წყალობითა ხელ-ვყავ და ვისაცა რაი სხვისა სალოცავი წაგებულია ამის შენებასა, მისცა ღმერთმან სასუფეველი მიანიჭოს და მშენებელთაცა და რაიცა ვინ მოიჭირვა, ყოველთა შეუნდვენეს ღმერთმან. ამინ!"**

XIII საუკუნის მეორე ნახევრის ამ ლაპიდარულ წარწერას ფასდაუდებელი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

ეს არის იშვიათი შემთხვევა, როცა ტექსტში ერთდროულად ორი დავითია ნახსენები. ერთი დავით-ულუა, მეორე — დავით-ნარინი. თამარ-ხათუნი დავით-ნარინის და, ანუ რუსუდან დედოფლის სილამაზით განთქმული ქალიშვილია. წარწერაში ნახსენები გიორგი დავით-ულუს ის ვაჟიშვილია, რომელიც მას ალთუნისაგან შეეძინა და 1268 წელს, 18 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით-ნარინმა 1259 წელს დატოვა აღმოსავლეთ საქართველო და მას მერე დასავლეთ საქართველოს მეფე შეიქნა, აბელიის ტაძარი 1250-1259 წლებშია აგებული.



აბელიანის „სამება"

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

გსურთ, გამოხმაუროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

**პოლიტიკური დაშლილობა ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას XVIII საუკუნეშიც შემოჰყვა. დაუძლურებულ სამეფო ხელისუფლებას ძველებურად ეურჩებოდნენ ადგილობრივი მთავრები და ერისთავები. ესენი თავიანთ სამთავროებში უგვირგვინო მეფეებად მოჩანდნენ.**

მეორე მხრივ, საქართველოს ძლიერ ასუსტებდა ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობა. ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის შაჰის ვასალებად ითვლებოდნენ. მათ ეკისრებოდათ ყოველწლიური ხარკი, ეგრეთ წოდებული „ფეშქაში". საფეშქაშო გამოსაღების დასაფარავად იხარჯებოდა, კერძოდ, „საური" — მეფის სალაროში შემავალი გადასახადი.

ყიზილბაშთა მოძალეობის ცოცხალ ნიშნად რჩებოდა შაჰის თბილისის შიდა ციხეში ჩაყენებული შეიარაღებული რაზმი. ყიზილბაშთა ხელში თბილისის ციხე ავაზაკების, ქურდბაცაცებისა და ტყვის მსყიდველთა ბუნაგად იყო ქცეული. ხანდახან, საჭიროების ძალით, ქართველთა მეფეც ეწვეოდა ხოლმე ციხეს (მაგალითად, შაჰის შიკრიკებთან შესახვედრად), მაგრამ ისიც სულ იმის შიშში უნდა ყოფილიყო, ანაზდად რამე მახეში არ გაბმულიყო ყიზილბაშების ვერაგობის შედეგად.

შაჰს უნდა დაემტკიცებინა ქართველთა მეფის მემკვიდრე ტახტზე, მაგრამ გამეფება მას ეღირსებოდა მხოლოდ აუცილებელი პირობის — მამა-პაპათა რჯულის უარყოფისა და მუსლიმანობის მიღების შესრულებით.

XVIII საუკუნის დასაწყისს ირანის შაჰმა ქართლის მეფობა ისევ გიორგი XI მიუბოძა, რომელიც თავისთან ირანშივე დაიტოვა დიდ სამხედრო თანამდებობაზე; ქართლში კი მეფის მოადგილედ („ჯანიშინად") გიორგის ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. იმავე დროს კახეთის მეფის მოადგილედ გამოცხადდა ერეკლეს ძე დავითი, რომელსაც მუსლიმანური სახელი იმამყულიხანი ერქვა.

ვახტანგის „ჯანიშინობა" გაგრძელდა რვა წელს (1703-1711 წწ.). ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ვახტანგმა გარს შემოიკრიბა ღირსეული თანამშრომლები, რომელთა შორის იყო ცნობილი მწიგნობარი სულხან-საბა ორბელიანი.

ქართლის მმართველმა წრეებმა გავლენა მოიპოვეს იმერეთის სამეფოშიც და კახეთშიც.

ირანი ამ დროს დიდ პოლიტიკურ გასაჭირს განიცდიდა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ავღანები აჯანყებულიყვნენ. რადგან ქართველი ბაგრატიონები მეთაურობდნენ ავღანთა საწინააღმდეგო ირანის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, შაჰიც იძულებული იყო, ქართველ პატრიოტთა სურვილისათვის ანგარიში გაეწია და მხარი დაეჭირა მათი პოლიტიკური ნაბიჯებისათვის ქართლში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შაჰმა თბილისის მეციხოვნე ყიზილბაშებიც კი არ დაიცვა: ქართველმა ხელისუფლებამ შეზღუდა მეციხოვნე ყიზილბაშთა თვითნებური მოქმედება, წაართვა მათ ძარცვა-რბევის საშუალება და მოშალა ტყვის სყიდვა. მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად, თვითნება თავადებისა და, საერთოდ, ურჩი ძალების ასალაგმავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგრეთ წოდებული მცველი ჯარის შექმნას. ჯარის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ თავადიშვილები, აზნაურები და მსახურები. იგი შედგებოდა სამი რაზმისაგან, რომელთაც მეთაურობდნენ თავ-თავისი „უზბაშები", ანუ ასისთავები. მცველი ჯარი უზრუნველყოფდა ვახტანგის პიროვნებისა და სასახლის დაცვასაც და, საერთოდ, სამეფოში საპოლიციო-საჟანდარმო წესების შესრულებასაც. ასეთი სამხედრო ღონისძიების გამო ჯანაშინს ზოგი გავლენიანი ფეოდალი გადაემტერა. მეტადრე, შუღლი ჩაიდო გულში არაგვის ერისთავის სახლმა.

გიორგი XI 1709 წელს ავღანელებთან ბრძოლას შეეწირა და ქართლის მეფობა ერგო მის ძმისწულს, ქაიხოსრო ლევანის ძეს. მაგრამ აღარც მას დასცალდა მეფობა: გიორგის მსგავსად, ისიც ავღანეთში დაიღუპა 1711 წელს.

ამის შედეგად, 1712 წელს ვახტანგს დაუდგა შაჰის კარზე გამოცხადების ჯერი.

ვახტანგის მეფედ დამტკიცება უაღრესად მტკივნეული გამოდგა. ისპაჰანში ის მტკიცედ დაადგა ქრისტიანობას და უარი თქვა მუსლიმანობის მიღებაზე. ამან ხელი გაუხსნა მის მტრებს როგორც საქართველოში, ისე ირანში. მის მოწინააღმდეგე ქართველ ფეოდალთა დასში შეკავშირებული აღმოჩნდნენ თვით ვახტანგის ძმებიც — იესე და სვიმონი. სვიმონი ვახტანგის მიერ ქართლს იყო დატოვებული როგორც ქვეყნის „განმგე", მეფის მოადგილე. გამუსლიმანებული იესე მეთოფეთა მეთაური („თოფჩიბაში") იყო და თბილისის ყიზილბაშურ მეციხოვნე ჯარში გავლენა ჰქონდა. მან ეს მეციხოვნეები აუჯანყა ძმას სწორედ მაშინ, როცა ვახტანგი შაჰის კარზე დიდ ხიფათში იყო ჩავარდნილი. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რჯულის გამოუცვლელად მოახერხებდა ქართლში გამეფებას. მაგრამ შაჰმა ჯანიშინი ირანში დაიტოვა, ხოლო ქართლის მეფედ მისი ძმა, გამუსლიმანებული იესე დაამტკიცა.

ვახტანგმა ირანიდან საიდუმლო კავშირი გააბა საფრანგეთის მეფე ლუი XIV მთავრობასთან. სათანადო საქმის მოსაგვარებლად დასავლეთ ევროპაში 1713-1714 წლებში იმოგზაურა სულხან-საბა ორბელიანმა როგორც ქართლის ელჩმა. მის ელჩობას ქართლისათვის სასურველი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია და იმედგაცრუებულმა ვახტანგმა, თავისი თანამოაზრეების გავლენით, დათმობა არჩია. მან გარეგნულად აღიარა მაჰმადის რჯული და ამ საშუალებით 1715 წ. მიიღო ქართლის მეფობაცა და ირანის სპასალარობაც, ხოლო 1719 წ. სამშობლოში დაბრუნებაც შეძლო.

ქართლის მმართველმა წრეებმა ვახტანგის მეთაურობით ხელახლა მოიკრიბეს სამხედრო-პოლიტიკური ძალა და მედგრად შეუტიეს მოწინააღმდეგეებს. მეფემ ჯერ კიდევ ირანიდან დაბრუნებამდე დაიწყო მოღალატეებთან ანგარიშის გასწორება: დააპატიმრა რეაქციონერთა სულის ჩამდგმელი იესე და ზოგი სხვაც, ზოგნი კი სამშობლოს საზღვრებიდან გააძევა. მეფის ლაშქარს ომი მოუხდა ქსნის ერისთავის შანშეს დასამორჩილებლადაც.

რაც დრო გადიოდა, ქართლისა და კახეთის ჯარს სულ უფრო ხშირად უხდებოდა დაღესტნის მხრიდან მომხდურ ფეოდალთა მტაცებლური რაზმების უკუქცევა. რადგანაც ქართულად დაღესტანს („დაღესტან" თურქ.-სპარს. სიტყვასიტყვით „მთიანეთს" ნიშნავს) ძველიდანვე „ლეკეთი" ერქვა, ამიტომ იქიდან საქართველოში რაზმებად შემოსეულ აბრაგებსაც ყველას განურჩევლად „ლეკებს" უწოდებდნენ. ეს რაზმები მიზნად ისახავდნენ სოფლებისა და ქალაქების დარბევა-აწიოკებას, ადამიანების ტყვედ წასხმა-გასყიდვას, ხალხის სარჩო-საბადებლის გატაცებას. დაღესტნიდან მომავალი აბრაგების ამ ავაზაკურ თავდასხმებს მედგრად ებრძოდა ქართლელი გლეხობა. მაგრამ მათ წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას მეტად აძნელებდა ფეოდალური ქვეყნების შეუთანხმებლობა.

ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს კახეთთანაც და იმერეთთანაც ჰქონდათ საერთო საქმისთვის სასარგებლო ურთიერთობა. პირადად ვახტანგი იმერეთის თავკაცებზე ახდენდა გავლენას. ქსნის საერისთავოს დასამორჩილებლად გამართულ ლაშქრობაში, ვახტანგის მოწოდებით, მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს ძლიერმა თავადებმაც. იმავე დროს, თბილისის სამეფო კარის თაოსნობით, იმერეთს გამეფდა ქართლის მეფის კანდიდატი ალექსანდრე გიორგის ძე.

ქართლის მესვეურთა ავტორიტეტის ზრდას დიდ ანგარიშს უწევდნენ სამეფოს გარეთაც. ვახტანგს შაჰისაგან მიენიჭა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასპეტობა და დაეკისრა გალაშქრება შირვანს, რომელიც სულ მთლიანად მოეცვათ დაღესტნელ ფეოდალთა მძარცველურ რაზმებს.

### რუსეთთან ურთიერთობის გამოცოცხლება

სწორედ იმ დროს თბილისს მოვიდა ცნობა, რომ რუსეთის ძლიერი ლაშქარი, პეტრე დიდის მეთაურობით, უკვე ჩამოსულიყო ჩრდილო კავკასიაში, მდ. სულაკზე, და ემზადებოდა ირანში შესაჭრელად. პეტრე იმპერატორს უკვე გაეფრთხილებინა შაჰი, რომ რუსეთის მხედრობა აპირებდა, იარაღით დაეცვა ირანში რუსეთის ინტერესები, რუსი ვაჭრების ქონება და სიცოცხლე. პეტრეს იმედი ჰქონდა, რომ ქართველები ცხოველ მონაწილეობას მიიღებდნენ საომარ მოქმედებაში შაჰის წინააღმდეგ. როდესაც ომი მოახლოვდა, ასტრახანის გუბერნატორი ვოლინსკი 1721 წელს ატყობინებდა ვახტანგს, რომ პეტრეს კეთილი სწავდია ქართველებისათვის, ფიქრობს, მფარველობა გაუწიოს მათ და ამიტომ ქართველებმაც და კავკასიის სხვა „ქრისტიანმა ხალხებმაც უნდა იმოქმედონ რუსეთის სასარგებლოდო". ეს ესახებოდა ქართველებსაც და სომხებსაც. ამრიგად, თითქოს ხორცს ისხამდა ქართველი ხალხისათვის დიდი ხნის სანუკვარი აზრი ირანის კლანჭებიდან გამოხსნის შესახებ.

ომის დაწყების წინ პეტრემ მანიფესტით მიმართა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს. კავკასიაში ქართლის მეფე უძლიერესი იყო ფეოდალ ხელისუფალთა შორის და მომავალ ომში სწორედ მას ეკისრებოდა ხელმძღვანელი როლი. პეტრეს გეგმის თანახმად, ქართული ლაშქარი, სომხების მხარდაჭერით, სასწრაფოდ უნდა შეჭრილიყო ირანის საზღვრებში, განჯის მიმართულებით გაეკვლია გზა კასპიის სანაპიროსაკენ და სადმე დარუბანდსა და ბაქოს შუა შეერთებოდა რუსეთის მხედრობას, როცა ამასობაში რუსები იქ გაჩნდებოდნენ.

1722 წ. აგვისტოში რუსის მხედრობას დარუბანდი უომრად ჩაბარდა და ამით მას ამიერკავკასიაში შემოსასვლელი კარი გაეღო. პეტრეს არმია კიდევაც დაიძრა სამხრეთისაკენ. ამ დროს ქართველთა 40-ათასიანი ლაშქარი და მისი დამხმარე სომეხთა ძლიერი რაზმები უკვე განჯის სახანოში ჩასული და მტკვრის პირას დაბანაკებული იყვნენ.

მაგრამ ისეთი ვითარება შეიქნა, რომ ბაქოსკენ გალაშქრება აღარ მოხერხდა. საგარეო და შინაური მდგომარეობის მოულოდნელი გართულების გამო მახლობელ აღმოსავლეთში მოქმედების პეტრესეული გეგმა საგრძნობლად შეიზღუდა. ვახტანგს გადმოსცეს ცნობა პეტრეს ბანაკიდან, რომ ქართველთა ლაშქარს დასჭირდებოდა ადგილზე მოცდა, სანამ იმპერატორის ახალი მითითება არ მოვიდოდა, რუსის სარდლობამ შეწყვიტა არმიის წინსვლა და მისმა მთავარმა ძალამაც იწყო უკან, ასტრახანისკენ დახევა. ასეთ პირობებში ვახტანგის ლაშქარმა ველარ გაბედა სამხედრო მოქმედების დაწყება და თბილისს დაბრუნდა.

რაკი აშკარა გახდა, რომ ქართველებს და მათთან ერთად სომხებსაც პეტრესთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ, ირანის ხელისუფალნი და მათი მოყმე ხანები, აგრეთვე ოსმალები და მათი აგენტები — დაღესტნელი ფეოდალები, ყველა ვახტანგის დასაღუპავად ალესილი — შურს იძიებდნენ. შაჰმა ვახტანგს „ორგულობისთვის" ქართლი ჩამოართვა და ის 1723 წელს თავის ერთგულს, კახეთის მეფე კონსტანტინეს უწყალობა. აღარავინ იცოდან, ვინ ვის დაასწრებდა ქართლში იარაღით შემოჭრას — ირანელთა მომხრე კონსტანტინე თუ თურქეთის ფაშა. იმავე დროს ქართლის მმართველ წრეებშიც კვლავ იჩინა თავი პოლიტიკურმა შუღლმა. ვახტანგის მეგობრობა რუსეთთან სახიფათოდ მიიჩნია მისმა შვილმა ბაქარმა, რომელმაც, მამის საწინააღმდეგოდ, ისევ შაჰთან დაკავშირება განიზრახა.

ამავე დროს, კონსტანტინემ, დაღესტნელთა რაზმების დახმარებით, ორჯერ მოაწყო მძლავრი თავდასხმა თბილისზე ავლაბრის მხრიდან. მეორედ დაცემისას, 1723 წ. გაზაფხულზე, მან აიღო თბილისი. კონსტანტინეს დაღესტნელმა მოკავშირეებმა ქალაქი ისე სასტიკად გაძარცვეს, რომ შემდეგ მას რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია თავისი ძველი კეთილდღეობა. კონსტანტინეს და მის დამხმარე დაღესტნელთა რაზმებს დარბეულ თბილისში 1723 წ. ივნისს ანაზდეულად თავს წაადგნენ თურქები არზრუმის ფაშის მეთაურობით. ფაშასთან შეთანხმებით, ქართლის გამგებლობა იკისრა ვახტანგის ძე ბაქარმა, მაგრამ მან თურქთა მკაცრ ზედამხედველობას და გადასახადებს ვერ გაუძლო, მთაში გაიხიზნა და ერთ ხანს მამასა და ძმებთან ერთად პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა დამპყრობელთა წინააღმდეგ. მაშინ თურქებმა ქართლში გაამეფეს ვახტანგის ძმა იესე. ასეთ ვითარებაში ვახტანგი, პეტრეს თანხმობით, ოჯახითა და დიდი ამალითურთ (სულ 1200 კაცის თანხლებით), 1724 წლის ივლისის 15-ს გაემგზავრა მოსკოვს. გამგზავრებულთა უმეტესობა მოსკოვში არჩილის დროიდან არსებულ ქართველთა კოლონიას შეუერთდა და იქ დაიდო სამუდამო ბინა, თუმცა რუსეთში დიდხანს იმედოვნებდნენ, რომ ვახტანგი და მისი მხლებლები თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდნენ და მას თავისუფლებას მოუპოვებდნენ.

**ვარლამ დონდუა**

გაგრძელება შემდეგ ნომერში




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 20-დან 26 იანვრამდე

## 20 იანვარი

დღის ციტატა:
„სიტყვა „გამარჯვების“ გაგონებისას მე სულელთა ფეხის ხმა მესმის“.
ფაზილ ისკანდერი

**1265 წელს** გრაფ ლესტერმა ინგლისის პარლამენტის პირველი სესია მოიწვია.
**1558 წელს** ინგლისელთა 211-წლიანი ბატონობის შემდეგ ქალაქი კალე ფრანგებმა დაიპყრეს.
**1600 წელს** ინკვიზიციურმა სასამართლომ ჯორდანო ბრუნო დამნაშავედ ცნო ერესში.
**1613 წელს** კნარედის ზავით დასრულდა ორწლიანი ომი შვედეთსა და დანიას შორის, ფინეთი შვედეთს მიეკუთვნა.
**1778 წელს** ჯეიმს კუკმა ჰავაის კუნძულები აღმოაჩინა.
**1783 წელს** ბრიტანეთი და აშშ დაზავდნენ.
**1800 წელს** ფრანგი გენერალი მიურატი ნაპოლეონის ნათესავზე, კაროლინა ბონაპარტზე დაქორწინდა.
**1841 წელს** ჩინეთმა ჰონკონგი დიდ ბრიტანეთს დაუთმო.
**1920 წელს** დაიბადა სახელგანთქმული კონორეჟისორი ფედერიკო ფელინი.

## 21 იანვარი

დღის ციტატა:
„სულელია ის ადამიანი, ვინც მუდამ უცვლელი რჩება“.
ვოლტერი

**1506 წელს** შეიქმნა ვატიკანის შვეიცარიული არმია — უძველესი არმია პლანეტაზე.
**1542 წელს** ინგლისის პარლამენტმა სახელმწიფო ღალატისთვის გაასამართლა ჰენრი VIII-ს ცოლი ეკატერინე ჰოვარდი.
**1743 წელს** დაიბადა ამერიკელი მესაათე ჯონ ფიტჩი, რომელმაც, ფულტონამდე კარგა ხნით ადრე, გამოიგონა გემი.
**1790 წელს** ფრანგმა ექიმმა გილიოტენმა წარმოადგინა სიკვდილით დასჯის ახალი იარაღი გილიოტინა.
**1793 წელს** სიკვდილით დასაჯეს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI.
**1796 წელს** ედვარდ ჯენერმა ყვავილის აცრის საშუალება აღმოაჩინა.
**1855 წელს** დაიბადა ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი ჯონ ბრაუნინგი.
**1911 წელს** ამერიკელმა ექიმმა ფ. რაუსმა პირველად გამოყო სიმსივნის ვირუსი.

## 22 იანვარი

დღის ციტატა:
„ცხოვრება მეტისმეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მასზე სერიოზულად იმსჯელო“.
ოსკარ უაილდი

**1517 წელს** თურქებმა ქაირო დაიპყრეს.
**1552 წელს** შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე სიკვდილით დასაჯეს ინგლისის ყოფილი ლორდ-პროტექტორი, ჰერცოგი სომერსეტი.
**1554 წელს** ინგლისში თომას უეიტის აჯანყება დაიწყო.
**1561 წელს** დაიბადა ინგლისელი ფილოსოფოსი, ინგლისის ლორდ-კანცლერი ფრენსის ბეკონი.
**1722 წელს** პეტრე I-ის ბრძანებით ყველა დიდგვაროვანი, რომელიც თავს აარიდებდა სამოქალაქო სამსახურს, კანონგარეშედ გამოცხადდებოდა.
**1775 წელს** დაიბადა ფრანგი მეცნიერი, ელექტროდინამიკის ფუძემდებელი ანდრე ამპერი, რომლის საპატივცემულოდაც ელექტროდენის ძალის საზომ ერთეულს მისი სახელი ეწოდა.
**1788 წელს** დაიბადა ინგლისელი პოეტი ლორდ ჯორჯ გორდონ ბაირონი.
**1903 წელს** აშშ-მა და კოლუმბიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პანამის არხის მშენებლობის შესახებ.

## 23 იანვარი

დღის ციტატა:
„რაც მეტად კმაყოფილია ადამიანი საკუთარი თავით, მით ნაკლებად აქვს კმაყოფილების მიზეზი“.
ლევ ტოლსტოი

**27 წელს** ავგუსტუს კეისარმა რომის იმპერიის შექმნა გამოაცხადა.
**1482 წელს** პირველად დაიბეჭდა ებრაელთა წმინდა წიგნი „თორა.“
**1579 წელს** ხელი მოეწერა უტრეხტის უნიას, რამაც საძირკველი ჩაუყარა ნიდერლანდების შექმნას.
**1589 წელს** რუსეთში შეიქმნა საპატრიარქო, პირველ პატრიარქად იობი აირჩიეს.
**1598 წელს** დაიბადა ფრანგი არქიტექტორი ფრანსუა მანსარი (რომლის სახელიც მანსარდას ეწოდა).
**1737 წელს** დაიბადა ამერიკელი რევოლუციონერი ჯონ ჰენკოკი, რომელმაც პირველმა მოაწერა ხელი აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციას.
**1783 წელს** დაიბადა ფრანგი მწერალი სტენდალი.
**1849 წელს** ნიუ იორკის შტატში ელისაბედ ბლექველი გახდა პირველი ქალი მსოფლიოში, რომელმაც ექიმის დიპლომი მიიღო.

# სად მდებარეობს მაიას ატლანტიდა?

**არქეოლოგებმა გვატემალაში მდებარე ვულკანური ტბის ფსკერი შეისწავლეს და მოყვარული აკვალანგისტის მიერ აღმოჩენილი წმინდა კუნძული დაათვალიერეს, სადაც ოდესღაც მაიას ტომი რელიგიურ რიტუალებს მართავდა.**

### შემთხვევითი აღმოჩენა

ნაგებობათა ნანგრევებს წყალქვეშ შემთხვევით წააწყდა მოყვარული დაივერი რობერტო სამაიოა, რომელიც თვალწარმტაც ატიტლანის ტბაში ყოველ უქმეზე თავშესაქცევად ყვინთავდა. სამაიოა ტბის მახლობლად გაიზარდა და ბავშვობაში ხშირად სმენია ბებიის მონათხრობი, რომელიღაც ჩაძირულ სიწმინდეზე. რობერტო ამ ტბაში წლების მანძილზე ყვინთავდა და ხანგამოშვებით მაიას ხანის კერამიკის ნამსხვრევებს პოულობდა. გვატემალის ისტორიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ნებართვით, მან ამ ნამსხვრევების შეგროვება დაიწყო, მოგვიანებით კი მის მიერ აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია საკუთარ ოტელში მოაწყო. 1996 წელს სამაიოამ შენობათა ნანგრევები და უზარმაზარი სარიტუალო ლოდები — სტელები აღმოაჩინა. ამ ადგილს მან სამავახი (აღმომჩენის გვარის პირველი ნაწილისა და მაიას სიტყვის — „ავახი“, რაც „ქვას“ ნიშნავს, გაერთიანებით მიღებული სიტყვა), სხვაგვარად, „სამაიოას ქვა“ უწოდა.



### გვატემალელი არქეოლოგები წყალქვეშ

მეცნიერები სამაიოას აღმოჩენით მხოლოდ შარშან დაინტერესდნენ და ქვეყნის ისტორიაში პირველი წყალქვეშა არქეოლოგიური გამოკვლევები ჩაატარეს. ინდიკატორის მეშვეობით მეცნიერებმა რუკაზე 400 კვ/მ ფართობის მონაკვეთი აღნიშნეს და ნაგებობები შეისწავლეს. კარტოგრაფიული სამუშაოები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროის მანძილზე არქეოლოგებმა 30-ჯერ ჩაყვინთეს ტბაში და თითოეულ ჯერზე იქ 8 საათი დაჰყვეს.

### როგორ ჩაიძირა მაიას სიწმინდეები?

სპეციალისტთა აზრით, წყალში 15-20 მ-ის სიღრმეზე მდებარე ეს ადგილი უწინ კუნძული იყო, რომელიც, სავარაუდოდ, კატაკლიზმის (ვულკანის ამოფრქვევა ან ზვავი) შედეგად ჩაიძირა. წყლის დონის აწევის მიზეზებზე ატიტლანში გეოლოგებს მოუწევთ ტვინის ჭყლეტა. შესაძლოა, ეს ტბა უწინ მდინარე იყო, რომლის კალაპოტი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად გადაიკეტა. სამაიოას აზრით, მის მიერ აღმოჩენილი ნანგრევები მაიას ცხოველმყოფელობის ერთადერთი დასტური როდია. შესაძლოა, წყლით დაიფარა სხვა დასახლებული კუნძულებიც, თუმცა, სავარაუდოდ, ისინი სამავახაზე პატარა უნდა იყოს.

### პატარა სოფელი

„აქ ქალაქი არ ყოფილა, ეს უფრო სოფელი იყო, რადგან კუნძული ძალზე პატარაა“, — განაცხადა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა მედრანომ. მეცნიერებმა შენობათა სამი ჯგუფი გამოყვეს. პირველ ჯგუფში მხოლოდ ერთი, საძირკველშენარჩუნებული შენობა მოხვდა, რომლის კედლები კარგად ნათალი ოთხკუთხა ქვებისგანაა აგებული. მეორე ჯგუფში მოექცა უფრო მომცრო ზომის რვა ნაგებობა, მათ შორის, ვიწრო დერეფნებით. ეს შენობებიც ქვებისგანაა ნაგები. მესამე ჯგუფშიც ერთი ნაგებობა მოხვდა, რომლის სადარბაზო შესასვლელსაც 25,8 მ სიგრძისა და 9,2 მ სიგანის კიბე ამშვენებს. შენობებს გარდა, სოფელში სტელებიც მრავლადაა.

### უძველესი რელიგიური ცენტრი

არქეოლოგებმა ჩაძირული ნაგებობები 250 წლით, ანუ იმ პერიოდით დაათარიღეს, როცა მაიას სახელმწიფოს აყვავების მწვერვალისთვის ჯერ კიდევ არ მიეღწია. ხოლო მთლიანად შემონახული კერამიკა მოწმობს, რომ კუნძულის მცხოვრებლებმა იქაურობა ნაჩქარევად დატოვეს. მკვლევარებმა კუნძულზე კიდევ 6 სტელა და 4 საკურთხეველი აღმოაჩინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი იყო. სავარაუდოდ, კუნძულზე 150 კაცი ცხოვრობდა, სახლებში შემორჩენილია მრავალი სარიტუალო ნივთი. შესაძლოა სამავახი მაიას სალოცავი ცენტრი იყო, ხოლო მლოცველები კუნძულზე გადასასვლელად სანაპიროზე ნავებს ქირაობდნენ.

იდუმალი კუნძულის ზუსტი ადგილმდებარეობა გასაიდუმლოებულია, რადგან მკვლევარები „შავ არქეოლოგთა“ სტუმრობას უფრთხიან...

# ძველბერძნული კომპიუტერი

**1902 წელს საბერძნეთის კუნძულ ანტიკითერთან, წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობისას, დაახლოებით 65 წელს ჩაძირული რომაული გემის ნამსხვრევებში უცნაური მექანიზმი აღმოაჩინეს. მეცნიერთა აზრით, ხელსაწყო, რომელსაც კუნძულის საპატივცემულოდ, ანტიკითერი ეწოდა, ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლოებით II საუკუნეში შეიქმნა.**





მისი სერიოზული კვლევა მხოლოდ 1950-იან წლებში დაიწყეს, თუმცა კიდევ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რთული მექანიზმის დანიშნულება ვერ ამოხსნეს. ხელსაწყო ერთობ უჩვეულო ჩანდა იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი სირთულის მექანიზმების შექმნა ევროპაში მხოლოდ გვიანდელ შუა საუკუნეებში დაიწყეს. მხოლოდ ახლახან, მექანიზმის ფრაგმენტების კომპლექსური შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა მისი დანიშნულება დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ ანტიკითერის 37 ერთმანეთთან დაკავშირებული ბრინჯაოს კბილანა ერთგვარი მექანიკური კალენდარია, რომელიც წარმოუდგენელი სიზუსტით წინასწარმეტყველებს შეუიარაღებელი თვალით ხილულ პლანეტათა მოძრაობას, ოლიმპიურ თამაშთა თარიღებს, მზისა და მთვარის დაბნელებას.

ანტიკითერის მეშვეობით განსაზღვრავდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებისა და რელიგიური დღესასწაულების დადგომის დროსაც. მეცნიერმა მაიკლ რაიტმა ამ მექანიზმის სამუშაო ასლის შექმნა შეძლო. ხელსაწყოს აღმოაჩნდა მარტივი ინტერფეისი ერთადერთი სამართავი სახელურითა და ურთულესი მექანიზმით. ხელსაწყოს წინა პანელზე განთავსებულია „ციფერბლატი“ ბერძნული ზოდიაქალური ციკლითა და ეგვიპტური კალენდრით. აქვეა ხუთი ისარი, რომლებიც პლანეტების განლაგებაზე მიუთითებს, უკანა პანელი კი მზისა და მთვარის 19-წლიანი ციკლის თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა...

# ძველ იუდეველთა ეგზორციზმი

**ამერიკელმა მკვლევარმა ქალმა აღმოაჩინა იმ ძველიუდეური ლოცვის მეორე ნაწილი, რომელსაც ადამიანის სულში ჩასახლებული ავი სულის განდევნა ძალუძს.**

მანჩესტერის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, დოქტორმა რენატა სმიტისმა 150-სიტყვიანი ტექსტი აღმოაჩინა, რომელშიც აღწერილია ნისიმ ბენ ბუნის ავი სულის განდევნის ცერემონია მისი ქვრივის — კამარ ბატ რაჰმის სხეულიდან. მკვლევარის აზრით, ეს დოკუმენტი XVIII საუკუნეში შეიქმნა ეგვიპტის ან პალესტინის ტერიტორიაზე. ტექსტი რიტუალური ლოცვის პრაქტიკულად გამოყენების უნიკალურ მოწმობას წარმოადგენს.

დოქტორ სმიტისის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი მანჩესტერის უნივერსიტეტში, ჯონ რილენდის ბიბლიოთეკაში დაცული 11 ათასი მანუსკრიპტისგან შემდგარი კოლექციის ერთ-ერთი ეგზემპლარია. ყველა ეს ხელნაწერი ასწლეულების განმავლობაში ბენ ეზრას სინაგოგის გენიზში (საცავში) ინახებოდა. მკვლევარები კაიროს გენიზით XIX საუკუნის ბოლოს დაინტერესდნენ. ამ დროისათვის აქ 280 ათასი მანუსკრიპტი ინახებოდა, რომელთაგან ყველაზე ადრეული 879 წლით იყო დათარიღებული. აქედან 193 ათასი ხელნაწერი — კემბრიჯში, ხოლო 31 ათასი ამერიკის თეოლოგიურ სემინარიაში მოხვდა, 11 ათასი მანუსკრიპტი კი მანჩესტერის ბიბლიოთეკამ წაიღო. ზემოხსენებული ფრაგმენტი სარიტუალო ლოცვის მეორე ნაწილს წარმოადგენს, რომლის დახმარებითაც კაცი ავი სულის განდევნას ცდილობდა ქალის სხეულიდან. სავარაუდოდ, ქვრივი კამარი შეპყრობილი იყო თავისი ბოლო ქმრის ნისიმ ბენ ბუნიის ავი სულით — დიბუკით. ამ დროისათვის ის უკვე აპირებდა ან შესაძლოა ცოლადაც გაჰყვა სხვა კაცს — იოსებ მოსე ბენ სარას. ლოცვისას იოსები სხვა მლოცველებთან ერთად შესთხოვს ღმერთს, რომ ავი სული კამარის სხეულიდან განდევნოს და ახალი ოჯახი დაიცვას დიბუკისაგან. ჩვენ, ცხადია, არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა მოხდა ლოცვის შემდეგ, თუმცა ეს 150 სიტყვა ნათელს ჰფენს ამ იდუმალ და ნაკლებად ცნობილ ნაწილს იუდეური კულტურისა. სმიტისთან ერთად მომუშავე პროფესორი ლოცვის ავტორად XVIII საუკუნის ცნობილ კაბალისტს — რამი შარაბის მიიჩნევს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჯორდანო ბრუნოს პროცესის გამოცანები

**ჯორდანო ბრუნოს გასამართლება და კოცონზე დაწვა არა მარტო ტრაგედია, არამედ გამოცანაცაა: რატომ მიიჩნია ინკვიზიციამ იტალიელი ფილოსოფოსის სწავლება სამყაროს უსასრულობასა და მასში დასახლებული პლანეტების მრავალრიცხოვნებაზე იმდენად სახიფათოდ, რომ მის ამოსაძირკვად 1600 წლის 17 თებერვალს რომში, ყვავილების მოედანზე, კოცონი გააჩაღეს? ამ კითხვას თეოლოგები და ფილოსოფოსები, უკვე არაერთი ასწლეულია, სხვადასხვაგვარად პასუხობენ. ერთი ვერსიით, ბრუნოს გასამართლების უმნიშვნელოვანესი მიზეზები განპირობებული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ სამყაროთა მრავალრიცხოვნობის შესახებ სწავლების განვრცობით ის თავის წინამორბედებზე შორს წავიდა, სახელდობრ, ამ უძველესი იდეის ანტიქრისტიანული პოტენციალი გამოავლინა, მეორე მხრივ კი, საკუთარი იდეის ტყვეობაში მოექცა იმდენად, რომ ვერც მისი უგულებელყოფა და ვერც მისი დამუშავების გაგრძელება შეძლო (როგორც გალილეიმ მონანიების შემდეგ) მეტ-ნაკლებად მისაღები ფორმით.**




ბრუნოსთვის გამოტანილი განაჩენის იურიდიულმა არაკონკრეტულობამ რომში გაავრცელა მითქმა-მოთქმა, რომ ის „ლუთერანობის“ გამო დაწვეს. თუმცა რომის პაპთან დაახლოებული კასპარ შოპე განმარტავდა, რომ ბრუნო ლუთერანი კი არა, ერეტიკოსი იყო, რომელიც თავის წიგნებში ისეთ საზარელ და უაზრო რამეებს ასწავლიდა, როგორიც იყო, მაგალითად, სამყაროს უსასრულობა, რომ სულს შეეძლო ერთი სხეულიდან მეორეში გადასახლება, რომ მაგია კარგი და საჭირო რამეა, რომ სულიწმინდა სამყაროს სულია და ა. შ.

პროცესის მასალებიდან ნათელია, რომ ინკვიზიციის წინაშე წარდგა არა მშვიდობიანი ფილოსოფოსი, არამედ დაუძინებელი მტერი, თანაც, არა მარტო კათოლიკური ეკლესიის, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსი. ეტყობა, მოსამართლეებს კარგად ესმოდათ ბრუნოს მიერ ეკლესიისთვის ნასროლი გამოწვევის მთელი სერიოზულობა და ამიტომ ფილოსოფოსის ნებაყოფლობითი და გულწრფელი აღიარება ესაჭიროებოდათ. სწორედ ამიტომ წარმოთქვა მეცნიერმა თავისი ცნობილი სიტყვები: „ვგონებ, თქვენ უფრო გაშინებთ ჩემთვის გამოტანილი განაჩენის გამოცხადება, ვიდრე მე — მისი მოსმენა.“ მაინც რისი უნდა შინებოდათ მრავლისმნახველ მოსამართლეებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ინკვიზიციური პროცესის მნიშვნელოვან მომენტებს მივადევნოთ თვალი...

1592 წლის 23 მაისის ღამეს ჯორდანო ბრუნო ვენეციის რესპუბლიკის ინკვიზიციამ დააპატიმრა. დაპატიმრების საფუძვლად იქცა დიდგვაროვან ჯოვანი მოჩენიგოს დასმენები. 26 მაისს ბრუნოს დაკითხვა დაიწყო, ხოლო 2 ივნისს, თავისი ფილოსოფიის არსის შესახებ საუბრისას, ბრუნომ თქვა: „არსებობს უსასრულო სამყარო, რომელიც უსასრულო ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობით შეიქმნა, რადგან ღვთის სიძლიერისა და სიკეთის დაკნინებად მიმაჩნია აზრი, თითქოსდა მან სასრული სამყარო შექმნა.

ამიტომ მე ვაცხადებ, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი პლანეტა, დედამიწის მსგავსი. პითაგორასთან ერთად, ის მთვარის, სხვა პლანეტებისა და ვარსკვლავების მსგავს ციურ სხეულად მიმაჩნია, რომელთა რიცხვი უსასრულოა. ყველა ეს ციური სხეული უსასრულო სამყაროებს შეადგენს, რომლებიც უსასრულო სივრცეში უსასრულოა.“ საეჭვოა, რომ ამგვარი შეხედულებები გამომძიებელ სალუცის უდაოდ მოსჩვენებოდა, თუმცა მოცემულ მომენტში ბრუნოს ფილოსოფია მას აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც ეს თავის დასმენაში მოჩენიგომ მოიხსენია და უცხო სამყაროების არსებობაზე გაცილებით საზარელ ამბებსაც მოჰყვა. ასე მაგალითად, მოჩენიგო ირწმუნებოდა, რომ მის სახლში მასწავლებლის ამპლუაში მცხოვრები ბრუნო საუბრებში უგულებელყოფდა კათოლიკური ეკლესიის დოგმატებს, ხოლო ქრისტეს ცრუპენტელას უწოდებდა, რომელიც ხალხს აბრიყვებდა; ის დასცინოდა უბიწო ჩასახვას, ლაპარაკობდა რაღაც უსასრულო სამყაროებზე და აცხადებდა, რომ ახალი ფილოსოფიის შემქმნელი იყო.



ყველა ბრალდება ბრუნომ კატეგორიულად უარყო, ხოლო გამომძიებლის პირველ კითხვაზე, იცოდა თუ არა დაკავებულმა თავისი დამსმენის ვინაობა, ბრუნომ მყისვე დაასახელა მოჩენიგო და განმარტა, რომ მართალია, თავად პირნათლად ასრულებდა მასწავლებლის მოვალეობას და მოჩენიგოს ე. წ. ლულიუსის ხელოვნებას (სიმბოლური აღნიშვნების მეშვეობით ლოგიკური ოპერაციების მოდელირება) ასწავლიდა, ამ უკანასკნელს არ სურდა მისთვის სწავლების საფასურის გადახდა და მთელი ძალისხმევით ცდილობდა, ბრუნო თავის სახლში დაეტოვებინა. ამ პასუხის შემდეგ მოჩენიგოს დასმენა იურიდიულ ძალას კარგავდა, მით უფრო, რომ ბრუნოს ვენეციელმა ნაცნობებმა უარი თქვეს ფილოსოფოსისთვის წაყენებული ბრალდებების დადასტურებაზე. ამგვარად, ბრუნოს შეეძლო, გათავისუფლების იმედი ჰქონოდა, მაგრამ ამ დროს სასამართლომ მისი თანასაკნელების დასმენაც მიიღო, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ბრუნო მასხარად იგდებდა მათ ლოცვებს და ქადაგებდა, რომ ჩვენი სამყარო ისეთივე ვარსკვლავია, როგორც ცაზე მოკიაფე სხვა ვარსკვლავები. კანონით, ამ დასმენის განხილვა ბრალდების დამატებით საფუძვლად არ შეიძლებოდა, რადგან მომდინარეობდა პირებისგან, რომლებიც საკუთარი ბედ-იღბლის შემსუბუქებით იყვნენ დაინტერესებულნი. მიუხედავად ამისა, ის საქმეში ჩააკერეს, ხოლო ინკვიზიცია პატიმრის გულწრფელობაში დაეჭვდა.

ერესისა და მკრეხელობის ბრალდებებს ბრუნო კატეგორიულად უარყოფდა და ამბობდა, რომ მისი სიტყვები არასწორად გაიგეს და დაამახინჯეს, და რომ უმართებულო შეხედულებებსა თუ აზრებს მუდამ თავისთვის ინახავდა და არასდროს ქადაგებდა. მოკლედ, ზოგიერთ საკითხში თავის დაძვრენასა და ორაზროვანი პასუხებით მოსამართლეთათვის თავგზის აბნევას ცდილობდა, რაც ინკვიზიციის თვალში ღირსებას როდი მატებდა. მაგალითად, უბიწო ჩასახვაზე საუბრისას ფილოსოფოსმა განაცხადა: „ღმერთი იყოს ჩემი მფარველი, მიმაჩნია, რომ ქალწულს ფიზიკურადაც შეეძლო მუცლადღება, მაგრამ ეს სულიწმინდის დახმარებით მოხდა...“

ამგვარადვე პასუხობდა ბრუნო მოსამართლეთა სხვა შეკითხვებსაც. ერესისა და მკრეხელობის ბრალდებებს ის კატეგორიულად უარყოფდა და მაშინვე იწყებდა რწმენის სიმბოლოების აბუჩად აგდებას...

საგულისხმოა, რომ ინკვიზიცია ჯორდანო ბრუნოს სასამართლო პროცესს 8 წლის განმავლობაში აჭიანურებდა, თუმცა საქმე აშკარად პირწავარდნილ ერეტიკოსთან და მკრეხელთან ჰქონდა. თანაც, განა ინკვიზიცია ყველა ამგვარი მკრეხელის გასამართლებისას იწვევდა 9 კარდინალისაგან შემდგარ კონგრეგაციას, რომელსაც სათავეში პაპი ედგა? ეგებ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკლესია, ბრუნოს საჯაროდ დადანაშაულებისას იმ ცოდვებში, რაც ხალხისთვის გასაგები იყო, სინამდვილეში იმის გამო სჯიდა, რაც ხალხს არ უნდა ცოდნოდა?

აღსანიშნავია, რომ ბრუნოს პროცესის დასაწყისშივე, ადამიანებს, რომლებიც მის ბედს წყვეტდნენ, ჩინებულად ესმოდათ, რომ საქმე არატრივიალურ კაცთან ჰქონდათ. ასე მაგალითად, რესპუბლიკის პროკურატორი კონტარინი ვენეციის ბრძენთა საბჭოსადმი მიმართულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ბრუნომ „უმძიმესი დანაშაულებანი ჩაიდინა, მაგრამ ის ერთ-ერთი უდიდესი და უიშვიათესი გენიოსია, ფლობს უჩვეულო ცოდნას და არაჩვეულებრივი სწავლება შექმნა“(!).

შესაბამისად, ყველა მცდელობა იმის დამტკიცებისა, რომ ბრუნო „სამყაროთა უსასრულობის,“ კოპერნიკანიზმის ან სხვა ფილოსოფიური სწავლებებისთვის დაწვეს, ერთობ სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება. მით უფრო, რომ ფილოსოფოსის სწავლებაში ბევრი რამ მის წინამორბედთა: ფიჩინოს, კოპერნიკის, გალილეის, კეპლერისა და სხვათა იდეების გამოძახილს წარმოადგენდა, მაგრამ ინკვიზიციამ კოცონზე რატომღაც მხოლოდ ბრუნო აიყვანა. ამ სელექციის მიზეზთა კვლევისას სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ბრუნოს ცხოვრებაში საბედისწერო როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ის ავითარებდა პანთეიზმის ძალზე თანამიმდევრულ სწავლებას, რომლის თანახმადაც ღმერთი და სამყარო ერთმანეთს ერწყმის. ასეთი შერწყმა დამახასიათებელია ანტიკური ნეოპლატონიზმისთვის, რომელიც, ფაქტობრივად, უარყოფს სამყაროს შემოქმედს, როგორც აბსოლუტს, შედეგად კი ანტიეკლესიური და ანტიქრისტიანულია. ჰოდა, სწორედ ამ კერპთაყვანისმცემლურ ნეოპლატონიზმს შეეწირა ჯორდანო ბრუნო. თუმცა, ახლა უფრო მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რატომ წარმოადგენდა ბრუნოს სწავლება ასეთ საშიშროებას ეკლესიისათვის. მეტადრე, რომ ეკლესიის იერარქები, არცთუ იშვიათად, თვალს ხუჭავდნენ ერესზე; მაგალითად, ცნობილია, რომ პაპმა კლიმენტი XIII-მ ათეიზმში დადანაშაულებული ფილოსოფოსი ჩეზალპინო დაიახლოვა კიდეც...

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 20-დან 26 იანვრამდე

### 24 იანვარი

**დღის ციტატა:**
**„საკუთარი თავის სიყვარული იმ რომანის დასაწყისია, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება“.**
**ოსკარ უაილდი**

**41 წელს** კასიუს ჰერეუსის სამხედრო ტრიბუნალმა რომის იმპერატორი კალიგულა სიცოცხლეს გამოსალმა.
**661 წელს** მოკლეს არაბეთის ხალიფა ალი იბნ თალიბი, რომელიც შიიტთა ერთ-ერთი მთავარი წმინდანი გახდა.
**1698 წელს** ლონდონში პეტრე I მალულად მოინახულა უბრალო მოკვდავის სამოსში გამოწყობილმა ინგლისის მეფე ვილჰელმ III ორანელმა.
**1732 წელს** დაიბადა ფრანგი დრამატურგი პიერ ბომარშე.
**1848 წელს** კალიფორნიაში ოქრო აღმოაჩინეს.
**1848 წელს** თავი მოიკლა საექიმო ანესთეზიის პიონერმა, ამერიკელმა ჰ. უელსმა.
**1872 წელს** დაიბადა ინგლისელი ფიზიკოს-ქიმიკოსი, ნეონის, არგონის, კრიპტონის აღმომჩენი მორის ტრევერსი.
**1888 წელს** ამერიკაში საბეჭდი მანქანების ლენტა დააპატენტეს.
**1908 წელს** გადამდგარმა ინგლისელმა ოფიცერმა რობერტ ბადენ-პაუელმა მსოფლიოში პირველი ბოისკაუტების რაზმი ჩამოაყალიბა.
**1924 წელს** პეტროგრადს ლენინგრადი ეწოდა.
**1924 წელს** მუსოლინიმ აკრძალა ყველა არაფაშისტური პროფკავშირი.

### 25 იანვარი

**დღის ციტატა:**
**„ჭკვიანი ადამიანები სურნელოვან ყვავილებს ჰგვანან: ერთი სასიამოვნოა, მთელი თაიგულისაგან კი თავი აგტკივდება!**
**იური ავერბახი**

**41 წელს** სენატმა რომის იმპერატორად მოკლული კალიგულას ბიძა, კლავდიუსი გამოაცხადა.
**1479 წელს**, კონსტანტინეპოლის ხელშეკრულებით, დასრულდა 15-წლიანი ომი ვენეციასა და თურქეთს შორის.
**1533 წელს** ინგლისის მეფე ჰენრი VIII საიდუმლოდ დაქორწინდა ანა ბოლეინზე, რის გამოც მოგვიანებით ეკლესიისგან მოკვეთეს.
**1658 წელს** ახალი ამსტერდამის გუბერნატორმა (ჩრდილოეთ ამერიკა) აკრძალა ჩოგბურთი, რადგან ის ხელს უშლიდა ღვთისმსახურებას.
**1759 წელს** დაიბადა შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი.
**1832 წელს** დაიბადა რუსი მხატვარი ივან შიშკინი.
**1858 წელს** პირველად შესრულდა მენდელსონის საქორწინო მარში.
**1902 წელს** რუსეთში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.
**1905 წელს** სამხრეთ აფრიკაში ყველაზე დიდი ალმასი „კულინარი“ აღმოაჩინეს.
**1909 წელს** დრეზდენში გაიმართა რიჰარდ შტრაუსის ოპერის „ელექტრას“ პრემიერა.
**1926 წელს** ამერიკელმა ქირურგმა ბ. მოინიჰანმა პირველმა დაასკვნა, რომ მოწევა, შესაძლოა, კიბოს მიზეზად იქცეს.
**1947 წელს** ათაშანგით გარდაიცვალა ამერიკელი განგსტერი ალ-კაპონე.

### 26 იანვარი

**დღის ციტატა:**
**„არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ადამიანი, მარტოდენ ქებას ან განსჯას რომ იმსახურებდეს“.**
**აღმოსავლური სიბრძნე**

**1340 წელს** ინგლისის მეფე ედუარდ III საფრანგეთის მეფედ გამოაცხადეს.
**1500 წელს** ევროპელები პირველად ჩავიდნენ ბრაზილიაში, სადაც ამაზონის შესართავი აღმოაჩინეს.
**1531 წელს** მიწისძვრამ ლისაბონში 15 ათასი სახლი გაანადგურა და 30 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა.
**1666 წელს** საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ინგლისს.
**1784 წელს** ბენჯამინ ფრანკლინმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ აშშ-ის სიმბოლოდ არწივი იქცა და განაცხადა, რომ თვითონ უპირატესობას ინდაურს ანიჭებდა.
**1788 წელს** ინგლისის ხომალდებმა ავსტრალიაში ჩაიყვანეს 730 პატიმარი, რომლებმაც სიდნეი დააარსეს.
**1791 წელს** ვენაში გაიმართა პრემიერა მოცარტის ოპერისა — „ყველა ქალი ერთნაირია.“
**1837 წელს** მიჩიგანი აშშ-ის 26-ე შტატი გახდა.
**1897 წელს** ახალ ორლეანში პროსტიტუციის ლეგალიზება მოახდინეს.
**1910 წელს** პარიზში წყალდიდობამ ლუვრის საცავი დააზიანა.
**1918 წელს** დაიბადა ნიკოლაი ჩაუშესკუ.
**1931 წელს** მაჰათმა განდი ციხიდან გაათავისუფლეს.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

20 — 26 იანვარი, 2010 წელი. №2 (45)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ მოასწრებს მესიჯის აკრეფას?

**ნიუ იორკში კომპანია „LG Electronics"-ის მიერ ორგანიზებული სმს-შეტყობინებების სწრაფად აკრეფის მესამე მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. ტურნირში გამარჯვება სამხრეთკორეელმა მოზარდებმა მოიპოვეს.**



სამხრეთკორეელთა დუეტის მოწინააღმდეგე სხვადასხვა ქვეყნის ათობით წარმომადგენელი იყო. გამარჯვებულმა წყვილმა საჩუქრად 100 ათასი დოლარი მიიღო. მეორე ადგილი და 20 ათასი დოლარი აშშ-ის სახელით მოასპარეზეთ ერგოთ; მესამე ადგილი კი არგენტინელებმა მოიპოვეს. კონკურსის წესების თანახმად, მონაწილეებს მესიჯები სწრაფადაც უნდა აეკრიფათ და გრამატიკულ-პუნქტუაციური შეცდომების გარეშეც.

# სად დააწესეს ყველაზე ეგზოტიკური გადასახადები?

**2009 წელს საბიუჯეტო სახსრების უკმარისობამ მრავალი ქვეყნის ჩინოვნიკებს ახალი გადასახადების გამოგონებისაკენ უბიძგა. 2009 წლის ყველაზე უაზრო საგადასახადო ინიციატივების რეიტინგში საპატიო პირველ ათეულში მოხვდა სენატორ გარი რიდის ინიციატივა — დაეწესებინათ ხუთპროცენტიანი გადასახადი გარეგნობის კორექციის კოსმეტიკური პროცედურებისათვის; მაგალითად, ნაოჭების გასწორების ან მკერდის გადიდებისათვის.**




ათეულშია დანიის პარლამენტის მიერ დაწესებული გადასახადი საკვებში ცხიმის შემცველობისათვის; ლატვიის ექიმთა საზოგადოების პრეზიდენტის — პეტერის აპინისის ინიციატივა მარილისა და შაქრის აქციზირების შესახებ; კუნძულ მენის ადმინისტრაციის წინადადება, დაწესებულიყო გადასახადი ინტერნეტ-მეკობრეობისათვის; ნიუ იორკის შტატის გუბერნატორის განცხადება, რომ აუცილებელია, დაწესდეს გადასახადი ინტერნეტის საშუალებით ფილმების შესაძენად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად ჩაითვალა „ქალწულობის გადასახადი", რომელიც პირველი ღამის უფლების აუქციონზე გატანისათვის რუმინელ სტუდენტს გადაახდევინეს.

რეიტინგში საპატიო ადგილზე მოხვდა ლატვიაში მოფიქრებული „მიცვალებულთა გადასახადი" და ბრიტანეთის მიერ შემოთავაზებული სტაციონალური ტელეფონების გადასახადი, აგრეთვე, უკრაინის ფინანსთა სამინისტროს მიერ მოფიქრებული გადასახადი ქრთამის აღებისათვის.

# ვის ეყოლება ჯადოქარი პარლამენტარი?

**ლაინუს შეიდიმ, რომელიც საკუთარ თავს ჯადოქრებისა და ალქაჯების მეფეს უწოდებს, გადაწყვიტა, ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში კემბრიჯიდან იყაროს კენჭი.**



მანამდე შეიდის საუნივერსიტეტო ქალაქში ოკულტური სწავლების ცენტრის გახსნა სურდა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების ხათრით, ეს საქმე სამომავლოდ გადადო. გამარჯვების შემთხვევაში ჯადოქარი გეგმავს, ბრიტანეთი „ნამდვილ ელიტურ ქვეყნად" აქციოს და ამისათვის ნებისმიერი რელიგიური განათლების აკრძალვას აპირებს. შეიდის გაპარლამენტარების შემთხვევაში მის კოლეგებს კარგი არაფერი ელით — ჯადოქარი მათ ხელფასებს აქედანვე ემტერება. ახლა მთელი ბრიტანეთი იმედოვნებს, რომ ჯადოქრის ექსცენტრიული პლათფორმა მოსახლეობაში აღფრთოვანებასა და მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს.

# სააკაშვილი ისეთივე ენერგეტიკოსია, როგორი — სარდალიც



**ბათუმში ენერგეტიკული სამიტი ჩაიშალა. მიზეზი უკიდურესად პროზაული იყო — მასზე არავინ ჩავიდა. არადა, ის „ნაბუკოსა" და რუსეთის გვერდისამვლელ სხვა ენერგოპროექტებს ეძღვნებოდა. არაფერი გამოვიდა. სააკაშვილი იმდენად დაიბნა, რომ რამდენადმე შთამბეჭდავი ლოზუნგის, მაგალითად — „რუსები აშანტაჟებენ ევროპელებს, რომ ისინი ჩვენთან ვერ ჩამოვიდნენ!" ან რაიმე ამდაგვარის, პერიოდულად რომ წამოიყვირებს ხოლმე თავის გაუთავებელ ბოდვებში — მოფიქრებაც კი ვერ მოახერხა.**

სამიტზე უნდა ჩასულიყვნენ აზერბაიჯანის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთისა და უკრაინის სახელმწიფო მეთაურები. თავიანთი წარმომადგენლობების გაგზავნას აპირებდა ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ბულგარეთი, თურქეთი და რუმინეთი. აშშ-ის მხრიდან სამიტს სენატორი მაკეინი და ენერგეტიკის საკითხებში პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი რიჩარდ მორნინგსტარი დაამშვენებდნენ. და აი, 14 იანვრის დილით სამიტზე არავინ ჩავიდა, არც თვითმარქვია ქართველი და სააკაშვილის მიერ პისტოლეტით დაჯილდოებული ჯონ მაკეინი. როგორც ჩანს, ეს საჩუქარი მისთვის საკადრისი ქრთამი არ აღმოჩნდა ამ სამიტში მონაწილეობის მისაღებად.

სამიტის ჩავარდნას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, ვის აინტერესებს ახლა „ნაბუკო", როდესაც „სამხრეთ ნაკადის" პროექტის მოხაზულობა სულ უფრო მკაფიო ხდება. მეორეც, ენერგორესურსების ღირებულება ახლა არც ისე დიდია, რომ უაღრესად პოლიტიზირებულ „ნაბუკოში" მნიშვნელოვანი სახსრები ჩაიდოს. მესამეც, სააკაშვილმა ისე დაატერორა თავისი „მეგობრები" და შემთხვევითი პოლიტიკოსები რუსეთის წინააღმდეგ თავისი „წმინდა ომით", რომ მას უკვე ყველაზე დაჟინებული რუსოფობებიც გაურბიან.

შედეგად, ორი დღის მანძილზე უცხოელი მაღალჩინოსანი მასის ფონზე ფოტო თუ ვიდეო ობიექტივების წინ პოზირებისა და კრემლის აგრესიულ პოლიტიკაზე ყბედობის ნაცვლად, სააკაშვილი იძულებული გახდა, ბელორუსის ვიცეპრემიერს — ანდრეი კობიაკოვს დასჯერებოდა. საწყალ ბელორუს ვიცეპრემიერს ისედაც სულ ცხელ წერტილებში უწევდა სიარული, ახლა კი, არაადეკვატური მიშასთვის ხელის ჩამოსართმევად თბილისშიც გაამწესეს.

ჩაშლილი სამიტის გამო მწუხარებისა და გლოვის აგონიაში მყოფი სააკაშვილი საცოდავ კობიაკოვს ჩაებღაუჭა. ფოტოკამერების ჩხაკუნის ფონზე მან მოასწრო, ბელორუსისთვის მადლობა გადაეხადა იმის გამო, რომ მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა; იმისთვის, რომ ქართული პროდუქციის ექსპორტი იზრდება; იმისთვის, რომ მხარს უჭერს კრემლის შანტაჟისადმი წინააღმდეგობის გაწევის საქმეში და კიდევ ათასი რამისთვის, რაშიც ვიცე პრემიერი აბსოლუტურად „უდანაშაულო" იყო. მაგრამ სააკაშვილის ხელში მოხვედრილ საბრალო კობიაკოვს ისღა დარჩენოდა, რაღაც ელუღლუღა მანდარინსა და ქართულ ღვინოზე, რომელიც „ბელორუსის ყველა მაღაზიაში იყიდება". ის ხომ არაა მიჩვეული ასე გახსნილად ითამაშოს პუბლიკის წინ: მინსკში, ლუკაშენკოს გამოსვლის გარდა, ყველა სახალხო გამოსვლა მკაცრად დოზირებული და რეგლამენტირებულია. ასე რომ, სააკაშვილის ფანტაზიების გაქანებამ, რასაც ზოგიერთი ფსიქიატრი მაინც დაჟინებით მიიჩნევს ბოდვად, სახალხო თეატრში გამოსვლებს მიუჩვეველი კობიაკოვი განცვიფრებული დატოვა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბელორუსის ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, დიდი ხანია, არავის უთქვამს, რომ ისინი წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებენ და საერთოდაც, გამორჩეულნი არიან პოლიტიკური სიბრძნითა და სახელმწიფოებრივი ალღოთი. რუსი კოლეგების სკეპტიკური დამოკიდებულების შემდეგ ქართველი პრეზიდენტის კომპლიმენტების სიუხვემ კობიაკოვის საამისოდ მოუმზადებელ ცნობიერებას ნამდვილი თავზარი დასცა. და ამ თავზარდაცემის მომენტში დანიშნა კიდეც თავისი ქვეყანა საქართველოს მთავარ მოკავშირედ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

რეკლამირებული სამიტის გარეშე დარჩენილი მიხეილ სააკაშვილის გაგება შეიძლება — ვინც შერჩა ხელში, ისიც გამოწურა ბოლომდე, მწიფე ლიმონივით. მაგრამ ძნელია, გაუგო ბელორუსის ხელისუფლებას, რომელსაც ჯერაც არ მოუწერია ხელი ნავთობთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე, მოსკოვს კი ქართულ ოხრახუშს ახარბებს.

# ვაშინგტონი როკის გვირაბზე დარტყმას გეგმავდა



**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის მრჩევლები 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ომის დროს სერიოზულად განიხილავდნენ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ღია საბრძოლო მოქმედებების შესაძლებლობას.**
**ამის თაობაზე ყვება სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი რონალდ ასმუსი თავის წიგნში „პატარა ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა".**

აშშ სამხედრო ძალის „შეზღუდული" გამოყენების ვარიანტს განიხილავდა და ამ გეგმაში, რუსული ჯარის სამხრეთ ოსეთში გადმოსვლისათვის ხელის შეშლის მიზნით, როკის გვირაბის დაბომბვაც მოიაზრებოდა. წიგნის მიხედვით, ბუშმა ამ მსჯელობებს ბოლო მოუღო აგვისტოს ომის მეოთხე დღეს, რადგან ნათელი გახდა, რომ აშშ-ის მიერ გადადგმული ნებისმიერი სამხედრო ნაბიჯი მოსკოვთან კონფრონტაციის წინაპირობა გახდებოდა. ის აზრიც კი, რომ, თუ რუსეთს ჯარს დაუბომბავ, შესაძლოა, ამან მასთან კონფრონტაციამდე მიგიყვანოს, ნამდვილად გასაოცარი მიხვედრილობაა. რა კარგია, რომ პრეზიდენტი ბუში ესოდენ ჭკვიანი იყო და ამ ურთულეს დასკვნამდე მივიდა.

რონალდ რასმუსის აღიარება იმიტომაა ღირებული, რომ ამ ადამიანს პრორუსულ განწყობაში ბრალს ვერაფრით დასდებ. ის 2008 წლის ზაფხულში „The Financial Times"-ში წერდა: „მიუხედავად თავისი პრეზიდენტის მწვავე ხასიათისა, საქართველო ამ რეგიონში დემოკრატიის ყველაზე დიდ იმედად რჩება. ახლახან ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, სხვათა შორის, დიდი უპირატესობით მოიგო სააკაშვილის პარტიამ, დიდწილად აანაზღაურებს იმ დანაკარგს, რომელიც დემოკრატიული პრეზიდენტის რეპუტაციამ 2007 წელს საპროტესტო აქციის ძალისმიერი დარბევისას განიცადა... საქართველო, რომელსაც ყურადღება 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" დროს მივაქციეთ და რომელმაც სწორედ მაშინ თამამად და ცხადად აღმოაჩინა თავისი დემოკრატიული ამბიციები, აფხაზეთის გამო რუსეთთან ომის ზღვარზე ინარჩუნებს ბალანსს".

შეცდა ასმუსი მომავალი ომის ადგილის განსაზღვრებაში. „მწვავე ხასიათის" სააკაშვილმა დემოკრატიის სავანედ სამხრეთ ოსეთის ქცევა მოინდომა. „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების" მატარებელთა ლოგიკა ძალზე რთული გასაგებია. მათთვის პრეზიდენტ შევარდნაძის ძალადობრივი გაგდება თანამდებობიდან „დემოკრატიული ამბიციების თამამად და ცხადად აღმოჩენაა". ისე, „დემოკრატიული ამბიციები" საქართველოში გაცილებით უფრო გახსნილად პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებისას გამოვლინდა. ის უზომოდ მობეზრდათ „პატივცემულ ქურდებს" და მოუწყვეს რა მინიატურული სამოქალაქო ომი, ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძე მოიყვანეს. ესეც „დემოკრატიული ამბიციების" გამოვლინებად უნდა ჩათვლილიყო თავის დროზე? რადგან „ახლადჩასახული დემოკრატია" ნატოსა და ევროკავშირისაკენ მიისწრაფის, პრეზიდენტების გადაგდების თაობაზე და ამ პროცედურის დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისობაზე სულელური კითხვები საერთოდ არ უნდა დაისვას? როგორც თავის დროზე ქართული „დემოკრატიული ამბიციების" ცნობილი სპეციალისტი ჯაბა იოსელიანი ამბობდა: „დემოკრატია ლობიოს ჭამა არ გეგონოთ". ამაში დიდი ქურდი და დემოკრატი აბსოლუტურად მართალი გახლდათ.

აგვისტოს ომში ამერიკის ღიად ჩარევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რონალდ ასმუსის აღიარებამ ნათლად აჩვენა, რომ „მწვავე ხასიათის" სააკაშვილს სიგიჟის მორიგი შეტევისას შესაძლოა მხოლოდ კავკასიის რეგიონალური ომის კი არა, გაცილებით სერიოზული და მასშტაბური კონფლიქტების პროვოცირებაც გამოუვიდეს; მოაწყობს სისხლიან პროვოკაციას და „ახლადჩასახული დემოკრატია" კვლავაც ამერიკელების გადასარჩენი იქნება. მერე კი ვინ იცის, როგორ მოიქცევიან ამერიკელები.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუმინელები რუსეთს ყირიმს მოლდავეთში უცვლიან

**რუმინელებს, კარგა ხანია, ზურგის ქარი სწყალობთ; სხვაგვარად ნამდვილად ვერ მოახერხებდნენ, კიევისათვის შავი ზღვისპირეთის ნავთობითა და გაზით მდიდარი უგემრიელესი ნაჭერი ხელიდან დაეცინცლათ.**


კორნელიუ ვადიმ ტუდორი

შეგახსენებთ, შელფის გაყოფის საკითხთან დაკავშირებით რუმინეთმა უკრაინას ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში უჩივლა. ოღონდ ნატოში მიეღოთ და კიევი მზად იყო, დათანხმებოდა ინსტანციის გადაწყვეტილებას, რომელმაც 2009 წელს დაადგინა: უკრაინამ რუმინეთს უნდა გადასცეს სადაო ტერიტორიის 79,4%, რომელზეც 70 მილიარდი კუბური მეტრი გაზი და 12 მილიონი ტონა ნავთობია. ბუქარესტში გაიხარეს, მაგრამ ვერ დამშვიდდნენ. მოქნილ რუმინელებს პატარა იმპერიის შექმნის საკუთარი გეგმები აქვთ და ამ გეგმებს ბუქარესტში არც მალავენ.

ევროპარლამენტის რუმინელმა დეპუტატმა კორნელიუ ვადიმ ტუდორმა რამდენიმე დღის წინათ „კომსომოლსკაია პრავდას“ განუცხადა: „უკრაინასთან საზღვრების თაობაზე შეთანხმების ხელმოწერისას რუმინეთს ახსოვდა, რომ თავად უკრაინა საბოლოო პროექტი არაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი შესაძლებელია“. მისი თქმით, უკრაინა ხელოვნური სახელმწიფოა, რომელიც „რუმინულ ტერიტორიებს იკავებს“, კერძოდ, საუბარია ჩრდილოეთ ბუკოვინაზე (თანამედროვე უკრაინის ჩერნოვიცკის ოლქის ნაწილზე, რომელიც 1918-დან 1940 წლამდე რუმინეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა).

უწოდა რა ვიქტორ იუშჩენკოს „ყალბი ნარინჯისფერი რევოლუციის ამერიკელი აგენტი“, რუმინელი უფრო შორსაც წავიდა. კორნელიუ ვადიმ ტუდორმა განაცხადა, რომ „უკრაინა საერთაშორისო საზოგადოების კონტროლქვეშ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, რუსეთის ჩართვით“.

რა წვლილი მიუძღვის უკრაინას მსოფლიო ცივილიზაციაში, გარდა ტარას შევჩენკოსი? — პათეტიკურად კითხულობდა პარტია „დიდი რუმინეთის“ ლიდერი ტუდორი. „მე უკრაინის კულტურის თაობაზე არაფერი მსმენია, იქნებ, ეს ჩემი ბრალია. რა თქმა უნდა, უკრაინელებიც ღვთის შვილები არიან, მაგრამ მათ ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს მოკლებული უზომო სიამაყე ტანჯავთ. არ მომწონს, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად ჩემი რუმინელი ძმები და დები უკრაინულ ციხეებში სხედან. უკრაინამ სხვა ქვეყნის ტერიტორიები მოიპარა და ვერავინ მაიძულებს, პატივი ვცე ქვეყანას, რომელიც პატივს არ სცემს საერთაშორისო კანონებს“, — ბრძანა ევროპარლამენტის წევრმა.

პოლიტიკოსმა ისიც აღნიშნა, რომ ბუქარესტმა იძულების წესით და მუქარით, რომ რუმინეთი ვერასდროს გაწევრდებოდა ნატოში, უკრაინის საზღვრები ოფიციალურად აღიარა. „ჩვენი პარტია ამ რუმინეთის დამამცირებელი შეთანხმების წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა“, — ბრძანა კორნელიუ ვადიმ ტუდორმა.

ალბათ, გასაგებია, რომ რუმინეთის პრეტენზიები ჩერნოვიცკის ოლქის ნაწილით არ შემოიფარგლება. „მხედველობაში იქონიეთ, რუმინეთში არის პოლიტიკური ძალები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ რუსეთის კანონიერ სწრაფვას, დაიბრუნონ ყირიმი 1940 წელს რუსეთის მხრიდან რუმინეთის მოლდავეთად და რუმინეთად გაყოფის უკანონოდ ცნობის სანაცვლოდ“, — ბრძანა რუმინეთის ექსპრემიერმა, ახლა რუმინეთის სენატის წევრმა მირჩა დრუკმა. რუმინელი სენატორიც არ ყოფილა მოკრძალებული შეფასებებში და ირწმუნებოდა, რომ უკრაინას „საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან ყველაზე მსუყე ნაჭერი ერგო“. „სამართლიანად გაეყოთ სამ ნაწილად: კათოლიკური გალიცია, ძველისძველი უკრაინა დედაქალაქით პოლტავასა თუ კიევში და რუსული ნაწილი ყირიმით“, — დაასკვნა სენატორმა.

უკრაინაშიც და მოლდავეთშიც პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობის გათვალისწინებით, რუმინელებისათვის ამგვარი მოსაზრება ძალზე აქტუალური თემაა.

რუსეთთან კეკლუცობის მცდელობისას რუმინელები სწორედ იმ რიტორიკას იყენებენ, ისტორიულად დასუსტებულ სახელმწიფოებს რომ შეეფერებოდა. რუმინეთი შორსაა სხვა სახელმწიფოთა ბედის გადამწყვეტის მდგომარეობისაგან, მით უფრო იმათი ბედისა, ვისი ლიდერებიც ამერიკელთა სპონსორობით „მართავენ“. მას მხოლოდ ნასუფრალის ლოდინიღა დარჩენია.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ივლისში დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრისას თამაშის ახალი წესები დადგინდა: დასავლეთი თავს ანებებს უკრაინას და სანაცვლოდ მოლდავეთს იღებს.

ასე რომ, უკრაინაში „ნარინჯისფერი“ პროექტი დამუხრუჭდა, მოლდავეთში კი ყველაფერი კარგად ნაცნობი სცენარით ვითარდება (მაგალითად, უკვე ოფიციალურად გამოცხადდა კომუნისტურ წარსულთან ბრძოლის თაობაზე) და შესაძლოა, რუმინელები სულაც არ იფხორიებიან ამაოდ.

# რაზე ცვლიან ამერიკელი დედები შვილებს?

**არიზონელმა ქალმა თავისი გოგონა პისტოლეტზე გადაცვალა. 33 წლის ტანია ნარო ამ გარიგების განხორციელებისთანავე დააკავეს.**



2 წლის ბავშვის გაყიდვის გეგმის თაობაზე პოლიციას ნაროს ოჯახის მეგობრებმა აცნობეს, რომლებიც გარიგების მეორე მხარეს წარმოადგენდნენ და პისტოლეტის სანაცვლოდ გოგონა უნდა წაეყვანათ.

პოლიციის მონაცემებით, დაკითხვისას ტანიამ განაცხადა, რომ, მისი აზრით, მეგობრების ოჯახი უკეთ აღზრდიდნენ მის შვილს და მხოლოდ ამის გამო გადაწყვიტა, ბავშვი მათთვის მიეყიდა.

დაკავების შემდეგ ქალს ბავშვის გაყიდვისა და იარაღის უკანონოდ შეძენის მცდელობის ბრალდებები წაუყენეს.

# სად ტარდება გეების სილამაზის კონკურსი?

**პეკინში ჩინეთის ისტორიაში პირველად ჰომოსექსუალთა სილამაზის კონკურსის ჩატარება იგეგმებოდა, მაგრამ პოლიციამ განაცხადა, რომ მის ორგანიზატორებს შესაბამისი ლიცენზია არ აღმოაჩნდათ და ღონისძიება დახურა.**



კონკურსში მონაწილეობის სურვილი თავიდან 12-მა ჰომოსექსუალემა გამოთქვა, შემდეგ მათ თავიანთი ნაცნობ-მეგობრებიც შემოუერთდნენ, საბოლოოდ კი ფინალისათვის რვა კონკურსანტი შეირჩა.

ფინალისტებს ჩვეულებრივი კონკურსების მსგავსი ტურები უნდა გაევლოთ, მათ შორის საცვლების ამარაც მოუწევდათ ჟიურის წინაშე თავის მოწონება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის ხელისუფლება მრავალი წლის მანძილზე ჰომოსექსუალიზმს ფსიქიურ დაავადებასთან ათანაბრებდა, გეები დევნისა და დისკრიმინაციის ობიექტები იყვნენ. 2006 წელს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის თემაზე პირველი ოფიციალური კვლევა გამოქვეყნდა. 2009 წელს კი ქვეყანაში გეებისათვის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პირველი ბარი გაიხსნა. „მისტერ გეი-ჩინეთი“ ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში თებერვლისათვის დაგეგმილ გეების საერთაშორისო კონკურსზე უნდა გამგზავრებულიყო.

# რუსულმა მილსადენმა აზიაში სენსაცია მოახდინა

**ნავთობის მსოფლიო უმსხვილესი მწარმოებელი რუსეთი თავისი ახლოაღმოსავლელი მოწინააღმდეგეების ხარჯზე და ახალი მილსადენის წყალობით, რომელიც ნედლ ნავთობს ციმბირის საბადოებიდან წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ახალ ტერმინალამდე გადაქაჩავს, აზიური ენერგეტიკული ბაზრების დაპყრობას გეგმავს.**

მილსადენი, პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის საყვარელი პროექტი, რუსეთისათვის თავისი საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციის გასაღებია, რათა აზიაში ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილებით ისარგებლოს. ეს მილსადენი მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვისაც, როგორიცაა ჩინეთი, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე საკუთარი დამოკიდებულების შემცირება სურს.

წინა თვეში პუტინმა ოფიციალურად გახსნა მილსადენის — აღმოსავლეთ ციმბირი-წყნარი ოკეანის („ВСТО“) პირველი გადაქაჩვა, რომლის ღირებულებაც 12 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამ მილსადენით გადაქაჩული ნედლი ნავთობი უკვე იქცა ჰიტად აზიურ ბაზრებზე. საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ თავის ყოველთვიურ ანგარიშში დაწერა, რომ „ВСТО“ „ნამდვილად ჩაანაცვლებს ახლოაღმოსავლური ნავთობის ხარისხის რომელიმე სახეობას“.

„JP Morgan“ ბანკის ნავთობის ანალიტიკოსმა ლოურენს იგლსმა თავის ანალიტიკურ ჩანაწერებში აღნიშნა, რომ ზემოხსენებული მილსადენი და მის მიერ გადაქაჩული ნავთობი „ნედლი ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე მნიშვნელოვან ცვლილებებს“ მოახდენს იმდენად, რამდენადაც „რუსეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბაზრებზე ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნის როლისთვის სათანადო ინფრასტრუქტურა გაუჩნდა“.

„ახლა ევროპას რუსული ნავთობისათვის აზიასთან მოუწევს ჭიდილი“, — ამბობს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ნავთობის ბაზრების საკითხთა უფროსი ანალიტიკოსი დაიან მანრო.

რუსული ნედლი ნავთობის უპირატესობა მის კონკურენტ ცორტებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ის ახლოა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებთან. ახალი ნავთობტერმინალი კოზმინოში, რომელიც 2 მილიარდი დოლარი დაჯდა, ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ბაზრებიდან ხუთი დღის სავალია. ახლო აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან მოწოდებას სულ მცირე ორი კვირა სჭირდება.

ამ რუსული მილსადენის ამუშავება, რომელსაც ნავთობით აღმოსავლეთ ციმბირის ახალი საბადოები აავსებს, დროში დაემთხვა ჩინეთში ნავთობზე მოთხოვნილების ზრდას. გასულ თვეში ჩინეთში ნედლი ნავთობის იმპორტი ყოველდღიურად ხუთ მილიონ ბარელს შეადგენდა, ეს კი თავისთავად რეკორდული მაჩვენებელია. შედარებისთვის: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ევროპაში მოთხოვნილება დღეში ერთ მილიონ ბარელამდე დაეცა.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ახალი მილსადენი მნიშვნელოვნად შეცვლის რუსული ნავთობის ექსპორტის დინამიკას. რუსეთის დატვირთვის გრაფიკები უკვე უჩვენებენ, რომ ბალტიისა და შავი ზღვის პორტებიდან ნედლი ნავთობის ექსპორტი აღმოსავლეთის მიმართულებით გადამისამართდა.

რუსეთის ხელისუფლებამ, გასცა რა სუბსიდიები ზემოხსენებული მილსადენით ექსპორტირებისათვის, აღმოსავლეთზე გადართვას შეუწყო ხელი. ხელისუფლებამ დროებით შეაჩერა ახალი მილსადენით გადაზიდული ნედლი ნავთობისათვის საექსპორტო გადასახადი და დააწესა უპირატესი ტარიფი, რომელიც ტრანსპორტირების რეალურ ღირებულებაზე დაბალია.

მილსადენის სახელმწიფო მონოპოლია ამ სუბსიდიას დაფარავს დასავლეთის მიმართულებით ნავთობის მიმწოდებელი კომპანიებისათვის ტარიფების გაზრდის ხარჯზე.

მილსადენს დღეში 600 ათასი ბარელი ნავთობის გადაქაჩვა შეუძლია. ის ციმბირში ტაიშეტსა და სკოვოროდინოს შორისაა განთავსებული, ჩრდილოეთ ჩინეთთან რუსეთის საზღვრის მახლობლად. იქიდან კოზმინოში ნავთობი რკინიგზით გადააქვთ, იქ კი კონტეინერებში ტვირთავენ. მომავალ წელს დასრულდება კიდევ ერთი განშტოების მშენებლობა, რომელიც სკოვოროდინოს ჩინურ დაცინასთან დააკავშირებს. ამ განშტოებას დღეში 300 ათასი ბარელის გატარება შეეძლება. მოსალოდნელია, რომ 2014 წელს, მშენებლობაზე კიდევ 10 მილიარდი დოლარის დახარჯვის შემდეგ, მილსადენი კოზმინომდე ჩავა.

# ვინ გადაუხდის კომპენსაციას ქათმებს?

**სტაფორდშირის საგრაფოს ფერმერმა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს 42 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობის კომპენსაცია იმისთვის მოსთხოვა, რომ სამხედრო თვითმფრინავების დაბალ სიმაღლეზე ფრენის გამო მისმა ქათმებმა ტრამვა მიიღეს და კვერცხის დებას მოუკლეს.**



ფერმერისათვის გადახდილი ეს თანხა იმ 7,6 მილიონი ფუნტის ნაწილია, რომელიც სამინისტრომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე თვითმფრინავების დაბალ სიმაღლეზე ფრენით გამოწვეული ხმაურით დაზარალებულთა სასარგებლოდ გაიღო. თანხას, ძირითადად, ხმაურით დაზარალებული ადამიანები იღებდნენ, მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც 117 ათასი ფუნტი სტერლინგის კომპენსაცია ტრამვირებული ცხენის მეპატრონეს გადაუხადეს. სამაგიეროდ, სამეფო ჰუსარებიდან ერთ-ერთმა 2004 წელს ერაყში ფეხის დაკარგვისათვის კომპენსაციის სახით მხოლოდ 5 ათასი ფუნტი სტერლინგი მიიღო.

# აბაზიანი თოვლზე,

## ანუ ლორთქო მოლისფერი შარვლის ფანტაზიები ქათქათა თოვლის ფონზე

**შაჰრაზადას ათას მერამდენელაც ზღაპრის ტკბილმა ბანგმა გააბრუა საქართველო 2010 წლის 18 იანვრის საღამოს, ნათლისღების წინა დღეს.
ზღაპრის მოსმენა ერთგვარი ფსიქოთერაპიაა ნერვებდაგლეჯილი ხალხისთვის, მაგრამ მისი მრავალსერიანობა აბსოლუტურად საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა.
შეიძლება, ვიღაცა ზღაპრების მოყოლით, შაჰრაზადასი არ იყოს, იხანგრძლივებს ცხოვრების (პოლიტიკურის) დღეებს, მაგრამ რა დავაშავე ისეთი, რომ ამ მომაბეზრებლობის მოსმენა მაინც და მაინც მე დამავალა რედაქციამ?
ამას მერჩივნა, „იმედის“ იმ პროგრამისთვის მეყურებინა, რომელშიც კადრსმიღმა საიდუმლო ხმა დროგამოშვებით გვაუწყებს: „ეს სიცრუეა!“**




„ისეთი ტყუილი უნდა თქვა, რომ გრძელი ფეხები ჰქონდესო“, — ქართული ანდაზაა. ფეხები კი არა, თხილამურებზე შემდგარი სიცრუე ისე დასრიალებდა მესტიისა და ჭუბერის ფანტასტიკურ თოვლიან ფერდობებზე, როგორც რუსეთის პრემიერი — მსოფლიოში სახელგანთქმულ ზამთრის კურორტებზე, რომლებიც იმ საღამოს მიხეილ სააკაშვილმა სულ ფეხქვეშ გაიგდო და მიწასთან გაასწორა, საქართველოს ჯერ მხოლოდ საპროექტო მონახაზების სახით არსებულ კურორტებთან შედარებით.

მართალია, ეს კურორტები საჩვენო მოსახმარი არ იქნება — ვერც შევწვდებით და არც არავინ გვეპატიჟება, სამაგიეროდ, პატივცემული მიხეილი სწორედ მათ აშენება-დამშვენებაში ხედავს თავისი თანამემამულეების ბედნიერი მომავლის კაშკაშა მწვერვალებს, რომლებიდანაც გარუჯული უცხოელი ტურისტები თხილამურებით ეშვებიან უშბიდან ანაკლიამდე.

**„რა თქმა უნდა, ჩვენი კურორტები არ არის შიდა მოხმარების და მთავარი შემოსავალი მოვა უცხოური ტურიზმისგან“.**

აი, მაგალითად, როცა ფოთში აშენდება დიდი საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც კონკურენციას გაუწევს თბილისის აეროპორტს, ევროპიდან ტურისტი ჩამოფრინდება 1-დან 4 საათის ფარგლებში, „ფოთიდან მესტიამდე ტურისტული ავტობუსით გზა დაიკავებს 2-დან ორსაათნახევარს საშუალო სვლით, მე არ ვლაპარაკობ რაღაც ჩქარი მანქანებით გადაადგილებაზე. ტურისტი ჯდება ტურისტულ ავტობუსში, თუ იმის ფული არ აქვს, რომ იქვე აიღოს პროპელერიანი თვითმფრინავი, რომელიც ფოთისა და ბათუმისთვის რამდენიმე შემოდის და რომელიც 20 წუთში პირდაპირ მესტიაში დაჯდება... ამრიგად, რაღაც 5 საათში შენ ხარ მოხვედრილი ერთ-ერთ საუკეთესო თუ არა, საუკეთესო სათხილამურო კურორტზე“.

უფ! ჯერ ეს გადავხარშოთ.

გზების სპეციალისტი რომ იყო, ხომ ვიცოდით, მეგზევე და ტრანსპორტელი: თბილისიდან ლონდონამდე გაყვანილი ავტოტრასით გადაადგილების წუთობრივი გაანგარიშება რომ წარმოგვიდგინა, იმ დროიდან.

ახლა კურორტოლოგობაც შეუთავსებია და ამ ასპარეზზე მისი მთავარი აღმოჩენა არის ის, რომ ყველა კურორტი, რომელიც 2003 წლამდე საქართველოში არსებობდა, არ ვარგა, ხოლო ყველა საკურორტო ადგილი, რომელსაც თვალი პირადად მან დაადგა, საუკეთესოა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპაში; უარეს შემთხვევაში, — ერთ-ერთი საუკეთესო.

ბაკურიანში სათხილამურო ტრასები იქ არ გაიყვანეს, სადაც საჭირო იყო — ტაბაწყურისკენ უკეთესი ადგილია; გუდაურში თოვლი არ ვარგა. დაფიქრებულან თოვლის სიავკარგეზე ქვეყნის ყოფილი მამები და თავკაცები?

არა.

იგი კი ფიქრობს და ასკვნის:

კოდორის ხეობაში თოვლი არის სველი.

სოჭში საერთოდ არ არის და, თუ არის, „იმ თოვლზე სრიალი არის პრობლემატური“.

სვანეთში კი არის მშრალი თოვლი.

რა დროს თოვლის ხარისხზე ლაპარაკია, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევაო, სიტყვას არ შემარჩენს, ჩვენი მკითხველი.

დამაცადეთ, ამ კაცისთვის დამაგდებინეთ ყური:

**„საუკეთესო კურორტი იზომება რამდენიმე კრიტერიუმით. რისი შეთავაზება შეუძლია მესტიას? — ეს არის: სათხილამურო სერვისები (!), მესტიაში არის ის, რაც არსად არ არის ევროპაში (თუ არ ჩავთვლით გუდაურს): ვერტმფრენით სრიალი (!). მესტიაში არის ის, რაც ძალიან ცოტა ადგილებში არის ევროპაში — ეს არის საზაფხულო სათხილამურო ტრასა, ერთადერთი ოლიმპიური ზომის ტრასა ევროპაში. ამ ორი კრიტერიუმით ევროპას ჩვენ ვუსწრებთ.**

**და... მესტიაში არის ის, რაც არსად არ არის ევროპაში: ერთდროულად ზღვაში ცურვის საშუალება და თხილამურებით სრიალის საშუალება“.**

შარი არ მომდოთ, რომ ვჩხირკედელაობ, მაგრამ როდიდან გადავიდა ზღვის ნაპირზე მესტია, ან პირიქით, ეგებ მითხრათ?

კი, მერე განგვიცხადა, რომ მთლად ასე არ არის, რომ „პარალელურად ჩვენ ვავითარებთ ანაკლიას, რომლიდანაც მესტიამდე არის საათნახევარი-ორი საათის სავალი გზა“.

ჭეშმარიტად ყველაფერი ფარდობითია ამქვეყნად, მათ შორის, — დროის აღმნიშვნელი „ერთდროულად“ და „საათნახევარი-ორი საათი“. ამაზე უკეთეს მაგალითს აინშტაინიც ვერ ინატრებდა.

ბატონმა კლიმატოლოგმა ბრძანა, რომ **ყველაზე საუკეთესო ჰავა არის მესტიაში** (!).

ამან შეამჩნია. მანამდე ყველა სპეციალისტი იმდენად უვიცი იყო, რომ მსგავსი არაფერი განუცხადებია.

ბახმარო, აბასთუმანი, ბაკურიანი, მთელი ბორჯომის ხეობა არ ვარგებულა თურმე, მაგრამ ამ „უვარგის ადგილებში“ განვითარდა მაინც და მაინც საკურორტო ინფრასტრუქტურა. და ბევრგან სხვაგან კიდევ.

სვანეთში — არა, რატომ? ცხონებული მისი დიდი პაპის — სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის ბიბლიოთეკაში მოეძებნა და წაიკითხავდა, რომ სწორედ სვანეთში იყო მოდებული ფარისებრი ჯირკვლის დაავადება, — ჩიყვი, რომელიც იოდოდეფიციტით იყო გამოწვეული. **სვანეთი ენდემური ჩიყვის კერადაა მიჩნეული**. საქართველოს ამ კუთხეში ყოველთვის შეჰქონდათ იოდიზირებული მარილი იმ დეფიციტის გასანეიტრალებლად, რომელსაც, სამწუხაროდ, თავისი უარყოფითი შედეგები მოსდევდა.

ახლა კი — ყურადღება:

სვანური კოშკები, როგორც პატივცემულმა მიხეილმა დაგვიხასიათა, არის „უზარმაზარი კულტურული პოტენციალი — 100-ზე მეტი კოშკი X-XI საუკუნის. **ეს არის რეალურად იმდროინდელი დუბაი (!) — ამაზე მაღალს არაფერს აშენებდნენ მაშინდელ მსოფლიოში...“**

აუშვა აფრები!

გიფიქრიათ ამაზე, ბატონო რუსეთის აგენტებო, წითელო პროფესორებო? თვალს რატომ არიდებდით ამ ღირსშესანიშნავ პარალელს?

ან თქვენ, სპორტის მესვეურებო, იცით, რა განსხვავებაა ფიზკულტურასა და სპორტს შორის? არ იცით. ჰოდა, დაუგდეთ ყური: „ძალიან დიდი განსხვავებაა. **ფიზკულტურა. ხელების ასე გაშლა და ასე გაკეთებაა. სპორტი არის ის, რაც მე გავაკეთე: ჩამოსრიალება, ფეხბურთის თამაში, ფრენბურთის თამაში, ჩოგბურთის თამაში, ციგურებზე დგომა, ამიტომ მესტიაში ციგურებს დაგირიგებთ**“. აი, სწორედ ეს აკლდათ მესტიაში სვანებს, დანარჩენი თავზესაყრელად აქვთ.

სანამ ისინი ამ ახალ დებულებაზე ფიქრობენ, ჩვენ გავაშენებთ ედემის ბაღს, რადგან, როგორც გვარწმუნებენ, ამის საშუალებას მოგვცემს საქართველოში ტურისტების რაოდენობის გახუთმაგება. **„ათასი დოლარი რომ ვიგულისხმოთ თითოეულ ტურისტზე, ეს არის 5 მილიარდი შემოსავალი დამატებით მხოლოდ ტურიზმიდან რეალურ ეკონომიკაში“.**

მივუმატოთ ამას ბათუმის საახალწლო კონცერტებზე ჩამოსული მელომანების დახარჯული მილიონები და აგვიყვავებია „შვედური სოციალიზმი“ საქართველოს დალოცვილ მიწაზე.

არნახული პერსპექტივა გადაიშლება: **„ბათუმი იქნება მეგაპოლისი“,** მაგრამ, ალბათ, მეგაპოლისის რაღაც ახალი სახეობა, რადგან სიახლეთა ავტორის დაპირებით, „ბათუმში დაახლოებით სამასი ათასი ადამიანი იცხოვრებს“. მხოლოდ სამასი ათასი და ისიც — დაახლოებით. მართალია, ეს რაოდენობა ვერ ესადაგება მეგაპოლისის ენციკლოპედიურ განმარტებას, მაგრამ ეგ არაფერი, რადგან ჩვენ ასე გვინდა! მაშინ, რა დააშავა ქუთაისმა, რომლის მოსახლეობა იმავე წყარომ 300 ათასი ადამიანით განგვისაზღვრა; რით ვერ გახდა მეგაპოლისი?! სამაგიეროდ, იქნება საპარლამენტო დედაქალაქი.

თბილისს, უკაცრავად, რა ვირის თავ-ფეხი? — არც არაფერი! თბილისი სააკაშვილისთვის ისაა, რაც იულია ტიმოშენკოსთვის უკრაინაში — დონეცკის ოლქი.

ერთი სიტყვით, როგორც იმღამინდელმა ტელეორატორმა თქვა, საქართველოში უნდა შევქმნათ XXI საუკუნის ტურისტული სასწაული.

დამთავრდა შადრევნების ეპოქა და იწყება თხილამურებზე სრიალის ჟამი უჟამური! მწარე მოგონებად დარჩება ის დრო, როცა ანაკლიიდან ყიდდნენ გოჩასა და ხვიჩას, შევარდნაძის დროს კი — ჯართს. ვარდების რევოლუციას რომ არ მოესწრო, ადამიანებსაც გაყიდიდნენ — ტრეფიკინგი დაწყებული იყო (!), არაფერი გვიშველიდა. ახლა კი — დადექი და ისრიალე!

ისრიალე მესტიის მშრალ თოვლზე, რომელიც „არის სასწაული. **ამ სიმშრალის სათხილამურო კურორტი საერთოდ არ არის ევროპაში (!). ეს არის წარმოუდგენელი საგანძური, რომელზეც ვზივართ“.** ეტყობა, ცუდად დაგვიცურდა თხილამური, წავიქეცით და მეხუთე წერტილით ვზივართ საგანძურზე, რომელსაც ეწოდება მშრალი თოვლი...

ბაკურიანის „შეურაცხყოფილ თოვლზე“ (***ჯანსუღ ჩარკვიანი***) ვიღაცის დაგდებული იმერული ვერცხლის აბაზიანი ბზინავდა.

**იმერული აბაზი**.

„მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქუთაისში ერთ წერეთელს დაუწყია ყალბი ქართული ვერცხლის ორაბაზიანების კეთება და გასაღება. გაუგიათ. დაუსჯიათ, მაგრამ მისი მოჭრილი ფული კიდევ კარგახანს დადიოდაო. ამერეთშიაც გადმოსულა ეს ფული იმერული აბაზის სახელით. შემდეგში **ეს სახელი ხატოვნად გამოხატავდა ყოველსავე ყალბს, ნაეშმაკარს, რომელიც ღირსი არ იყო ნდობისა, ერთგულებისა“** (***თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, გვ. 184***).

იმერული აბაზიანი, რომელსაც ტელესივრცეში დიდი გასავალი აქვს, ლორთქო მოლისფერი შარვლივით უხდებოდა ბაკურიანის თოვლის გამაბრუებელ სითეთრეს.

**არმაზ სანებლიძე**




საქართველო
8 მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net